ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ნანა ცეცხლაძე



ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები

თბილისი
2018

ნანა ცეცხლაძე ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები

გამომცემლობა „ივერიონი“
თბილისი 2018, გვერდი - 278

მონოგრაფიაში მოცემულია ფრაზეოლოგიზმთა კვლევის განსხვავებული ასპექტები: სემანტიკური, გრამატიკული, სემასიოლოგიური, სტილისტიკურ- კონოტაციური, პრაგმატიკული და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მათს ლინგვოკულტუროლოგიურ ღირებულებაზე. კულტურათშორისი დიალოგის კონტექსტში განხილულია ფრაზეოლოგიურ ვარიანტთა და ლინგვოკულტურემათა თარგმნის პრობლემებიც.

რედაქტორები: **მამია ფაღავა,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ხათუნა ბერიძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი.

რეცენზენტები: **მზია ხახუტაიშვილი,** ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტ. პროფესორი;
ლილე თანდილავა- ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი;
თეა შავლაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი.

ვუძღვნი მამის ნათელ ხსოვნას

© ნანა ცეცხლაძე
© გამომცემლობა „ივერიონი“
ISBN 978-9941-8-0262-1

შინაარსი

შესავალი.....5

თავი I.
ფრაზეოლოგიზმის რაობა და შესწავლის მდგომარეობა 16

თავი II.
ქართულ ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურული ანალიზი.....21

II. 1. სომატური ფრაზეოლოგიზმები.....21
II. 2. ზოონიმური ფრაზეოლოგიზმები.....61
II. 3. ფლორონიმული ფრაზეოლოგიზმები.....72
II.4. ასტრალური სახელები ფრაზეოლოგიზმებში.....82
II. 5. საკრალური რიცხვები ფრაზეოლოგიზმებში.....88
II. 6. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ფრაზეოლოგიზმებში.....102
II. 7. სამოსლის აღმნიშვნელი სახელები.....105

თავი III.
ქართულ ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ანალიზი.....109

III. 1. სიყვარული.....109
III.2. იმედი.....112
III. 3. სიხარული.....112
III. 4. დამშვიდება.....113
III. 5. დარდი, მწუხარება, განსაცდელი.....114
III. 6. წუთისოფლის ამაოება.....117
III.7. გაბრაზება.....117
III.8. შიში.....119
III.9. სიკვდილი.....119
III.10. ლაპარაკი.....126
III.11. სხვა სემანტიკური ჯგუფები.....130

თავი IV.
ფრაზეოლოგიზმთა გრამატიკული ანალიზი.....132

თავი V.
ფრაზეოლოგიური ვარიანტები ქართულში.....138

თავი VI.
ფრაზეოლოგიზმთა სემასიოლოგიური ანალიზი.....147

VI.1. სინონიმური ფრაზეოლოგიზმები 147
VI. 2. ანტონიმური ფრაზეოლოგიზმები..... 151
VI.3. პოლისემიური ფრაზეოლოგიზმები 152
VI.4. ნეკროტიზმები ქართულში 154

თავი VII.
ფრაზეოლოგიზმთა სტილისტიკური და პრაგმატიკული ფუნქციები..... 162

VII.1. სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთა მარკირების საკითხი.. 162
VII.2. სინონიმური პარალელიზმი, როგორც სტილისტიკური ხერხი 170
VII.3. კალკურ ფრაზეოლოგიზმთა პრაგმატიკული ფუნქციები სამხრულ კილოებში 175
VII.4. მყარი შედარებანი..... 180
VII.5. სატირული ფრაზეოლოგიზმები..... 192
VII.6. ჰიპერბოლა და ლიტოტესი ფრაზეოლოგიზმებში..... 201

თავი VIII.
ფრაზეოლოგიზმთა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი..... 204

VIII.1. კონცეპტი სიკვდილი ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში 204
VIII.2. ლოგოეპისტემები..... 207
VIII. 3. კულტურათა დიალოგი ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიური ვარიანტების მიხედვით 216
VIII.4. სამხრული ფრაზეოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები 225
VIII. 5. მყარი ენობრივი შედარებანი ქართულსა და თურქულში 230

თავი IX.
ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პრობლემები 233

IX. 1. ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიზმების თარგმნა ... 233
IX. 2. ქართულ-თურქული ლოგოეპისტემების თარგმნა 236
ბოლოთქმა 245
შემოკლებითი განმარტებანი 250
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 255
AFTERWORD 275

შესავალი

ფრაზეოლოგიზმები, ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, არამარტო ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და ექსპრესიულობის მისაღწევი საშუალებაა, არამედ ამაღლებს მეტყველების კულტურასაც. მათი საშუალებით მთქმელს შეუძლია ინფორმაცია არაპირდაპირ გადასცეს, თუ რაღაც მიზეზის გამო არ სურს ან არ ძალუძს სათქმელის ექსპლიციტურად გამოხატვა.

ფრაზეოლოგია ქმნის სამყაროს ენობრივ ხატს. მისი შესწავლის უმთავრესი მნიშვნელობაც სწორედ ესაა. მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ენის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია მისი ფრაზეოლოგიური ფონდის გათვალისწინების გარეშე.

ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა უაღრესად ძნელია, ვინაიდან ისინი უშუალოდ უკავშირდება მისი შემქმნელი ხალხის ყოფას, კულტურას, იდენტობას.

შესამაბისად, ფრაზეოლოგია ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია, იგი სხვადასხვა კუთხით აინტერესებს ლინგვისტიკას, ფოლკლორისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას, ფსიქოლინგვისტიკას, ლინგვოკულტუროლოგიას, პრაგმატიკას, ეთნოფსიქოლოგიას, ეთნოლინგვისტიკას, სოციოლინგვისტიკას, სტილისტიკას, ანთროპოლოგიას და ა.შ.

ფრაზეოლოგიური ერთეულები შედარებით კარგადაა შესწავლილი რუსულ ენთმეცნიერებაში. ყველაზე ფართოდ და თანმიმდევრულად მას აშუქებს აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი. ფრაზეოლოგიის დამოუკიდებელ დისციპლინად გამოყოფაც მის სახელს უკავშირდება. 1946 წელს მან დაიცვა სადიპლომო შრომა ,,რუსული ფრაზეოლოგიის ძირითადი ტიპების შესახებ", რომელიც კლასიკად არის აღიარებული. ფრაზეოლოგიის პრობლემებზე მეცნიერს რამდენიმე შრომა აქვს დაწერილი: „Об основных типах фразеологических единиц в русском язике: Академик Щахматов. Сборник статей и материалов М-Л.1947, Русский язык М. 1947; Основные типы лексическых значений слова: Вопросы языкознания. 1953 №5.

ფრაზეოლოგიზმებს სხვადასხვა კუთხით სწავლობენ, განსხვავებულია მათი საზღვრების დადგენის პრინციპებიც. ფრაზეოლოგიზმებში ზოგი აერთიანებს ანდაზებსა და წყევლის ფორმულებსაც. თავისთავად განსხვავებულია ფრაზეოლო-გიზმთა შესწავლის მდგომარეობაც სხვადასხვა ენაში.

ვ. ფლაიშერი ნაშრომში ,,გერმანული ენის ფრაზეოლოგია" წერს: ,,მიმართება ანდაზასა და ფრაზეოლოგიზმს შორის ისეთივეა, როგორიც ფრთოსან გამოთქმასა და ფრაზეოლოგიზმებს შორის" (Fleischer,1982).

ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციაში ერთი რამ თვალნათლივ ჩანს: აღნიშნულ საკითხში სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ პრინციპებს ეყრდნობა: ზოგი სემანტიკურ კრიტერიუმებს ანიჭებს უპირატესობას, ზოგი ყურადღებას ამახვილებს მყარ შესიტყვებათა მაკონსტრუირებელ არსებით ნიშნებსა და ნიუანსებზე, ზოგიერთი კიდევ ფრაზეოლოგიზმების სინტაქსური კვლევის აუცილებლობას წამოსწევს წინ.

ფრაზეოლოგიზმებს ძირითადად ემოციური კონცეპტების მიხედვით შეისწავლიან, ,,სემანტიკური დომინანტების მიხედვით დაჯგუფებული ფრაზეოლოგიზმების განხილვისას მეტ-ნაკლებად ამ ემოციების გადმოსაცემ სტრუქტურებსაც ექცევა ყურადღება" (აშაძე, პაპიძე, 2011:13).

მკვლევრები დიდ ყურადღებას უთმობენ ტერმინოლოგიის საკითხებს, რადგან ზუსტი ტერმინი მოვლენის არსში უკეთ ჩაწვდომის აუცილებელი საშუალებაა. სხვადასხვა ცნების გამოსახატავად ხშირად ერთი ტერმინი გამოიყენება ან ერთი და იგივე ცნება განსხვავებული ტერმინებით გადმოიცემა. ხატოვანი გამოთქმების აღსანიშნავად არსებობს სხვადასხვა ტერმინი, ესენია: ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური შენაზარდი, ფრაზეოლოგიური მთლიანობა, ფრაზეოლოგიური შესიტყვება, მყარი გამოთქმა, ხატოვანი სიტყვა-თქმა, იდიომი...

ტერმინი ,,იდიომი" ხან მოიცავს ფრაზეოლოგიას, ხან კი პირიქით – ფრაზეოლოგია – იდიომს. ზოგი მკვლევარი მათ აერთიანებს. ევროპულ ენათმეცნიერებაში უპირატესობას ანიჭებენ ტერმინ იდიომს.

ს. ოჟეგოვი წერდა, ,,თვით სიტყვა ,,ფრაზეოლოგია" ჯერ კიდევ არ ქცეულა ნამდვილ ტერმინად, რადგან იგი აერთიანებს მრავალფეროვან მოვლენებს, ხშირად ერწყმის ტერმინ ,,იდიომატიკას" ან უპირისპირდება მას" (Ожегов, 1958:34). მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა, ფრაზეოლოგიის საზღვრები ბოლომდე ჯერ კიდევ არაა შესწავლილი და დაზუსტებული.

ფრაზეოლოგიის შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს, როგორც ქართულ, ისე რუსულ და ევროპულ ენათმეცნიერებაში. ქართული იდიომების სტრუქტურა შესწავლილი აქვთ მკვლევრებს: ალ. ონიანს, ა. თაყაიშვილს, ალ. ღლონტს, შ. ძიძიგურს, ი. კიკნაძეს, ქ. კანდელაკს, ა. დავითიანს და ა. შ.

• ქართულ ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები ლინგვისტურად შესწავლილია შრომებში: ა. ონიანის ,,ქართულ-სვანური იდიომა-ტიკის საკითხები," თბ.1954; მისივე, ქართული იდიომები თბ. 1966; ქ. კანდელაკის ,,ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები", თბ. 1955; ა. ფრანგიშვილის ,,გულ" სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ", ფრაზეოლოგია. ტ. III. თბ.1944; ლ. ლეჟავას ,,ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლისათვის": ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ. 1956.

შესწავლილია ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოების ფრაზეოლოგიზმებიც. ამგვარი ნაშრომებია: თ. სახოკია, ,,ვეფხისტყაოსნის" ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი" თბ. 1948; ა. ნეიმანი, ,,ქართული იდიომები ,,კაცია-ადამიანის?!" მიხედ-ვით და მათი რუსული შესატყვისები,"პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I. თბ. 1941; გ. შალამბერიძე, ,,ფრაზეოლოგიზმები ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანში," იკე ტ. VIII. თბ. 1956 წ.

არსებობს ერთ-, ორ- და სამენოვანი ლექსიკონები: თ. სახოკიას ,,ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი" (თბ.1979); თ. შავიშვილის ,,ფრაზეოლოგიური ლექსიკონი" (თბ. 1957); ნ. გამრეკელი, ე. მგალობლიშვილი, ,,ქართულ-რუსული

ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (თბ.1966); მათივე, ,,რუსულ-ქართული იდიომატიკა“ (თბ. 1956 წ.); ნ. გამრეკელი, თ. ჰოფმანი, ნ. ქადაგიძე, ,,გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (თბ.1973); ,,ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი” (შემდგ. ორჰან მემიში; რედ. ფათიჰ მაჰმეთ საინი, წინასიტყვაობა თემურ ჯაგოდნიშვილისა; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. III გამოცემა. თბ., 2012); ც. ბიბილეიშვილი, ლ. დარაშვილი, რ. გაჩავა, ,,ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“(თბ.2010) და ა.შ.

ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენა ერთობ ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. მიუთითებენ იმ პრობლემებზე, რომლებიც ამ დროს არის გასათვალისწინებელი. ესენია: ,,ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აღნუსხვა, მათი დახასიათება და განლაგება ლექსიკონში. არსებობს ფრაზეოლოგიურ ლექსიკონთა შედგენის განსხვავებული მიდგომები: მაგ.: ბუდობრივი პრიციპით, სემანტიკის მიხედვით დალაგება და საჭიროების მიხედვით, სტილისტიკური თუ სხვა ხასიათის შენიშვნების დართვა. ლექსიკონის მეორე ნაწილში კი ზოგი საჭიროდ მიიჩნევს ფრაზეოლოგიზმთა ანბანური საძიებლის დართვას პირველი კომპონენტის მი-ხედვით“ (ქაცარავა, 2004:70).

ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენების ფართო დისკურსული ჩარჩო-ებიდან გამომდინარე (სალიტერატურო ენა, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები, პროფესიული ჟარგონები, არგო და ა.შ.) სასურველია, მომზადდეს სალიტერატურო ენის სრულყოფილი ლექსიკონი და დიალექტური ლექსიკონები“ (იქვე).

ფრაზეოლოგიზმები შედის განმარტებით ლექსიკონებშიც. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიჩნეულია მისი გამდიდრება ფრაზეოლოგიური ერთეულებით. მასში ფრაზეოლოგიზმთა ყველა ნაირსახეობა წარმოდგენილია ერთ დიდ ჯგუფად, ე. წ. რომბულ გამონათქვამებად, რომლებშიც შედის იდიომებიც და მეტაფორული გადააზრიანებით მიღებული სხვა

ხატოვანი სიტყვა-თქმანი. მყარ გამოთქმებს შეუერთდა ასევე დალოცვის, წყევლის თუ ნატვრის ფორმულები, მათ შორის, ერთსიტყვიანნიც (აშაძე, პაპიძე, 2011:13). წინამდებარე ნაშრომში ამ უკანასკნელთ საგანგებოდ არ განვიხილავთ.

ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ნაკლები ყურადღება ექცევა დიალექტური ფრაზეოლოგიის შესწავლას, რომელიც საერთოქართველური ფრაზეოლოგიის მოცულობითი და მნიშვნელოვანი სეგმენტია. არ არსებობს ცალკეული დიალექტის თუ კრებსითი დიალექტური ლექსიკონები. დიალექტთა ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შესაქმნელად მოქნილი საშუალებაა ქართული დიალექტური კორპუსი.

ფრაზეოლოგიზმთა მრავალრიცხოვნება და ფრაზეოლოგიურ სახესხვაობათა მრავალფეროვნება ართულებს მათ სრულყოფილ აღნუსხვასა და ანალიზს. იმის გამო, რომ ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი საკამათო თუ შეუსწავლელი საკითხი, ეს სფერო კვლავაც ცხოველ ინტერესს აღძრავს კვლევისათვის.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ფრაზეოლოგიზმების კვლევის ზოგადი ასპექტები ქართულში. საანალიზო მასალა აღებულია ქართული კლასიკური ძეგლებიდან და თანამედროვე მწერლობიდან. ნაშრომში ვითვალისწინებთ სხვა ქართველურ ენათა მონაცემებსაც. ეს რამდენადმე წაადგება საერთოქართველური სურათის შექმნას.

შესადარებლად ვიყენებთ ძველი ქართულის მონაცემებს (სახარების რედაქციები, ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლები) და სამხრული მეტყველების ნიმუშებსაც. ნათარგმნ ძეგლებში ვცდილობთ, გამოვავლინოთ, რომელიმე ფრაზეოლოგიზმი ბიბლიურია, ხალხური თუ უცხო ენების კალკი.

სამხრულ კილოებში ვგულისხმობთ ,,სამხრეთ საქართველოს ოთხ დიალექტურ ერთეულს, ესენია: **აჭარული** (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებითურთ), **შავშური** (მაჭახლური და იმერხეული), **კლარჯული** და **ტაოური. მუჰაჯირ** აწარლებს, შავშებსა და კლარჯებს სოფლები

შეუქმნიათ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში და დღემდე დაუცავთ წინაპართა ენა, ფოლკლორი და ყოფა. მუჰაჯირთა დასახლებებით ფართოვდება სამხრული კილოების გავრცელების არეალი“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:10).

ქართული ენის სამხრული კილოების მონაცემების გათვალისწინება პირველ რიგში იმითაა საინტერესო, რომ აქ იკვეთება დიალექტური ფრაზეოლოგიზმების დაუყოვნებლივ დაფიქსირების აუცილებლობაც და მათი ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული თუ სხვა რომელიმე კუთხით კვლევის აქტუალურობაც.

გარდა ამისა, სამხრული კილოების მონაცემები სხვა მხრივაც არის საყურადღებო: ტაოური, შავშური და კლარჯული ქართულენოვან სისტემას მოსწყდნენ, განვითარება დამოუკიდებლად, უცხოენოვან გარემოში განაგრძეს. ისინი ენის გარე დიალექტებია, აჭარული შიდა, ბუნებრივი დიალექტია და მონაწილეობს ბუნებრივი კოინეს ფორმირებაში. ,,დიალექტების ამ ორ სახეს შორის განსხვავება არ უკავშირდება მხოლოდ გეოგრაფიულ ან თუნდაც გეოპოლიტიკურ ასპექტში მათ განხილვას. განსხვავება ის არის, რომ თითოეული, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტურად ქართული სისტემის ნაწილია, ქართულ ენასთან სოციოლინ-გვისტური მიმართების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულია“ (თანდაშვილი, 2016:45).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ,,დიალექტური ფრაზეოლოგია არ წარმოადგენს სალიტერატურო ენის უბრალო ვარიაციებს, არამედ მასში ჭარბობს ლოკალური, საკუთრივ დიალექტური ფრაზეოლოგიური წარმონაქმნები.აქ აისახება მომიჯნავე ენათა კონტაქტები სესხების, კალკის და ნახევრად კალკის სახით. დიალექტური ფრაზეოლოგიისთვის დამახასიათებელია ვარიაციულობის მეტი ხარისხი“ (სურმავა, 2012: 156).

ენა სოციალური პროცესია. ენობრივი კოლექტივის სოციალური არაერთგვაროვნება განაპირობებს დიალექტის ენობრივი ვარიანტის კვლევის აუცილებლობას სოციოკულტურული განსხვავებულობის გათვალისწინებით. ,,დიალექტი,

როგორც ენის შინაარსობრივი სილრმის წარმომჩენი ენობრივი სტრუქტურა, ენობრივი აზროვნების, ზნეობრივი ორიენტირების, სოციალური სწრაფვის გამომხატველია (ფხაკაძე, 2012:58).

დიალექტებში წარმოიქმნება ახალი ფრაზეოლოგიზმებიც. არ უნდა დაგვავიწყდეს დიალექტების ფენომენზე საუბარი, განსაკუთრებით, იქ, სადაც სხვა ენების გავლენა, ანუ კალკირებაა. ხშირად განვითარების პროცესი იმანენტურია და დიალექტი ცდილობს, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. მოკლედ, დიალექტები ღრმად საკვლევია ამ კუთხითაც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ადგილი ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ დაიკავა, ამიტომაცაა XXI საუკუნის ლინგვისტიკაში აქტუალური კვლევის მიმართულება, რომლის მიხედვითაც ენა მოიაზრება, როგორც ეროვნების კოდი. უაღრესად მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიზმთა კონოტაციურ-კულტუროლოგიური ფუნქცია: ,,დამოკიდებულება ენობრივი ერთეულების ხატოვნად მოტივირებულ ფორმასა და მასში განხორციელებულ კულტურულად ფასეულ ასოციაციას შორის, რომლის მნიშვნელობის წვდომა ხატოვანი საფუძვლის ინტერპრეტაციის პროცესებში ხორციელდება კულტურის ,,აღკაზმულობაში" კონცეპტებით, ეტალონებით, სტერეოტიპებით და ა.შ. გამოხატულ მის კატეგორიებში" (Карасик, 2002: 58).

1998 წელს მოსკოვში ჩატარდა კონფერენცია თემაზე ,,ფრაზეოლოგია კულტურის კონტექსტში." 1999 წელს ამავე სათაურით ვ. თელიას რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოვიდა კრებული, რომელშიც თავმოყრილია ლინგვოკულტუროლოგიის მეთოდოლოგიურ და ფრაზეოლოგიის კულტურულ-ენობრივი იდენტურობის ასპექტებთან დაკავშირებული ნაშრომები.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა ფრაზეოლოგიზმების ლინგოკულტუროლოგიური მნიშვნელობის შესახებ. ენის ფრაზეოლოგიური სისტემა ,,ერთგვარი ნიშანია სამყაროს ხედვის კუმულაციისათვის, რაც დაკავშირებულია

მოცემული ენობრივი ერთობის მატერიალურ, სოციალურ, ან ენობრივ კულტურასთან, ამიტომ ეს შეიძლება მოწმობდეს მის კულტურულ-ნაციონალურ გამოცდილებასა და ტრადიციებს“ (სიორიძე, 2009:137).

მიჩნეულია, რომ ფრაზეოლოგიზმების ,,დამახასიათებელი თვისებაა ხალხის, ენის მატარებლის კულტურის ხედვასთან პირდაპირ დაკავშირებული სახეობრივ-სიტუაციური მოტივირება. კულტურული კონოტაციის საყრდენს, მის ძირითად ნერვს ეს სახეობრივი საფუძველი წარმოადგენს“ (Маслова, 2001:14).

ფრაზეოლოგიზმების შესწავლით შედარებით სრულყოფილი გახდება სამყაროს ქართული ენობრივი სურათი, რომლის ,,აღწერისათვის აუცილებელია ყველა კულტურული კოდის (სომატური, სივრცული, დროითი, საგნობრივი, ბიომორფული, სულიერი...) შესწავლა. ვინაიდან, როგორც აღნიშნავენ, კულტურული კოდები ქმნიან ერთგვარ **ბადეს**, რასაც კულტურა აფენს გარე სამყაროს. სწორედ კულტურული **ბადით** ხდება სამყაროს კატეგორიზაცია, სტრუქტურირება და შეფასება“ (ომიაძე, 2006:168).

ეთნოსის ფონური ინფორმაცია ყველაზე კარგადაა შემონახული ფრაზეოლოგიზმებში, ამიტომაცაა აქტუალური მათი ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით შესწავლა, ექსტრალინგვისტური წინაპირობის დადგენა. ეს კი უშუალოდ უკავშირდება ეთნოლინგვისტიკასაც.

ფრაზეოლოგიის ფენომენი დგას ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მიჯნაზე, რადგან ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ სამყაროს ენობრივი სურათის შექმნაში. ფრაზეოლოგიური ერთეული მიაწერს ობიექტს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ასოცირდებიან სამყაროს გააზრებასთან, გულისხმობენ მთელ დესკრიფციულ სიტუაციას. ,,ფრაზეოლოგიური შედგენილობის შესწავლა კულტურის კონტექსტში ნაყოფიერი ნიადაგია იმ ენობრივი საშუალებებისა და ხერხების გამოსავლენად და აღსაწერად, რომლებიც ფრაზეოლოგიურ ნიშნებში განასახიერებენ

კულტურულად ნიშნად შინაარსებს. ფრაზეოლოგიზმების კულტურული მნიშვნელობის აღწერის სისრულისათვის აუცილებელია მათ მნიშვნელობაში ყველა იმ იმპლიციტური კულტურული შინაარსის გამოვლენა, რომლებიც ქმნიან შუამავალ როლს ენასა და კულტურას შორის, რასაც ადასტურებს ფრაზეოლოგიზმებით განპირობებული კულტურული შეფერილობა სხვადასხვა ტიპის დისკურსში“ (ხოფერია, 2006: 316).

მოკლედ, ლინგვოკულტუროლოგიას ფრაზეოლოგია აინტერესებს, როგორც შუამავალი ენისა და კულტურის ურთიერთქმედების მექანიზმში, თანამედროვე კულტურულ-ნაციონალური თვითშეგნების, რეალობის ერთგვარი სიტყვიერი მირაჟი. ფრაზეოლოგიური თეზაურუსი კულტურის ვერბალური თეზაურუსიცაა და ენის გამდიდრებას ემსახურება.

ერთი სიტყვით, ,,ფრაზეოლოგიამ დაძლია კულტურულ-ტაქსონომიური პარადგიმა და ანთროპოლოგიურ და ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს მიუახლოვდა“ (სამნიაშვილი, 2005: 204).

ინტეგრაციისა და გლობალიზაციისკენ სწრაფვა აისახა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიკროსისტემებშიც და კვლევის სინთეზური მეთოდის აუცილებლობა წარმოშვა. აუცილებელია მათი კვლევა სემიოტიკურ-სემანტიკური, სტილისტიკურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მათი კომუნიკაციურ-პრაგმატიკული დანიშნულების შესახებაც.

მიუთითებენ, რომ თავისი აშკარა კულტურის მატარებლობის, ნაციონალური და სტილისტიკური ელფერის გამო, იდიომატიკა ყოველთვის იქცევდა ლინგვისტთა, ასევე უცხოური ენების შემსწავლელთა გაძლიერებულ ყურადღებას. ,,ეს ინტერესი არ არის იმ რეალური როლის პროპორციული, რომელსაც ფრაზეოლოგიზმები ასრულებენ მეტყველების წარმოქმნაში. ეს როლი ძალიან შეზღუდულია, იდიომები შეიძლება მივამსგავსოთ სანელებლებს, რომლებსაც საჭმელში ამატებენ ფრთხილად, დანის წვერით, მწიკვს, ხოლო თვით კერძი, მეტყველება შედგება სრულიად სხვა, ნაკლებად ცხარე

და ნეიტრალური კომპონენტებისაგან, არაიდიომატური ხასიათის სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებებისაგან“ (ტერმინასოვა, 2017:142).

გარდა წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური ღირებულებისა, ამგვარ კვლევას ლინგვოდიდაქტიკური მნიშვნელობაც აქვს. მიუთითებენ მყარ გამოთქმათა ცოდნის ეფექტურობაზე ენის სწავლების პროცესში წმინდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. „ამგვარი კომუნიკაციური მყარი შესიტყვებანი სასაუბრო ენის პრაქტიკული დაუფლების ერთ-ერთი საუკეთესო, ნაცადი ხერხია“ (თუმანიშვილი, 2015:227).

გლობალიზაციის ეპოქაში მეტად მნიშვნელოვანია კაცობრიობის კულტურული ერთიანობისაკენ სწრაფვა, ამიტომაც საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეო-ბიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია კულტურათა შედარებისა და დიალოგის კვლევა. ფრაზეოლოგიზმების კულტურათშორისი კომუნიკაციების კონტექსტში კვლევა ემსახურება კულტუროლოგიის საერთო პლატფორმის დადგენას, ორი ან რამდენიმე არამონათესავე ენის სიტყვათა მყარი შეხამებების შედარებით ანალიზში იკვეთება უნივერსალიებიც და ეროვნულიც. ნაციონალური იდენტურობა ერთი მხრივ იცავს კულტურულ-ენობრივ საფუძვლებს, მეორე მხრივ, მიჰყვება გლობალიზაციის საერთო ტენდენციებს. ფრაზეოლოგიზმებში ნათლად ჩანს ეროვნული ცნობიერების უნიკალურობაც და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრე-სით გამოწვეული მსოფლმხედველობრივი ცვლილებებიც.

კულტურათა დიალოგისადმი მზარდი ინტერესის საკითხს უშუალოდ უკავშირდება ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პრობლემები. ნაშრომში გაანალიზე-ბულია ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სტრუქტურა და კომპონენტებიც ქართულსა და თურქულში იდენტურია, მაგრამ სემანტიკური და სტილისტიკური ნიუანსები არსებითად განსხვავებულია. ასეთი ერთეულები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის თარგმნისას და მთარგმნელისაგან მოითხოვს არა მარტო ორი ენის, არამედ ყოფის, ტრადიციების, კულტურის ცოდნასაც.

ნაშრომში განვიხილავთ პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმთა და ლოგოეპისტემების თარგმნის სირთულეებსაც.

მიუთითებენ, რომ ქართულ ფრაზეოლოგიაში ნაკლებადა შესწავლილიფრაზემინტერულიდაექსტერნულიკორელაციების ტიპოლოგია. ,,ეს არის ფრაზემის ინტერნული და ექსტერნული კორელაციები, კომპონენტთა ურთიერთმიმართება, ორმხრივი ურთიერთობები წინადადებებსა და ტექსტებში, რომლებიც სინტაქსური და სემანტიკური ხასიათისაა" (ბახტაძე, 2013:56).

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია, რა ასპექტებითაა შესაძლებელი ფრაზეოლოგიზმთა კვლევა. ბუნებრივია, ყველა მათგანზე ვერ გავამახვილებთ ყურადღებას, ამიტომ ნაშრომს ვერ ექნება სრულყოფილების პრეტენზია. ის მოკლედ შეაჯამებს რაც არის ამ კუთხით გაკეთებული, რათა გამოიკვეთოს კვლევის ახალი ასპექტები.

მოპოვებული მასალა დაჯგუფებულია სემანტიკურ ბუდეებად, გაანალიზებულია სინონიმური და ანტონიმური ფრაზეოლოგიზმები თუ სტრუქტურული ვარიანტები, ასევე განხილულია ფრაზეოლოგიური ვარიანტები.

ფრაზეოლოგიზმთა შესწავლას აქვს როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური მნიშვნელობა, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მათს სტილისტიკურ და პრაგმატიკულ ფუნქციებზეც.

თავი I.

ფრაზეოლოგიზმის რაობა და შესწავლის მდგომარეობა

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, ესა თუ ის გამოთქმა იდიომია თუ ფრაზეოლოგიზმის რომელიმე სხვა ტიპი.

სპეციალურ ლიტერატურაში იდიომს ასე განმარტავენ: იდიომი ლინგვისტური ტერმინია, იგი გამოხატავს ერთგვარ დაუშლელ მთელს, რომლის ნაწილები ჩვეულებრივ არ გადაადგილდება. იდიომის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამს.

„იდიომები ამა თუ იმ ენის სპეციფიკური გამოთქმებია, რომლებიც აზრობრივ მთლიანობასა და ერთიანობას ქმნიან, ზუსტად არ ითარგმნება და თარგმნისას მოითხოვენ მსგავსი სტილისტიკური ელფერის შენაცვლებას“ (Булаховский, 1953: 33).

ალ. ონიანი იდიომს ასე განმარტავს: „იდიომი არის შესატყვისების ფორმის მქონე დაუშლელი, მყარი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობაც არ მომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“ (ონიანი, 1954: 63-70).

ა. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ „იდიომი“ არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს“ (თაყაიშვილი, 1965: 40). როგორც ვხედავთ, იდიომის სპეციფიკური ნიშანია კომპონენტების მნიშვნე-ლობათაგან სრულიად ახალი მნიშვნელობის შექმნა.

ი. კიკნაძემ შეისწავლა იდიომთა გრამატიკული აგებულება და გამოყო ორი ძირითადი ჯგუფი:

1. სახელი სახელთან (ერთი მუჭა, შავი დღე, არამკითხე მოამბე);

2. სახელი ნაზმნარ სახელთან: საწყისთან ან მიმღეობასთან (ირმის ნახტომი...).

მკვლევრის აზრით, **იდიომი** გრამატიკულად მსაზღვრელ-საზღვრულია, სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს, სემანტიკურად კი დაუშლელია, ,,იგი შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად და გრამატიკულად დაუშლელი, დაუნაწევრებელი ერთეულია" (კიკნაძე, 2002:106-111).

ვ. ვინოგრადოვმა ფრაზეოლოგია ლინგვისტურ დისციპლინად მიიჩნია და ე. ბაგრიკოლას მსგავსად სამი ჯგუფი განასხვავა: ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური მთლიანობანი და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი.

მკვლევრის აზრით, ,,ამ უკანასკნელში იდიომების მსგავსად იგულისხმება ისეთი შენაერთები, რომლებიც ენაში მზა ფორმით არსებობს, მუდმივი ლექსიკური შემადგენლობაც აქვთ, მაგრამ კომპონენტებს შორის კავშირი ნაკლებად მტკიცეა, შესაძლებელია, შეიცვალოს სინონიმებით" (Виноградов, 1947:111).

ვ. ვინოგრადოვმა იდიომების, ფრაზეოლოგიური მთლიანობების და ფრაზეოლოგიური შენაზარდების განმასხვავებელ ნიშნად ხატოვნება მიიჩნია. ,,ფრაზეოლოგიურ მთლიანობაში ფრაზეოლოგიური შენაზარდებისაგან განსხვავე-ბით შეიმჩევა სუსტი მინიშნება საერთო მნიშვნელობის მოტივაციაზე. ერთ-ერთი ნიუანსი ისიცაა, რომ ისინი ენათა უმრავლესობაში თავისუფალი შესიტყვების სახით არსებობს" (Виноградов, 1947:111).

ა. თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ ,,ფრაზეოლოგიური შენაზარდებიც წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია" (თაყაიშვილი, 1965:14), ამიტომაც ხატოვნება მათს განსასხვავებლად ვერ გამოგვადგება, რის საფუძველზეც მკვლევარი მათ იდიომებში აერთიანებს.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების და იდიომის ურთიერთმიმართების საკითხის შესახებ სპეციალურად მსჯელობს ა. თაყაიშვილი. თავდაპირველად უნდა გამოიკვეთოს, რა აქვთ მათ საერთო. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სემანტიკური დაუშლელობა. იდიომიცა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ქმნიან ერთ გაგებას და სიტყვის ეკვივალენტებია, თუმცა ფრაზეო-

ლოგიური შესიტყვების კომპონენტებს მეტი თავისუფლება აქვს. ორივე მათგანს შეიძლება ჰქონდეს შესიტყვების ფორმა. ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ორივეს აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, ისინი მზა ფორმით არსებობენ ენაში, თუმცა გავრცობა შეუძლებელი არაა. საზიარო ნიშანია ასევე **მეტაფორულობა**, რაც ექსპრესიულობის აუცილებელი პირობაა.

გარდა საერთო ნიშნებისა, გამოიყოფა რამდენიმე განმასხვავებელი ნიუანსიც:

1. ფრაზეოლოგიური შესიტყვების მნიშვნელობა ნაწილობრივ უკავშირდება მის საყრდენ სიტყვას (მაგ. სარგებლობა მოუტანა – ასარგებლა), იდიომის მნიშვნელობა კი არაა დამოკიდებული მის კომპონენტებზე (მაგ. ანკესზე წამოაგო – მოატყუა);

2. იდიომში მთელი გამოთქმაა მეტაფორული, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში – ერთი კომპონენტი;

3. იდიომში კომპონენტთა შორის კავშირი ემყარება სინამდვილის ფაქტებს (ქვა ქვაზე არ დატოვა), ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში კი – ენობრივ ფაქტორებს (პასუხი მოუჭრა). ფრაზეოლოგიური შესიტყვების საყრდენი სიტყვა აბსტრაქტული სახელია, იდიომისა – კონკრეტული. **შიში ჭამა** ფრაზეოლოგიური შესიტყვებაა, **თავი დასდო – იდიომი).**

ამრიგად, ქართულში იდიომებს და ფრაზეოლოგიზმებს ცალ-ცალკე გამოყოფენ. განსხვავება ისაა, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვების საერთო მნიშვნელობა ნაწილობრივ მათი საყრდენი სიტყვისგან გამომდინარეობს. ასეთი შესიტყვების ერთი კომპონენტი ექვემდებარება მეტაფორიზაციას, მხოლოდ ერთი წევრი არაა თავისუფალი. მაგალითად, ავიღოთ გამოთქმა **სიჩუმე ჩამოვარდა.** აქ მარტო **ჩამოვარდნას** აქვს გადატანითი მნიშვნელობა (დადგა, დამყარდა), იდიომში კი მთელი გამოთქმის მეტაფორიზაციაა. მაგ: **ყბაში ჩაუვარდა, თვალი მოატყუა...**

თ. შიოშვილის აზრითაც, ,,ფრაზეოლოგიური ერთეულის განმასხვავებელი სხვა სიტყვათშეერთებისაგან ისაა, რომ პირ-

ველში შეიძლება ერთი სიტყვის მეორით შეცვლა. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს კონტექსტი. იდიომის ამოსავალი კი მაინც სემანტიკური ბუნდოვნებაა" (შიოშვილი, 1986: 134).

მოკლედ, იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

1. სემანტიკური მონოლითურობა (გული გადააყოლა, თავზე ქუდი ხურავს, გულზე ცეცხლი მოუკიდა); 2. სიტყვათა მუდმივი, განსაზღვრული რიგი; 3. კომპონენტების სინონიმებით შეცვლის შეუძლებლობა; 4. რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა; 5. გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვა; 6. გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა.

ა. თაყაიშვილის აზრით, ეს ნიშნები ვერ სწვდება იდიომთა მთელ კლასს. ამავე დროს, ეს ნიშნები არსებითი არაა, იდიომის შინაგან ბუნებას ვერ გვიხატავს. მის შესაცნობად მხოლოდ გრამატიკულ მხარეზე დაყრდნობა არაფერს მოგვცემს (თაყაიშვილი, 1961).

ფრანგმა ენათმეცნიერმა შ. ბალიმ ყურადღება მიაქცია დაუშლელ ერთიანობათა გამოსაყოფი კრიტერიუმების დადგენას. მან ეს კრიტერიუმები დაყო შინაგანად და გარეგანად. გარეგან კრიტერიუმად მიჩნეულია სიტყვათა წყობის სიმყარე და შესიტყვების კომპონენტების შეუცვლელობა. გადამწყვეტად მიიჩნია შინაგანი ნიშნები:1) შესაძლებლობა, მოინახოს მნიშვნელობის მქონე ერთსიტყვიანი გამოთქმა, 2) შემადგენელ ელემენტთა მნიშვნელობის დავიწყება (**Балли**, 1961).

ალ. ონიანი არ ეთანხმება იმ მეცნიერებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იდიომის ფორმა შესიტყვებაა. შესიტყვებაში მხოლოდ ორი წევრი არ იგულისხმება, შესაძლებელია, ორზე მეტიც იყოს. შესაბამისად, **თვალს წყალი დაალევინა,** ალ. ონიანის აზრით, რთული სახის გავრცობილი შესიტყვებაა (ონიანი, 1966).

არ. თაყაიშვილის აზრით, სემანტიკური დაუშლელობა, ექსპრესიულობა, შესიტყვების ფორმა და ის, რომ იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, მისი გამოსაყოფი **ოთხი აუცილებელი ნიშანია.** იდიომს ქმნის სწორედ

ოთხივე ნიშნის ერთობლიობა. თუ რომელიმე მათგანი გამოთქმას აკლია, მას იდიომად ვერ მივიჩნევთ (თაყაიშვილი, 1961).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ იდიომის აზრობრივი სტრუქტურა მთლიანად არასოდეს ემთხვევა მისი ლექსიკური სინონიმის სტრუქტურას და მნიშვნელობას, მას აქვს ორი მხარე: 1. **შინაარსობრივი მხარე (დესიგნატი)** (მასში განასხვავებენ სიგნიფიკაციურ (ინფორმაციის მოცულობითი), დეტონაციურ (იდიომის საგნობრივი შეთანხმება) და კონოტაციურ (სტილისტიკური ნიუანსი) ასპექტებს); 2. **გამომხატველობითი ფორმა** – იდიომის მატერიალური გარსი. სწორედ ეს ორი ასპექტი განსაზღვრავს მისი ფორმისა და შინაარსის ერთობლიობას, ამიტომ იდიომის გამოყოფა მხოლოდ სემანტიკის საფუძველზე გაუმართლებელია.

ჩვენ ვამჯობინებთ ტერმინ ფრაზეოლოგიზმის გამოყენებას. მასში ვაერთიანებთ იდიომებსაც. განვიხილავთ ასევე ფრაზეოლოგიურ ვარიანტებსაც.

თავი II.

ქართულ ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურული ანალიზი

ფრაზეოლოგიზმი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ზოგიერთ იდიომსა თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ხშირად მეორდება ერთი რომელიმე ლექსემა, რომელიც სემანტიკურად წამყვანი, ბირთვი სიტყვაა, მაფრაზეოლოგიზებელი კომპონენტია. ასეთ წევრს ხშირად ახლავს საგნობრივი წარმოდგენა, ისინი სხვადასხვა კონცეპტური სისტემის შემქმნელი სიტყვები, ე.წ. სიტყვა-კონცეპტებია. ასეთი სიტყვები ყველა ენაშია და მათი რაოდენობა არც თუ ისე დიდია. ქეგლში ფრაზეოლოგიზმები სწორედ ამ სიტყვა-სტატიებშია თავმოყრილი. ძირითადი ლექსიკოგრაფიული პრობლემაც ამას უკავშირდება, მრავალკომპონენტიან გამოთქმაში რომელია სემანტიკურად წამყვანი სიტყვა.

ამგვარი სიტყვები ერთიანდება უფრო მსხვილ ჯგუფებად. ესენია: ადამიანის სხეულის ნაწილები, **სომატიზმები, სამოსლის სახელები, ფლორონიმები, ზოონიმები, ანიმალიზმები, საკრალური რიცხვები, ფერთა სახელები** და ა. შ.

ფუძისეულ ლექსიკაზე დაყრდნობით გამოიყოფა ფრაზეოლოგიური ბუდეები. ჩვენ ქვემოთ ზოგადად განვიხილავთ ძირითად ჯგუფებს.

II.1. სომატური ფრაზეოლოგიზმები

სომა ბერძნული სიტყვაა (სომა) და ტანს, სხეულს ნიშნავს. სომატური აღნიშნავს სხეულთან დაკავშირებულს და არა ფსიქიკურს. სომატური ლექსიკა უძველეს ფენას მიეკუთვნება, ის XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსი მეცნიერი ი. ნ. კარაულოვი აღნიშნავს, რომ ,,ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედე-

ბას, მატარებელსა და მომხმარებლებს, ადამიანებს, კონკურენტულ ენობრივ პიროვნებას“ (Караулов, 1987:7).

სხვადსხვა ენაში სომატიზმები შესწავლილი აქვთ მეცნიერებს: ჯ. სეიდლის, ლ. ვ. არხიპკინას, ა. ვ. კუნინს, ა. ვეჟბიცკაიას, ლ. მარგველანის, არნ. ჩიქობავას, ნ. ლოლაძის, ჰ. ჩიმქეს, ლ. ჭყონიას, მ. ქაცარავას, ც. მოდებაძეს, ნ. ფონიავას, ნ. ცეცხლაძეს და ა.შ.

დღესდღეობით განსაკუთრებით იზრდება ინტერესი ფრაზეოლოგიზმებისადმი, რომელთა წამყვან კომპონენტს წარმოადგენს **სომატიზმი (თავი, ხელი, ცხვირი, სისხლი, ტვინი, ღვიძლი, გული** და ა.შ.). მათ აღსანიშნავად შემდგომ გამოვიყენებთ აბრევიატურა სფე-ს (სომატური ფრაზეოლოგიური ერთეული).

როგორც ვიცით, უხილავი სამყაროს შემეცნება აგებულია მეტაფორებზე. მეტაფორულობა კი ყველაზე თვალნათლივ ჩანს სომატურ ფრაზეოლოგიზმებში. ,,მათი მეშვეობით ადამიანი აღიქვამს გარესამყაროს, შეიმეცნებს საკუთარ მეს და საკუთარ თავს ამ სამყაროში. ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომელთა სემანტიკური დომინანტებიც გარეგანი ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების სახელწოდებებია, სწრაფად იცვლება.

მიაჩნიათ, რომ ,,ეს ფრაზეოლოგიზმები სპონტანურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიქმნება სხვადასხვა პერიოდსა და სხვადასხვა ენაში. მათს საფუძველს წარმოადგენს ადამიანის საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, განვითარების საერთო პირობები“ (რუსაძე, 2010: 85).

ფრაზეოლოგიზმები, რომელთა კომპონენტებიცაა: **თავი, თვალი, ცხვირი, ხელი, გული, ყური, ენა,** შეადგენს სომატური იდიომების 70%-ს“(რუსაძე, იქვე, 86). სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სომატიზმები დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ, საკვებ-გადამამუშავებელ, ფსიქიკურ და გონებრივ მოქმედებებთან (ფეიქრიშვილი, 2003:20).

1. **თავი** გავრცელებული კომპონენტია ქართული ფრაზეოლოგიზმებისა, არსებობს რამდენიმე ათეული ასეთი გამოთქ-

მა: თავზე ბალბის დადება, თავზე ბუზსაც არ ისვამს, თავზე გადასდის (რამე), სხვის ფრინველს თავზე არ გადაიფრენდა, თავზე გადახდა (რამე), თავზე გადახვევა (რაიმეს), თავზე დადგომა, თავზე დასმა (ვინმესი), თავზე დაჯდომა, თავზე დასტრიალებს, თავზე დასხმა, თავზე დატყდომა (რაიმეს), თავზე დაჰკანკალებს, თავზე ევლება (ვინმეს), თავზე კაკლის დამტვრევა, თავზე კევრის დატრიალება, თავზე ლაფის დასხმა, თავზე ლეჩაქის დახურვა, თავზე ლეჩაქის მოხდა, თავზე მეხი დაატყდა, თავზე მოხვევა (რაიმეს), თავზე ნაცრის დაყრა, თავზე საყრელი, თავზე ქვა დაიგორა, თავზე ქონს უსვამს, თავზე ქუდი ხურავს, თავზე ჩიტს არ გადაიფრენს, თავზე წისქვილის ქვის დატრიალება, თავზე ხელაღებული, თავზე ხელის მოსმა, თავი არა აქვს (რაიმეს),თავი მოაქვს, თავი მხრებზე აბია, თავი უკრა სადმე, თავი ქუდში აქვს, თავის აგდება, თავის ატკიება, თავის გადადება, თავის გადაკვლა, თავის გამოდება, თავის მობმა, თავის გატანა, თავის გამოჩენა, თავის განებება, თავის განზე დაწერა, თავის გართმევა, თავის გაყადრება, თავის დასხლტა, თავის დაღწევა, თავის დაძვრენა, თავის დაწერა, თავის დღეში, თავის მაღლა დაწერა, თავის მოკატუნება, თავის მოქაჩლება, თავის მოჭრა, თავის მტვრევა, თავის სასწორზე დადება, თავის ქერქში ვერ ეტევა, თავის შეკავება, თავის შენახვა, თავის შერგვა (სადმე), თავის შექცევა, თავის მოყრა, თავის შორს დაწერა, თავის წალება, თავის წაჭმა, თავისკენ ითლის, თავიც უტეხია, თავპატიჟის გამოდება, თავ-პირის მტვრევა, თავს ატეხს (რამეს), თავს გადახდა (რამე), თავს გასვლა, სხვის კალთაში თავის დება, ფარვანასავით თავს ევლება, თავის გამოყოფა, ღვინის მიერ თავის მოტაცება, ყვავის დაჩხავლება თავზე, შენი თავი ამოიჭამე, შენი თავი არა მაქვს, შენი თავმდები ვიყო, შენი თავისა თქვი! ჩემს თავს კი ხელში მოგცემ, ჩემს თავს ქვა ვესროლე, ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, ცის დანგრევა თავზე, ცის დაქცევა თავზე, ცის დახურვა თავზე, ცოცხალი თავით, ძილისათვის თავის წართმევა, ძილმა თავი მოჭრა// წაართვა; ძირს დადება თავისა, წუთისოფელს თავში ჩაქუჩი ჩაუკრავს, ჭერი თავზე ენგრევა, თავზე კაკლის მტვრე-

ვა, თავზე ნაცრის დაყრა, თავზე ქვა დაიგორა, თავზე ცეცხლის დანთება, თავზე ცივი წყლის გადმოსხმა, თავზე წნელი მოუჭირეთ, თავზე ჯოხის გადამტვრევა, თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო – თავსა, თავით მარილის დანაყვა, თავით ფეხებამდის, თავი მოაქვს, თავი მოიკლა, თავის აგდება, თავისა და ფეხების მოჭმა, თავის მობმა საქმისათვის, თავის გამოდება, თავის გამოყოფა, თავის გამსუბუქება, თავის გატანა ბოლომდე, თავის გაქნევა, თავის გაცხელება, თავის გზაზე წასვლა, თავის გულში თქმა, თავის დაკვრა მძიმედ, თავის დასხლეტა, თავის დაქნევა, თავის თხოვნა, თავის მობმა, თავის მაღლა აუღებლობა, თავის უბედური, თავის ქერქშია, თავისი ჩრდილისა ეშინია, თავისი ცეცხლის შეკეთება, თავის ჩაკიდება, თავის ჩვენება, თავის ჩაღუნვა, თავის წაგება, თავის წამოტკენა, თავის წაღება, ჩემი თავი მე არ მახლავს, თავიც იქა მქონია და ფეხებიც, თავ-პირის გლეჯა, თავ-პირი ჩამოსტირის, თავს გასვლა, თავის მოგება, თავში ცემა, თავში წაშენა, მწვანე კიტრივით თავი მოაქვს, რა ასკილივით თავს იქნევ! რა თავი მოგაქვს ნიახურის ფოჩივითა, თავს იდებს (რამეს) (იკისრებს), თავს იკლავს, თავს იტეხს, თავს კედელს ახლის, თავს რეტის დასხმა, თავს შემოვლება, თავში ავარდნა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ქუდი ხურავს თავზე! რა თავში იხლის! აუტკივარი თავის ატკიება, ბანისა და ერდოს თავზე დაქცევა, ბუზების თავზე დახვევა, დამდაბლება თავისა, ერთი თავი მაქვს, ვაჟკაცობაზე თავს სდებს, თავზე ბალანის აშლა, თავზე დაქცევა ბანისა, თავზე დაყრა, თავზე დახურვა ცისა, თავს ზევით ძალა არაა, ერთი კევრი არ მოტრიალებულა ჩემს თავზე, დედის კალთაში თავის დება.

რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი: თავის წაგება, თავის მოკვლა, თავის დადება, თავის გამწარება და ა. შ. გვხვდება კლასიკურ ქართულ ძეგლებშიც:

ჩემს თავს დავდებ და საწადელსა შენისა აღსრულებასა ვეცდებიო (ყარ.47,6); სახელოვანი ფალავანი და სარდალი ხარ და ამისთანა საქმეზე თავს თუ წააგებო (იქვე, 466,1); ვინ შემეცილოს სიტყუასა, მან თავი გაიმწაროსა (შაჰნმ. 63,355); სისხლის დაღვრით დაუხსნია, თავი კნინღა წაუგია (თამარ.43,5); აჩ-

ქარებით არ მოტყუვდე, არ შეიქნე **თავის მტერი** (თამარ. 59, 8); მის **თავი ხელთ აღარ ჰქონდა** (რუსუდ. 57,28).

თავის დადება იგივე თავდადება, თავგანწირვაა, თავის წაგება – თავის გაფუჭება, სახელის შერცხვენა.

ქიზიყურში გვაქვს გამოთქმები **თავს ვერ არი** (ავად არის), **თავწყალ გასვლა** (კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა), **თავის დანებივება** (საქმისგან მოცლა, განმარტოება) (კაკაშვილი, 2015, 23).

2. ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილის წამყვანი სიტყვა **თვალია**. ესენია: *ავ თვალს არ ენახვება, თვალზე ხელის აფარება, თვალები დაუყენა, თვალებიდან ცეცხლის ყრა, თვალებით ჭამს, თვალების ახვევა//აბმა, თვალების ახელა, თვალების გახელა, თვალების დაბრმავება, თვალების დარჩენა (ვინმეზე, რამეზე) თვალებში აქვს ჭკუა, თვალებში მტვრის შეყრა, თვალებში ნაცრის მიყრა, თვალთან თითს ვერ მიიტან, თვალი დაადგა (ვინმეს, რამეს), თვალი უჭირავს (ვინმეზე, რამეზე), თვალიდან ბეწვის გამოცლა, თვალის გადავლება, თვალის დახამხამებაში (რამეზე) თვალის დახუჭვა, თვალის დევნება, თვალის თვალში გაყრა, თვალის მოტყუება, თვალის მოჭრა, თვალის სინათლე, თვალს არ ახამხამებს, თვალს წყალი დაალევინა, თვალსა და ხელს შუა, თვალყურის დევნება, თვალში ამოღება, თვალში მოსვლა (თვალში მოუვიდა), თვალში ეკლად უზის (ვინმე, რამე), თვალში ეჩხირება, თვალში ეცა (რამე), თვალწინ დაუდგა, თვალწინ ეხატება, თვალწინ წარმოუდგა, ცეცხლს აკვესებს თვალებიდან, ქვეყნის თვალი, ეშმაკს თვალი არ უჩანს, კარგი თვალით უყურებს, ცუდ თვალზე დაინახა, ცუდი თვალი დაადგა, ცუდი თვალით უყურებს, ავი თვალით ყურება, ავ თვალს არ შეეხედება, ასი თვალი უყურებს, დაღამება თვალისა და გულისა, თვალები დამაწყდა, დამიდგეს თვალები, თვალებზე ლიბრი აქვს გადაკრული, თვალების ამოღამება, თვალების გასწორება, თვალების დაბრმავება, თვალების დათხრა, თვალების მიკერება, თვალების დახუჭვინება, თვალებს არ ვუჯერებ, თვალებში შემყურე, თვალზე ცრემლის შეშრობა, თვალი და ხელია, თვალი რჩებოდა, მზეს რაღა თვალით შეხედოს, ნატვრის თვალი,*

როგორც თავის ორ თვალსა, ისე უფრთხილდება, სხვა თვალით ყურება, ავ თვალს არ ენახვება, თვალი დაადგა (ვინმეს, რამეს), ჩვენს თვალში, ცალი თვალით აცინებს და ცალით ატირებს, ცალი თვალი უჭირავს, ცალის თვალით ცქერა, ცეცხლის თვალში გატარება, ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური, ძილმა თვალები მომპარა, ხახვით მოსრესა თვალებისა, თვალი თვალის წილ, კბილი კბილისა წილ, თვალი მატყუებს, თვალისა და გულის თან გაყოლა, თვალისა და ყბის დადგმა, თვალის არიდება, თვალის გადავლება, თვალის გამართვა, თვალის გამოთხრა, თვალის გასწორება, თვალის დაყენება (ვინმესთვის) თვალის დატანება, თვალის დატანება, თვალის დამყენებელი, თვალის დევნება, თვალის ეკალი, თვალის თამაში, თვალის კვრა, თვალის მოკვრა, თვალის მოკიდება, თვალის მოტაცება, თვალის მოუშორებლობა, თვალის მოუხუჭველობა, თვალის ვერმოწყვეტა, თვალის მოხუჭვა, თვალის ჩაკვრა, თვალის შესწრება, თვალი უჭრის, თვალში ამოღება, თვალში გაჩხერა, თვალში თვალის გყრა, თვალში მაკლია, თვალში მოსვლა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ, თვალის გაძღომა ყურებით, მგლის თვალზე ნახვა, მტრის თვალს არ ენახვება, მტრისთვის თვალის დაყენება, მუშტრის თვალით მზერა, წყალობის თვალით გადმოხედვა.

ძველ ქართულში გვხვდება გამოთქმები: **თუალნი დაიგნა, თუალნი მიადგნა, თუალთა განხუმა:**

აჰა, ეგერა, **თუალ-გახუენ** სიტყუასა მაგას (შეს. 19. 21); განგეხუნენ თქუენ თუალნი და მეცნიერ იყვნეთ... კეთილისა და ბოროტისა (იქვე, 3,5); **თუალ-აგნა (დაიგნა თუალნი** OB) ცოლმან ეგვპტელისა, უფლისა თჳსისამან იოსებს (შეს. 39, 7 AK).

თვალის დადგმა მოწონებას ნიშნავს, **თვალის ახელა** კი შეცნებას, გონების თვალის ახელას.

ამგვარი ფრაზეოლოგიზმი უხვადაა საშუალ ქართულშიც: ყოველსა კაცსა მოედანზე **თვალი ეჭირა** (ყარ. 445,27);ახლოს ნუ მიუდგებით, მხოლოდ იმაზე **თვალი დაიჭირეთ** (იქვე, 377,18);იმჟამად გულჩინს ხოსროვშირზედ **თვალი ეჭირა** (იქვე 305,35); ქვე დამდგომმან წამავალსა ვერ მოსწყვიდა ყოლა თვალნი (ვტ.

1559,2); უჭვრეტდის, **თვალი ვერ მოხსნის** (იქვე 822,4); აქამდის ბედნიერად ხმობილთა თქვენთა მშობელთა გაუშავდათ ბედი და **დაუდგათ თვალი** (რუსუდ. 604,13), შავარდნის მსგავსი **თვალები დაგვიბნელა** და იადონის მსგავსად მხმობი დაგვიდუმა (რუსუდ.152,8); **დაეცა თვალი** ყარანისა და შაჰროს სახლსა და საყოფელსა (ვისრ. 23,29), **მრუდისა თვალითა** შემოხედვასა ვერვინ მაკადრებს (იქვე, 102, 5).

მრუდი თვალით შეხედვა ავი თვალით შეხედვას ნიშნავს. გვხვდება **თვალის დაცემა//ცემა** ან **კვრა. თვალის დადგომა** სიკვდილის სემანტიკას გადმოგვცემს. იგი გამოიყენება წყევლის ფორმულებშიც.

„ყარამანიანში“ დასტურდება ფრაზეოლოგიზმები: **თვალში ეცოტავა და თვალში ეფუქსავატა**: უშანგის ლაშქარი არად ჩაიგდეს **თვალში** დიახ **ეცოტავათ** (ყარ. 253,21); ხოსროვშირ **თვალში ეფუქსავატა** (იქვე, 133).

ძველსა და საშუალ ქართულში ნაკლებად შეგხვდება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თანამედროვე ქართულში ფართოდაა გავრცელებული: **თვალში ამოიღო, თვალში მოუვიდა, თვალში აკლია, თვალში ნაცარს აყრის, თვალები დაუბრმავდა, თვალებს არ უჯერებს, თვალს ვერ უსწორებს, თვალსა და ხელს შუა მიეფარა, თვალები გზაში აქვს და ა.შ.**

თვალის წერა ნიშნავს დაჟინებით მზერასაც და მოწონებასაც. საშუალ ქართულში იგი მხოლოდ ცქერის მნიშვნელობით გამოიყენება. სამხრულში ნიშნავს გასათხოვარ ქალზე **თვალის დადგმას ან ხელის დადებას.** იმის **თუალნაჭირავი ქალიაო,** – იტყვიან ვინმეს დანიშნულზე. ჩვენებური ქართველების მეტყველებაში ასეთი ქალისათვის მიძღვნილ სიმღერებსაც **თუალნაჭირავი** ჰქვია: „**თუალნაჭირავი** მყავს თეთრაკეთ (ჩვენებ.226); მემრე სიმღერებ იმღერებენ გოგოები, ბიჭები...**თუალნაწირავი სიმღერები** არი (იქვე).

ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმია **თვალებში ვერავინ ჩახედავს** (ვერავინ ვერაფერს გაუბედავს): აჭარლებსა ვარაჲოლა თვალებში ვერავინ ჩახედავს (ჩვენებ.45).

მეტად საინტერესოა სამხრულ კილოებში გავრცელებული **თვალებს სირა-სირა ახილებს:** იმფერი ზარმაცია, **თვალებს სირა-სირა ახილებს** (მაჭახ.; აჭარ.).

კომპონენტ **თვალს** ფრაზეოლოგიზმებში უკავშირდება შემეცნებითი პროცესე-ბის, დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა.

3. რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის წამყვანი სიტყვებია **წარბი და წამწამი:** ***წამწამზე უზის (ვინმე), წამწამის დანაყვა, წარბების გახსნა, წარბების შეკვრა, წარბიც არ გაანძრია, წარბიც არ შეიხარა, წარბის გაშლა, წარბის თამაში, წარბის შეხრა, წარბში ცქერა.***

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გამოვლინდა ფრაზეოლოგიზმი **წარბი არ მობღუნკულა** (შდრ. **წარბი არ შეხრილა**), რომელიც სტუმართმოყვარეობაზე, ტრადიციების ერთგულებაზე მიგვითითებს: მუსაფირებიზა ერთი წარბი არ მობღუნკულა, ისე გვეხიზმეთეს (ქობ. მ̣უჰ.).

4. კომპონენტი **ყური** ქართულში ათეულობით ფრაზეოლოგიზმს აწარმოებს: ***ყურად იღო, ყურებზე ხახვის დაჭრა, ყურების აცქვეტა, ყურებიდან ბამბის გამოღება, ყურების გამობერტყვა, ყურების გამოჩიჩქნა, ყურების დაცქვეტა, ყურების გამოწედვა, ყურების ჩამოყრა, ყურების წაღება, ყურებში ბამბის// თითის დაცობა, ყურით მოთრეული, ყურის (და)გდება, ყურის თხოვება, ყურის მოკვრა, ყურმოჭრილი მონა//ყმა, ყურსაც არ იბერტყავს, ყურიც არ გააპარტყუნა, ყურში ჩაწვეთება (რაიმეს), ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა, დევი ყურით არ დაუწერია, კეთილი ყურით გაიგონე, ლეჩაქის ყურზე გამობმა, მაჰმადის მტრედივით ყურში ჩამძახის, მგლის ყურის გამობმა, მებაღის ყურები მოისხა, ნუ გაიგონებ ყურო და ნუ გამოიტყვი ენავ, ყურად მისვლა, ყურების აწევა, ყურებს არ უჯერებდა, ყურების დასრესა, ყურების დაწრა, ყურზე ძილი, ყურზე ხელის მოკიდება, ყური მატყუებს, ყურისთვის ყურის მიბმა ისრით, ყურის მიპყრობა, ყურის მოწევა, ყურის მოხერხვა, ყურის წაგდება, ყურს უკან, ყურში თქმა, ყურის ძირში, ყურში შეშვება, ყურში ჩაძახება, ყურში წყალი ჩამასხა, ყურში ხელის ჩავლება,***

ჩემს ყურამდე მოვიდა, ჩიქილის ყურზე გამობმული ვაჟკაცი, ცალი ყურით ძილი, ცოდვილი ყური, ხუთ ყურზე ახლო არიან.

საშუალ ქართულში ამგვარი მრავალფეროვნება არ გვაქვს: მიაპყარ ყური და უსმინე სიტყვათა ჩემთა (რუსულ. 143,15); ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა, ისმენდა წვრთნასა არ მოიწყინებდა (ვტ.); ზოგთა ვეღარ ყური ათხოვა მამის შეყრის სისწრაფითა (რუსულ. 235,13); დაუგდის ყური და იამებოდის (რუსულ. 327,26); ამის მეტად არა ყური მითხოვებია-მეთქი (რუსულ.405,18); ყურნი დაილურსა და ლაშქართა შემოუტივა (ყარ. 57,30).

ყურთა დალურსვა ,,ყარამანიანის" ლექსიკონში არაა განმარტებული. ჩვენი აზრით, იგიც უნდა ნიშნავდეს ყურადღების მოდუნებას, უყურადღებობას.

5. თანამედროვე ქართულში უხვად გვაქვს ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მაფრაზეოლოგიზებელი კომპონენტიცაა ენა: *ცხრა ენა გამოიბა, ენა მხარზე აქვს გადაკიდებული, ენა უსწრებს, ენა უჭრის, ენად გაკრეფა, ენაზე ადგას, ენაზე აკერია, ენაზე არაფერი დაამაგრდება, ენაზე დახვევა (რამესი), ენაზე კბენა, ენაზე კბილის დაწერა, ენამ უყივლა, ენას უკიდებს, ენით ნაკვერჩხალს იღებს, ენით ჯარის დატრიალება, ენის ამოდგმა, ენის ამოღება, ენის აყოლა (ვინმეს), ენის გაბრტყელება, ენის გაგრძელება, ენის გატეხა, ენის დაბმა, ენის დამოკლება, ენის დატკბობა, ენის დაშაქვრა, ენის დაძვრა, ენის მიტანა, ენის მობრუნება, ენის მოთაფვლა, ენის მოკვნეტა, ენის მოფხანა, ენის მუცელში ჩავარდნა, ენის პირში ჩავარდნა, ენის ქავილი, ენის შებრუნება, ენის ჩაგდება, ენის ჩაწყვეტა, ენის წაგრძელება, ენის წვერზე ადგას (რამე), გრძელი ენა აქვს, საერთო ენის გამონახვა, საერთო ენის მოძებნა, ადვილად იტყვის ენა, ასი ენა დაილაპარაკებს, გესლიანი ენა აქვს, ენა დაება, დაშაქრული ენა აქვს, ენა აეცრა, ენა ეყლაპება, ენა არ მოუტრიალდება, ენა აღარ ერჩოდა, ენაგადმოგდებული დარბის, ენაზე კლიტის დადება, ენაზე შეშრობა სათქმელისა, ენაზე წისქვილის ქვის დაკიდება, ენაზე ჭალი მოედება, ენამ უყივლა, ენას ძლივს იბრუნებს, ენით არ ითქმის, ენით გალოკვა, ენის ახსნა, ენის გალესვა, ენის*

განძრევა, ენის კიდება, ენის მოჭრა, ენის ქავილი, ენის შენახვა, თაფლი სცხია ენაზე, მოთაფლული ენა აქვს, კოდალას ენა ჭამა, მოქარგული ენა აქვს, წვერმოტეხილი ენით ლაპარაკობს.

საშუალ ქართულში თანამედროვე ქართულთან შედარებით ნაკლებია ასეთი ფრაზეოლოგიზმი: ლაპარაკი ვერ შეძლო, **ენა პირში დაიდუმა** (თამარ. 125,4); მოციქულს უთხრეს: ამრიგად, შენც **მოიხმარე ენია** (შაჰნ. 55,304); **ენა დაშვრების, გაცვთების,** გულსა შეელმის ლმობილსა (ვტ. 839,3); **ენა დაშვრების,** მსმენელისა ყურნიცა დავალდებიან (იქვე,21,2); **ენა დაშვრების,** გონება განცვიფრდება და მსმენელნი დაშტერდებიან (რუსუდ. 502, 23); რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ-ყვის **გაძვრად ენისად** (იქვე, 823,1); შეის ხასობს, გაის ქუშობს, **ენა** ასრე **მოაყივნებს** (იქვე,752,3); რაღა ვთქვა შენი სამართალი ქება, თუ გონება აღარა მაქვს და **ენა დამბმია?** (ვისრ. 370,27); ცოტად ცნობად მოვიდა და **ენის ხმარების ძალი არა ჰქონდა** (იქვე, 44, 24); ლაპარაკი ვერ შეეძლო, **ენა პირში გაუშეშდა** (თამარ. 125, 4).

ენის მოხმარება ლაპარაკი, საუბარია, **ენის დადუმება** და **ენის დაბმა** –გაჩუმება, **ენის დაშვრომა** – ლაპარაკით დაღლა, დაქანცვა, **ენის გაძვრა** – ხმის ამოღება, კრინტის დაძვრა, რაიმეს თქმა.

ჩვენებურთა მეტყველებაში არის საინტერესო ფრაზეოლოგიზმი – **ენაში მიგორავს და ვერ მითქმია** (ჩვენებ.170). აქვე გვხვდება **ენის წვერზე ქონებაც:** ენი წვერზე მაქ და ვერ მითქმია (ჩვენებ. 83).

სათქმელის **ენაში გორვა** იგივე **ენის წვერზე დგომაა,** რომელიც თ. სახოკიასთან ასეა განმარტებული: ,,მოგონება და ვერმოგონება კარგად რისამე, საცაა უნდა ითქვას" (სახოკია, 1979:76).

კომპონენტი **ენა** ძირითადად **ლაპარაკის,** მეტყველების სემანტიკას გადმოგვცემს, თუმცა მას უკავშირდება ადამიანის უარყოფითი თვისებების გამოხატვაც.

6. თანამედროვე ქართულში შედარებით ნაკლებია ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მაფრაზეოლოგიზებელი კომპონენტიცაა **ყბა: *ყბად აღება (ვინმესი), (ვინმეს) ყბაში ჩავარდნა, ყბის***

დადგმა, ცალი ყბით, ორივე ყბით ჭამა, ქვეყნის ყბადასაღები, ქვეყნის ყბად აღება, ქვეყნის ყბაში ჩავარდნა, ყბაზედ წვერი არ ასხია, ყბასა და პირში გაიგდეს, ყბა ყბაში გასდის, ყბების ამოგდებინება, ყბების ჩამოცვენა, ყბის დაღება, ყბის მოქნევა, ძაღლის ყბა აქვს გამობმული.

კომპონენტ ყბას უარყოფითი კონოტაციის გამოხატვა ეკისრება.

7. ქართულში მრავლადაა ფრაზეოლოგიზმი, რომელთა წამყვანი კომპონენტიცაა *პირი: პირიდან თაფლი გადმოსდის, პირზე აკერია (ვინმე, რამე), პირზე ბოქლომის დადება, პირზე კლიტის დადება, პირზე რძე არ შეშრობია, პირზე ცეცხლის წაკიდება, პირი არ დაგწვას! პირი მიჰყო, პირი წყლით აქვს სავსე, პირიდან ლუკმის გამოცლა, პირიდან შაქარი ამოსდის, პირიდან ცეცხლს ყრის, პირიდან ცოფებს ყრის, პირის აკვრა, პირის გატეხა, პირის გაშავება, პირის გახსნა, პირის გემო, პირის მორიდება, პირის მოშვება, პირის ქარის გაშლა, პირის მოკეტვა, პირის შეკვრა, პირის შეჩვევა, პირის წყალი, პირის წყლის გაშრობა, პირს იწვავს, პირქვე დამხობა (ვინმეს, რამეს), პირში ბურთის ჩაჩრა, პირში დადგომა, პირში კაპის//ლაგამის// აღვირის ამოდება, პირში მიფურთხება, პირში მიცემა (ვინმეს), პირში მიხლა, პირში სული უდგას, პირში სულის ამოსვლა, პირში ჩავარდნა (ვინმეს), პირში ჩალაგამოვლებული, პირში წადგომა, პირში წყლის დაგუბება, ერთ პირზე დგომა, დანა პირს არ უხსნის, შენს პირს შაქარი, შენს პირს ნაცარი, ცეცხლს ყრის პირიდან, სიტყვის პირზე შეშრობა, მიწამ უყო პირი, მიწის პირიდან აღგვა, დანა პირს არ უხსნის, მიწასთან პირის გაერთება, მიწის მიერ პირის დაყოფა, პირზე დაუდგრომელი, პირზე მური ჩამოისვა, პირზე ხელის დაფარება, პირზე ტყავის აძრობა, პირიანად ყიდვა, პირი არ აჩვენა, პირი არ მელება, პირის გამორეცხვა, პირიდან ამოშვება, პირიდან დორბლების ყრა, პირიდან ლუკმას იღებდა და სხვას აჭმევდა, პირიდან ლუკმის გამოგლეჯა //გამოცლა//წართმევა, პირიდან ნაპერწკლების ყრა, პირი დაუობდება სიჩუმით, პირი ვერ აქნევინეს ჩვენკენ, პირი იბრუნა, პირი იმქვეყნისკენ აქვს მიბრუნებული, პირი მიატეხა მთელმა*

ქვეყანამ, პირი მტრისაკენ, პირის აღება, პირის ბრუნება, პირის გასველება, პირის გატეხა, პირის დაღება, პირის დაყოფინება, პირის დაწყობა, პირის ერთად ბანა, პირის ზიარება, პირის თხოვნა, პირის მიკარება, პირის მიცემა, პირის მორიდება, პირის მოშლა, პირის მოწმენდა, პირის მოწერა, პირის მოხსნა, პირის ქარად არ ეყოფა, პირის ქარის გაშლა, პირის ქმნა (ვინმესკენ ან საითკენ), პირის ქცევა, პირის შენახვა, პირის შერცხვენა, პირის ჩატკბარუნება, პირი ჭიშკარი აქვს, პირს გადასვლა, პირს ვერ მოსწმენდს, პირს იცდენს, პირს უკან წაილებს, პირში ალის ქარი ჩაუვარდა, პირში არ ჩაიშვება, პირში ბუზი ჩაუძვრა, პირში გემო ჰქონია, პირში ენა აღარა აქვს, პირში თითგამოვლებული, პირში თქმა, პირში ლუკმას მითვლის, პირში ტყვია ჩაიდუღა, პირში უვარდება (ვინმეს), პირში უნდა ჩაუდო, პირში ყურება, პირში შებმა, პირში ცქერა, პირში ჩაგდება, პირში ჩადნობა, პირში ჩალის გამოვლება, პირში ჩაფურთხება, პირში წადგომა, პირწყალი მოუვიდა ნდომით, რა პირით გეჩვენო, უშვერი პირით ხსენება, პირი ჩამოსტირის, ფაფის გამოლება პირიდან, ქვეყანას პირს ვერ გაუკერავ, ხალხში გამოსასვლელი პირი აღარ აქვს, ხალხის პირში ჩავარდნა, ცამ პირი შეიკრა, ხავსის მოკიდება პირზე.

საშუალ ქართულში **პირი** არც თუ ისე ხშირად გამოიყენება **ფრაზეოლოგიზმის კომპონენტად:** რომ კვალად აღარ იყბედოს მას **პირი** დაუცავითო (თამარ. 32, 3); მე ასეთი საქმე ვქენო, რომ **ჩემი პირი** აღარ უნდა **ნახოთო** (რუსუდ. 200,20); რასაცა ჟამს ამას სცნობს და მოვახერხებ, გამიწყრების და **პირის წყალი წამელების** (ვისრ. 65,24); მე ჩემი სირეგვენითა ორჯერ **პირისწყალი** წავიღე შენს წინა (იქვე, 335, 20); მე ზე **აზიდვის პირი არა მქონდა** და ვეგდე მიწაზე პირქვე (რუსუდ.168,1); მათ რამლი ჰყარეს და ერთმანეთსა **პირსა შეაქცევდნენ** (ყარ.139,9), **პირი მოარიდა** და ზურგი შეაქცია, ისე დაჯდა (იქვე, 285,12); **პირში** ქებით აგრძნობინე დაუთმობი სიყვარული (თამარ.71,4); ესე პაემანი და **პირი** აღარასოდეს **გავტეხო** (ვისრ. 198,19).

პირის დარიდება ბიბლიურ ტექსტებშიც გვხვდება: ნუ დაბრკოლდებიედ გულნი თქუენნი, ნუცა **დაჰრიდებთ პირსა** მათსა (II სჯ. 19, 3).

მეტად საინტერესოა **პირის წყლის წაღება**. „პირისწყალი ღირსება, პატივია, **პირისწყლის წაღება** კი –შერცხვენა, დამცირება. ეს ფრაზეოლოგიზმი „ვისრამიანში“ გვხვდება.

საინტერესოა „რუსუდანიანში“ გამოვლენილი ფრაზეოლოგიზმი – **აზიდვის პირი არ მაქვს** (ე.ი. ადგომის თავი არ მაქვს, ადგომა არ შემიძლია).

პირის არქონა ნიშნავს, რომ ადამიანი **პირშავადაა, მისასვლელი პირი არ აქვს**, რცხვენია, ან უხერხულობას გრძნობს.

ქიზიყურში გვაქვს **პირის ართმევა** – საქმის დაწყება, **პირის მოხეხვა** – გათავება, შესრულება, **პირის აწყობა** – მჭრელი იარაღის გალესვა (კაკაშვილი, 2015:22).

კომპონენტი **პირი** ფრაზეოლოგიზმებში სხვადასხვაგვარ კონოტაციას (ლაპარაკი, ერთობა, ღალატი, შერცხვენა) და უამრავ ნიუანსს გადმოსცემს.

8. ფრაზეოლოგიზმების კომპონენტთაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა-კონცეპტია **გული**.

გულ'კომპონენტიან ფრაზეოლოგიზმებს მკვლევრები პირველ რიგში ემოციების შესწავლის დროს ეხებიან, რადგან ემოცია სამყაროს აღქმის, შემეცნებისა და შეფასების ერთ-ერთი ფორმაა... ის უმნიშვნელოვანესია მოტივაციის, სოციალური კომუნიკაციისა და ნებისმიერი საქმიანობისათვის. ემოცია რთულად ორგანიზებულ სისტემას ქმნის, ამიტომაცაა მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის ობიექტია.

ამ საკითხების კვლევა განსაკუთრებით გააქტიურდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. უკანასკნელ ხანს ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს ემოციების დიფერენციული შესწავლა. კ. იზარდის მიხედვით, ემოცია განიხილება, „როგორც რთული ფენომენი, რომელიც მოიცავს ნეიროფიზიოლოგიურ და სამოძრაო-გამომხატველობით კომპონენტებს და სუბიექტურ განცდას. ამ კომპონენტების გავლენა ინტრაინდივიდუალურ პროცესზე ქმნის ემოციას, რომელიც ევოლუციურ-ბიოგენეტიკურ მოვლენას წარმოადგენს. ადამიანში ემოციის განცდისა და გამოხატვის უნარი თანდაყოლილია, ზოგადკულტურულია და უნივერსალური“ (Izard, 1980: 69).

მიაჩნიათ, რომ კონცეპტი **გული** ემოციების ქართულენოვანი სურათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი არის ორგანო, რომელსაც უკავშირდება შემეცნება, აზროვნება, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგიური შეგრძნებები. ნ. ლოლაძე წერს: ,,იმდენად, რამდენადაც **გული** შინაგან, არახილვად ორგანოებს მიეკუთვნება, როგორც წესი, განიხილება როგორც **ემოციის**, განცდის ცენტრი, თუმცა იგი მონაწილეობს გამოთქმებში, რომლებიც **ემოციების თანმხლებ ფიზიოლოგიურ ცვლილებებზე** მიუთითებენ" (ლოლაძე, 2010).

სპეციალურ ლიტერატურაში საუბრობენ **გულის** შემცველი ფრაზეოლოგიზმების ორიგინალურობის შესახებ ძველი ქართულის მონაცემების კვალდაკვალ. ,,შენიშნულია, რომ სახარების ტექსტში, ხშირ შემთხვევაში იქ, სადაც გარკვეული გუნება-განწყობილება თუ გრძნობაა გადმოცემული, ქართულში გვხვდება **გულის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები, ბერძნულში – არა"(ბერიშვილი, 2002:108).

ც. მოდებაძემ შეისწავლა ,,ემოციის გამოხატვის ფორმები ლექსემა **გულის** საშუალებით გერმანულ და ქართულ ენებში" და გამოავლინა, რომ გერმანულში ანალოგი არ მოეძებნება შემდეგ ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: **გულზე არ ეხატება, გულზე გადაიყარა, გულზე გასკდომა, გულიდან ამოგლეჯა, გულზე ცეცხლის მოკიდება, გულის დაწვა, გულის დადგომა, გულის გადაყოლება, გულის გაკეთება, გულზე ხელების დაკრეფა, გულის გაპარვა, ვინმეზე გულის შევარდნა** (მოდებაძე, 2015: 410).

ლ. მარგველანმა საგანგებოდ იკვლია ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები და აჩვენა, რომ ,,ქართულში **გულის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები მეორეული განცდების ფუნქციით საკმაოდ ფართოდ გამოიყენება, რაც სხვა ენებისათვის შედარებით შეზღუდულია" (მარგველანი, 1978). ინგლისურ ენაში ამგვარ შეზღუდულობაზე მიუთითებს ა. ვეჟბიცკაია (Вежбицкая, 1999: 540-41).

ლ. მარგველანის ნაშრომში ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც მეტ-ნაკლებად ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება,

ვარსკვლავით არის აღნიშნული. თვალში საცემია, რომ მონიშნული ფრაზების უმეტესობა სწორედ **გულს** შეიცავს. ასეთებია: **გული უკანკალებს, გული წაუვიდა, გულზე ცეცხლი შემოენთო** და სხვა (მარგველანი, 1978).

მ. ქაცარავამ და ლ. აბზიანიძემ შეისწავლეს ფრაზეოლოგიზმები სიტყვით **გული** ქართულსა და რუსულ ენებში. მათ დაასკვნეს, რომ „ამგვარი ფრაზეოლოგიზმი ქართულში გაცილებით მეტია, ვიდრე რუსულში, მაგრამ არამონათესავე ენებს შორის საერთო იდიომების არსებობა შეიძლება ავხსნათ იმ გარემოებით, რომ ხდება ასოციაციათა დამთხვევის შესაძლებლობა. ხშირია, რომ ერთი და იგივე საგანი და მოვლენა სხვადასხვა ხალხში ერთნაირ ასოციაციებს იწვევს. მათ გადმოსაცემად სხვადასხვა ენა ერთნაირ ლექსიკური ერეთეულების შეკავშირებას მიმართავს“ (ქაცარავა, აბზიანიძე, 2013:440).

ამდენად, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ ტიპის ფრაზები ქართულისათვის სპეციფიკურია. ქართული ენა მართლაც ძალიან მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით, რომელთა სახელადი კომპონენტიც გულია. თ. სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში“ დადასტურებული აქვს 150-ზე მეტი ასეთი გამოთქმა. ასეთი ფართო სემანტიკური ველის მქონე სიტყვა სხვაც ბევრია ქართულ ენაში (ისინი ამავდროულად, სიტყვა-სტატიები ან კონცეპტებია), მაგრამ **გული** განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება.

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, **„გული** წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ფუნქცია, ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს – სიცოცხლის მატარებელი გულია“ (ჩიქობავა, 1938: 66).

ხატოვან სიტყვა-თქმებზე დაკვირვების საფუძველზე თ. სახოკია აღნიშნავს: **„გული** ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკრებელ ორგანოდ, რომელზეც უშუალოდ მოქმედებს

ყველა ფსიქიკური განცდა: სიყვარული, სიხარული, სიმამაცე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნაღველი"(სახოკია,1979:119).

მეცნიერი წერს: „ქართველის წარმოდგენით, ყველანაირი განცდა, დადებითი თუ უარყოფითი ემოციები: დარდი, მწუხარება, სიხარული, სიძულვილი, ჯავრი „ადამიანის გულ-მკერდში გროვდება, ხოლო თვით გულ-მკერდი ხატოვნად შედარებულია ბუხარს, რომელიც, კვამლის მსგავსად, მაღლა უშვებს გამოსამზეეებლად შიგ დაგროვილ თითოეულ ამ გრძნობათაგანს და ენა-პირის საშუალებით სხვას უზიარებს" (სახოკია, 1979: 110).

საინტერესო ვითარებაა დაცული მეგრულში: **გულს უკავშირდება სიყვარული**- გულში ვილაცის ჯდომა, **სიხარული** – გული გახარებული აქვს, **მწუხარება** – გულის ტირილი, **ძლიერი განცდა** – გულზე დარტყმა, **კმაყოფილება** – გულის ავსება, **უკმაყოფილება** – გულის კლება, **სიკეთე** – გულალალობა, **დარდი** – გულის დარდი, **მოწონება**- გულში ჩახატვა, **იმედგაცრუება** – გულის გატეხა, **მობეზრება** – გულის ყელში ამოსვლა, **შებრალება** – გულის დანვა, **აღტაცება** – გულის ფრენა, **ტკივილი** – გულამდე მისვლა ტკივილისა, **ძლიერი** სურვილი – გულით ნდომა, გულის მოწყურება, **გაზრდა** – გულის ზრდა, **ნუგეში** – გულის შემსუბუქება, **ჯავრის ამოყრა** – მეგრ. გურის ჭორაფა, **შიმშილი**- გურქ მემაწირწოლე, ლაზ. გურის მემოწილუ- **გულის მოწურვა** (აჭარ. გული მომეწინწკილა), **გულის კარნახი.**

ქართულისგან განსხვავებით, ლაზურში მობეზრება **გულის ყელში ამოსვლაა,** აღტაცება – **გულის ფრენა,** ტკივილი – **გულამდე მისვლა ტკივილისა,** გაზრდა – **გულის ზრდა, გულზე ქონის მოკვრა** (ფონიავა, 2011:36-38) (შდრ: ვირმა **გულზე ქონი მოიკრა,** როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ (ვაჟა)).

ლაზურში ო. მემიშიშმა აღნუსხა შემდეგი იდიომები: **გური აჭერელენ** – გული აუჭრელდება, მოეწონება, მოუნდება, **გურის Ქაღი ქელვადუ** – გულზე ქონი მოედო: დიდ სიამოვნებას მოჰგვრის, გაუხარდება, **გური უხცინაფს**– გულს ულპობს: უსიამოვნო ლაპარაკით, ქცევით თავს მოაბეზრებს, **გურიში გალე ვარ ზოპონს** – გულის გარეთ არ იტყვის, გულში ჩაიმარხავს, საიდუმლოს შეინახავს, **გურიშ გალე უყოონ** – გულის გარეთ

ჰყავს, გულთან ახლოს არა ჰყავს, სძულს, გურიში დიცხირი დუხომინუ– გულის სისხლი გაუშრო, გაამწარა, გაანვალა, შეაწუხა, გული გაუწყალა (მემიშიში, 2015:14).

ქართულის მსგავსად, გულს ლაზურშიც უკავშირდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციები. ნ. ფონიავამ გამოიკვლია, რომ „სტატისტიკის მიხედვით, ზოგადად უარყოფითი სჭარბობს დადებითს, ეს არის უარყოფით-დადებით ემოციათა ასიმეტრიულობა ენაში. მეგრულში დადასტურდა 225 ერთეული, ლაზურში – 170“ (ფონიავა, 2011: 36).

ქართული ყველაზე მდიდარია ამგვარი ფრაზეოლოგიზმებით: *საკირე უნთია გულში, ქვის გული აქვს, ცხელ გულზე, გულზე არ ეხატება, გულზე გადაყრა, გულზე გასკდომა// გახეთქვა, გულზე დაჭდევა, გულზე ვარდის გადაფენა, გულზე კბენა, გულზე ლოდის დაწოლა, გულზე მალამოს მოცხება, გულზე მოსვლა, გულზე მოშვება, გულზე მოხვედრა, გულზე ნისლის შემოწოლა, გულზე შემონათება, გულზე შემოყრა, გულზე ჩქმეტა, გულზე ცეცხლის მოკიდება, გულზე ჭიის გადავლა, გულზე ხატად დასვენება, გულზე ხელების დაკრეფა, გულზე ხელის დადება, გულთან ახლოს მიტანა, გული არ მისდის რამესთვის ან ვინმესთვის, გული არა აქვს, გული ეთანაღრება, გული ემუნათება, გული ერჩის, გული ეუბნება, გული მისდის, გული მიუწევს, გული საგულეს აქვს, გული უთქვამს, გული უთხრობს, გული უკვდება, გული უტირის, გული უცებს ვისთვინმეს, გული შეექმნა (ვინმეზე, რამეზე), გული შესტკივა, გული ხელთ არა აქვს, გულიდან ამოგდება, გულიდან ამოგლეჯა, გულიდან ამორეცხვა, გულიდან ამოღება, გულიდან ამოყრა, გულიდან ამოხდომა, გულიდან გადაგდება, გულიდან გადავარდნა, გულიდან გადაყრა, გულიდან ლოდის აცლა, მოხსნა, გულის აცრუება, გულის აგორება, გულის ადუღება, გულის ათამაშება, გულის ამოსკვნა, გულის ამოჭმა, გულის ამოჯდომა, გულის ამრევი, გულის ამღერება, გულის ამღვრევა, გულის ანთება, გულის არევა, გულის ატოკება, გულის აფანცქალება, გულის აღრენა, გულის აყრა, გულის აჩვილება, გულის აჩუყება, გულის აძგერება, გულის ბუხრის ამოყრა, გულის განგმირვა, გულის გაგრილება, გუ-*

ლის გადაბრუნება, გულის გადალევა, გულის გადატრიალება, გადაქანება, გულის გადაყოლება, გულის გადაშლა, გულის გაკაწვრა, გულის გაკეთება, გულის გამაგრება, გულის გამთელება, გულის გამონასკვა, გულის გამოცელა, გულის განათება, გულზე დაწოლა, გულზე ვახატივარ! ძაღლის დაპურება ვინმეს გულზე, გულის განელება, გულის გაპარვა, გულის გაპობა, გულის გასივება, გულის გასკდომა, გულის გასუფთავება, გულის გასწორება, გულის გატეხა, გულის გაქვავება, გულის კარების გაღება, გულის გადაშლა, გულის გაწვრილება, გულის გაწყალება, გულის გახევება, გულის გახეთქა, გულის გახსნა, გულის დადება, გულის დათუთქვა, გულის დადაგვა, გულის დაკოდვა, გულის დალევა, გულის დამძიმება, გულის დარდი, გულის დარჩენა (სადმე) გულის დასერვა, გულის დასეტყვა, გულის დაღრღნა, გულის დაცხრომა, გულის დაწვა, გულის დაწყვეტა, გულის დახურვა, გულის დედოფალი, გულის დუღილი, გულის ვარდი, გულის იარა, გულის მილევა, გულის მიცემა, გულის მობრუნება (ვინმეზე, რამეზე), გულის მობჯენა ყელში, გულის მოგება, გულის მოკვლა, გულის მოლბობა, გულის მოლოკვა, გულის მონადირება, გულის მოოხება, (ვინმეს) გულის მოპოვება, გულის მოსვლა, გულის მოფხანა, გულის მოყვანა, გულის მოშხამვა, გულის მოცემა, გულის მოხარშვა, გულის მოჯერება, გულის მურაზი, გულის ნადები, გულის პასუხი, გულის პოვნა, გულის სარკმლის გახსნა, გულის საუნჯე, გულის სისხლით გავსება, გულის სიტყვა, გულის სიღრმეში ჩაწვდომა, გულის ტკენა, გულის ტკივილი, გულისსწორი, გულის ტრიალი, გულის ფიცარზე დაბეჭდვა//დაჭდევა, გულის ყელზე მოდგომა, გულის ყელში გაჩრა, გულის შეგორება (ვინმეზე), გულის შევარდნა (ვინმეზე), გულის შეძვრა, გულის შეკუმშვა, გულის შემაგება, გულის შემატკივარი, გულის შეღონება, გულის შეცვლა, გულის შეწუხება, გულის ჩათხრობა, გულის ჩაწყვეტა, გულის ჩახვევა, გულის ჩვენება, გულის წასვლა, გულის წაღება, გულის წყლული, გულის ჭრილობა, გულის ჭუჭყის მობანა, გულისყურის დევნება, გულმა რეჩხი უყო, გულმა უთხრა, გულს ასკდება, გულს დაკლება, გულს ერჩის, გულს ესალბუნება (რამე), გულს

აყოლებს, გულს მოფონება, გულს მოშვება, გულს შემოყრა, გულში აქვს (რამე), გულში გავლება (რაიმეს), გულში გარბენა, გულში გატარება, გულში დამარხვა, გულში დაჭრა, გულში თქმა, გულში ისრის გაყრა, გულში მოხვედრა, გულში ნათლის ჩადგომა, გულის დაკლება, გულის დაყენება, გულის დაწვა, გულის თან ამოყოლება, გულის დათუთქვა, გულის კლება, გულის ლევა, გულის შეკუმშვა, გულის შეკლება, გულის შინ დაყენება, გულის ჩაშავება, გულის აყოლა, გული შემოკვნესის, გულს გიპოვის, გულს დანა მასვია, გულს დაძმარავს, გულს მოხვდა, გულ-ღვიძლში ცეცხლის დატრიალება, გულში გატარება, გულში ეკლად ესობა, გულში ეშმაკის შეშვება, გულშივე ჩაკვლა დარდისა, გულში მუშტის ცემა, გულში ნათელი ჩაუდგა, გულში სურვილის ჩავარდნა, გულში ტყვია ჩაიდუღა, გულში ტყვიის კვრა, გულში შენახვა, გულში ჩარჩენა, გულში ჩახედვა, გულში ჩასმა, გულში ჩატანება ჯავრისა, გულში ჩაჭედვა, გულში ჩახვევა, გულში ჯდომა (ვინმესი), გულის დაბინდვა, გულის დადაღვა, გულმა დაიდუღა, დაშანთვა გულისა, ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე, კვერის ჯდომა გულში, ლახვრის სობა გულში, გულზე ლოდის დაწოლა, მეტი ლუკმა გულზე დაადგება, მომდოვრება გულისა, ტყვიისთვის გულის მიშვერა, უგულო გული, უგულოდ მუშაობა თუ ლაპარაკი, დაღამება გულისა, ჩიტის გული აქვს, გულში ჩაიხვია, ქვის გულს ნუ ჩაიდებ, გულზე ლურსმნად დგომა, გულზე მოვიდა, გულზე მოჭიდება, გული არ მერჩის, გულზე ხელის მოსმა, გული ბუდეს დაიდვა, გული გაჰყვა, გული საგულეში აქვს, გულიდან დარდის გადაყრა, გული თავის ადგილას არ უდგება, გული ეკარგება, გული უთქვამს, გული მიუწევს, გულის გაგრილება, გულის გადალევა, გულის გადაქანება, გულის გაკეთება, გულის გაპარვა, გულის გასწორება, გულის გაძლება, გულის გაწვრილება, გულის გაწყალება, გულის დაბნელება, გულის საგულეს დგომა, ჩაღამებული გული, დიდ გულზე, დიდი გულის ქონა, ცხელ გულზე, ისარნაკრავი გული, მზის გული, მოკლული გული, გულის დახურვა, გულის მოლბობა, მჯიღვა გულისა, გულში რაიმეს ჩამარხვა, გულში ჯოჯოხეთის

ცეცხლის ტრიალი, გულხელის დაკრეფა, მტრის გულისად გახდომა, შენი გულისა.

ძველ ქართულში დასტურდება გულის დამძიმება და გულის გაფიცხება: დაიმძიმა გული (განვეიფიცხა გული OB) ფარაო ამასცა ჟამსა შინა და არა ინება გამოვლინებაჲ ერისაჲ მის (გამ. 8. 32.K, AS).

საშუალ ქართულში დასტურდება გულ კომპონენტიანი რამდენიმე ათეული ფრაზეოლოგიზმი: შვილო შენიმც პირი ნათელი იქნებაო, როგორც შენ მე გაჭირვებაში გული გამიმაგრეო (ყარ. 282,13); ფიცით გარწმუნებ, მეც პირველად გულში მედვა (იქვე, 549,25); ყარამანმა თავის შვილზე გული მოიბრუნა (იქვე,558,18); მეც გული გამოვიცვალე და მნებავს გიახლო (იქვე, 676, 21); შენსა კერპსა გული მიანდევ (იქვე, 63,6), ახლა კი სწორედ გული დავაჯერე, რომ სულეიმან ისევ ცოცხალი ბრძანდება (იქვე, 472,35); ხელმწიფემ გული ვერ შეიმაგრა და თვალთაგან ცრემლი მოუვიდა (იქვე,466,34); შენისა წყენისაგან გული ჩემი დაგიწვავს (ვისრ. 249,12); რამინს გული აუდუღდა ვისის სიყვარულისაგან (ვისრ.36,3); დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების (ვტ. 188, 2); ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდედრე (ვტ. 157,4), ვისთვის გული დამეკარგოს, მას ჩემი სიყვარული ასრეე არა ჰქონდეს (ვისრ. 334,4), გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან სიხარულსა ვერა ჰნახავ (ვისრ. 36,25), შემოიქცეს, აატირეს გული კვლავცა ანატირი (ვტ. 950,3); დადვა რამინ გული ჟამად გულისა შესაგვარად (ვისრ.213,17); უნდოდა თუ არა, გული დადვა და მგზავრობა დაიწყო (იქვე,46,2); გული შემოგვედრე და შენგან კიდე არა მინახავს (ვისრ.254,32), მამათა გული დედათათვის გააგრილე (ვტ. 51,9); თმობისა წყლითა გული გავირეცხე (იქვე, 216,34), რამინის გული არცა ეგრე მოლბა, ეკიდა ვითა ალმასი სამისო (იქვე, 333,32), დადნა გული და ტანი ჩემი შენითა გონებითა (იქვე, 63, 21); მიჯნურობისაგან მიხსნა და გული ჩემი გააზატდა (ვისრ. 327,25); ჭირთა ავსებულობითა ნუ თუ გამეპოს გული (იქვე, 262,2); გიშრისა ფერითა თვალითა გული წაუღე (იქვე, 51,4); ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკენ მომიბრუნდა (ვტ. 601,1); მეფე ტკბილად ეუბნების,

გულსა ამით **მოულბობდა** (შაჰნ. 16,72); ფიქრები **გულსა მიღრღნიდნენ**, სვე-ბედი მეჟინებოდა (თამარ.36,7); გაგიცნობდა, **გულს გიძღვნიდა**, შეგიტკბობდა – ჭამს დაგთმობდა (იქვე,48,5); მით **გული მიჩვილდებოდა**, თვალები მეცრემლებოდნენ (იქვე, 18,4); სხვისი ჭირი **გულს მიკუწავს**, ვერ გავუძლებ მე საწყალი (იქვე, 64,5), ამაზედა **გული აუდუღდა** და დაბნდა (რუსუდ. 101,24); მერმე შენცა **გული მოგექცევის** და გავხსნიო – დრო აიღეს ერთმანეთისაგან (ვისრ.57,7); მასცა **გული დაუამდა** და უამბო მათი ყოფა (რუსუდ. 47,6); **კვდებოდა გული** გამზრდელისა მისისა (იქვე, 4,18).

გულის' შემცველი ფრაზეოლოგიზმი ქართულში სხვაც მრავალია. შეიძლება ითქვას, ისინი სრულად ჯერ კიდევ არაა აღნუსხული. მათ სხვადასხვა სემანტიკის გადმოცემა აკისრია და უფრო დაწვრილებით მათ სემანტიკური ბუდეების ანალიზისას განვიხილავთ.

გულში დება არის ფიქრი, განზრახვა რაიმეს გაკეთებისა. ეს ფრაზეოლოგიზმი ძველ ქართულშიც გვქონდა. **გულის გამოცვლა** ,,ყარამანიანში" გვხვდება და აზრის, მრწამსის შეცვლას ნიშნავს. აქვე გვაქვს **გულის გაგრილებაც** (შდრ. კომპოზიტი გულგრილი). გვაქვს **გულის გაციებაც** (შდრ. გულცივი). **გულის გარეცხვა** დავიწყება, ხელის აღება, გულიდან ამოგდებაა (სახოკია, 1979:109).

საინტერესოა ,,ვისრამიანისეული" **გულის გააზატება**, რომელიც გათავისუფლებას ნიშნავს. ,,ვეფხისტყაოსანში" გამოვლინდა **გულის მომდედრება** იგივე გულის აჩვილება (აჩუყება). თანამედროვე ქართულში ეს გამოთქმა არ გვაქვს, მაგრამ გვხვდება კომპოზიტი ,,გულდედალი", რომელიც ამავე სემანტიკისაა და ჯაბანს, მხდალს, ვისაც ჩვილი გული აქვს, მშიშარაა.

თმობის წყლით გულის გარეცხვა გულის გაწმენდას უნდა ნიშნავდეს და შესაძლებელია, **გულის დამშვიდების** სინონიმური იყოს. ის არაა განმარტებული ,,ვისრამიანის" ლექსიკონში.

იშვიათი ფრაზეოლოგიზმია **გულში ჩათხრა** (საუბ.), რომელიც შთაგონებას, ჩანერგვას, სამუდამოდ დახსომებას უნდა

ნიშნავდეს. ,,ვისრამიანზე" დართულ ლექსიკონში არც იგია განმარტებული.

,,რუსუდანიანში"გამოვლინდა **ავი გულის ჩადება: ჩაიდვა ჩემზე ავი გული,** ჩამიდგა მიზეზში, დამიწყო ლაპარაკი (რუსუდ. 223,31). (შდრ. გულში ჩაიდო).

„ვეფხისტყაოსანში" გამოვლინდა **გულის მომდედრება (გულის აჩვილება, აჩუყება).** იმავე მნიშვნელობისაა **გულის დაკარგვა.** თანამედროვე ქართულში ეს ფრაზეოლოგიზმები არ გვაქვს, მაგრამ გვხვდება კომპოზიტი **გულდედალი** (ჯაბანი, მხდალი, გულჩვილი, მშიშარა).

როგორც ვხედავთ, ქართულ ფრაზეოლოგიზმებში ყველაზე ხშირად **გულია** წამყვანი კომპონენტი. დასტურდება სხვადასხვა სემანტიკის რამდენიმე ათეული ასეთი ფრაზეოლოგიზმი.

დადებით ემოციათაგან გულს უკავშირდება **სიყვარული, სიხარული, კმაყოფილება, მოწონება, სიკეთე, შებრალება, ნუგეში...** უარყოფით ემოციათაგან **მწუხარება, შიში, დარდი, ძლიერი განცდა, იმედგაცრუება, გაბრაზება, ჯავრის ამოყრა, სიძულვილი.** მასვე უკავშირდება ინტელექტუალური პროცესებიც: **ფიქრი, ინტუიცია, მრწამსი, შთაგონება, დამახსოვრება, მონდომება, ფიზიოლოგიური მოვლენები** (შიმშილი, ზრდა) და მორალური საკითხებიც.

როგორც აღვნიშნეთ, **გული** ხშირად გადმოსცემს უარყოფით ემოციებსაც: მასვე უკავშირდება **გაჭირვება და მწუხარებაც: გულის დნობა// დალევა//დუღილი// დადაღვა, ან გულზე ცეცხლის// ვარამის მოდება// მოგზნება...**

დაუნდობელი, უმოწყალო ადამიანი **უგულო, გულქვაა,** უშიშარს კი **ქვის გული აქვს.** ავი, ბოროტი ადამიანი **გულბოროტი, გულძვირია.** ნიჭი, ალღო, მიხვედრილობა გადმოიცემა კომპოზიტ **გულისყურით.**

ქართულში უსაქმურობა გადმოიცემა **გულზე ხელის დაკრეფა** ფრაზეოლოგიზმით, უდარდელობა **გულიდან ლოდის აცლაა.** მავიწყარა ადამიანს **გულმავიწყი** ეწოდება, სტუმართმოყვარეს – **გულქართლი,** ძვირფას, ახლობელ არსებას კი – **გულისგული.**

საიდუმლოს გამჟღავნება ქართულში **გულის გადაშლაა,** საიდუმლოს გაცემა- **გულიდან კლიტეს აგლეჯა,** ორგულობა კი – **გულის აგორება, გულის ბუხრის ამოყრა** დარდის თქმაა, **გულის აყრა** – მობეზრება. სპეციფიკურია ასევე **გულის აკორკოტება** (მეტისმეტი მონდომება): მაინც **ააკორკოტა გული** ამ გრაგნილმა (ო. ჩხეიძე).

ქიზიყურში **გულის აკორკოტება** გულის აჩუყებას ნიშნავს (კაკაშვილი, 2015:22). აქვე დადასტურებულია **გულის ჩამოსვლა** - შეჩვევის შემდეგ ადამიანის შეყვარება, **გულის მოკოდვა** (გაციებულის ხიხინი).

გულსვე უკავშირდება მოწყალების სემანტიკაც: მე რომ მოწყალე არა მყავს, **გულზე მომისვას ხელია** (პ. უმიკაშვილი).

გულთანაა დაკავშირებული ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობანი. **გულში დება** არის ფიქრი, განზრახვა რისამე გაკეთებისა. ეს ფრაზეოლოგიზმი ძველ ქართულშიც გვქონდა. სირთულის, სიძნელის დაძლევა, **მონდომება გულის დადებაა:** საქმეს **გული ვერ დაუდო, გული მისდის** – მოთმინება ეკარგება, ძალიან შია (შდრ. კუჭი ეწვის), **გულს სწვავს** (კუჭს სწვავს).

ქართულში **გონებასთანაა** დაკავშირებული ის, რის უბრალო დამახსოვრებაცაა საჭირო, რაც გრძნობებს უკავშირდება (წყენა, ბოღმა), **გულ'იანი** ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, წყენა, ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები** ძირითადად **გულს, მის მოძრაობას** უკავშირდება.

ქართულში წყენის დამახსოვრების, ვერდავიწყების მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები: **გულში ჩაჭედვა, გულში ჩახვევა, გულში ჩარჩენა, გულში შენახვა.**

გულის ამორეცხვა თვალიდან ამოგდება, შეძულებაა (ასევე ყველაფრის თქმა, არაფრის დაფარვა). ქართულში გვაქვს მსგავსი სემანტიკის უამრავი გამოთქმა: გევედრები, გზიდან ჩამომეცალე, **გულიდან ნუ ამომარეცხინებ** შენს სიყვარულს (ილია); ისე **აიგორა გული,** ისე უცნაურად გამოიცვალა მასთან ხასიათი ჩემმა აბესალომმა, რომ აღარავისთვის დამალული აღ-

არაა მათი ამბავი (დ.კლდ.); ანტონი ძალიან სდევნიდა ილიას, მისი სახელი **გულზე ადგა ლურსმნად** (ს.მგალობ.); არ შემიძლიან ერთის მათგანის განწირვა, იმათი **გულიდან ამოხოცვა** (ს.მგალობ.); კოდალა ნაირ-ნაირ ამბებით შეაქცევდა, მაგრამ ქათმები კი მაინც არ **გადაუვარდა** მამალს **გულიდან**, იმათი ხსოვნა ისე ჰქონდა შენახული გულში, როგორც ნაცარწაყრილი ნაკვერჩხალი (ვაჟა).

საიდუმლოს, გულისნადების გამხელა ასე გადმოიცემა: კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა. **გულის ბუხარს ყრილობდა**, ტვინს ავარჯიშებდა (ვ. ბარნ.); ვერ ხერხდებოდა განცალკევება, **გულის გადაშლა**, ჩვეულება არ აძლევდა ამის ნებას (ვ. ბარნ.).

გულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმებით გადმოიცემა კარგ გუნებაზე მოყვანა, შვება, ლხენაც: მასცა **გული დაუამდა** (რუსუდ.47,6); **გულს გიპოვის** (ჭამე, გულს გიპოვის).

გამხნევებას გამოხატავს **გულის ბუდეში დადება, გულის გამაგრება. სამხრულ** კილოებში გვაქვს **გულის გაკეთებაც:** მოსაფირსა მუუარდა ლამაზათო, **გულ გუუკეთებდა** (ჩვენებ.267).

უიმედობა **გულის დაწმუნება, შეურვება, დაკოდვა, განასკვა, შავად შეღებვა ან გულის დალევაა:** შენდობისგან უიმედო ვიქნები და **გული დამელევის** (იქვე, 289,10).

ტანჯვა, წვალება გულზე ლურსმნად დგომა, გულზე ცეცხლის მოკიდებაცაა. წვალებას აჭარულ დიალექტში ასევე გამოხატავს ფრაზეოლოგიზმი **გულზე ქვა დაიკიდა.**

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობს ძალიან ძლიერი ტენდენცია **გულის** გამოყენებისა, განსაკუთრებით კი ეს არის ,,ვეფხისტყაოსნის" ენის თავისებურება. საკითხი შეისწავლა ალ. ღლონტმა, რომელიც წერს: ,,რუსთაველის პოეტურ ლექსიკაში **გული** უტყუარი, სწორი, ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობების სიმბოლოა, ადამიანის მოქმედება მისი გულის მსგავსია, განსჯა, სამართალი მართალი გონების ფუნქციას წარმოადგენს. მაგრამ იგი მაშინ მიდის გულამდე, როცა მართალი გულის ნაყოფია"(ღლონტი, 1955:34-41).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ,,ქართულში სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, წყენა, ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები ძირითადად გულს, მის მოძრაობას უკავშირდება. გულთანაა დაკავშირებული ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი, ფიზიოლოგიური პროცესები“ (ცეცხლაძე, 2017: 236).

9. ქართულში უხვადაა ფრაზეოლოგიზმი, რომელთა სახელადი კომპონენტიც ხელია: *ხელთ იგდო, ხელი მიჰყო, ხელი აიღო, ხელი შეინახა, ხელს ყრის, ხელს აძლევს, ხელები ექავება, ხელების ლოკვა, სხვისი ხელით ნარის გლეჯა, ხელ-ფეხის შეკვრა, ხელებში ყურება (ვინმეს), ხელზე დახვევა (რაიმეს), ხელზე დახვევა (ვინმეს), ხელთ იგდო, ხელი არა აქვს (ვინმესთან//რამესთან), ხელი გამოჰკრა (რამეს), ხელი მიჰყო (რამეს), ხელი შეაწია (ვინმეს), ხელი ხელს მისცეს, ხელიდან გამოცლა (ვინმეს, რამეს), ხელიდან წასვლა, ხელის აღება (ვინმეზე, რამეზე), ხელის აშვება, ხელის გამართვა, ხელის გამოღება, ხელის გამოწოდება, ხელის განძრევა, ხელის გასვრა, ხელის შეწყობა, ხელის გულზე გაგორება, ხელის გულზე დასმა, ხელისგულზე ტარება, ხელის დაბანა, ხელის დადება, ხელის დამშვენება, ხელის დარევა, ხელის დაფარება, ხელის მიცემა, ხელის მოთავება, ხელის მოთბობა, ხელის მოკიდება (რამეზე), ხელის მოკლება, ხელის მომართვა, ხელის მონაცვლება, ხელის მოცარვა, ხელის მოწყობა, ხელის შეშვება, ხელის შეშლა, ხელის ჩაქნევა, ხელს არ აძლევს, ხელს არ დააკლებს, ხელს არ დაიწვავს, ხელს არ მისცემს, ხელ-ფეხის გახსნა, ხელ-ფეხის შებოჭვა, ხელში დაწერა, ხელში მოგდება//ჩაგდება, ხელში უკვდება (ვინმეს), ხელში შეიკლა (ვინმე), ხელში ჩავარდნა, ვისიმე მარჯვენა ხელი, მარჯვენის მოჭრა, რა ხელი აქვს, არტახში მიბია ხელი, ხელის შეწმინდა სხვისთვის, თავისი ხელით ყელის გამოჭრა, თავის ხელით საფლავის გათხრა, კაი ხელი აქვს, კარგ ხელშია, კატა მოუკვდება ხელში, ხელით სათრევი, კუდში ხელის წავლება, ლოყაზე ხელის ჩამოკვრა, მარჯვენა ხელიმც შეგრჩება, მარჯვენას მოვიჭრი, მარჯვენის ქნევა, მარჯვენის ჩამოცლა, მაჯის წარკვეთა, მაჯის ცემა, მტრის ხელების დაკიდება, ნამუსზე ხელის აღება,*

ორივე ხელით დაბღაუჭება, ორი ხელით მიცემა (რამეს), პატიოსნებაზე ხელის დადება, რა ხელი გაქვს, სხვის ხელში ჩაგდება, სხვის ხელში ყურება, ტყუილი ხელით დააქვს, ხელის შებრუნება, შენს ხელთაა ჩემი საბელი ყელისა, შენს ხელში ვარ, ჩემზე შეიწმინდა ხელები, ჩემი ხელია, ჩვენს ხელშია, ცალი ხელით სატირალი, ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაყოფს, ცას ხელს ავლებს, ცხელ წყალში ხელის ჩაყოფა, ძირზედ ხელის მისმა, ხელგაშლით ყოფნა, ხელის დადება, ხელდახელ გაკეთება რისიმე, ხელები გაეხსნათ, ხელების გაშვერა, ხელების დაკრეფა, ხელების ფშვნეტა, ხელების შეკვრა ვინმესთვის, ხელების ჩამოყრა, ხელები ექავება, ხელზედ შესანახი, ხელზე წყლის დასხმის ღირსი არა ხარ, ხელიდან არ გამოსდის, ხელთ ყოლა, ხელი აკლია, ხელიდან გამოსვლა, ხელი დაჰრია, ხელიდან გამოცლა, ხელიდან გაშვება, ხელიდან გაძვრომა, ხელიდან ხელში გადასვლა, ხელი და პირი იმისკენ მიქნია, ხელით ტარება (ვინმეს), ხელის მოთბობა, ხელისა და ფეხის დადგომა, ხელის აღება, ხელის აღმპყრობელი, ხელის გადასმა თავზე, ხელის გაქნევა, ხელის გაშვება, ხელის გაწვდენა, ხელის გახსნა, ხელის გულივით გადაშლა, ხელის კვრა, ხელის მიწვდომა, ხელის შევლება, ხელის შექცევა, ხელის შეშველება, ხელის შეხება, ხელის ჩაკიდება, ხელის ჩაქნევა, ხელის წატანება, ხელის წაწვდენა, ხელის ჭუჭყი, ხელიხელსაგოგმანებელი, ხელი ურევია, ხელი შეაწია, ხელი შეგრჩა, ხელთ არა მაქვს, ხელი ხელს, ხელი ხელს ჩაჰკიდეს, ხელსა და პირს შესცქერის, ხელსა და ხელს შუა გაქრობა რაიმეს, ხელს აფარებს, ხელს აძლევს, ხელს არ გააყოლო, ხელს მოვიჭრი, ხელ-ფეხის ყრა, ხელში მოგიკვდება, ხელში უჭირავს, ჯიბეზე ხელის გაკვრა, ხმალზე ხელის წავლება, ხმალზე ხელის გაკვრა, სიკვდილის ხელიდან ვინმეს გამოგლეჯა.

ხელ' კომპონეტიანი ფრაზეოლოგიზმები გვაქვს მეგრულშიც. მათგან სპეციფიკურია: ხეშა ქაშუდოხოდუ **ხელში ჩაუჯდა** (მტკიცედ დაჰპირდა), ხეშა სანთელი ქაშაჭუ – **ხელში სანთელი ჩაუწვა** (მოატყუა), ხეაჩილათორო დუდვალ–**ხელაცდენილად დაუდვია** (უადგილო ადგილას დაუდვია), ხეგორჩილო რინა –

ხელგარეცხილად ყოფნა (დამარცხება, ხელის მოცარვა) (შენგელია, ჯანჯღავა, 2014:72).

ქართულ კლასიკურ ძეგლებში ხშირად გვხვდება ფრაზეოლოგიზმი **ხელში ჩაგდება:** როცა შაბრანგს **ხელთ ვიგდებ,** მაშინ გაუწყებ დასჯასა, როგორც გეკადრებათო (ყარ. 427,4); თუ **ხელთ იგდეს,** შეუჭმელს არ გაუშვებენ (იქვე, 642, 36); მე ვნატრობდი, რომ თითონ ყარამან **ხელში ჩამეგდო** (იქვე, 523,6).

ძველი აღთქმის ტექსტებში გვაქვს სიტყვათა მყარი შეხამებანი: **ხელთა შინა დასხმა, ხელთა ქუეშე ყოფნა.** ორივე ნიშნავს დამორჩილებას, ქვეითად დადგომას. **ხელში ჩაგდება** შედარებით ახალი ფრაზეოლოგიზმია.

მოვიყვანთ მაგალითებს ძველი ქართულიდან: კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან **მოგვცა** მტერნი შენნი **ჴელთა შენთა** (შეს. 14. 20 C); აჰა, მხევალი **შენი ჴელთა შინა არს** (იქვე, 16,6); **ჴელნი შენნი ზურგსა მტერთა შენთასა** (შეს. 49.8).

მსგავსი სემანტიკის გამოთქმები გვაქვს რუსულშიც: **под рукой, попадать в руки кого, кому.**

„ვისრამიანში" დასტურდება ასეთი ფრაზეოლოგიზმი: საჭურჭლეთა მისთა ზედა **ხელი მე მქონდა** (ვისრ. 260, 24). ე.ი. საჭურჭლე **ჩემს ხელში იყოო,** კიდევ უფრო საინტერესოა „ვეფხისტყაოსნისეული" ფრაზეოლოგიზმი: **ხელმან** ვარდი რად **იხელთა,** რადგან ასე ვერ მოჰკრეფდა (ვტ. 398, 4).

ძველ ქართულში **ხელის მიყოფა** არაა სიტყვათა მყარი შეხამება, იგი ხელის მოკიდებას, შეხებას ნიშნავს. საშუალ ქართულში იგი ამ მნიშვნელობითაც გამოიყენება და **საქმის დაწყებასაც** ნიშნავს: ისარს **ხელი მიჰყო** (რუსუდ. 46,7); თუ **ხელი მოგყოს,** ესდენ მთვრალი და უცნობო არის, რომელ ვერად შეიგებს (ვისრ. 142, 20).

შექნეს სიხარული დიადი და ღვინის სმასა **ხელი მიჰყვეს** (ყარ. 33,22); რა ესე სიტყვა დაასრულა, ომსავე **მიჰყო ხელი** (იქვე, 474,4),

„რუსუდანიანში" **დაწყების** მნიშვნელობით გამოიყენება **ხელის წაკვრა:** ღვინის სმასა **ხელი წაჰკრეს** და ხოშგვარსა ღვინოსა სვამდნენ იაგუნდისა, ლალისა და ფირუზის თასებითა (რუსუდ. 106, 25).

ხელის წაკვრა, ხელწამკრავი აჭარულ დიალექტში განსხვავებული სემანტიკისაა, იგი ქურდობას, ქურდს ნიშნავს. გვაქვს **ხელის წამოკვრაც** (დახმარება).

ხელის აღება ხშირად გამოიყენება და იგივეა, რაც ,,დაუხმარებლობა, მოძულება, გაჭირვებაში მიტოვება, თავის დანებება, შველაზე უარის თქმა" (სახოკია, 1979: 913):

მე იმ ბაღის საქმეზე **ხელი ამიღია** (ყარ. 465, 29); შე წყეულო, მაგაზე **ხელი აიღე** (იქვე, 617,4); რა ამა ლომმა გარდანქეშანის ესეთი სიმხნევე იხილა, **ხელი აიღო** (იქვე, 474,17); ჩემს დავაზედ **ხელი აიღე**, თორემ ჩემგან ბევრს ზიანს ნახავ (იქვე,564,32); ერთმანეთისათვის **ხელი აღარ აეღოთ**, სარანდიბის კალთაში, ხან ლახტითა, ხან შუბითა, ხმლითა და ისრითა მედგრად ებრძოდათ (იქვე, 259,11).

უკანასკნელ მაგალითში **ხელის აღება** ხელისა აღმართვასაც (შებმა, ბრძოლა) ნიშნავს. აქვეა **თავზე ხელის აღებაც**: მეტითა შიშითა თრთოლა დავიწყე, მაგრამ რადგან სირცხვილსა ჩავვარდი, **თავზედან ხელი ავიღე** (ყარ. 49, 8).

თავზე ხელის აღება თავგანწირვა, მოურიდებლობა, ბოროტების ჩადენისათვის თავის მოძულება, ყველაფრის ჩალად მიჩნევა, უხამსი საქციელია.

,,ყარამანიანში" გვხვდება **ხელის შენახვაც**, რაც თავის შეკავებას ნიშნავს: ხოცვისგან **ხელი შეინახე** (ყარ. 120).

განვიხილოთ **ხელის მიცემა**: დამიბრუნე გული შენი, მეგობრულად **მომეც ხელი** (თამარ.137,6), იმათი უკან მოკიდება ჩვენ **რა ხელს მოგვცემს?** (ყარ.525,6); სამკაულსა ველარას **ხელსა ვჰყრი** და არცა რად მოვიხმარებ (ვისრ. 33,29).

ხელის ყრა რამედ გამოდგომა, მოწონებაა: ჩვენ ესე ოდენთა ფალავანდთა რა **ხელი გვეყრების**, თუ ერთისა კაცისა ომი არ ძალგვიცს? (ყარ. 29,32).

ხელის ძლევა გამორჩენა, გამოყენება, ხეირის ნახვაა, **ხელის აპყრობა** შველას, პატრონობას ნიშნავს.

ხელის შეწყობა ძველ ქართულში არ გვხვდება, დასტურდება საშუალი ქართულიდან და ნიშნავს დახმარებას: ამისთანა

სიტყვათა **ხელი შეუწყვეს**, მრავალი ჭირისა და ლხინისა ამბავი უამბიან (რუსულ. 20,3).

ხელ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმი უხვადაა ძველი ქართული ენის ძეგლებსა და ბიბლიურ ტექსტებშიც. ესენია: **ხელთა შინა, ხელთა ქუეშე დასმა, ყოფნა** (დამორჩილება) **ხელის პყრობა, ხელის დადება, ხელის დაბურვა, ხელის წარმართება, ხელის განძვრა, ხელის მიყოფა, ხელის განღება.** ძველქართულისებურია ,,ვისრამიანის" **ხელთა ზედა ქონება.**

თანამედროვე ქართულში არ გვაქვს **ხელის შენახვა** (თავის შეკავება), რომელიც ,,ყარამანიანში" გვხვდება.

ხელ კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ძირითადად დადებითი სემანტიკისაა, თუმცა გვხვდება უარყოფითისაც.

10. კომპონენტი **ფეხი** შედის ათეულობით ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში: *ქრისტეს ფეხის მკვნეტელი, ფეხები უკან რჩება, ფეხებზე ჰკიდია, ფეხების გაფშეკა, ფეხების გაჭიმვა, ფეხებში ებლანდება, ფეხზე დადგომა, ფეხზე დაყენება, ფეხზე წამოდგომა, ფეხზე წამოყენება, ფეხთა მტვერი, ფეხი დააჭირა, ფეხი წაიტეხა, ფეხის ადგმა, ფეხის ათრევა, ფეხის ალაგი, ფეხის ალოკვა, ფეხის ამოკვეთა საიდანმე, ფეხის გადაბრუნება, ფეხის გადგმა, ფეხის გაბიჯება, ფეხის მოდგმა, ფეხის მოკიდება, ფეხის მომაგრება, ფეხის მოცვლა, ფეხის წაბორძიკება, ფეხის წასხლტა, ფეხის ხმას აჰყვა, ფეხქვეშ გაგება, ფეხქვეშ ფიანდაზად გაგება, ერთი ფეხი სამარეში უდგას, ეშმაკის ფეხი, მარცხენა ფეხზე ამდგარა, მოკლე ფეხები აქვს, აბელას ფეხებზე შედგომა, აბელას ფეხების გაკეთება, ფეხებზე დაკიდება, ბედზე ფეხის დაჭირება, ბედნიერი ფეხი, დავკრათ ფეხი, ერთი ფეხით მოვუსწარი, ერთი ფეხით წინ, ერთი ფეხის გადადგმა, ეშმაკის ფეხები, ეშმაკის ფეხის მომჭრელი, ვირის ფეხები, კუდზე ფეხი არ დამადგა, მაჩვის ფეხი, მახეში გაყოფა ფეხებისა, მკვდარსაც კი ფეხებს გააქნევინებს, ორის ფეხის გადადგმაზე, პურ-მარილზე ფეხის დადგმა, რა ფეხზე ინა დაიდევი? სუფრაზე ფეხის დადგმა, ფაფაში რა ფეხი ჩაგიკარ, ფეხები ექავება, ფეხები აიბერტყა, ფეხები აღარ ერჩის, ფეხ-*

იდან მოცვეთილი, ფეხებით დაკიდება, ფეხებით წინ გასვლა სახლიდან, ფეხების დაკოცნა, ფეხების დაჭიმვა, ფეხების ლოკვა, ფეხების მოჭმა, ფეხის ათრევა, ფეხებქვეშ მიწის მთხრელი, ფეხებში ჩავარდნა, ფეხზედ არდაყენება, ფეხზედ აღარ იდგა სიხარულისაგან, ფეხზე ვაჭრობა, ფეხზე ვერა დგება, ფეხზე ინის დადება, ფეხზე მუგუზალი მომადო, ფეხზე რა ბაწარი გამოგიბამს? ფეხი დაადგა (ვინმემ ვინმეს), ფეხით გათელვა, ფეხისა და ხელის გაწვდენა, ფეხის ამოკვეთა, ფეხის არევა, ფეხის აქცევა, ფეხის აჩქარება, ფეხის ბრუნება, ფეხის გადადგმა, ფეხის გაქნევა, ფეხის გაყოფა, ფეხის დაკვრა, ფეხის დაცდენა, ფეხის ერთად გადადგმა, ფეხის მიწვდენა, ფეხის მოსაკიდებელი, ფეხის მოსხლტომა, ფეხის მოტეხა, ფეხის მოუცვლელობა, ფეხის მტვერის ლოკვა, ფეხის შემოდგმა, ფეხის ჩაკრეფა, ფეხის მიწყდომა, ფეხის წამოკვრა, ფეხის წატეხა, ფეხის ხმის მიწვდომა, ფეხი უკან რჩება, ფეხქვეშიდან მიწის (ნიადაგის) გამოცლა, ფეხქვეშ მოდება, შენი ფეხი აქ აღარ იყოს, ცალი ფეხი სამარეში უდგას, ცალ ფეხზე დგომა, ცალ ფეხზე ხტუნვა, ცხვარი ჰყავს ფეხზე გამობმული, ძაღლის ფეხი გამოიბა, ძაღლის ფეხის მომჭმელი, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს.

კ) კომპონენტი შუბლი შედის რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში: *შუბლის გახსნა, შუბლის შეკვრა, შუბლზე მამალ ბუზსაც არ ისვამს, დათვის შუბლი, კოპების შეკვრა, შუბლზე არავინ აკოცებს, შუბლზე აწერია, შუბლზე ხელის გადასმა, შუბლზე ხელის შემოკვრა, შუბლის გაშლა, შუბლის შეხრა.*

ლ) კომპონენტ თითისგან შედგება რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი– *თითებში გაძვრენა (ვინმეს, რამეს), თითზე დახვევა (ვინმეს), თითზე კბენა, თითით საჩვენებელი, თითის დაწება, თითის მოკაკვა, თითის დაქნევა, აღუუ, ნეკზე არ მიკბინო! ერთი ნეკი ძაფი მმართებს, თითების ჩაკვნეტა საჭმელში, თითებს შუა გასხლტომა, თითზე გადასახვევი, თითზე არ მიკბინოს, თითით ხვეწნა, თითის გაუნძრევლობა, თითის ფრჩხილად არა ღირხარ, რა თითით საფლავს გამითხრი, ფრჩხილი არ წამოსტკივებია, ჩემი ხუთი თითივით ვიცი, ხუთი დიდი სანთელი შეანათებს იქ ანთებული, ვინმესთვის ხუთ დიდ სანთლად დანთება.*

*მ) **ზურგი** შედის შემდეგ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში: დიდი **ზურგი**, ერთი **ზურგი** (რაიმე), **ზურგის** აწვა, **ზურგის** მოტეხა, **ზურგის** ქავილი, **ზურგის** გამაგრება, **ზურგის** მიცემა, **ზურგის** შექცევა, **ზურგის** ჩვენება, **ზურგს** უკან, მაგარი **ზურგი** აქვს, დედამიწის **ზურგ**ზე, დედამიწის **ზურგ**იდან ალგვა, **ზურგ**ამდის გაახედა, **ზურგ**ზე ტყავის აძრობა, **ზურგ**ზე ბოლის// მტვრის ადენა, **ზურგ**ზე აკიდება, ცოდვის აკიდება **ზურგ**ზე, მტრისთვის **ზურგის** დანახვება, ორი შოლტი ტყავი აძრო **ზურგ**იდან.*

თ. სახოკიას ,,ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში" ვკითხულობთ: **ზურგი** შველა, ძალა დახმარებაა, იმედი– სიმტკიცე, სიმაგრე (სახოკია, 1979: 213).

საშუალ ქართულშიც მოიპოვება რამდენიმე ისეთი ფრაზეოლოგიზმი, რომელთა სახელადი კომპონენტიც **ზურგია**:

ზურგი ყოფილხართ ტახტისა, შემსწრობნი ამა ხანისა (შაჰნ.11,44), თქუენ **ყოფილხართ** ჩუენი **ზურგი**: კულაცა ვალი ბევრი გუძესა (იქვე, 56,310); ერთმანეთს **ზურგი მოვაბათ**, ვირემდი აღსასრულია (იქვე, 50, 274); ერთზედ ოცი მოდიოდა, მაგრამ **ზურგი არ აჩვენეს** (თამარ. 104, 5); საწუთროსა კაცმან **ზურგი მიაყუდოს** და მიენდოს, ბოლოდ ეგრეცა უიმედობითა **ზურგს მოსტეხს** (ვისრ. 369,13); ესოდენი ხანია ბარამის **ზურგი არავის უნახავს** (ყარ.29,9); ამა საქმისათვის ღმრთისავე **ზურგს ნუ იქმ** (ვისრ.39,5); დევების ბრძოლაში **ზურგი არ იდრიკეთო** (ყარ. 303,33).

,,როცა მტერი ვინმეზე იწევს და ხელთ ან რაიმე იარაღით მის ცემას ლამობს, თუ მოერია და შეაშინა, დამარცხებული თავს მიაბრუნებს და **ზურგს შეაქცევს**, როგორც სხეულში ყველაზე მაგარ ნაწილს, ფრიად გამოსაყენებელს. ამ შინაარსის სახელს– **ზურგს** მეგრულად **ოფარე** ჰქვია ანუ **საფარებელი**, **ფარად** გამოსაყენებელი, ამიტომაც შეიქმნა სინონიმად ფარისა, მფარველისა, ღონიერისა, სიმტკიცისა, იმედისა" (სახოკია, 1979: 213).

ვინმეს **ზურგად ყოფნა**, დახმარებას, შველას, გასაჭირიდან გამოყვანას ნიშნავს; **ზურგის მიყუდება** კი – თავის შეფარე-

ბას, მინდობას, მფარველობას. **ზურგის მოტეხა** დაუძლურება, დასუსტებაა.**ზურგის ჩვენება და ზურგის დრეკა** სინონიმებია. უკანასკნელი შ. ნიჟარაძეს დადასტურებული აქვს აჭარულშიც (ნიჟარაძე, 1971: 202).

ზემომოყვანილი ყველაფრაზეოლოგიზმი თანამედროვე ქართულშიც გამოიყენება მტრის დამარცხების მნიშვნელობით. ძველ ქართულშიც გვქონდა ასეთი გამოთქმაც – **ჴელნი შენნი ზურგსა მტერსა შენთასა** (შეს. XLIX, 8), რომლის მნიშვნელობაცაა მტრის დამარცხება.

ასეთი ფრაზეოლოგიზმები ძირითადად დადებითი სემანტიკისაა.

* რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის წამყვანი კომპონენტია **მხარიც**: *მხარი მხარს მისცეს, მხარი უქცია, მხარის აქცევა, მხარის მოქცევა, მხარის დაწერა, მხარში ამოდგომა, მხარის მიცემა, მხარს უმშვენებს, მხარს უსწორებს, მხარ-თეძოზე წამოწოლა, მხარ-თეძოზე ძილი, მხარი საწყინარს მეუბნება, მხარის გადაბმა, მხარის გასწორება, მხარის მობმა, მხარის მოტეხა, მხარის მოწყვეტა, მხარში ამოყენება, მხრების ჩამოყრა.*

* სიტყვა წელი ქართულში ქმნის შემდეგ ფრაზეოლოგიზმებს: *წელებზე ფეხს იდგამს, წელის მომაგრება, წელის მოწყვეტა, წელში გამართვა, წელში გასწორება, წელში გატეხა, წელში გაწყვეტა, წელზე ხმლის ბმა, წელის ათრევა, წელის ატანა, წელის გამაგრება, წელის მოდევნება, წელში გამაგრება, წელში გატეხილი, წელში გაღუნვა, წელში გაშლა, წელში გაწყდომა, წელში მოკაკვა, წელში მოხრა, წელში ოთხად მოკაკულია.*

* ორ ათეულამდე ფრაზეოლოგიზმის მთავარი კომპონენტია გვერდ (ებ)ი: *გვერდებში გაჯდომა, გვერდის ავლა, გვერდის აქცევა, გვერდის ახვევა, გვერდის დამშვენება, გვერდში ამოდგომა, გვერდით ამოყენება, გვერდები დაეთვლება, გვერდების დაზელა, გვერდზე წამოწოლა, გვერდი არ აექცევა მაგის სიტყვას, გვერდით გავლა, გვერდულად გაღიმება, ეშმაკის შეჯდომა გვერდებში.*

* ნაკლებია ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მთავარი კომპონენტიცაა ხორცი: *ხორცი მადნება, ხორცის გლეჯა, ხორცის*

დაყრა, ხორცის შესხმა, ხორცი ხორცისაგან და ძვალი ძვალისაგან, ხორცის მიყოლა, ხორცში ჩავარდნა, ხორცში ჩაჯდომა.

* სიტყვა სული ქართულში გვხვდება უამრავ ფრაზეოლოგიზმში: *ერთი სული აქვს, სული განუტევა, სული და გული (ვინმეს, რამეს), სული ვერ დაბერა, სული კბილით უჭირავს, სული მისდის, სული უდგას, სული უკაწკაწებს, სულით დაცემა, სულის ამოთქმა, სულის ამორთმევა/ამოძრობა, სულის ამოხდა, სულის ამღვრევა, სულის გავარდნა, სულის გაკმენდა, სულის განაბვა, სულის გატვრენა, სულის გაფრთხობა, სულის გაცხება, სულის დაბერვა, სულის დამძიმება, სულის მიბარება, სულის მობრუნება, სულის მოთქმა, სულის მოპარვა, სულის სიღრმეში ჩაწვდომა, სულის სწორი, სულის ყელში მობჯენა, სულის შთაბერვა, სულის ჩადგმა, სულის წასვლა, სულმა წასძლია, სულს ებრძვის, სულს უხუთავს, სულს ღაფავს, სულში ჩაძვრენა, ეშმაკს სული მიჰყიდა, მიაბარა სული უფალს, მუჭში სული ჩაუბერა, თქვენი სული ჩემს ხელშია, მგლის სულის მოდენა, რა გინდა სულო და გულო, სანამ სული მიდგას, სულზე დადგომა, სულის ჩადგმა, სულზე მისწრება, სულთა ამოხდენა, სულთა ბრძოლა, სულთა გაყრა, სულთაგან დაცლა, სულთამდე ხელს მაწვდის, სულამდე მომდევს, სული გამვარდეს, სულის დალევა, სული მოიდგა, სული მოიპარა, სულის ამორთმევა, სულის ამოსვლა, სულის დაგირავება, სულის დაღება, სულის დაწვა, სულის დგმა, სულის მიტანება, სულის მიცემა, სულის მტერი, სულის ღება, სულის ცხონება, სულის წაღება, სულის ხუთვა, სული ტკბილია, სული მწარეა, სულის ფეხის ფრჩხილებში გაპარვა, სულის ყელში მობჯენა, სულის ყელში ამოსვლა, სული ძირს არ დაჰყვება, სული ხორცში აღარ ეტევა, სულს არ იშურებს ვისთვინმეს, სულის წაწყმედა, სულში ჩაკვრა (ვინმესი), სულში ჩასაძვრენი, სულისა და ხორცის გაყრა, ერთმანეთს სულს უბერავენ, შენთვის სული არა მშურს, შენი სულისა...*

ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მთავარი კომპონენტიც სულია, საშუალ ქართულშიც საკმაოდ ბევრია. ესენია: *სულით დაცემა, სულის მინდომა, სულის ჩადგმა, სულის ამოხუთვა, სულის გაწირვა, სულის წაღება, სულის ამოსვლა, სულის დაწყლუ-*

ლება, სულის დადება, სულად მოსვლა, სულად მოქცევა, სულის დაბმა. მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს კლასიკური ქართული ძეგლებიდან:

სიყვარულმან ჩემისაგან **სული წამიღო** (ვისრ. 262,15); მისი **სულის შერჩომისათვის** ღონეს ეძებდიან (რუსუდ.1,9); შენგან ჩადგმული სული რად **ამოხუთე** უშენოდ? (იქვე 154, 30); კინაღამ **სულიც არ ამომართვა** (რუსუდ. 448, 27); ნუთუ ჩემი შიში დაგივიწყებია, რომელ თავისგან **სული ამოვიღო** (ვისრ.116, 29); ნუთუ მოგეხვდეს ნახვა მისი, **სულთა სრულად ნუ დალეო** (ვტ.910, 4); ლაშქარი შიშისაგან ორად გაიყო და მრავალ დევს **სული ამოხდა** (ყარ. 626,34); მენიე და შენითა სიკეთითა **სულნი ჩამიდგენ** (ვისრ. 134. 8); ვუთხარი ჩემთვის ნუ ნაღვლობს, **ნუ დაეცემა** სულითა (თამარ.34,4); თქვენისა წადილისა ასრულებისათვის **სული ჩემი გავწირო** (ვისრ. 339.20); ასეთი მოუჭირა, რომ **სული შეუგუება** (ყარ. 199,10); ამათ **სული ედგმისთ** თუ არაო? (იქვე,43, 27); ხუთთავე ხელმწიფეთა თავად **სულნი** ღმერთსა **შეავედრნეს** (რუსუდ. 131, 2), მას ჩემთვის **სულნი არ შურდეს** (ვტ. 724, 3); არ გემუქფების სიცოცხლე, არცა **მოცემა სულისა** (იქვე, 1455,3); რა **სულად მოვე**, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა (იქვე, 341,3); ქალმან **სულად მოაქცია**, მკერდსა წყალი დააპკურა (იქვე, 319, 3); თავი და პირი დაბანა, ძლივ **სულად მოიყვანა** (რუსუდ. 58,36); კვლა აქა **სულსა დაუბამს**, დაუშლის აღმაფრენასა (ვტ.120, 4); მაწყინე და გამარისხე, ვერ **დავიღე** დიდხანს სული (იქვე, 805 ,3); მან არათ ღონითა **სული არ დაიღის** (ვისრ. 64, 25); ოდეს ეს სული **დაიღის**, ვეზირთა უბრძანა (რუსუდ. 518, 26); ამად **გვედრებ სულსა ჩემსა** (ვტ. 796, 2), ყოველთა **არმაღნად მიაქვს სულია** (შაჰნ. 41, 227).

საშუალ ქართულში გამოვლინდა თავისებური გამოთქმები: **სულის ამოხუთვა, სულის დაღება.**

სულად მოსვლა//სულად მოქცევა//სულად მოყვანა მოსულიერებას, მოცოცხლებას ნიშნავს. **სულ'კომპონენტიან** გამოთქმებს განვიხილავთ **სიკვდილის, შიშის** თუ **სიყვარულის** სემანტიკის ფრაზეოლოგიზმებში.

ლაზურში გვაქვს გამოთქმა ხვალა შური ოხოსქიდეს- მარტო სული შერჩათ: სულის მეტი რომ არაფერი შერჩება ადამიანს, რომელიც ცოცხლობს, მაგრამ გაჭირვებისგან სულს ძლივს ღაფავს, მაშინ შეიძლება ითქვას მსგავსი რამ. ასეთივე ვითარებაა სხვა ქართველურ ენა-კილოებში (ჯანჯღავა, 2015:275).

კლარჯული კილოს კუთვნილებაა **სულის გაწვრილება: მიწვრილდება სული** (კლარჯ.353) – ვწვალობ, ვიტანჯები.

მეტად საინტერესოა ვინმეზე სულის დაყრა: **ზოვლი უყუარდა ჩემი თავი, ჩემზე სულ მაყრიდენ** (იქვე, 298) – ძალიან ვუყვარდი, მივლიდნენ, მიფრთხილდებოდნენ.

* **კანი სულ** რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის კომპონენტია: *კანში ვერ ეტევა, შუბლზე კამეჩის კანი გადაიკრა, კანში ძვრება, თაჯის კანს უფრთხილდება.*

* ქართულში მრავლადაა ფრაზეოლოგიზმი, რომელთა კომპონენტიცაა **კბილ(ებ)ი**: *კბილის გასინჯვა, კბილის ჩასობა, კბილის დადგმა, კბილის მოკვეთა, კბილის მოჭრა, კბილები უკაწკაწებს, კბილებს ილესავს (ვინმეზე, რამეზე) კბილებს იმტვრევს, კბილებში ოფლი ადინა, კბილთა ღრჭენა, კბილებში გასცრა, თეთრი კბილის ჩვენება, კბილების დაკრეჭა, კბილების კრაჭუნი, კბილების ჩამტვრევა, კბილებს ამოგაძრობ, კბილებს იყრევინებს, კბილებში გაუჯდა, კბილის დაკარება რაზედმე, კბილის მოტეხა, კბილის ჩაკიდება, კბილი უჭრით, კბილნაკრეჭად ყოფნა, კბილს კბილზე აცემინებს, კბილქვეშ თქმა, კბილქვეშ მოტანა (ვინმეს), ირა კბილებსა ჰყრი, უკბილო ხუმრობა, უკბილოდ შეჭმა და უხელოდ დამტვრევა, შენი კბილებით შენი შვილები დაგაჭამო, ჩემი კბილის კაცი, ჩემს იმედებს კბილი მოეწრა, ცეცხლი გაშალა კბილებიდან, კბილების დათვლევინება, კბილებში ოფლის დენა.*

*არც თუ ისე ბევრია ფრაზეოლოგიზმი, რომელთა კომპონენტიცაა *კისერი: კისერზე დანოლა (ვისიმე, რისამე), კისერზე დაჯდომა, კისერზე მოხვევა (რისამე), კისერზე შეჯდომა, კისერზე ჩამოკიდება, კისერი მიუშვირა (რამეს), კისერიც მოუტეხია, კისრად აღება, დება, კისრის მოგრეხა, კისრის მოდრეკა, კისრის მოტეხა, კისრის მოჭრა, კისრის მოხრა, კინჩხი და*

კისერი უტეხია, კისერზე დადება ვალად, კისერზე ყოფნა, კისერი გაუსქელდა, კისერი მოსწყდა, კისერი შეუშვირა, კისრის მოფხანა, კისრის მოქექვა, კისრის მტვრევა// ტეხა, შენი ხმალი – ჩემი კისერი! შენმა კისერმა ზღოს, ცოდვის აღება კისერზედ, ძილმა კისერი მოსტეხა, წაუშვირა კისერი უღელს.

* კომპონენტი კუჭი შედის შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: *კუჭის ამოვსება, კუჭის მოფხანა, კუჭის შეჭკნობა, კუჭი უცხვება//უხმება// ეწვის შიმშილით, არც კუჭსა ხვდეს, არც სულსა...*

* განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები, რომელთა კომპონენტიცაა მუცელი: *მუცელზე ხოხვა, მუცლის გვრემა, ამოყორვა მუცლისა, დედის მუცლიდან გამოყოლა, მუცელი არ შეგვრჩა, მუცელი ორი ხელით გვეჭირა, მუცელს ბოძი შევუყენოთ, მუცელს გადაყოლა, მუცელს დედაბოძი მივცეთ, მუცელს ჩასტირის, მუცლის ჩამოცმა თავზე, მუცლის გალმერთება, მუცლის დარდი, რა ალაზანი ჩაგივარდა მუცელში?*

საინტერესოა კლარჯულ კილოში დადასტურებული მუცლის გამოცვლა – თაობის შეცვლა: ორი მუცელი გამოიცვალა – ორი თაობა შეიცვალა; სამი მუცელი გამეცვალოს'ნა, იმის მერე შეიძლება (დაქორწინება) (კლარჯ.1063).

* შედარებით ნაკლებია ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მთავარი კომპონენტიცაა *მუხლი: მგლის მუხლის გამობმა, მუხლი ერჩის, მუხლები მეკეცება, მუხლებში ქარის ამოღება, მუხლებში ჩავარდნა, მუხლებში ჩაწყდომა, მუხლებში ჩახვევა, მუხლებში წყლის ჩადგომა, მუხლზე კოცნა, მუხლზე მოხვევა, მუხლზე ხელის დაკვრა, მუხლი და მკლავი აღარ მომდევს, მუხლი მომდევს, მუხლის მოდრეკა, მუხლის მოყრა, მუხლმოდრეკილი თხოვნა, მუხლში ქარის ჩაჯდომა, მუხლების მოჭრა, მგლის მუხლის მობმა, მუხლის მოკვეთა, მუხლის ძარღვების ცვენა, მუხლის ძირას.*

*ნაღველი მაფრაზეოლოგიზებელი კომპონენტია შემდეგი ფრაზეოლოგიზმებისა: *მწარე ნაღველის გადასხმა, ნაღველის გასივება, ნაღველი აეშალა, ნაღველი აწევს, ნაღველი მოერია, ნაღვლის დალევინება, ნაღველას დასხმა ენაზე, ნაღველას*

დაქცევა, ნაღველას ჩაწურვა გულში, ნაღველის ჭამა, ნაღველმა დაიგდო, ნაღველ-ჭირის გადაყრა.

*კომპონენტი ნერვები შედის შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: *ნერვებზე თამაშობს, ნერვებზე მშლის, რკინის ნერვები, ნერვების ომი, ნერვული შეტევა (გაცოფება).*

*კომპონენტ სახისგან მიღებული ფრაზეოლოგიზმებია: *სახეზე ალმურის ასვლა, სახეზე ღრუბლის გადაფარება, სახის მოღუშვა, ზეთი ჩამოსდის სახეზე, სახე ჩამოსტირის, სახეზე გადაჰფენია, სახე ულიმის, სახე უცინის, მორღვეული სახე, მოღრუბლული სახე.*

* ქართულში შედარებით მეტია სომატური ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მთავარი კომპონენტიცაა *სისხლი: სისხლი სწყურია, სისხლი უდუღს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, სისხლის ამღვრევა, სისხლის აღება, სისხლის აჩქროლება, სისხლის გამოწოვა, სისხლის გაშრობა, სისხლის დალევა (ვინმეს), სისხლის თავში ავარდნა, სისხლის მოწოლა, სისხლის ტვინში ავარდნა, სისხლის ყელში მოსვლა, სისხლის ყელში მოწოლა, სისხლის ჩამოგდება, სისხლში ჩახრჩობა, სისხლში ხელის გასვრა, სისხლ-ხორცში გაჯდომა (რაიმეს), დანა რომ დაარტყა, სისხლი არ გამოუვა, მამასისხლად გაყიდვა, წმინდა სისხლის, ხანჯალი რომ დამცენ, წვეთი სისხლი არ გამვარდება, ხმლის განბანა მტრის სისხლით, სისხლის ყივილი, სისხლი თავისას იზამს, სისხლის მსმელი.*

*ტანი შედარებით ნაკლებად გვხვდება ფრაზეოლოგიზმის კომპონენტად: *ტანში ჟრუანტელის დავლა, ტანზე ეკლის ასხმა, ტანის აყრა.*

* დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას კომპონენტ ტვინის შესახებაც: *ტვინი აქვს ნაღრძობი, ტვინის ადუღება, ტვინის ამორთმევა, ტვინის ამოწოვა, ტვინის არევა, ტვინის გამოლაყება, ტვინის წაღება, ვირის ტვინის ჭმევა, ტვინის დანთხევა საქმეში.*

*ტუჩისგან მიღებული ფრაზეოლოგიზმებია: *ტუჩებზე დედის რძე//დედის ხსენი არ შეშრობია, ტუჩების აბზუება, ტუჩების აპრუწვა, ტუჩების მოკუმვა, სიტყვის ტუჩზე შეყინვა, ტუჩებზე დაკვდომა სიტყვებისა, ტუჩებზე თითის დაფარება, ტუჩზედ

კბენა, ტუჩის აკვრა, ტუჩის აბზუება, ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს, ტუჩი ტუჩს უკოცნის.

"ულვაში/წვერი შედის შემდეგ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში: *ულვაშების მოპარსვა, ფუი შენს ულვაშს, ეს ულვაში არა მქონდეს, ეს ულვაში არა მსხმია, ულვაში ნუ მსხია, ეს ულვაში ძაღლისა იყოს, ულვაშებში სიცილი, ულვაშზე ხელის გადასმა, ულვაში მრუდე მაქვსო, ულვაშის აწევა, ულვაშიც იმათ ესხათ და ნამუსის ქუდიც იმათ ეხურათ, ულვაშში ჩაფურთხება, წვერთა გლეჯა, წვერის დაყენება, წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა.*

ქართული ენის სამხრულ კილოებში, კერძოდ, ჩვენებურთა მეტყველებაში დასტურდება შერცხვენის გამომხატველი უნიკალური ფრაზეოლოგიზმები: **წვერი პირში ჩეიჩრა და წვერი პირში ჩეიდვა:** უდინგლა, უდინგლა და რომ არ დაწონდა, ჩეიდვა წვერი პირში და მოცოცხა (ჩვენებ.33); ბეგებმა ყველაფერი დეინახეს, ანონ-დანონეს, **წვერი პირში ჩეიჩარეს** და უთქმელი წევდნენ მეგერ (ჩვენებ. 108).

ჩვენებურთა მეტყველებაში შერცხვენის მნიშვნელობით გამოვლინდა **წვერის დაკარგვაც: წვერი დამაკარქვია** ამ ფოშის შვილმა, გეიბარგოს ინშალლაჰ (ჩვენებ.213).

„ულვაშის მოპარსვა, ფუი შენს ულვაშს, ეს ულვაში არა მქონდეს, ეს ულვაში არა მსხმია, ეს ულვაში ძაღლისა იყოს, ულვაშზე ხელის გადასმა, ულვაში მრუდე მაქვსო, ულვაშის აწევა, ულვაშიც იმათ ესხათ და ნამუსის ქუდიც იმათ ეხურათ, ულვაშში ჩაფურთხება– ეს იდიომები მხოლოდ ქართული კულტურისთვის არის დამახასიათებელი. ცნობილია, რომ **ულვაში ვაჟკაცობის** და სინდისის, ადამიანის ღირსების სიმბოლოდ აღიქმებოდა" (რუსაძე, ყიფიანი, 2011:119).

ყელისგან მიღებული ფრაზეოლოგიზმებია: *ყელზე დაადგება, ყელი უშოვა, ყელის გამოჭრა, ყელის გაშრობა, ყელში ამოსვლა, ყელში გვალვის ჩადგომა, ყელში დანის დაჭერა, დანის ყელთან მიბჯენა, ამაზე მეტი აღარა ჩავიდა ყელში, ბაწრის შებმა ყელზე, თოფის წაჭერა ყელში, საბელი ყელისა, უდანოდ ყელის გამოჭრა, ქვის შებმა ყელზე, ყელამდის გაძლო-*

ლა, ყელამდის ვალში ჩაფლობა, ყელამდის ოქროში ჯდომა, ყელამდის ფულის გავსება, ყელგამოწევით ხვეწნა, ყელზე თოკი აბია, ყელზე წნელის მობმა, ყელთამდე გავსება, ყელიდან ამოსდის, ყელის გადაგდება, ყელის გამოწევა, ყელის მოტეხა, ყელის მოღერება, ყელის ჩასველება, ყელმოტეხით თხოვნა, ყელზე არ დაადგება, ყელში არ ჩადის, ყელში ბაწრის მოჭერა, ყელში დანის გაყრა, ყელში წაჭერა, ყელში სწვდა, ყელის ჩაწმენდა, ყელში მოწოლა, ყელში გაჩხერა.

*ცხვირი ქართულში შედის შემდეგ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში: *ცხვირიდან ძმარი ადინა, ცხვირის აწევა, ცხვირის ჩამოშვება, ცხვირში ძმარი ჩააწურა, ცხირ-პირი გაუერთიანა, ცხვირ-პირის მტვრევა, ცხვირის აბზუება, ცას ცხვირის წვერით ვეკიდე, ცხვირზე დაჭდევა, ცხვირზე კევი დაიდე, ცხვირზევით აცილება//აცდენა, ცხვირით წყალს არ დავლევ, ცხვირით ხვნა მიწისა, ცხვირის აკვრა, ცხვირის აფშეკა, ცხვირი საცხვირეს ნუღარა მბია, თუ... ცხვირის მოწრა, ცხვირის წაყოფინება, ცხვირ-პირი ჩამოსტირის, ცხვირ-პირის ჩამოშვება, ცხვირში ამოკვრა, ცხვირში დგომა, ცხვირში მოხვედრება, ცხვირწინ, ძმარს მაწურავს ცხვირში, ცხვირის ჩაყოფა სხვის საქმეებში, ცხვირზე დადება.*

მეტად საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი ცხვირი პირიდან არ იჭრება –ნათესავები არიან, გინდ იჩხუბონ, მაინც ერთი არიან.

*ცრემლისგან ქართულში მიღებულია შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: *ცრემლად დაღვრა, ცრემლიანი მკვდარი, ცრემლით ბანა პირისა, ცრემლის მორევა, ცრემლის მოწმენდა, ცრემლის გადაყრა, ცრემლის დაღვრა, ცრემლის შეშრობა, ცრემლი ჩამორეცხავს, ცხარე ცრემლით ტირილი, ხვითქის ცრემლები, ჯოჯოხეთის ცრემლი, ნიანგის ცრემლები.*

*ხმა შედის შემდეგ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში: *ხმების დაფენა, ხმების გავრცელება, ხმის ამაღლება, ხმის ამოღება, ხმა აქვს გავარდნილი, ხმის გავარდნა, ხმის დაგდება,*

ხმის დარხევა, ხმის დაყრა, დაშაქვრა ხმისა, მაღალი ხმა, ხმას არ სცემს, ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ქართულში ბევრია ფრაზეოლოგიზმი, რომელთა შემადგენლობაშია *ჭკუა*: *ჭკუაში დაჯდომა, ჭკუაში მოსვლა, ჭკუის დანაყვა, ჭკუის კოლოფი, ჭკუის წაღება, გონების ამღრვევა, გონების დაკარგვა, ჭკუის დაკარგვა, გონს მოგება, გონს მოსვლა, გუნებაში გავლება, გუნებაში დაჯდომა, გუნებაში მოსვლა, გუნების განათლება, გონების მრუშობა, გონების ქროლა, დამჯდარი ჭკუა, მოხვედი ჭკუაზე? მხიარული ჭკუისა, რა ჭკუა აქვს, რა ჭკუა დაუშლის? შენი წონა ჭკუა ნეკნში აქვს, შენი ჭკუისაგან არც კი გამიკვირდება, ჭკუაში ჩავარდნა, ჭკუისა სჭირს, ჭკუის მომკა, ჭკუის წასვლა, ჭკუა არ ეკითხება, ჭკუა ააფრინე, ჭკუაზედ თხლად ყოფნა, ჭკვასთან ახლოა, ჭკუას გასწავლიო! ჭკუას დავუხმე, ჭკუასთან მწყრალადაა, ჭკუას რომ არიგებდნენ, შენ მაშინ სად იყავი? ჭკუის შემოწყრომა, ჭკუას ძალას ატანს, ჭკუა უჭრის, ჭკუაში მოსვლა, ჭკუაში მოსასვლელი, ჭკუაში ჩახდომა, ჭკუისა მომხვდა, ჭკუის გამოლევა, ჭკუის გლახა, ჭკუის მოპარვა, ჭკუის მტერი, ჭკუის პატრონი, ჭკუის სნავლება.*

საკვლევია ზემოდასახელებულ ცალკეულ სომატიზმს რა სემანტიკის გადმოცემა შეუძლია ფრაზეოლოგიზმებში. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მასალები სრულყოფილად შეგროვდება როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში, სხვადასხვა დისკურსში.

ჯერჯერობით იკვეთება ასეთი სურათი: არსებობს ზოგადი შეხედულება, რომ სომატიზმები უნივერსალურია, ყველა ენაში გვხვდება მსგავსი ფრაზეოლოგიზმები და ისინი ნაკლებად გამოხატავს ეროვნულ სპეციფიკას.

მიუხედავად ამისა, მკვლევრები ცალკეული სომატიზმის შესწავლის შემდეგ მიდიან დასკვნამდე, რომ ,,ზოგიერთი სომატური კომპონენტი კონკრეტულად ასახავს ერის კულტურისთვის დამახასიათებელ ნორმებსა და წეს-ჩვეულებებს“ (რუსაძე, ყიფიანი, 2011:119).

ქართულში ამგვარ სომატზიმებად გვესახება **გული, სული, ულვაში** და ა.შ.

ამრიგად, ქართულის კლასიკურ ძეგლებში ჩვენ მიერ მოპოვებული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურული ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს: მაფრაზეოლოგიზებელ კომპონენტთაგან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს არსებით სახელ **გულ'ს**, შემდეგ მოდის **თვალი, სული, პირი, ხელი** და ა. შ. საკვლევია თითოეული კომპონენტი რა სემანტიკის გამოხატვას ემსახურება და როგორ აყალიბებს სამყაროს ქართული ენობრივი სურათის თავისებურებებს.

II. 2. ზოონიმური ფრაზეოლოგიზმები

ქართულში ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილის ღერძული სიტყვა **ცხოველის, ფრინველის ან ქვეწარმავლის სახელია.** აქ იკვეთება სახე-სიმბოლოები: **ვირი, მგელი, მამალი, კატა, ძაღლი, არწივი** და ა.შ.

ა) ცხოველების სახელთაგან სიტყვა **ვირი** ფართოდ გამოიყენება ქართულ ფრაზეოლოგიაში და შრომისმოყვარეობის ან სიჯიუტის სიმბოლოა. გვაქვს **ვირზე შეჯდომა, ვირივით მუშაობა, ვირივით ცემა, ვირზე შესმა, ჯორის კუდივით არც გრძელდება, არც მოკლდება, ვირის კუდით დაბმა, ჩვენი ვირი თქვენს სანაცრეზე გაგორებულა, ვირის აბანო** და ა.შ.

ვირი შინაურ ცხოველთაგან ყველაზე გამძლეა მუშაობაში, ითმენს შიმშილსაც, სწორედ ამიტომ ბოროტად იყენებდნენ მის ამ თვისებებს და კარგავდენ მის მიმართ ყოველგვარ სიბრალულისა და სამართლიანობის გრძნობას.

პატარა დემეტრეს სულ ცეცხლის ალში ატარებდნენ... საცოდავს **ვირივით ამუშავებდნენ** და **ვირივით სცემდნენ** (ს. მგალობ.).

ვირი ჯიუტი ცხოველია და გაჯიუტებაც **ვირზე შეჯდომასთან** ასოცირდება. სამხრულ მეტყველებაში ის ასე გადმოიცემა: **გაკნაწულ ვირზე ჯდომა** (აჭარ.), ცხენიდან ჩამოსვლა და **ვირზე შეჯდომა** (მაწახ.) (ნიჟარაძე, 1975: 124), **ვირის ინათზე ჯდომა** (ინ.).

ვირზე შესმა სრულიად განსხვავებული სემანტიკისაა. ძველად საქართველოში, დამნაშავეს, ვირზე პირუკუღმა შესვამდნენ, ვირის კუდს ხელში დააწერინებდნენ და მთელ სოფელს შემოატარებდნენ. მას ქალი, კაცი, დიდი, პატარა თავზე ლაფს ასხამდა, თვალში აფურთხებდა. **ვირზე შესმა// ვირზე უკუღმა შესმა ლინგვოკულ-ტურემებია.** „ნარდონმა“რუსთაველი განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში, განა მარტო ამის გამო **შესვა ვირზედ?** (ილია); თავს ლაფი გადამდიოდეს, **უკუღმა ვიჯდე ვირზედა** (შიო მღვიმელი).

როცა უნდათ თქვან, დავაზარალოთ ვინმეო, იტყვიან, – **ვირი აუგოროთო** (საუბ.). (ვირს ძალიან უყვარს გორვა მიწაზე). „ვაითუ, ღმერთი გაუწყრეს, წამოუაროს რამემა და სულ ერთიან გააოხროს ყანები, **ვირი ააგორესო**, რო იტყვიან, ის დამართოს“ (ს.მგალობ.).

ვირის აბანო – ეს თქმა ირონიული ხასიათისაა, დაცინვით იგულისხმება სატუსაღო ანუ ადგილი, სადაც კაცს არ დაედგომება: „მშიერ-მწყურვალთა სიკვდილისაგან გადასარჩენად ერთი ლუკმა პური რომ მოიპარო, **ვირის აბანოში** გიკვრენ თავს“ (ილია).

ვინმეს ულამაზობას თუ უნდათ გაუსვან ხაზი, იტყვიან, **ვირის თავ-ფეხია, ვირის თავ-ფეხს ჰგავსო** (საუბ.). ეს გამოთქმა დისფემისტურია. ამ გამოთქმას იყენებენ ვინმეს გაწბილების გამოსახატავადაც: – ჰუზურში რა მოვიგე? **ვირის თავ-ფეხი** (ი.ევდ.).

ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონში“ გვხვდება ერთი მეტად საინტერესო ფრაზეოლოგიზმი: **ვირის დაბმა ბაგაზე:** ეგრე იყოს, როგორც შენ ამბობ, უარს არ ვიტყვი მაგაზე, ოღომც **დააბას** ჩვენმა ჯარმა თათრები **ვირის ბაგაზე** (ვაჟა).

ვირი საყუდარზე მიაბა//ვირი დააბა ბაგაზე,–ამ გამოთქმებში იგულისხმება ტყუილში გამოწერა, გამტყუნება, ვირთან გატოლება: ბევრი იუარა შენმა მეგობარმა, მაგრამ ბოლოს მაინც გამტყუნდა და **გამოაბეს ვირის კუდზე.**

ჯორის დაბმა შიმშილის მოკვლაა (ნოღაიდელი, 2013: 73).

თუ ვინმეს საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება სურს, იტყვის,– **ვის რა ვირი მოვპარეო (ვის რა დავუშავე?)** (შდრ.: **ვის რა გველი შევუწვი?**).

ლაფში ჩაფლული და, ისიც, ტვირთიანი, **ვირის ტალახიდან ამოყვანა** კეთილი საქმეა, ეს შედარებულია **გაჭირვებული კაცისთვის ხელის გაწოდებასთან,** მის შველა-დახმარებასთან: და მოდი შენა და **ვირი ტალახიდან ამოიყვანე** (ი.მაჭავ.).

როგორც ცნობილია, **ვირი** პირუტყვებში ყველაზე უჭკუო ცხოველია. ხალხის რწმენით, ცხოველის სხეულის ამა თუ იმ ორგანოს წამით ადამიანში გადმოდის ცხოველის დადებითი და უარყოფითი თვისებები. ჩემო კარგო, გეტყობა, **ვირის ტვინი უჭმევიათ** შენთვის, ჭკუის ნატამალი არ შეგრჩენია (ე.ი. ვინც ვირის ტვინს შეწამს, იგი ითვისებს ვირის უჭკუობას, სიბრიყვეს).

–ვირის ქეჩი ხომ არ გაკრავს? (საუბ.) ეტყვიან უგრძნობ ადამიანს, რომელიც ფიზიკურ დარტყმას, ცემას ვერ გრძნობს.

ფრაზემა **ვირის კუდით დაბმა** საქმის უკულმა კეთებას ნიშნავს.

გამოთქმა **ჩვენი ვირი თქვენს სანაცრეზე გაგორებულა (შდრ.: ჩვენს მამალს იმათ ეზოზე გადაუვლია)** დაცინვაა, რომელიც გამორიცხავს დაცინვის ობიექტებს შორის რაიმე სახის ნათესაურ კავშირს.

–ვირს ბოგაზე ააჭიხვინებს, იტყვიან იმ ადამიანზე, რომელიც გასაოცარ საქმეს გააკეთებს (ნოღაიდელი, 2013: 73).

საინტერესოა მეგრულ-ლაზურის მონაცემები: **ვირიშ გეხუნა** ნიშნავს სირ-ცხვილში, უხერხულობაში ყოფნას (ზედმიწევნით **ვირზე შეჯდომა**). მეგრულში ასევე გამოიყენება **ჯორიშ გეხუნა,** რომელსაც აქვს გაჯიუტების მნიშვნელობაც (მითაგვარია, გიგლემიანი, 2015:76).

მგელი სიტყვა-კონცეპტია ქართულში. გვაქვს უამრავი გამოთქმა: **მგლის ყურის გამობმა, მგლის სულის მოდენა, მგლის კოჭის დაწვა, სამგლე გოჭივით ატყდომა, მგლის მუხლის შებმა, მგლის თვალზე ნახვა, მიწის მგელი...**

მგლის ქონის მოცხება მოჯადოება, გრძნობათა შეკვრაა, ადამიანის სახის მაგიერ მგლის სახის მიცემა ვინმესთვის. **მგ-**

ლის ქონი თუ მოსცხეს საწყალ ვაჟკაცს, რომ ცუდი თვალით ეჩვენება იგი სამძივარს (ვ. ბარნ.).

მუქარას შეიცავს გამოთქმა **მგლის კოჭის დაწვა**, რომლის მიხედვით ქურდი ისევე განადგურდებოდა, როგორც მგლის კოჭი. მაგ.: ეხლავ **მგლის კოჭს დავსწვამ** (ალ. ცაგარ.).

სამგლე გოჭივით ატყდომა ნიშნავს განსაცდელისთვის პირში ჩავარდნას, თავის ხიფათში ჩაგდებას, გაუფრთხილებლობას: სჯობია, **სამგლე გოჭივით ნუ ავტყდებით**, თორემა...(მ. ჯავახ.).

ან კიდევ: „რამდენი ვილაპარაკეთ, იმან **მგლის ყური გამოიბა**, თითქო მას არც კი ელაპარაკებიანო. ეს გამოთქმა უკავშირდება მგელის უნარს, განგებ წაუყრუოს ძაღლის ყეფას და გაიტყუოს ტყეში.

გვხვდება ფრაზეოლოგიზმი **მგლის მუხლის შებმაც**: ეგ რომ დაინახა კობემა, **მუხლი შეიბა მგლისაო** (ს. მაკალ.). ეს გამოთქმა უკავშირდება მგლის სწრაფი სირბილის უნარს.

მგლის სულის მოდენა ხიფათის წინასწარ შეგრძნობაა: „დამაცა ბებერო, **მოგედინა მგლის სული** განა? –ამბობდა პირღია დარჩომილი გიტო“ (ილია).

მგლისა და ყორნის ლუკმა უპატრონოდ დასაკარგია: „მე მაინც **მგლისა და ყორნის ლუკმადა** ვარ გაჩენილი“ (ილია).

საინტერესოა გამოთქმა **მგლის თვალზე ნახვა** (ბოროტების გამოხატვა, ავი თვალით ყურება): რა ვიცი, **მგლის თვალზედ კი ნახა** კაცი და ვერ გამიგია რადაო, –ბოროტიაო! (ვ. ბარნ.).

არსებობს გამოთქმა **მიწის მგელიც** (მოულოდნელად მოვლენილი). ხატოვნად იტყვიან კაცზე, როცა მოულოდნელად რაიმე ცუდი შეემთხვევა: ცეცო **მიწის მგელსავით** გაუჩნდა თამროს, მივიდა და წყაროს პირს ჩამოუჯდა (ს.მგალობ.).

მეგრულში გვაქვს იდიომი **გერიშ გემახვენჯი (მგელზე მჯდომი)**, რომელიც ისეთი ვაჟკაცობით, გაბედულებით გამორჩეული ადამიანის (მეტწილად ქალის) მიმართ გამოიყენება (შენგელია, 2013: 66).

სახარებისეული გამოთქმა **მგელი ცხვრის ტყავში** მიემართება პირმოთნე, ფარისეველ ადამიანს.

ხარი შედის შემდეგი ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში: **ჭრელი ხარის ამბავი** (მაჭანკლობა), **ხარივით სვამს (ბევრს სვამს), წინახარები არ ამიშვა, აი!.** (ვერაფერს დამაკლებ!). უსირცხვილო ადამიანზე ქართველი იტყვის, **შუბლზე ხარის ან კამეჩის ტყავი აქვს გადაკრულიო.**

გამოშვებული ხარივითაა – ის, ჩემო ძმაო, **გამოშვებული ხარივითაა,** აუღია თავი და დადის, სხვათა გაჭირვება არა ადარდებს.

ზოონიმები შედის ბიბლეიზმებშიც: **განტევების ვაცი** (სხვისი ბრალის მტვირთველი), **მამა აბრამის ბატკანი,** რომელიც ხშირად ირონიული მნიშვნელობით გამოიყენება: ეგონა, მისი რძალი **მამა აბრამის ბატკანი** იყო, მარა ქი გამოუფცქვნა წარბები, ვიცოდი მაგი რა მამა აბრამის ბატკანიც იყო და იმიტომ არ ვენდე (დსკი)(ხაჭაპურიძე, ლომთაძე, 2006: 308).

ზოონიმური ფრაზეოლოგიზმია და, ამასთან, ლოგოეპისტემაც **ცხვარი ფეხზე ჰყავს მოკიდებული**– მალე მოკვდება და მის ქელეხში ცხვარი დაიკვლება.

ღორის ქონით მოქნა ყბებისა ბევრ ლაპარაკს, ყბების დაუყენებლივ ლაქლაქს ნიშნავს: მაგ დედაკაცს **ღორის ქონით გაქვს ყბები მოქნილი** (საუბ.).

ღორის თავი იხარშება (ღეჭიში თი იგიბენ) აურზაურია (მემიშიში, 2015:153).

დათვთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **დათვის შუბლი, შენ ჩემი ბიძაშვილი ხარ თუ დათვის? დათვურ სამსახურს უწევს, ჭიანჭველანაჭამი დათვივით ბუტბუტი** გამწარებული, გაანჩხლებული ლაპარაკია (დ. მაჩხ.).

აჭარულ დიალექტში გავრცელებულია გამოთქმა: **ტურის ხმა აქ გაგონილი** (საუბ.)– სქესობრივად მომწიფებულია (ნიჟარაძე, 1971: 332).

ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტია **ძაღლიც: ძაღლის ფეხი გამოიბა** (ბევრს დადის), **ძაღლის ფეხის მომჭმელი, ეს ულვაში ძაღლისა იყოს, ძაღლივით ეპყრობა – არაფრად აგდებს, ცუდად ექცევა, ეს ულვაში ძაღლისა იყოს, ძაღლივით ერთგული, ძაღლ-**

ის ხორცი გამოიბა (შეუბრალებელი გახდა); **ძაღლის ფეხის მომჭმელი** (ავაზაკი).

რა **ძაღლის ფეხი გამოიბი,**– ეტყვიან ადამიანს, რომელიც ბევრს დადის. ცნობილია, რომ ძაღლს უყვარს აქეთ-იქით სიარული საკბილოს საპოვნელად. „სწორედ ასეთ ძაღლს ადარებენ ადამიანს, ვინც ბევრს დადის, რისამე საშოვნად და ბოლოს მაინც ხელცარიელი ბრუნდება შინ. ასეთი კაცი თავის თავსაც უსაყვედურებს **რა ძაღლის ფეხი შევჭამე დღესა,** ანუ ძაღლივით ვიტანტალე ტყუილადო“ (სახოკია, 1979: 836).

ძაღლს ვაჭმევ ჩემს ხორცს და შენ კი არ შეგარჩენ ჩემ დამცირებას, – ეს თქმა მტკიცე მუქარაა. მუქარასვე შეიცავს გამოთქმა **სხვის გულზე ძაღლის დაპურება: ისე გაგიხდი საქმეს, რომ შენს გულზე ძაღლი დავაპურო** (სახოკია, 1979:835).

ქართულში არსებობს ძაღლთან დაკავშირებული სხვა გამოთქმებიც: **როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯავრებოდა** –ძალიან ეჯავრებოდა: დათოს, როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯავრებოდა გიტო (ილია).

განუკითხაობის და უმოწყალობის გამომხატველია გამოთქმაა **ძაღლი პატრონს ვერ იცნობს:** აქ აღვირის მოშვება და სადავეს მოდება კარის გარებაა იმ ერთგვარი უწმინდურებისათვის, რომელსაც შანტაჟს ეძახიან, **ძაღლი ვეღარ იცნობს პატრონს** (ვაჟა).

დისფემისტურია გამოთქმა **ძაღლის ნათრევი** (უშნო, უწმინდური, შელახული).–რაო, რისთვის მოეთრიე შე **ძაღლის ნათრევო** (ილია).

ლიტოტესია **ძაღლადაც არავინ თვლის:** აი, სამი თვეა აქ ვარ და **ძაღლადაც არავინ მახსენა** (ნ. ბარათაშვილი).

ცუდ ამინდში იტყვიან, **ძაღლი არ გაიგდება გარეთო: ძაღლი არ გაიგდება გარეთაო,** სწორედ ისეთი დრო იყო (ვაჟა).

ადრე ადგომის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმია **ძაღლის ალიონზე ადგომა,** ცუდ ხასიათზე ყოფნისა – **ძაღლის გუნებაზე ყოფნა.**

სიტყვა **ძაღლთან** დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმთა უმეტესობა ქართულ ენაში უარყოფითი კონოტაციისაა, გამ-

ონაკლისია ძაღლის ბედი აქვს – **ბედნიერია, ყველაფერში უმართლებს.**

კატასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **კატა მოუკვდება ხელში, პირკატა ეცა,** მის **ოჯახში კატაც ვერ გაძღება** (ღარიბია), **არ უჭამა კატამ ნიორი** (თავისი უერ გაიტანა, დამარცხდა), **სულკატიანი, სულის აკატება, კატა მიაკვდა სულში** (საძაგებელი გამოთქმებია), **კატის ჭკუის** (უჭკურო). მაჭახლურ მეტყველებაში მ. შაჰინმა დაადასტურა **კატა არ მიიცემება** (ღარიბია).

სულკატიანი, სულის აკატება, სულში კატის მიკვდომა უარყოფით კონოტაციას შეიცავს. ძაღლი და კატა უწმინდურ ცხოველებად ითვლებოდა: მათ ხორცს ადამიანი არ ჭამს და არც შესაწირავად გამოიყენებოდა. ისინი ძირითადად სალანძღავ ან წყევლის ფორმულებში გვხვდება. ამ გამოთქმათა საფუძველი ანიმალისტური უნდა იყოს.

გველთან დაკავშირებული **ფრაზეოლოგიზმებია: ვის რა გველი შევუწვი?** (ვის რა დავუშავე?), **მიწაში გველს მოკლავს// მიწაში გველს დაწამლავს** (მწარე ენა აქვს, თავდას-ხმის ობიექტს ენით ანადგურებს).

თაგვთან დაკავშირებულია: **თაგვივით გაძვრება** (ეშმაკია), **თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს** (პატარაა, ვიწროა, გაუვალია), **ჯიბეში თაგვები უთამაშებენ** (ღარიბია) და ა.შ.

ჯიბეში თაგვები თამაშობენ, ფული არა აქვს იმდენი, ისაუზმოს, ასე უცბად ნაცნობიც არავინ შეხვდება საუზმეზე დაჰპატიჟოს (ვაჟა); უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ **შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა** (თ. რაზიკაშვილი).

მეტად საინტერესოა ლაზური ფრაზეოლოგიზმი **–ჯიბეში თაგვი ჰყავს ჩამკვდარი** (ჯიბეშა ჭუკი აფუ ალაღურელი ღარიბია (შენგელია, 2013: 66).

ბ) ფრინველების სახელები

ფრაზეოლოგიზმების საკვანძო **სიტყვებად** გვხვდება ფრინველთა სახელებიც:

ქათამთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **ქათმის თავის ნახარშია, ქათმის ნახარშის ნახარშია, შავი ქათამივით გაკეთდა//გასუქდა, თითქო ქათამს უვლია ზედ, ქათამს ასწრებს დაძინებას, ქათამივით ძილი იცის.**

ქათმის ნაჩხრეკი//თითქო ქათამს უვლია – ასე ახასიათებენ ქართულში უშნოდ, გაურკვეველად დაწერილს: იმის ნაწერის კითხვაში ადამიანი დაიტანჯება, **თითქო ქათამს უვლია.**

ქართულში გვაქვს გამოთქმა **შავი დედალივით გასუქდა,** მეგრულ-ლაზურში გვაქვს **შავი ქათამივით აშენდა:** უჩა ქოთომცალუ გეკეთ –გამდიდრება, შოვნა, შეძენა (გულუა, 2004: 31).

როგორც კრუხი წიწილას, ისე დასტრიალებდა – ზრუნავდა, უფრთხილდებოდა: მაშინვე მივხვდი, რაღაც ამბავია, როგორც კრუხი წიწილას, ისე დასტრიალებდა (ილია).

კრუხის თავი უჭამია – ბევრი, დაუსრულებელი ლაპარაკი იცის: კრუხი როცა წიწილებს ზრდის, მუდმივად უხმობს, კრიახებს, რომ მტერი დააფრთხოს და წიწილებს არაფერი დაუშავდეს. **კრუხის თავის შეჭმა უკავშირდება** ცრურწმენას, თითქოს ის ადამიანს აალაპარაკებს. ეს საერთოქართველური ფრაზეოლოგიზმია: **მოჭვაშ დუდი აფუ ნაჭკომა** და განსხვავებული სემანტიკისაა და ნიშნავს ცუდ ხასიათზე ყოფნას: ჩეერცხი, **მოჭვაშ დუდი ოკო აფუდას ნაჭკომა.**

მეგრულ-ლაზურში თუ სურთ ქალიშვილის საქმის ერთგულება, ბოლომდე მიყვანა, მონდომება გადმოგვცენ, იტყვიან, მოჭვაცალი ძღაბია, **კრუხივით ქალიშვილიაო** (გულუა, 2004: 30).

მამალი თავმომწონე, ჩხუბისმოყვარული, ქედმაღალი ფრინველია. ამ სიტყვა-კონცეპტთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **მარტის მამალი, მამალივით იბღინძება (მედიდურობს), ჩვენს მამალს იმათ ეზოზე გადაუვლია.**

ინდაურივით იფხორება//იბღინძება– გაბრაზებულია.

მამლის ბოლო უნდობი ადამიანის მეტაფორაა: შენისთანა მამლის ბოლო კაცს სახლის კარებამდე ვერ ენდობა ადამიანი.

მოხერხებულობა ლაზურში ასე გადმოიცემა: **მამულისთი გჲოს ქვაფაფს-** მამალსაც კვერცხს დაადებინებს (გულუა, 2004: 32).

ჩიტს უკავშირდება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **ჩიტის წონა აქვს** (მსუბუქია), ჩიტის გული აქვს (მშიშარაა), **კარგი ჩიტი დაიჭირა** (ირონ.) (შდრ: კვერნა დაიჭირა), გამფრინვალე ჩიტს იჭერს (მოხერხებულია).

ლაზურში გვაქვს გამოთქმა: ჩიტიქ გიოჭურჭულუ – **ჩიტმა დააწიკწიკა** (საწუხარი რამ, სიძნელე, წინააღმდეგობა) (გულუა, 2004: 30).

არასერიოზულობა, თავაშვება, სისულელების თქმა ოფოფს უკავშირდება: **ოფოფების აფრენაა: ოფოფეფი ურქენს:** ოფოფები უქრის. ქააფურინი ექ ხოლო ასე ოფოფეფი (იქვე).

,,ყველას საქმეში ცხვირსა ჰყოფს,თავში კი იმოდენი **მწყერი და ოფოფი ჰყავს,** ნამდვილი საქათმე გეგონებათ (ზ. ბურჭ.).

კოდალას ენა ჭამა– ბევრს ლაპარაკობს, **ენად არის გაკრეფილი.** ძველი რწმენით, თუ პატარას კოდალას ენა აჭამეს, ენასაც ამოიდგამს და საუცხოო მოლაპარაკეც იქნება. ლაპარაკობს, არ შეუძლია გაჩერება.

ტოროლა ჩიტივით დარჩა– მარტო, უამხანაგოდ დარჩა: ,,და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი ამხანაგებიცა სწავლასა მრავალნი სწავლასაცა და წუთისოფელსაცა და დავრჩით ტოროლა ჩიტივით მინდორში" (ილია).

ყვავთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **ბებერი ყვავის ტოლა//ყვავის ხნის -ხანდაზმული, ღრმად მოხუცი...ყვავის დაჩხავლება თავზე** ცუდის ნიშანია.

თუ ნაცნობები ერთმანეთის ახლო ნათესავები არ არიან, იტყვიან, **ყვავი ბუის მამიდა, ყვავი ჩხიკვის მამიდააო.**

ბზობის ყვავივით გაქრა – უცებ გაქრა: ,,იგრიალა ხალხმა და მიიწია სოსიკასკენ, რომელიც **ბზობის ყვავივით** სადღაც გაქრა" (ს. მგალობ.). თ. სახოკია წერს: ,,ყვავები ზამთარში სოფელს არ შორდებიან, აღდგომის წინა კვირას კი აიყრებიან სოფლიდან და ტყეს მიაშურებენ, სადაც სარჩო საკმაო აქვთ. ამის შემდეგ ყვავს სოფელში იშვიათად ხედავენ"(სახოკია, 1979:56).

ბიბლიური გამოთქმა **ნოეს მტრედი** (იმედის. მომცემი// სასიხარულო ამბის მომტანი) უკავშირდება წარღვნის ისტორიას. წარღვნის შემდეგ ნოემ მტრედი გაუშვა კიდობნიდან, რო-

მელმაც უკან ზეთისხილის რტო მიუტანა. ეს იყო ორმოცდღიანი წვიმის შეწყვეტის ნიშანი. შეინიშნება, რომ ამ გამოთქმას ძირითადად ირონიულად იყენებენ: მყავს ეგეც **ნოეს მტრედი,** მაგის კეთილი სიტყვით რომ ტყუვდები, ვერ ხვდები (დსკი) (იქვე, 309).

ქართულში გვაქვს **ბუზთან** დაკავშირებული რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი: **შუბლზე მამალ ბუზსაც არ ისვამს** (ამაყია), **ბუზი არ ამიფრინო!** (ვერაფერს დამაკლებ) **ბუზს არ აიფრენს// ააფრენს** (ზარმაცია), **ბუზსაც კი ვერავინ აგიფრენს!** (ვერაფერს დაგაკლებენ); **თითქო ბუზი არ აფრენია** (ხალხს თამამად და შეუპოვრად ენახვება, არ იმჩნევს მარცხს, უსიამოვნებას).

ან კიდევ: განსაცდელში ჩამაგდეს, ის დამახარჯვინეს, რაც ბანკს არ მოუცია და სწორედ რომ **ბუზებიც კი დამახვიეს თავზე** (აკაკი), ის მღვდელი შუაში იდგა, **ხალხი ბუზივით ირეოდა** იმის გარშემო (ილია).

მეტად საინტერესოა გამოთქმა **ბუზს არ ავიფრენთ,** რომელიც **სიზარმაცეს** ნიშნავს: პური რომ გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოვობთ, ღვინო როცა გვაკლია - ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ არ გგვაცვია-იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯოთ არა გვაქვს, **ბუზსაც არ ავიფრენთ,** ხელსაც არ გავანძრავთ (ილია).

აქვე უნდა დავასახელოთ აჭარული დიალექტის **ბზიკის ბუდე**–ანჩხლი, ფიცხი, ცხარე (ნიჟარაძე, 1971: 32).

ასევე ფრინველებს უკავშირდება ფრაზეოლოგიზმები: **მაჰმადის მტრედივით ყურში ჩამძახის, მერცხალივით გოგოა, არწივის მზერა აქვს.**

ანიმალისტურ ფრაზეოლოგიზმთა კვლევა შექმნის მათი კულტურათა დიალოგის კუთხით შესწავლის საფუძველს, რადგან ის უშუალოდ უკავშირდება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებსა და კონცეპტებს და ყოველი ხალხისთვის ინდივიდუალურია.

გ) კინეტიკური ფრაზეოლოგიზმები

კინეტიკური ეწოდება **ისეთ ფრაზეოლოგიზმებს,** რომლებშიც აღწერილია ჟესტები, შინაგანი ორგანოებისა და სხ-

ეულის ნაწილების რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე, ასევე თვალების გამომეტყველება და ა.შ.

„სამყაროში მომხდარი ყველა მოვლენა შეიძლება სიტყვიერად გადმოიცეს, ამიტომ ვითვალისწინებთ ფრაზეოლოგიზაციის განვლილ პროცესს, ვერბალიზებულ ჟესტებს და შინაგანი ორგანოების რეაქციებს გარე გამღიზიანებლებზე“ (Черданцева, 1988:86).

ამგვარი ფრაზეოლოგიზმები ქართულსა და ფრანგულში შეისწავლა ნ. სურგულაძემ და გამოავლინა, რომ „ქართულში, ფრანგულისაგან განსხვავებით, „კინეტიკური ფრაზეოლოგია“ წარმოდგენილია მხოლოდ ჟესტების საფუძველზე მოტივირებული იდიომებით, რომელთა ბირთვს **კუდი** წარმოადგენს და აღნიშნავს სხვადასხვა ხასიათის მოქმედებას: **კუდის ქნევა** (ალერსი, მოფერება, გაიძვერობა და თვალთმაქცობა), **კუდის მოქნევა** (ცუდი, არასასიამოვნო საქმის ჩადენა, დამორჩილება), **კუდში ხელის წავლება** (დაწერა და დაუფლება), **კუდით ქვა ასროლინა** (ძალზე შეაშინა, გააქცია), **კუდი ეწვის** (მოუსვენრადაა), **კუდზე ფეხი არ დამადგა** (ვერას დამაკლებ), **კუდი ვერ ამიწევია** (მეტად ბებერი ვარ, დავსუსტდი, ძალ-ღონე გამომელია), **ბეწვის აშლა** (გაბრაზება, ან არასასიამოვნო ამბის გაგება), **ზურგზე ტყავის აძრობა** (ფიზიკური ანგარიშსწორება), **ტყავი გაჭიმა//ფეხი გაჭიმა** (ფიზიკური მდგომარეობა), **კლანჭი გამოკრა** (წართმევა, მოტაცება და ხელში ჩაგდება), **თითზე შეწვა ქათმისა** (თავდაუზოგაობა), **კუდის აწევა** (დასუსტებული, დავრდომილი ადამიანისთვის დახმარება) (სურგულაძე, 2016:204).

ანიმალური სომატიზმები თავისი შინაგანი ფორმით თითქოს აფიქსირებს „სცენებს“ ცხოველთა ცხოვრებიდან, რომლებშიც გარკვეული შინაგანი მდგომარეობა გამოიხატება ცხოველის პოზით (სურგულაძე, 2003: 6).

შეინიშნება, რომ „ქართულ ენაში კინეტიკური და სომატიზმებით (**კუდი, ბეწვი, კლანჭი და ტყავი**) მოტივირებული იდიომები უფრო უარყოფით კონოტაციას გამოხატავენ, ვიდრე – დადებითს“ (სურგულაძე, 2016:204).

აქვე უნდა დავასახელოთ **კუდამდე გატყავება** ან **საქმის კუდიდან დაწყება** (ბოლოდან დაწყება), **კუდი სველი აქვს** (დამნაშავეა), **კუდის კუდზე გადასკვნა** (მჭიდრო ურთიერთობა), **კუდი ყავარზე აქვს გადებული** (ამაყია); **კუდი ეწვის** (ეშინია, ნამოქმედარის გამო პასუხს მოსთხოვენ); **კუდით დაბმა** (ნიშნავს, ადამიანმა აგოს პასუხი ნამოქმედარზე).

II. 3. ფლორონიმული ფრაზეოლოგიზმები

ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში შედის ფლორონიმებიც. **ფლორა** (ლათ. **flora** –ყვავილებისა და გაზაფხულის ქალღმერთი) გარკვეული ტერიტორიის: ქვეყნის, კუნძულის, კონტინენტისა და სხვათა მცენარეთა სახეობების ერთობლიობა, მცენარეული საფარია.

ა) თავდაპირველად განვიხილოთ ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა წამყვანი კომპონენტებიცაა **ხე, ტყემალი, თხმელა, წყავი, ბალი, ლელვი.**

ხეს ადარებენ მოუქნელ, მოუხერხებელ და უგრძნობ ადამიანს, რომელსაც საქმის გაკეთება არ შეუძლია, ან ვერ მიახვედრებ სათქმელს, ვერაფერს გააგებინებ.

სამხრულ კილოებში გავრცელებული გამოთქმა **ხეს და მიწას ედება.** როცა ადამიანი ბევრი რამის კეთებას იწყებს, მაგრამ არაფერი გამოსდის, იტყვიან, **ხეს და მიწას ედებაო:** ვითომ ყველაფერს აკეთებს, **ხეს და მიწას ედება,** მაგრამ მის დროზე სადილსაც ვერ დადგამს (ნოღაიდელი, 2013: 73) (**შდრ. ცას და მიწას ედება**).

სამხრულ კილოებში გვხვდება გამოთქმა **შვილების ხესავით გაზრდა**– „შვილები მარტო ხესავეთ არნა გაზარდო, შვილებს ეს დუნიაც დაასტავლეთო“ (ჩვენებ. 75). ეს ფრაზემა თავისი შინაარსით ზნეობრივი აღზრდის ანტონიმურია (ცეცხლაძე, 2016: 85).

ხიდან ყვავს ჩამოაგდებს, ისეთი ენა აქვს – მეტად მოქარგული ლაპარაკი იცის: ვის არ შეაცდენს მაგისი ენა, ყველას მოატყუებს, მეტად ეშმაკია. ეს ფრაზეოლოგიზმი საერთოქართველურია და გვხვდება მეგრულ-ჭანურშიც (გულუა, 2004: 30).

პირი ხისკენ მიქნია მოსაბოდიშებელი გამოთქმაა, როცა ვინმეს ცუდი რამ უნდა აუწყონ, ან ვინმე ცუდად, ცუდი თვისებების გამო მოიხსენონ. **პირი ხისკენ მიქნია** და, ბიბილაის შვილიშვილს სისხლის გაწყალება ჰქონია" (შდრ. ქვას ეყურებოდეს (ნ.ც.) (ნოღაიდელი, 2013: 64). იმავე მნიშვნელობისაა **ხეს და ქვას ველაპარაკები.**

ტყემალს, მოგეხსენებათ, სხვა ხილთა შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ქართულში არსებობს მოურიდებელი, პირდაპირი, უბოდიშო გამოთქმა: **ტყემალზე ზის** (საუბ.): შენ, ჩემო ძმაო, **ტყემალზე ზიხარ!** აბა საიდან გეცოდინება, რა ხდება ქვეყანაზედ ან შენ გარშემო!... ან კიდევ, როცა ვინმეს დაუმსახურებლად მიაკრავენ უვიცობის იარლიყს, ის ხატოვნად მიუგებს თავის გამმასხარავებელს და ძვირადმხსენებელს: შე კაი კაცო, რას მემართლები, **ტყემალზე ხომ არ ვზივარო** (სახოკია, 1979: 617).

ეს გამოთქმა გავრცელებულია ლაზურშიც: **ყომურის გეხენ** (ვანილიში, 2010: 147). ლაზურში **გვაქვს** სინონიმური ფრაზეოლოგიზმიც: **წყავზე ზის** – არაფერი გაეგება, არაფერი იცის (რისიმე შესახებ): სი მწკოს გეხე, მუთუ ვარ გიჩქინ, დუნიას მუ იყვენ. შენ **ტყემალზე ზიხარ (წყავზე ზიხარ):** არაფერი იცი, ქვეყანაზე რა ხდება (მემიშიში, 2015: 123).

ქართულში არსებობს ამ ფრაზეოლოგიზმის გავრცობილი ვარიანტიც: **ბალზე ზის და ტყემალს ჭამს**– ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა, ჰგონია ყველაფერი კარგადაა.

ლაზურში გვხვდება ფრაზეოლოგიზმი: **თხმელასაც, მურყანსაც მოუსხამს,**–იტყვიან, როდესაც მცენარე უხვად მოისხამს. ნჭი ფორტუკალე დო მანდარინა ეკო ტუ-ქი, მთხომუქთი დიჩანერეტუ: წელს ფორთოხალი და მანდარინი იმდენი იყო, რომ **თხმელასაც მოესხა**" (მემიშიში, 2015: 119).

აჭარაში **ჩაოს თხმელას** უწოდებენ ადამიანს, რომელსაც სიმაღლე აქვს, მაგრამ უუნაროა, სუსტია, ისევე როგორც ჩაოში, უმზეურ ადგილას ამოსული ხე (შდრ. აჭარულში გავრცელებული დისფემისტური გამოთქმა,,ფუნაზე ამოსულ წყურტას ჰგავს"(საუბ.)).

მეტისმეტად შავგრემან ქალზე იტყვიან, **წყავის მუგუზალიაო:** კაია, კაიო, იძახიან ნუნუკაის რძალზე, რა კაია?! ერთი **წყავის მუგუზალი** (ნოღაიდელი, 2013: 72).

აჭარულ დიალექტში გვხვდება გამოთქმა **ბალის ხიდზე განარები** (გავლილი), რომელიც შორეულ ნათესავს ნიშნავს. აქ ერთგვარი ირონიაცაა, რადგან ბლის ხიდზე ყველა დადის, ნათესავიც, უცხოც, ახლობელიც და შორებელიც.

განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები, რომლების კომპონენტებიცაა **ასკილი, ვაზი, ვარდი...**

ასკილივით თავის ქნევა ორჭოფობაა. ასკილის ბუჩქს ოდნავი ნიავიც არყევს. მაგ. შე კაი კაცო, **რა ასკილივით თავს იქნევ!** საჭიროა, თუ არა, ყველას ეთანხმები!

დასტურდება **ასკილის ყვავილობაც** –ჭირნახულის შემოლევის დრო, გაჭირვება. მაგ. მეტადრე მაშინ უდარებდა ხუცესს დღე, როდესაც სოფელს რაიმე გასაჭირი დაატყდებოდა თავს ან **ასკილის ყვავილობა** მოატანდა და მთლად გამოიფიტებოდა სოფელი (ვ. ბარნ.).

ასკილი სხვა მცენარეებზე გვიან ყვავის (მაისში), **ასკილის ყვავილობაც გვიანს** ნიშნავს.

ნოეს ვაზის ღვინო საუკეთესო ღირსების ღვინოა. „ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, რა ნუნუა გამოვა... სწორედ **ნოეს ვაზისა იქნება**“ (ა.ერ. ხოშტ.)

„დაბადებაში“ღვინო დაკავშირებულია ნოეს სახელთან. წარღვნის დამთავრებისა და კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ ნოემ, თანახმად „დაბადებისა,“ მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი და მევენახეობა დაიწყო...როცა უნდათ ღვინის კარგი თვისების გამოხატვა, ამბობენ: **ეგ ღვინო ნოეს ვაზისააო**, ე.ი. სულ თავანკარაა, უკეთესი არ შეიძლებაო“ (სახოკია, 1979: 467).

დალოცვის ფორმულაა **ია-ვარდი გიფენია**– ხელი მოგემართოს, როგორც შენი ნება იყოს, ისე წავიდეს შენი საქმე, ლამაზად განვლე შენი დღენი, უსიამოვნება არაფერი შეგხვდეს.

გ) ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში შედის **ბალახეულობის** სახელებიც: **ბალახი, ჭინჭარი, ბალბა, ინა, ღვალო, ლენცოფა.**

არც ჩვენ გვიძოვია ბალახი – არც ჩვენ ვართ უმეცრები, თქვენი დასაცინი არ გახლავართ. მაგ. **არც ჩვენ გვიძოვია ბალახი,** ნურც ეგრე დაგვაბრიყვებთ.

თევდორეს ბალახისა სცხია,– იტყვიან მეტად ტკბილი სიტყვა-პასუხის, გულკეთილ კაცზე.

თ. სახოკია წერს: **„თევდორეს ბალახი** მთის მცენარეა, ყურძნის მტევნის ან სიმინდის ტაროს მსგავს ნაყოფს ისხამს, მუქი ნაცრისფერისას და მეტად ტკბილს, რომ გახმება, რამდენიმეს ერთან შეჰკრავენ და ორმოს მოსაწმენდად ხმარობენ. თევდორეს ბალახის სიტკბოს მიმსგავსებით ამბობენ ენატკბილ ადამიანზე **„თევდორეს ბალახისა სცხიაო“**, ე. ი. თევდორეს ბალახის სიტკბოსაგან გადასდებია სიტკბორო“ (სახოკია, 1979: 250).

მეტად საინტერესოა **ბალბასთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები: **ბალბა არ მომიხარშო, თავზე ბალბა დავადე** – გაბრაზებული დავამშვიდე. მაგ: მართალია, შენი მეგობარი ძალზე იყო გაბრაზებული, მაგრამ **თავზე ბალბა დავადევი,** დავამშვიდე.

მოხარშული ბალბა ხალხურ მედიცინაში იხმარება ჭრილობების მოსაშუშებლად. გაბრაზებული ადამიანი, თ. სახოკიას განმარტებით, ისევეა გამწარებული, როგორც დაჭრილი და ეს გამწარება თავში გროვდება.

ქართლ-კახეთში იტყვიან, **ბალბა არ მომიხარშოო** (ვერაფერს დამაკლებ).

ბალბასებრ ფესვის გადგმა მტკიცედ მომაგრება, მყარი საძირკვლის ჩაყრაა. მაგ. ამან, ჩემო ძმაო, **ბალბასებრ გაიდგა ფესვი** სამსახურში, ისე რომ იქიდან ადვილად ძვრას ვერ უზამენ.

ბალბამ (იგივე მოლოქა (იმერეთში და გურიაში), ბოდერია (სამეგრელოში)) გაზაფხულის პირზე იცის ფესვის ღრმად გადგმა მიწაში, ამიტომ არც ისე ადვილად ამოსაღებია. ეს თვისება დაედო საფუძვლად ფრაზეოლოგიზმსაც **ბალბასებრ გაიდგა ფესვები;** იტყვიან იმაზე, ვისი ადგილიდან დაძვრაც ძნელია, ვინც სადმე ერთხელ მაგრად დამკვიდრდა.

გავრცელებული ფრაზემაა **ფეხზე ინის დადება**– მოუცლელობა, სიარულისათვის თავის არიდება, გაუნძრევლობა.

ინა საღებავი მცენარეა, გარეულად იზრდება ჩრდილო აფრიკასა და სამხრეთი აზიის ქვეყნებში. ის ძველად იხმარებოდა, როგორც კოსმეტიკური საშუალება. ინით თმებს იღებავდნენ ქალები. ინის ფაფა ექვსი საათის განმავლობაში უნდა სდებოდათ თავზე. ინას წვერ-ულვაშისა და ფრჩხილების შესაღებადაც ხმარობდნენ. ფრჩხილებზე საჭირო იყო ფაფა კაცს დღე-ღამე მაინც სდებოდა და ამ ხნის განმავლობაში უძრავად ყოფილიყო. მაშასადამე, ვინც **ინას დაიდებდა ფეხზე,** მეორე დღემდე აღარსად უნდა წასულიყო. ასე რომ, **ფეხზე ინის დადება** გადაიქცა უძრაობისა და მოუცლელობის სინონიმად. **რა ფეხზე ინა დაგიდვია** გასაკილავი გამოთქმაა, მასში იგულისხმება წაუსვლელობისთვის საპატიო მიზეზის უქონლობა.

როგორც ვხედავთ, აქ წამყვანია უძრაობის სემანტიკა. სწორედ ამის ასოციაციით ადამიანს, რომელსაც ლაპარაკი ეზარება, ეტყვიან **რა ენაზე ინა დაგიდვიაო.**

ალოგიკური, დაულაგებელი ლაპარაკის დასახასიათებლად იტყვიან, **ლენცოფა ხომ არ გიჭამია? ლენცოფა** ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეა (წამლად იხმარება), მისი ნაყოფის ჭამა ადამიანს გადარევს.

დ) ფრაზეოლოგიზმების კომპონენტებია **ბოსტნეული მცენარეებიც: ყანა, სიმინდი, ნესვი, კიტრი, ლობიო,...ბოლოკი, ნიახური, პილპილი, პიტნა, პრასა და ა.შ.**

ნეტავი პრასა მეჭამა და ეს არ მექნაო— იტყვიან, როც არაიმეს ნანობენ. პრასას უარყოფითი კონოტაცია იმიტომ უკავშირდება, რომ მწარეა, პირში უსიამოვნო სუნს ტოვებს და მის ჭამას ერიდებიან, გვერდით მყოფი ცუდმა სუნმა არ შეაწუხოს.

ნიახური ქოლგოსანთა ოჯახის ერთ, ორ- და მრავალწლოვანი მცენარეა, სწორედ ამ თვისებასთან არის დაკავშირებული გამოთქმა- **ნიახური ხომ არა ხარ, მეორედ მოხვიდე.**

რა თავი მოგაქვს ნიახურის ფოჩივითა — თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ!...თავი ნუ გამოგიდვია **ნიახურის ფოჩივით** (ვ. კოტეტ.).

ეს გამოთქმა მიემართება ისეთს, ვისაც თავის მოსაწონებელი არაფერი აქვს, მაგრამ მაინც იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ

თავი მაღლა უჭირავს. ნიახური მწვანილებს შორის ყველაზე ფართოფურცლებიანია, მისი ფოჩიც გაცილებით ლამაზია ოხრახუშისა თუ ქინძის ფოჩთან შედარებით.

აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში დასტურდება გამოთქმა **პრასა ქუდს მოიხდის** – აყვავდება. ,,სიმნიფეში შესვლისას სათესლე თეთრი აპკი სკდება, გვერდზე გადაიწევა და ფუნჯი ქოჩორივით გადმოიშლება, ამაზე ამბობენ, **პრასამ ქუდი მოიხადაო**“ (ნოღაიდელი, 2013: 43).

ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტად გვხვდება **ხახვიც**, რომელიც მეტად სასარგებლო ბოსტნეულია. ,,ისტორიაში დარჩენილია ცნობა, თუ რამდენი პური და ხახვი დახარჯულა ფარაონების დროს ერთ-ერთი პირამიდის აშენების დროს. სამუშაოზე დაყენებულ ხალხს საზრდოდ პური და ხახვი ეძლეოდათ და ისიც ამით კმაყოფილდებოდა, ამიტომ ხახვი ხატოვნად სრულებით ბუნებრივად გადაქცეულია ადამიანისათვის კმაყოფილების, სიამოვნების მომნიჭებელ ბოსტნეულად. და დღეს როცა ვიტყვით, ესა თუ ის საგანი ან სიტყვა **არ მეხახვებაო**, გვინდა ვთქვათ, რომ ესა თუ ის საგანი ხახვად არ მიმაჩნია, ე.ი. არ მომწონს, არ მეპიტნავება, არაფერს მიკეთებს, არაფერში გამომადგებაო“ (სახოკია, 1979: 904).

ხახვთან დაკავშირებული სხვა ფრაზეოლოგიზმებია: **ხახვივით შემრჩა** – იოლად გადავრჩი პასუხისმგებლობას. მაგ. მეზობელი კარგად გამოგილანძღე და ყველაფერი **ხახვივით შემრჩა**.

ხახვით მოსრესა თვალებისა არის განგებ ჩვენება იმ გრძნობისა, რომელსაც ადამიანი ნამდვილად არ განიცდის: **ხახვით მოუსრეს თვალებს**, რომ ცრემლი მოუვიდეს, ვითომცდა საზოგადოების სიყვარულით გული სტკივა, გოდებს და ქადაგებს (ილია).

ხახვით თვალების მოსრესა უკავშირდება მოტირლობის ტრადიციას, ზოგიერთი მოტირალი, რომელსაც არ ეტირებოდა, ხახვს მოისვამდა თვალებზე ცრემლის მოსაყვანად.

ხახვის დალბობა ვინმეს მომადლიერება, მოსყიდვა, გულის მოგება, მოქრთამვაა. მაგ. ერთი კაცო, იქ, იმისი სიტყვა გრძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია სწორედ, იმათ უნდა **ხახვი დავულბოთ** (დ. კლდ.) (სახოკია, 1979: 905).

აქვე უნდა დავასახელოთ გამოითქმა **ყურებზე ხახვი არ დამაჭრა.** ლაზურში დასტურდება ერთი მეტად საინტერესო ფრაზეოლოგიზმი **მწვანილივით ყველგან ერევა**–სხვის საქმეში ერევა, არამკითხე მოამბეა: ,,ნენა ვარ დავადგინენ წიწამისთერი მთელიშეის აკათენ. ენას ვერ გააჩერებს, ყველგან (ყველაფერში) **მწვანილივით ერევა**" (მემიშიში, 2015:168).

სხვა ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება **პიმპილი, ლობიო, ფხალი** და ა.შ.

მადლზე პილპილის მოყრა სიკეთეზე ლანძღვის დატანებაა: ოთარაანთ ქვრივმა გადაუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია, თავისებური **პილპილიც მოაყარა ზედ:** კარგად, ლაზათიანად გამოგილანძღათ (ილია).

მედიდურობას გადმოგვცემს ფრაზეოლოგიზმი **თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია. ლობიოს** სხვაც უამრავი ფრაზეოლოგიზმი უკავშირდება, რომლებსაც დარგობრივ ლექსიკაში განვიხილავთ.

ლაზურში გვხვდება გამოთქმა **მხალი და ლობიო აურია** – შეაგინა კოჩის მეშვაბლუ დო ოხოროჯას **ლუყუ დო ლობია ქუხუქთუ.** კაცი გაბრაზდა და ქალს შეაგინა (მემიშიში, 2015: 116).

ე) ქართულ ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება **მცენარეთა ნაწილების სახელებიც.** ესენია: **ფოთოლი, ხვიტი, ყლორტი, ეკალი, პური, ჩალა, ბზე.**

სამხრულ მეტყველებაში ცვალებადი შეხედულების, არამყარი ხასიათის ადამიანს **ვერხვიფოთელას** უწოდებენ: **„ვერხვი ფოთელი** ბითუმ ექანება და, ხომ იცი?! იმფერ ცერცემუტა ინსანზე ითქმება, **ვერხვი ფოთელაი,** იშტა," „სხუა სოი, **ვერხვი ფოთელაი** ქალია, მაგისი პრატი არ ითხონება" (ჩვენებ.455) (ფუტკარაძე, 1993: 455).

ზოგი ფლორონიმული ფრაზეოლოგიზმი ბიბლიიდან მოდის. **ლელვის ფოთოლი** ეშმაკის მიერ ცდუნებული ადამისა და ევას პირველი სამოსელია, რომელმაც ნიღაბის, ყალბი საფარველის მნიშვნელობა მიიღო. განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკურ დისკურსში მისი გამოყენება: ამ პარლამენტში პატიოსანი ხალხი მთავრობამ **ლელვის ფოთლად გამოიყენა** (2003

წლის პარლამენტის ტელეტრანსლაცია), გადაირევი კაცი, რაფერ ლეღვის **ფოთლებ ჩაცმულები** დადიან ეს გოგოები, დსკი (ხაჭაპურიძე, ლომთაძე, 2006: 307).

ენა ფოთლად ექცა –ეს ფრაზეოლოგიზმი ქართულშიცაა და ლაზურშიც (მემიშიში, 2015: 126) და ნიშნავს ბევრ, ამასთან, ამაო, უშედეგო ლაპარაკს. (შდრ. აჭარ. ენა ფურცლად ექცა (ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ უშედეგოდ).

საინტერესოა **ხვიტთან** და **ყვიპთან** დაკავშირებული გამოთქმები: **დაგრჩა ხვიტი**-ცარიელზე დარჩი, პირში ჩალაგამოვლებული დაგტოვეს. მაგ. „ძალიან უაროობდა, მაგრამ მაინც მოგეცალა ხელიდან ყველაფერი და ახლა, ჩემო კარგო, **დაგრჩა ხვიტი.**“

აჭარაში ფიზიკურად სუსტ, გამხდარ, გაძვალტყავებულ კაცზე იტყვიან, **ხაპის ყვიპიაო** (ნიჟარაძე, 1975: 430).

საინტერესო გამოთქმაა **წიწვი ვერ ვქენი** – ვერ ვიხეირე, საქმე წინ ვერ წავწიე. „რაც სახლიდან წამუედი, ყველაფერი უკუღმა წევიდა, **წიწვი ვეღარ ვქენი**“ (ნოღაიდელი, 2013: 72).

ქართულ ენაში დასტურდება სიტყვა **ჩალასთან** დაკავშირებული რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი. ყველაზე გავრცელებულია **პირში ჩალის გამოვლება** – მოტყუება, წართმევა, ცარიელზე დასმა, დაუკმაყოფილებლობა.

ლაზურში გვაქვს გამოთქმა **ჩალას არ ჭამს** – ვერ მოატყუებ, ვერ გააცურებ, არ არის უმეცარი, დასაბრიყვებელი, დასაცინი: „არ თოლითენ მო ოჭკერ, ვარ მოღორდუნ, **ჩალა ვარ იმხორს**. ცალი თვალით ნუ უყურებ, არ მოტყუვდება, ჩალას არა წამს“ (მემიშიში, 2015).

აპრიალებულ ჩალასავით ჩაქრობა თავის დიდი ხნით დაუწერლობაა. მაგ. ცოტა ხანს იფარფაშა (ავტორიტეტების წინააღმდეგ პოლემიკამ) და მერე **აპრიალებულ ჩალასავეთ ჩაჰქრა** (ილია).

ჩალად მიჩნევა არაფრად ჩაგდებაა: შენ ისეთი ხასიათი გაქვს, ყველაფერი **ჩალად გიჩანს** (დ. კლდიაშვილი).

ფართოდ გავრცელებული გამოთქმაა **ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული?** ის ნიშნავს, რომ სამართალი იზეიმებს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ჩალა არის რამდენიმე სხვა ფრაზეოლოგიზმის კომპონენტიც: **ჩალის ფასად გაყიდვა** (იაფად გაყიდვა), **ჩალისოდენაც ვერა მიუმატა** (ვერაფერი მიუმატა), **ჩალას ეჭიდებოდა** (გაჭირვების ჟამს სუსტ იარაღს ეჭიდებოდა).

უარყოფითი სემანტიკის რამდენიმე ფრაზეოლოგიზმში გვაქვს კომპონენტი **ეკალი: ეკალზე ჯდომა** (ტანჯვა, მოუსვენრობა, მოუთმენლობა), **ეკლად დაუსვა** (გაამწარა, დარდნაღველი შემატა, წყენა მიაყენა), **ეკლად დაესვა** (შეშინდა, შერცხვა), **ეკლით მოფენა გზისა** (დიდი გაჭირვება, დაბრკოლება), **ეკლიანი გზა** (გაჭირვება, მწუხარება), **ეკლის აშვება** (რაიმე ზნეობრივი ან ფიზიკური უსიამოვნო განცდის გამო სახის ალეწვა, ტანის აბურძგვნა), **ეკლის გაყრა თვალებში** (დაბრმავება, დაჩაგვრა, დაზარალება, გაუბედურება, მოსპობა), **ეკლის თვალით შემოხედვა** (ცუდად, ბოროტის განზრახვით ყურება, **თვალის ეკალი** (შემწუხებელი, მტანჯველი, მოუთმენელი, პირში სიმართლის მთქმელი), **ეკლის გვირგვინის დადგმა** წამება, ტანჯვა, გაჭირვებაა.

მოვიყვანთ მაგალითებს: მაგ. იმდენ უცხო ხალხში მეტად უხერხულად ვგრძნობდი თავს, თითქო **ეკალზე ვიჯექი** (ს. მგალობ.); მათი ქება **ეკლად დაესო** ასლანიშვილებს" (ვ. ბარნ.); აკაკიმ ხელი გამომიწოდა, სკამი მამიდგა, მორცხვად დავეშვი, **ეკლებზე ვიჯექი** (იქვე); თვითეული **ეკლად დაესვა** (იქვე); **ეკლით მოიფინა გზა** ცხოვრებისა ჩემისა (იქვე), მისდევს ეთერი თვის ბედის ვარსკვლავს **ეკლიან გზაზე** (იქვე); ...სახეც თითქოს **ეკალს აუშვებდა**, როცა რამე არ მოეწონებოდა ლაპარაკში (ს. მგალობ.); **ეკლის გვირგვინი** დაიდგა თავზე (ილია).

უკანასკნელი იდიომი ბიბლიურია, უკავშირდება იესო ქრისტესთვის თავზე ეკლის გვირგვინის დადგმას, როცა ის გოლგოთას მთაზე აჰყავდათ ჯვარზე საცმელად და საწამებლად.

ბზე ხომ არ მიჭამია! პირუტყვი ხომ არა ვარ, ბზის მჭამელი, შეუსმენელი, გაუგებარი, არაფრის მნახველი ხომ არა გგონივარ (სახოკია, 1979: 55) (შდრ. **არც ჩვენ გვიძოვია ბალახი**).

გამოთქმა **თავში ბზე უყრია** მიემართება უჭკუოს, რომელსაც არა ესმის რა. ის გვხვდება ლაზურშიც: ნაშქვი, ემუკალა ვარ

იღაღალენ თის ჩონჩი მიშუბღუნ– დაანებე, იმასთან არ დაილაპარაკება, **თავში ბზე უყრია** (მემიშიში, 2015:102).

ფლორონიმები ფრაზეოლოგიზმებს ქმნის დარგობრივ ლექსიკაშიც (მემცენარეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა). ეს ეხება თვით მცენარეთა ჯიშებსაც. ეს საკითხი შეისწავლა ნანული ნოღაიდელმა. აჭარულ კილოში, მებოსტნეობის დარგობრივ ლექსიკაში ელზა ფუტკარაძემ ასევე აღწერა რამდენიმე იშვიათი ფრაზეოლოგიზმი.

ანგელოზის თითის ჩამონასვამი სიმინდის ტაროა, რომელსაც რამდენიმე რიგი უმარცვლო და პრიალა აქვს.

კაბიანი შეერია ყანას, – იტყვიან, როცა ყანის საერთო სიმწვანეში მწიფე, თეთრფუჩეჩიან ტაროს პირველად დაინახავენ. კოტა (ტარო) გათეთრებულა, **კაბიანი შიერია ყანას** (ნოღაიდელი, 2013: 43).

ალაღება ყანისა იგივეა, რაც გახარება: გაფხეკის (გამარგვლა) შემდეგ გამეჩხრებული **ყანა ალაღდება** (ნოღაიდელი, 2013: 82).

ნათესი თუ არ ამოვა და ყანას თავიდან დათესავენ, იტყვიან, **ყანა გაწბილებულიაო: ხან გაწბილდებოდა ყანა,** არ ამოვიდოდა. **გაწბილებული ყანა** ხამათ (ისევ) ამოვდოდა (ნოღაიდელი, 2013: 117).

დანაღლებული მოსავალი გაშავებული, დაზიანებული მოსავალია (ნოღაიდელი, 2013:136); **გაჯალღული//გაძირული ყანა** საერელამორეულია (იქვე, 117); **ყანის აბარგვა** მოსავლის აღებაა, **ყანის გაშვება** ნიშნავს ყანაში ბევრი სარეველა ბალახის ამოსვლას (იქვე, 224); **ყანის გაწარბვა** ყანისთვის მიმართულების მიცემაა, **ხამი ყანა** ზამთრის შემდეგ დასამუშავებელი ყანაა (გვ. 251); **ლობიოს//ხილის შემთვალვა** – სიმწიფეში შესვლა; **კოტაზე ცხვირის მოხოცვა** – სიმინდის ტაროზე უმარცვლო წვერის ნატეხაა, **წვერმოჭედილი ტარო** კარგმარცვლიანი სიმინდის ტაროა; აქვე გვხვდება **ლობიო იხვარბლებაც** (იკაკლება). **დახვარბლული ლობიო** ქართლური კილოს ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ნედლი ლობიო, რომელიც იმატლება (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981).

სიმწიფეში შესულ ლობიოს **გამაძღარი** ჰქვია (ფუტკარაძე, 2010: 742); **ლობიაჲს სიარული** ლობიოს სწრაფად ზრდაა (იქვე), **ლობიაჲს ალეშხება//ალეშხავებაც** ლობიოს სწრაფი ზრდაა; **ლობიაჲს დალემსვა** ლობიოს პარკის ახლად გამოღება, გამოსხმაა ნემსებივით; **ლობიაჲს ბლაყვობა//ხეხილის ბლაყვობა** უნაყოფობაა, **ლობიას დახევსება** სიმწიფეში შესვლაა (იქვე, 74).

პურთანაა დაკავშირებული აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში გამოვლენილი შემდეგი გამოთქმები: **პურის გადამეტება** - პურის ნათესის, ყანის დამწიფება (ნოლაიდელი, 2013:193); **პურის დაორსულება** (ხორბლის მცენარეზე თავთავის ჩამოყალიბება) (იქვე), **პურიბჭობა** (მკის დრო) (იქვე).

აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში გავრცელებულია შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **ანგელოზის თითის ჩამონასვამი, პირსაფსე ყანა, ალაღება ყანისა, გაწბილებული ყანა, კაბიანი შეერია ყანას, გაძირული ყანა, გაჯალღული ყანა, ყანისა, ყანის გაწარბვა, კოტაზე ცხვირის მოხოცვა, წვერმოჭედილი ტარო, ლობიოს ხილის შემთვარვა// შემთვალვა, ლობიო იხვარბლება, გამაძღარი ლობიაჲ, ლობიაჲს სიარული//ალეშხება//დალემსვა//ბლაყვობა; ხეხილის ბლაყვობა//დახევსება, პურის გადამეტება//დაორსულება, პურიბჭობა.**

II. 4. ასტრალური სახელები ფრაზეოლოგიზმებში

ფრაზეოლოგიზმების წამყვან კომპონენტებად ხშირად გვხვდება ასტრალური სახელები, ციური მნათობები და ვარსკვლავებიც. ქართულში განსაკუთრებით მრავალფეროვანია **მზესთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები.

მზის სიმბოლიკა საერთოა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთათვის, მაგრამ **მზე** ქართული კულტურის, მითოსისა და ფოლკლორის უმთავრესი სახე-სიმბოლოა, რაც აისახება ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში. ამის შესახებ არაერთგზის აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში: ,,ქართული ენის მონაცემების მიხედვით საინტერესო სურათი იშლება **მზისა** და მისგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულთა თუ იდიომთა სემანტიკის თვალსაზრისით. ის არის შემეცნების, ცოდნის, სილამაზის წყარო,

სიყვარულის სიმბოლო, გვხვდება სიხარულის თუ მწუხარების ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში“ (ხახიაშვილი, 2009:256).

ა. გელოვანი წერს: ,,მსოფლიოს ძველ კულტურულ ხალხთა შორის **მზის** ასეთი მასშტაბით განდიდება არსად ისეთი ძალით არაა ფიქსირებული, როგორიც ჩვენს ქართულ ენაში, ქართულ მითოლოგიაში, სიმღერაში, ხელოვნებაში (მზეო, ამოდი, ამოდი, მზე შინა და მზე გარეთა, ლილეო), ცალკეულ სიტყვაში: მზეთუნახავი, მზეჭაბუკი, მზიური, პირიმზე, მზით გაცვეთა, მზით გახარება, მზე პირს იბანს... კოლხეთის მეფე მზის შვილია, მზეა ქართულ ჩუქურთმებში, ტაძრებში“(გელოვანი, 1980:28).

მზე სითბოსა და სინათლის წყაროა, იგი სიცოცხლის განსახიერებაა, მისი სინონიმია. **მზეგრძელობა** დღეგრძელობას ნიშნავს. ხევსურეთში იტყვიან: **მზეზე დავას** (დადის), **მზეს იარებისო** –ე. ი. ცოცხალიაო (ალ. ჭინჭ.); ,,თამარ დედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი **მზეს უყურებდეს?!**“(ილია), ,,იასაც უყვარდა თავისი თავი და უნდოდა **მზისთვის ეყურებინა**“(ვ. ბარნ.); ,,ნეტავი ძმათა მრავალთა, **ცხარე მზე ამოუხდებათ**“(ხალხური).

საპირისპიროდ, **მზის დაბნელება//ჩაქრობა //მზის შუქის ჩახდომა** (შდრ. ხევს. **მზის უკუღმა ჩახდომა** დიდი უბედურება, სიკვდილია, გლოვაა: ,,ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი, მალე **მზეც გაუქრებაო**“(ბაჩანა); ,,სადღა წაგვივიდოდნენ ვიწროებში?! ისარი თუ შურდულის ქვები წამოაყარეს ჩვენებმა ზევიდან, **მზე დაუბნელეს**“ (ვ. ბარნ.); ,,15 აგვისტოს საღამოს ახალციხეში ოსმანთა ხონთქარის **მზე ჩაესვენა** და 16-ს დილით რუსეთის იმპერატორის მზე ამოვიდა“(მ. ჯავახიშვილი), ,,ერთი დრო შენც დაგიდგება, **რომ ჩაგივა მზე** (გ. ნათ.); ,,გუგუა მალე **დაუბნელებდა მზეს**“(ყაზბეგი); ,,უფალს მადლობა უთხარ, რომ თავს ვეღარსაით ვიმართლებ, თორემ ღვთის მადლმა, **მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი**, ეხლა დღე შენია, შენი ყვავილი გაიშალა, შენი მზე გაბრწყინდა (ყაზბეგი); ,,ამ საერთო არეულობაში ონისე დამთვრალსავით დადიოდა და ვისაც კი შაეყრებოდა, **მზისთვის დიდხანს არ აცქერინებდა**“(იქვე, 226); ოჯახის უფროსიც **მზეს**

უნდა აჰყოლოდა (შიო მღვიმელი); და ისევ ბავშვად ყოფილსა, **დღე დამიბნელა მზიანი**" (ვაჟა).

ამგვარი მეტაფორა ,,ვეფხისტყაოსანშიცაა: ,,ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა, თავსა ნუ დაჰხოცთ, ნუ **ბნელ იქმთ მზესა** თქვენითა **ბნელითა**" (ვტ.); კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე **მიჰხდეს მზესა** (ვტ.).

,,წმინდა ნინოს ცხოვრებაში"ვკითხულობთ: ,,ვითარცა ერთი სოფლად შემოსრულთაგანი, მოვაკლდები ცხორებისა ამისგან. **მოაწია ჟამი დღისა დალევნისაჲ და მზისა მის დავსებისაჲ**, რამეთუ არათუ დღე და მზე შეიცვალებიან წესთა ზედა მათსა, არამედ მე **დღესა დაუღამდე** და იგი ჰგიეს უკუნისამდე,"...– ამბობს წმინდა ნინო სიკვდილის წინ.

ნაადრევად გარდაცვლილის მეტაფორაა **მზით გაუმაძღარი**: ,,მოგვიკლეს კარიაული, **გაუმაძღარი მზისაო**".

მზე დომინირებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის წყევლის ფორმულებშიც. ,,წყევლათა ერთი ნაწილი გარკვეულ პოეტურ ფორმულებად არის ჩამოყალიბებული. ეს ჟანრი უაღრესად საინტერესოა სიტყვის მხატვრული ღირებულებისა და მეტაფორული აზროვნების თვალსაზრისითაც"(შიოშვილი, 2006: 5).

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას: **ამომავალ მზეს არ გაყურებია ღმერთმა, გაგიშავდეს მზე**, გაგისკდა ეგ თვალები და **ჩიგიქცია მზე, დაგნატრულდეს სამზეო,**" ,,მოღალულმა **მზემ სინათლე ნუ განახვინოს, ნუ გაიხარებ სამზეოს ქვეყანაზე, შე მზეჩასაქრობო,**" ,,**შენ ჩაყევი ჩამავალ მზეს და არ ამოყევი ამომავალს**". მაჭახლურ წყევლებში გვხვდება: ,,**შენიმც მზე დაუბნელდება შენს დედ-მამასა...მზეზემც ნუ ივლის დიდხანსა.**"

მზეზე გამოყვანა სააშკარაოზე გამოტანაა: სატრფიალო საგანი ჰქონია, თუ ამისთანა უმეცრების შურით შეუთითხნის სახეს და ქვეყნის სასაცილოდ **გამოიყვანს მზეზე** (ილია). ქართულში გვაქვს ფრაზერლოგიზმი **სამზეოს გამოსვლაც**, რომელიც საიმედოდ ყოფნას, ავადმყოფის გამოჯანმრთელებას ნიშნავს.

მზე მაღლა იდგეს – უცილობლად, ჭეშმარიტად: წაგიყვანენ, შვილამა, ასე მალე, რომ **მზე მაღლა იდგეს**, ფშაველობა დაგავიწყდება, ჩემმა ცხონებამ (ვ. ბარნ.).

დათვის ანგალაში ჩამსვეს, აღარ **მომადინეს მზეო** (პ.უმიკაშვ.) იგულისხმება დღის სინათლეზე ყოფნა.

მზის ნატეხი მეტად ლამაზია – მტკიცედ დაცული ოჯახია უკარებელი, ეხლაც სადმე გადაჰგზავნის ღვთის შვილს, **მზის ნატეხს** (ვ. ბარნ.).

მზე იმედის წყაროცაა. ნ. დუმბაძის რომანში „მე ვხედავ მზეს." (თვით ავტორს გვერდწითელი მზიანი გულის მწერალს უწოდებს). მზის კულტით მწერალი სიკეთეს, სათნოებას და სიყვარულს უმღერის. **მზე** უმთავრესი სიმბოლოა ქრისტიანულ სიმბოლიკაში. მას უკავშირდება ცნობილი ტროპები.

„ქართლის მოქცევაში" ვკითხულობთ: „და ესე ყოველი მისმენილ იყო იერუსალემით და კონსტანტინოპოლით, ვითარმედ ქვეყანასა მას ქართლისასა მიეფინა **„მზე სიმართლისა"** (12,125); „და იყო ქვეყანაჲ ესე ჩრდილო **მზისაგან სიმართლისა...** (13,337). **„მზე სიმართლისა"** საინტერესო ტროპია და ნიშნავს, რომ ქართველი ღმერთისაგან ჩრდილში იყო მოქცეული, არ იყო განათლებული" და ამიტომ ეწოდებოდა მას ჩრდილოეთი" (ქერქაძე, 1988:162).

„მზე სიმართლისა" მომდინარეობს ნინაქრისტიანული მსოფლმხედველობიდან. ჯერ კიდევ ბაბილონურ-ქალდეურ რწმენაში მზე იყო მართალი და მართლის გადამწყვეტი. ეს დებულება გვხვდება ძველ აღთქმაშიც, მზე ყველასთვის ერთია, ყველას თანაბრად უნათებს, ყოველივეს მიეფინება (6, 155) (იქვე, 161) (შდრ.„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების" (ვტ.).

„მზე ხატია ღვთაებისა და ამ წილნაყარობის გამო სიმბოლურად მის სახელდებაშიც მონაწილეობს – ღმერთი **„მზიანი ღამეა"**: „იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს **მზიანისა ღამისად,** ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად". **მზე** განასახიერებს ჩვენს ცოდნას ღვთაებაზე, ხოლო ბნელი, ანუ ღამე, მის დაფარულობას (მურღულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე, 1992:194).

დ. გურამიშვილთან სიყვარული ღვთის ტრფობას უტოლდება, ქალის სიყვარული არის „ხიდი" პიროვნების ღმერთთან

ზიარებისა, ქალი შეაძლებინებს პოეტს „მზის ყუდროში“ მისვლას (ყუდრო- ქარუხვედრი ადგილი (საბა (2)1993).

„ვაიმე! მე ვინ მაღირსებს მის **მზის ყუდროში** დასმასა,
მის ნათლით შვებას, სიხარულს, ართუ ჭამასა და სმასა.“

მზე გვხვდება ფიცის ფორმულებშიც: **შენმა/ თქვენმა მზემ** (კობახიძე, 1984:271). „ოდითგან შენგან მოშორვებულ ვარ, **შენ-მან მზემან,** ვითარცა ვეშაპისა პირსა შიგან ყოფილ ვარ (ვისრ.); ამბრი არაბო, **შენმან მზემან,** მოცთუნებულხარ! (ამირანდარ.); ღვინომ უთხრა, **შენმან მზემან,** პურო გრილი ხარ დიაო (თეიმ. II); არც ეგ არის ურიგო, **შენმან მზემ** (ილია); **თქვენმან მზემან,** თუ ცად არ აგიყვანებენ, ქვეყანასა ზედა ამის უკეთესი სახლი არ დგასო (ამირანდარ.); ტყუილი გახლავს, **თქვენმა მზემ!** (ლ. არდ.).

ასეთ გამოთქმებში მზის მსაზღვრელად შეიძლება შეგვხვდეს სხვა სახელებიც: საპყარმან იწყინა და თქვა, **ხელმწიფის მზემან,** ესრეთს წიხლს ჩაგაზელ, გვერდი მოგტეხოსო (საბა); გოგოს ცოდვით აღარა ვართ, **ქალბატონის მზემა** (ილია); კარგი, **ნათლიას მზემ,** დამეხსენ... (დ.ჭონქ.); აშალეთ ახლავე ეგ, რაღაც მიგიქარავთ, თორემ... **მამაჩემის სულის მზემა,** სულ ამოგხოცამთ (ნ.ლომ.); ისეთი დაკრძალული ადამიანია ჩემი ნენეი, **ჩემი შვილების მზემა** და **ლხენამა,** რომ ამ უბანში ორი არ მოიძებნება (ს. მგალობ.).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამნაირი გამოთქმა შეიძლება ირონიულადაც გამოიყენებოდეს: „უჰ, უჰ, **შენმა მზემ,** კარგი რამ მოიგონე (ილია); **შენმა მზემა,** ბატონიშვილი მოვა შენი გომბიოსთვის (ს. მგალობ.).

ასეთ გამოთქმებს „გარკვეული სოციალური მახასიათებელი დაუკავშირდა: მას არ იხმარს ვინმე ოფიციალურ საზოგადოებაში... მას უფრო ფამილიარულ-ვულგარული ან სპეციფიკურ-კუთხური იერი დაჰკრავს“ (ჯორბენაძე, 1997: 63).

მზე რომ იყოს, არ შეგანათებს, –ამ გამოთქმით იმ სამხრულ კილოებში (აჭარ.; მაჭახ.) ადამიანს ახასიათებენ, რომელიც სხვას არაფერს არგებს.

ამრიგად, „მზის სიმბოლიკა უნივერსალურია სხვადასხვა ხალხის ენაში, მითოსსა და კულტურაში, მაგრამ ქართული

განსაკუთრებით მდიდარია მზესთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიით, წყევლისა და ფიცის ფორმულებით. უფრო მეტიც, მზე ქრისტიანულ სიმბოლიკაში ღვთის ხატს წარმოადგენს“ (კიკვაძე, ცეცხლაძე, 2011:94).

ბ) **მთვარესთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმი ქართულში შედარებით ცოტაა... **მთვარე** მზესთან ერთად ქართველთა უძველეს და უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ,,მთვარეა ქართველთა მთავარი ღვთაება და არა მზე; ასე იყო ასურელებისა და ქარანელების, ანუ საბიელთა სარწმუნოებაში“ (ჯავახიშვილი, 1979: 100).

ზოგი კიდევ მიიჩნევს, რომ ეპოქა განსაზღვრავდა მათს პირველობას. მთვარესა და მზეს ,,შორის პირველობის საკითხის დასმა ეპოქათა დიფერენცირების გარეშე არ იქნებოდა სწორი“ (მოსია, 2005:55).

მთვარე სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოა.

ბნელოდა გარეთ, **დაევახშმა უკვე მთვარესა** (ვ. ბარნ.); მაშინღა შეკრთა, რა ესმა **მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა** (თეიმ. I).

ქართულში არსებობს ფრაზეოლოგიზმი **ახალ მთვარესავით გამოჩენა** (იშვიათად ნახვა): რად დაგვიძვირე შენი ნახვა, რაღა **ახალ მთვარესავით გამოჩნდები** ხოლმე? (ახალი მთვარე თვეში ერთჯერ გამოჩნდება, და, ისიც მოკლე ხნით).

ქართულში არსებობს ასეთი გამოთქმა: **მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა:** რაზედ გამიუბედურე ჩემი ერთადერთი ქალი, **რომელზედაც მზე და მთვარე ამომდიოდა** (ალ. ცაგარ.).

გ) **ვარსკვლავებთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **ვარსკვლავებს ეთამაშება, ამომავალი ვარსკვლავი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ვარსკვლავებს კრეფს, ვარსკვლავთა დათვლა, ვარსკვლავების დათვლევინება.**

ხალხის ღრმა რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მაშასადამე, მის სახელზე დაბადებული ადამიანსაც ბედნიერება მოელის. ზოგი ვარსკვლავი უბედურია, ასეთ კაცზე იტყვიან, **უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებულიო.**

ვარსკვლავებს ეთამაშება: ლამაზია, მშვენიერია, სილამაზით ვარსკვლავებს ეტოლება: ისეთია ცხენი, სულ **ვარსკვლავებს ეთამაშება** (თ. რაზიკაშვილი).

ვარსკვლავთა დათვლა შეუძლებლის, წარმოუდგენლის გაგებაა; ვის ახსოვს **დათლა ვარსკვლავთა,** ბრჭყალით უჭრია ქვა ვისა? (ნ. ციციშვილი).

ვარსკვლავების დათვლევინება ვინმეს მორევა, დაცემა პირაღმა გაშხლართვაა. გაშხლართა პირაღმა და სულ **ვარსკვლავები ათვლევინა** (აკაკი).

ვარსკვლავთა კრეფა შეუძლებლის მონდომება, ოცნებაა: დავჯექ ხის ქვეშ და ჩემებურად **ვარსკვლავებს დავუწყე კრეფა** (აკაკი). ირონიულია ფრაზემა ,,არც შენ კრეფ ვარსკლავებს" (არაფრის მაქნისი ხარ, არაფრით ხარ გამორჩეული).

ამრიგად, ასტრალურ სახელთა გამოყენება ქართულ ფრაზეოლოგიზმებში არის ნაწილი ქართველი ხალხის კულტურის, სარწმუნოების, მითოსისა და ფოლკლორისა. განსაკუთრებით იკვეთება მზის დომინანტი როლი. ის ფრაზეოლოგიზმებში გამო-ხატავს სიკვდილ-სიცოცხლეს, სილამაზეს, სიხარულს, სიყვარულს, მწუხარებას და ა.შ.

II. 5. საკრალური რიცხვები ფრაზეოლოგიზმებში

განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის საკრალური რიცხვები.

ა) ერთი უნიკალობის, მთლიანობის, ერთიანობის სიმბოლოა. ის გამოხატავს მტკიცე კავშირს, ერთგულებას, შეთანხმებას, გადმოგვცემს მარტოობასაც და აბსოლუტურობასაც, წარმატებსაც და წარუმატებლობასაც.

შეთანხმების, ერთიანობის, მეგობრობის გადმოსაცემად ქართულში გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები: **ერთ პირზე დგომა, ერთი პირის ქონება.**

ერთ პირზე დგომა ერთად მოქმედება, ერთიმეორის ერთგულებაა (შდრ. ერთ პირზე დგომა// ერთხმად): ჩვენ ყოჩაღად ვართ, **ერთ პირზე ვდგევართ,** საერთოდ განუყოფელად გვსურს ვიმოქმედოთ" (ილია); ,,თუ ერთად ვიქნებით, **ერთ პირზე ვიდ-**

გებით, ისე დაიმსხვრევა ძალა მთავრობისა, როგორც კიდეზე მიხეთქებული გემი“ (ს. მგალობ.); უნდა გავერთიანდეთ, მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი, **ერთ პირზე უნდა დავდგეთ** (იქვე); ,,ჩვენებურ თავადებს და რუს ხელმწიფეს **ერთი პირი აქვთ** და ჩვენც ...**ერთი პირი** და გამბედაობა რომ გვქონოდა, მაიორებს კუდით ქვას ვასროლინებდით. მაგრამ მათ **ერთი პირი აღარ ჰქონდათ** და მიყრუებულ ფოთლიანიდან ხანგამოშვებით მათი ბუზღუნი, ღრინვა და ფიცხი შეჯახება მოისმოდა (მ.ჯავახ.).

საერთო მიზანზე, რწმენასა და შეხედულებაზე მიუთითებს ფრაზეოლოგიზმი **ერთი გზა გაქვთ. ერთი საფეხურით აწევა** წარმატების თანდათანობით მიღწევაა: ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა რომ გახდა, **ერთი საფეხურით კიდევ აიწია:** ახალგაზრდა მოქეიფე თავადაზნაურებმა თავიანთ წრეში მიიღეს და პირველად ,,ნოეს ვაზში“ გამოსცადეს.

საპირისპირო მნიშვნელობისაა **ერთ ადგილს ტკეპნის** (ერთსა და იმავეს იმეორებს, ერთ დონეზე არის).

ერთი თვალის გადავლებით –ზერელედ, ერთი გადახედვით, ერთი თვალის გადავლებით სინამდვილე ვერ გაიგო (ნ. ლორთქ.).

ერთი კალმის მოსმით – პრდ. ერთი კალმის მოსმას დაეტოლება. ხტვ. მოკლედ, ცხოვლად და მკაფიოდ გამოთქმული დიდი აზრი, დიდი სათქმელი. ,,აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და ესე ოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა“ (ილია).

ქართულის მსგავსად ეს ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება თურქულშიც: ,,კალმის ერთი მოსმით“ – სწრაფად, ერთ წამში, თვალის დახამხამებაში.

არსებობს ფრაზეოლოგიზმი – **ერთი მყავდეს და შენისთანაო** (ბევრ ცუდს ერთი კარგი სჯობია). ამ გამოთქმის საფუძველი შემდეგია: ,,მეფე ერეკლეს ხლებოდა ერთი ღარიბი დედაკაცი და მოწყლება ეთხოვნა. სხვისა მამავ და ჩემო მამინაცვალო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედეო,- ეხუმრნა დედაკაცსა.– რა არის, ამოდენა ხანია, სულ მოწყალებაზედ დადიხარო, ებრძანებინა

ხუმრობითვე მეფეს, განა შვილები არა გყავსო? – მაშ რის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდეო! - არა გრცხვენიან, დედი, შვიდი შვილის პატრონი და საგლახოდ დაიარებიო! – ვიშ, შენი კვნესამე! ნეტავი **ერთი მყვანდეს და შენისთანაო**“ (ილია).

ერთი სიტყვაც არ ჩავარდება ნათქვამის ყოველი სიტყვა მართალია, სწორია, აწონილ-დაწონილია, წინდახედულია, შიგ ზედმეტი არაფერია. „პაპამ ანდაზებით ლაპარაკი იცის: რაც ძვლებს უთქვამთ, **ერთი სიტყვაც არ ჩავარდება**, სულ მართალიაო, ამბობს იგი“ (ვაჟა).

ერთი ბეწვი თმისა არ მოგაკლდება – არაფერი დაგიშავდებათ რა, სრულებით უვნებელი გადარჩებით, ნურაფრისა გეშინიათ. „შენი პატრონიც და მფარველიც ის არის, **ერთი ბეწვიც არ მოგაკლდება,** თუ ღვთის ნება არ არის“ (ილია).

ერთი ხელი სულ იმისკენა მაქვს – ვეხმარები, ვშველი, მეტისმეტად ვზრუნავ მისთვის. **ერთ ლუკმადაც ძლივს ეყოფა** – სულ არ გაუჭირდება მორევა, ძალიან ადვილად დაამარცხებს. არსენას კი **ერთ ლუკმადაც ძლივს ეყოფა** (მ. ჯავახ.).

ქართულში გვაქვს ფრაზეოლოგიზმები: **ერთი ხელის მოსმით** და **ერთი ხელის დაკვრით,** ამათგან პირველს დადებითი სემანტიკა აქვს, მეორეს – უარყოფითი: **ხელის ერთი მოსმით** კიტრის ნაფცქვენივით გადახვეტა მაგიდიდან (ო. ჭილ.); მტერი ძლიერი იყო, შეეძლო **ხელის ერთი დაკვრით** მართლა წყალში გადაეყარა ამდენი ხნის ნაამაგარი (ო. ჭილ.). (შდრ:„ცულის ერთი დაკვრით ხე არ/ვერ მოიჭრება“ – უცებ, ერთბაშად საქმე არ გაკეთდება).

ძალიან გავრცელებული გამოთქმაა **ერთი სული ჰქონდა: ერთი სული ჰქონდა,** როდის იპოვიდნენ მკვდარს (ო.ჭილ.); **ერთი სული მქონდა,** სანამ იქამდე მივაღწევდი (გ.დოჩან.); ისე კი, **ერთი სული მაქვს,** ახლავე გიამბოთ ის ამბავი (იქვე); სტუმარს **ერთი სული აქვს,** გაიგოს, რა ხდება აქ, რა ამბავია (ო. იოს.) (**შდრ.: აჭარ. სული უკაწკაწებს, სული უწიწინებს** (ძალიან უნდა)).

ერთ ბერაში გავლა, გამოყვანა თავის დაუღწევლობა, გათანასწორებაა: ბევრთა და ცოტას მწველელნი სწორეთ გავლიან ბერასა (დ. გურამ.).

ბერა ჩიხია, მწყემსების მიერ ხელოვნურად გაკეთებული, რომელშიც ძალაუნებურად უნდა გაიარონ მოსაწველმა ცხვრებმა.

ერთ დარიჯაგში გატარება ყველას ერთნაირად მიჩნევაა. ,,სხვადასხვანაირ ბუნებით და ნიჭით შემკულ ადამიანს აღზრდაც სხვადასხვანაირი უნდა, თავისებური, ჩვენ კი **ერთს დარიჯაგში ვატარებთ ყველას**"(ვ. ბარნ.).

დარიჯაგი საბას განმარტებით ყალიბია (საბა (1)1991). **ერთ მაშრაფაში//ფარდში// ტაფა შიმოქცევაც** ამავე მნიშვნელობისაა: ,,განა ყველა დამფუძნებელი ვალის ამღებიც არის, რომ **ერთ მაშრაფაში მოაქცია** ვალის ამღები და დამფუძნებელი?"(ილია); (სივილა) ყველას **ერთ ტაფაში აქცევდა,** ყველას მომჩივან ჩარჩების თვალებით დაუწყო ცქერა (გ. ნერ.); ბეზღობა და ერთგულება **ერთ ფარდში მოუქცევია** და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია (ილია).

ახლობლობა, მეგობრობა, ნათესაობა ქართულში ხატოვნად ასე გადმოიცემა: **ერთი ხის ანაჭერნი** – ერთი **კერისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი:** ჩვენ ნათესავებად მოვხვდებით ერთი - მეორეს, **ერთი კერისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი.**

როგორც ვიცით, კერა მიჭურიატკიანი სახლის შუაგულში მომაღლებული ადგილია, სადაც ანათებდნენ ცეცხლს საჭმლის მოსახარშად და გასათბობად. კერას გარშემო უსხდნენ ოჯახის წევრები, რომელთაც ცეცხლი აახლოებდა ერთმანეთთან.

ერთ ჭერქვეშ დაგვიხველებია – ერთად გვიცხოვრია, მეგობარნი ვართ, ერთმანეთის მოკეთენი ვართ. **ერთ ჯამში ვჭამთ:** მეგობრები ვართ, თანაშეზრდილები, ერთმანეთს უნდა ვუშველოთ გაჭირვების დროს. ახლობლობაზე მიუთითებს ასევე გამოთქმა **ერთი ცის ქვეშ ვართ დაბადებულნი.** ერთმანეთის საწინააღმდეგო, შეუთანხმებელი მოქმედების, არეულობის გადმოსაცემად ქართულში გამოიყენება გამოთქმა **ერთი ალთას მიიწევს, მეორე – ბალთას.**

ამრიგად, კომპონენტი **ერთი** ფრაზეოლოგიზმებში გამოხატავს ერთიანობას, ახლობლობას, ერთპიროვნულობას, გამორჩეულობას და სიმცირეს.

ბ) რიცხვი ორი ნიშნავს გაორებას. ქვეყნიერებაც ორადაა გაყოფილი (ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყარო), ამქვეყნად ორი საწყისი ებრძვის ერთმანეთს, ბოროტი და კეთილი. ქრისტიანულ კულტურაში იგულისხმება ქრისტეს ორი ბუნება: ღვთაებრივი და ადამიანური.

ქართულში გამოუვალი მდგომარეობის, კრიზისის გამოსახატავად ხშირად იყენებენ გამოთქმებს: **ორ წყალშუა, ორ ცეცხლშუა.** მაგ.: ,,ილო **ორ წყალ შუა** იყო: ცალკე დედის საცოდაობა სწვავდა, ცალკე კიდევ თამროსი" (ე. ჩერქ.); შემოჰკრეს ირგვლივ და **ორ ცეცხლშუა** გამომწყვდეული დარჩა მტრის ჯარი..." (აკაკი).

ადამიანს მაშინ შეუძლია აიცილოს ცეცხლი, როცა უკან დასახევი აქვს, მაგრამ უკანაც თუ ცეცხლი დახვდება, უსთუოდ მისი მსხვერპლი იქნება, ,,ამიტომაც ადარებენ ქართულში უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ადამიანის მდგომარეობას, როცა ცის ქვეშ არავინა და არაფერია მისი მშველელი და მხსნელი, ორ ცეცხლს შუა მყოფ ადამიანის მდგომარეობასთან" (სახოკია,1979:479).

რიცხვი **ორი** ფრაზეოლოგიზმებში აღნიშნავს **სიმცირეს:** თუ ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩა, სიკვდილს მიახლოებულია, იტყვიან, **ორი პარასკევი // ორი დღის სიცოცხლე დამრჩენიაო.**

მანძილის სიმცირეს გამოხატავს გამოთქმა **ორი ფეხის გადადგმაზე,** რადგან წინათ ორ წერტილს შორის მანძილი ნაბიჯით იზომებოდა: ,,შორი არ არის, და ჭორი არ არის... აქვე **ორი ფეხის გადადგმაზეა"** (ა.ერ.ხოშტ.).

ორი სიძლიერეს, გაორმაგებულ ენერგიას გამოხატავს შემდეგ გამოთქმებში: **ორივე ყბით ჭამა//ორივე ხელით დაბღაუჭება//ორივე ხელებით დაბღაუჭება//ორი ხელით მიცემა:**

ორივე ყბით ჭამა მადიანად ჭამაა, **ორივე ხელით დაბღაუჭება** რაიმეს დაუფლება-დაპატრონებაა, **ორი ხელით მიცემა**

(რაიმეს) გულით გამეტება. ,,ამოუჯდება გოგრა ლობიოიან ჯამს და ორივე ყბით სჭამს" (ვაჟა); ,,თუკი ვინმე გამოჩნდეს ღვთისნიერი, ცოლად წაყვანა მოგინდომის, ნუღარ კი კითხულობ რამეს...**ორივე ხელებით ჩეებღაუჭე**, არსად წაგივიდეს!..." (დ. კლდ.); ,,ღმერთი ვისაც მისცემს, – **ორი ხელით მისცემს**, ვისაც წაართმევს, კიდევ ორი ხელით წაართმევს" (ანდაზა).

ორისავ ხელის შეყრა ღვთისათვის დიდი ხვეწნა-ვედრებაა. ,,**ღმერთს შევყრი ორსავ ხელსაო**, რომ ჩემი თავი შენ დაგრჩეს, დაეყოს პირი მტერსაო" (პ.უმიკ.).

ორი მიმართულებით **მოქმედებას, ბრძოლას** გამოხატავს გამოთქმა **ორ ფრონტზე იბრძვის. ორი კურდღლის დაწერა** ორმაგი სარგებელია: შენ ხომ **ორი კურდღლის დაწერა** გინდა? (ო.ჭილ.); გულს აჰყვა კუსა, გულს! **ორი კურდღლის დაწერა მოინდომა**, ერთ დღეს დაუპირა ანგარიშის გასწორება სიმამრსაც და ბიძასაც (იქვე).

ორ კერაზედ ცეცხლის დანთება – ორი ოჯახის მოკიდებაა, ითქმის ცოლის მოღალატე კაცზე.

(როგორც) **ორჯერ ორი ოთხია** აღნიშნავს უტყუარს, უდავო ჭეშმარიტებას, რაც ყველამ რომ უნდა იცოდეს. ორჯერ ორი არ ესმის, ვერაფერს ვერ ხვდება: ,,ბატონებო, თუ **ორჯერ ორი არ გესმით**, რა არი, რომ იმედით გამობრძანებულხართ მოედანზედ?" (ილია).

ერთსა და იმავე დროს ორი საქმის გაკეთების შეუძლებლობაზე მიუთითებს ფრაზეოლოგიზმი **ორად ხომ არ გავიჭრები.**

ორი თვალი ოთხად უნდა კაცს ძალიან ფრთხილად, დაკვირვებით უნდა უყუროს ,,დიდი სიფრთხილეა საჭირო ამდენ ქურდებში, **ორი თვალი ოთხად უნდა გქონდეს**, თორემ გაუქურდავს არ გაგიშვებენ."ამ თქმას ხმარობენ, როცა მეტად საშიშ მდგომარეობაა, ადამიანს განსაკუთრებული ყურადღება მართებს.

ორი შოლტი ტყავი ააძრო (ზურგიდან), **ძლიერ სცემა:** ,,ამ თხუთმეტიოდე დღის წინად ბათუმელმა კატომ გველივით ააჭრელა ჩვენი ბრძენი Plebs-ი, ერთის მაგიერ ორი შოლტი ტყავი ააძრო" (გ.ყიფშ.).

შოლტი ტყავი ძველად ერქვა გამოუქნელი ტყავის ნაჭერს, რომლისგანაც ერთი წყვილი ქალამანი ამოისხმებოდა.

ორ სიტყვას ვერ გადააბამს (ორ სიტყვას ძლივს გადააბამს) – ლაპარაკი არ ეხერხება. ისე დააღამებდა ქალაქ დღეს, **ორ სიტყვას არ გადააბამდა ერთმანეთზედ** (ვ. ბარნ.), კაცი მთლად ცახცახებდა და **ორი სიტყვა გადაბმით ველარ მოეხერხებინა** (ყაზბეგი).

როგორც ვიცით, **ორი** არის ორსახოვნების, ერთიანობის გამთიშველი რიცხვი. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმებშიც მსგავს სემანტიკას ატარებს და ხშირად კრიტიკული სიტუაციის, დაღუპვის აუცდენლობის და გამოუვალი მდგომარეობის გამომხატველია.

გ) რიცხვი სამი მაგიურ-საკრალური მნიშვნელობისაა (ცა, ხმელეთი და ქვესკნელი). ,,ამ რწმენასთან დაკავშირებით იქმნება მთელი სარწმუნოებრივი სისტემა და მისი გამოხატულებანი: სამი ღმერთი, სამება, სამი ფიცი, სამი ჯვარი, სამი ლოცვა, სამი დაწყევლა (ნოზაძე,1957:75).

ქართულ ეპოსში რიცხვ **სამს** განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ის ნიშანდობლივია „ვეფხისტყაოსნისთვის;“ სამია პოემის წამყვანი ძმადნაფიცი გმირიც.

ცნობილია, რომ ზოგიერთ კულტურაში, მაგალითად, ძველ ჩინურში, რიცხვი **სამი** ითვლებოდა პირველ რიცხვად, მას სრულყოფილს უწოდებენ. რიცხვი **სამი** სხვადასხვა ხალხის ზღაპრებში, ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში სიმრავლეზე მიუთითებს (მეფეს ჰყავს **სამი ასული,** მზეჭაბუკს **სამ დავალებას** აძლევენ, წყაროს **სამთავიანი დევი** დაჰპატრონებია, თუმცა რიცხვი **სამი** შინაარსს იცვლის და უკვე ცოტას აღნიშნავს. მაგალითად: **სამი კალოს იქით ცხოვრობს** (ახლოს ცხოვრობს), **სამი პარასკევი არ უდევს წინ** (დღემოკლეა), **სამამდე ვერ ითვლის** (უვიცია)...

ქართულ ენაში ამ რიცხვის პრიორიტეტულობა გარკვეულწილად ქრისტიანულ აღმსარებლობას უკავშირდება. გვაქვს, მაგალითად: **სამი სახარება გაგიწყრეს** (წყევლის ფორმულა) **სამების მადლი გაგიწყდეს** (წყევლის ფორმულა), **ღმერთი სა-**

მობით არის... (მიქელაძე, ასატუროვა, ნაპირელი, კევლიშვილი, 2013:338).

ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად, ღმერთი სამპიროვანია (მამაღმერთი, ძეღმერთი და სულიწმინდა. ამასვე უკავშირდება სმასთან დაკავშირებული გამოთქმები: **სამების ძალზე, ღმერთი სამობითაა**, ღმრთის სამბუნებოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია სამი ჭიქა დავლიოთ და ორზე არ გავჩერდეთო.

ხშირად ზარმაცი, ზანტი და მერყევი ხასიათის ადამიანის მიმართ იყენებენ გამოთქმას: ,,შე კაი კაცო, **სამი დღის ხბო რა არის, წყალზე ჩავა და წყალს დალევს**, და შენ რაღა დაგემართა, რომ განძრევის უნარი წაგრთმევია და სხვათა პირში შემაცქერალი გამხდარხარ?!"

სამი კალოს იქით მახლობელ პუნქტზე მიუთითებს: ,,აქვე ახლო გახლავართ, **სამი კალოს იქით**" (ა.ცაგარ.).

საშუალო სიდიდის კალოს დიამეტრი, ჩვეულებრივ, წარმოადგენდა 15-20 მეტრს. ასე რომ, თქმაში ,,სამ კალოს იქით" უნდა უდრიდეს, სულ ბევრი, 40-50 მეტრს. კალო, როგორც მანძილის საზომი, ხალხურ თქმაში იგივეა, რაც შემოვლა, სათოფე, ცხრა მთა და სხვ. შდრ. ყურის ძირში.

ზოგ გამოთქმაში **სამი** ნიშნავს ბევრს: ერთ თარეშზე მთელ დღეს ჰფიქრობს (არსენა), **სამ დღეს ზომავს და ერთ კვირას უვლის გარშემო**; ანტონიომ კიდევ **სამი პირი გამოიძინა**, და დომენიკოსაც, აბარბაცებულს, თავდამძიმებულს, კისერი მოსწყდა... მერე, დილა იყო... ხახაგამშრალმა ძლივს გაახილა თვალები, და გაოცების თავი რომ ჰქონოდა, გაოცდებოდა - ყველაფერი ზმუოდა ირგვლივ (გ. დოჩან.).

დ) რიცხვი ოთხი ნიშნავს მთლიანობას, სისავსეს (სამყაროს ოთხი მხარე, წელიწადის ოთხი დრო, ოთხი მიმართულების ქარი, კვადრატის მხარეები). პითაგორიანელებთან **ოთხი** ასოცირდება სრულქმნილებასთან, ჰარმონიულობასთან, სამართლიანობასთან. ის ასევე მათი ფიცის რიცხვია. ქრისტიანობაში იგი სხეულის რიცხვს წარმოადგენს, მაშინ როცა სამიანი სულის სიმბოლოა (სამოთხის ოთხი მდინარე, ოთხი სახარება და მათი ოთხი ავტორი, ოთხი მთავარანგელოზი, ოთხი მთავარი

ეშმაკი, ოთხი ეკლესიის მამა, უდიდესი წინასწარმეტყველები, ოთხი მთავარი სათნოება (სიბრძნე, სიმყარე, სამართლიანობა, ზომიერება); ერთსულოვნების მომტანი ოთხი ქარი, ოთხი აპოკალიფსის მხედარი, ტეტრამორფი (ოთხი სტიქიის ძალის სინთეზი), ჯვრის ფორმის სამოთხის ოთხი მდინარე). ოთხი ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლური რიცხვია.

ოთხ კედელშუა ყოფნა ჩაკეტილობაა, **ოთხ კედელშუა რაიმეს კეთება** კი ის საქმიანობაა, რომელიც ფართო სარბილეზე ვერასდროს გამოვა: ,,ჩვენც თვითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი **ოთხ კედელ შუა** თავდება ჩვენში"(ილია).

იგივე გამოთქმა წყევლის ფორმულაცაა: **ოთხ კედელშუა დაგსვა** ღმერთმა! (შიოშვილი, 2006:26).

ფრაზეოლოგიზმი **ოთხმა კაცმა გაგიტანოს** სიკვდილზე მიუთითებს.

ოთხში ამოლება მუქარაა, დიდი გაჭირვების მიყენებას, ტანჯვას, ნამებას, მოკვლას ნიშნავს: ,,სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ **ოთხში ამოეღო**"(აკაკი).

ეს გამოთქმა უკავშირდება საქონლის გატყავებას ისე, რომ ტყავი მუცელთან არ გაიჭრას, გატყავება კისრიდან იწყება, ჯერ ორივე წინა ფეხს ტყავს ჩამოაცილებენ, მერე დაჰყვებიან და ასე გახდიან საქონელს ტყავს უკანა ფეხებამდე.

დალოცვის ფორმულაა **ოთხივ კუთხით ჯვარი გეწეროს** (ღმერთმა დაგიფაროს ყოველგვარი განსაცდელისა და უბედურებისაგან).

ძველად ხალხს სწამდა, რომ გაჭირვების, უბედურების მიზეზი იყო ეშმაკი, რომელსაც ჯვრის ძალიან ეშინოდა და ჯვარგადაწერილს ვერაფერს დააკლებდა.

ე) **ხუთი** წმინდა რიცხვია, რადგან წარმოადგენს ქალური (წყვილი) ორიანისა და მამაკაცური (კერტი) სამიანის ჯამს. ბერძნულ-რომაულ ტრადიციებში მას ქორწინების, სიყვარულის, ვენერას, ერთობის რიცხვად მიიჩნევდნენ. ქრისტიანობაში ხუთიანი ცოდვით დაცემული ადამიანის სიმბოლოა, არსებობს ხუთი გრძნობა, ჯვრის წარმომქმნელი ხუთი წერტილი,

ქრისტეს ხუთი ჭრილობა, ხუთი თევზით დაპურებული ხუთი ათასი ადამიანი, მოსეს ხუთი წიგნი და ა.შ.

განვიხილოთ ხუთთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები: **ხუთ თით სანთლად დანთება** (ვისთვინმეს) არის ხუთ თითზე გაკეთებული სანთლების მსგავსად გამოდგომა, მეტად დიდი სამსახურის გაწევა. **„ხუთ თით სანთლად რომ დაინთო,** მაინც ვერ გადაიხდი დედის ამაგს.

ხუთი თითი სანთელი შეანათებს იქ ანთებული (ვ. ბარნ.): უხვი სინათლე და ბედნიერება მოეფინება იქაურობას.

გავრცელებული გამოთქმაა **ჩემი ხუთი თითივით ვიცი** – ზედმიწევნით ვიცი, დარწმუნებული ვარ. „თელავის ბაზარი აი ამ ჩემი ხუთი თითისავეთ ვიცი და მომატყუებენ! (ვ. ბარნ.); ტყუილად როდი აერჩიათ მეთევზეებს თავიანთ მეთაურად, **ხუთი თითივით იცოდა,** სად რა იდო ამ სახლში (ო. ჭილ.).

ხუთ ყურზე ახლო არიან – ის ადგილი შორს არ გეგონოს, ხუთ ყურზე ახლოსაა. ეს გამოთქმა უკავშირდება იმ დროპს, როცა მანძილი განიზომებოდა ხმის გადამცემი ორგანოს, ყურის, საშუალებით.

ხუთი შოლტის ტყავს გაგაძრობ – ძალიან ბევრს გცემ:– თუ მომატყუე, **ხუთ შოლტის ტყავს გაგაძრობ** (მ. ჯავახ.).

ძველ დროში ხუთი ბედნიერებისა და სიწმინდის, დაცვის სიმბოლო იყო. იგი ფრაზეოლოგიზმებშიც სიახლოვეს, ბედნიერებას, სრულყოფილებას, ვინმესთვის დიდი სამსახურის გაწევას, ზოგჯერ კი მუქარას გამოხატავს.

ვ) რიცხვი შვიდი. შვიდის შესახებ უამრავი ცნობა არსებობს. ბაბილონურ-ქალდეანური სწავლის მიხედვით, ზესთა მყოფი სივრცე **შვიდ სფეროს** წარმოადგენს, რომელიც შვიდ მნათობს ეკუთვნის. თითოული მნათობი ითვლებოდა ღმერთად და თითოეულს ჰქონდა საკუთარი სფერო. ეს შვიდი სფერო ერთი მეორეს მისდევს და იქმნება შვიდი ცა, შვიდი მნათობის სასუფეველი.

ვ. ნოზაძე წერს: „ ქრისტიანობაში შვიდი ცა შვიდ ციურ ეკლესიად ითვლებოდა. ქრისტეს დაბადების ხანაში გავრცელდა ჰენოხის წიგნი, რომელშიც აღწერილია პატრიარქის

შვიდ ცაზე მოგზაურობა. თითოული ცა თითოულ მნათობს აქვს მიკუთვნებული. მეშვიდე, უმაღლეს ცაში, ამ წიგნის მიხედვით, იუპიტერის ნაცვლად ღმერთი ზის. ციდან გადმოყრილნი ანგელოზნი **მეორე და მეხუთე ცაში იმყოფებიან.** სამოთხე არის ვენუსის (ვენერას) მესამე ცაში. ამ შეხედულებას მოციქული პავლეც იზიარებდა...სლავური ჰენოხის წიგნით არსებობს **შვიდი ცა, შვიდი ქერუბიმი, შვიდი** ექვსფრთიანი **ანგელოზი,** და საერთოდ **შვიდი მილიონი** ანგელოზი" (ნოზაძე,1957:90).

ხალხის წარმოდგენით, მეშვიდე ცის იქით არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

შვიდი წმინდა, ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა და მას ეს მნიშვნელობა დღემდე შემორჩა. იგი ხშირად იხმარება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

მეშვიდე ცამდე მიწეული ღმერთთან ასული, უმეტესად ბედნიერი, უზომოდ გახარებული, მეტისმეტად კმაყოფილი, უნეტარესია. მაგ. ,,ჭაბუკი აღტაცებული იყო მაშინ და რას უკარნახებდა მას **მეშვიდე ცამდინ მიწეული** მისი გონება (ვ. ბარნ).

შვიდი მაისის წვიმა ძალიან საჭიროა, გაჭირვებისაგან მხსნელი, გამხარებელია: **,,შვიდ მაისის წვიმასავით** დაუნამე დამწვარი გული!" (ვ.ბარნ.), **,,შვიდ მაისის წვიმით** მთვრალი (გ. ლეონ.).

მაისის შხაპუნა წვიმაჭირნახულისათვის მეტად მარგებლად ითვლებოდა. ამ წვიმის მოსვლა თითქოს ემთხვეოდა მაისის შვიდს, როცა საქართველოში სხვადასხვა დღეობა იცოდნენ, მაგალითად: თეთრი გიორგობა, დიდგორობა, იოანე ზედაზნელობა, შიომღვიმობა, თვით **შვიდმაისობა** და სხვ. ქალები თმის გასაზრდელად **შვიდ მაისის ზეცით** წამოსულ წვიმას შიშველ თავს შეუშვერდნენ ხოლმე.

აჭარულ დიალექტში საჭირო წვიმას **ჭადის გაწვიმებასაც** ეძახიან (ფუტკარაძე, 2010: 76).

არსებობს გამოთქმაც: **შვიდი პარასკევი აქვს დღეში:** ცვალებადი ხასიათი აქვს, გადაწყვეტილებას ხშირად იცვლის.

აქვე უნდა განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმი **კვირაში შვიდი პარასკევი აქვს:** „რატომ მაინცდამაინც პარასკევი? ძველად პარასკევი დასვენების დღე იყო არამარტო რუსეთში, გერმანიაშიც. პარასკევს აღებულ ფულს პარასკევსვე უბრუნებდნენ. ამ წესის დამრღვევზე იტყოდნენ, მას კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო. ამ ფრაზეოლოგიზმს იყენებენ მხატვრულ ლიტერატურაშიც“ (**Шанский**, 1985:119).

ლაზურში არის გამოთქმა **შვიდ ოჯახში ერთ თუნგს ჩამოკიდებს:** ბაზი დიდო ქესქინი დიდო რენ (სწრაფი, დაუღალავი და მოხერხებულია) (ვანილიში, 2010:150).

ამრიგად, რიცხვი შვიდი ქართულ ფრაზეოლოგიზმებში წარმატების და ბედნიერების სიმბოლოა, მას უმეტესწილად დადებითი სემანტიკის გამოხატვა აკისრია.

ზ) ცხრა ქართველთა წინაპრებს უდიდეს რიცხვად მიაჩნდათ, რადგან ცხრამდე შეეძლოთ თელა და თვით ცხრა უკვე ბევრის, სიმრავლის აღმნიშვნელ ცნებად მიაჩნდათ. ქართულში გვაქვს ცხრასთან დაკავშირებული უამრავი ფრაზეოლოგიზმი თუ ანდაზა: მაგ.: **ცხრაუცხო** (ძალიან უცხო), **ცხრათავიანი დევი, მეცხრე ცა, ცხრა კბილს გამოსული სიტყვა; ცხრა მთას გადავაო, ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო, ცხრა თვალი ნისქვილი უბრუნავს** (მდიდარია), **ცხრა ნაბადზე ხტება** (მარჯვეა), **ცხრაკლიტული დაადო** (საგულდაგულოდ დაკეტა)...

ვ. ნოზაძე წერს: „როგორც სჩანს, **ცხრა უფრო ადრე იყო შემოღებული ვით წმიდა რიცხვი,** სამთან გადაბმულობით: სამჯერ სამი. მაგრამ ეს ცხრა შესცვალა შვიდმა, სანამ უკანასკნელად. ისევ არ გაიმარჯვა **ცხრამ შუა საუკუნეთა** მოგვიანო ხანაში. შემდეგ, არაბმა ასტრონომოსმა იბნ ალ-ჰაითარმა, შემოიღო **მეცხრე ცა.** ამ მეცხრე ცას უწოდებდნენ: **მსოფლიო სფეროს, უდიდეს სფეროს, სფეროთა სფეროს, ცათა ცას, ღბილ ცას, ბროლის ცას.** ...მაჰმადიანთა შორისაც **შვიდი და ცხრა ცა** არის აღიარებული. ტიბეტშიც **ცხრა ცაა ცნობილი** და აღმოსავლეთ აზიურ ხალხებსაც **ცხრა ცა** სწამდათ“ (ნოზაძე, 1957:91).

ცხრა ძალიან ხშირად გამოხატავს სიმრავლეს. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია **ცხრა მთა, ცხრა ტყე,**

ცხრა მინდორი, ცხრა მთას იქით სიშორეს აღნიშნავს. ფრაზეოლოგიზმი **ცხრა ენის გამობმა აყბედებას** გამოხატავს, **ცხრა ფეხის გამობმა** ბევრი სიარულია. ბედნიერებას გამოხატავს გამოთქმა **ცხრა მზე ამოხდება.**

ცხრა თოკიდან აშვებული მარჯვე, გამხერხე, ეშმაკი და გამოცდილია. **ცხრა თოკში გამძვრალიც** ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, გაქნილი, გამოცდილი, გაიძვერაა. ,,მკითხავი ერთი მოქნილი თათრის მოლლა იყო და, როგორც იტყვიან, **ცხრა თოკში გამძვრალი**“ (რ. ერისთ.).

საინტერესო გამოთქმაა **ცხრა ზნის დედა.** ის მიემართება ადამიანს, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ცუდი ზნე სჭირს: გარყვნილია, უნამუსოა, ქურდია, გაუტანელია. ,,მაგითანა **ცხრა ზნი დედა** ვინ გაცემს ხმას, ვინ მიიკარებს ახლო...“ (სტ. მენთეშ.).

ცხრა ნაბადზე ხტომა დიდი სიმარჯვე, არაჩვეულებრივი სიმკვირცხლე და ვაჟკაცობაა. ,,შენ დროს აგრე კი არ ვიყავი დაყურუსებული, როგორც ეხლა იყურები... მამაჩემი არ წაწყდეს, სულ **ცხრა ნაბადზე ვხტებოდი**“ (ა. ერ. ხოშტ.).

გამოთქმა იმ დროისაა, როცა შორ მანძილზე გადახტომის საზომად ჰქონდათ ნაბადი; საასპარეზოდ გამოსული ვაჟკაცი სამი ნაბადის მანძილზე უნდა გადამხტარიყო.

ცხრას უკავშირდება მრავალკომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები: **ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დააყენებს:** მეტად ღონიერია, ვერავინ მოერევა.

მაგ.: ,,თუ ლაპარაკი გავაბი, **ცხრა უღელი ხარიც** ვეღარ დამაყენებს, თუნდა ენაზე წისქვილის ქვაც დამკიდოთ“(ილია).

ტანჯვის, დასჯის გამოსახატავად გამოიყენება გამოთქმები: **„ცხრა პირი ტყავი გამაძვრეს; ერთი ისეთი დაარტყა, ცხრა შოლტი ასძვრაო“.**

ძველად საქონელს (ხარს, ძროხას) ტყავს რომ გააძრობდნენ, დაამარილებდნენ და გაახმობდნენ, მერე საქალამნეებად დაჭრიდნენ. სულ **ცხრა შოლტი გამოდიოდა ერთი ტყავისაგან, ანუ ცხრა შოლტი** უდრის მთლად ერთ ტყავს.

ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური ყველაფერს უნდა ხედავდე და ისმენდე, არაფერი გამოგრჩეს დაუნახავი და გაუგონებელი; მეტისმეტი სიფრთხილე გჭირდება. ,,დიასახლისი ხარ, **ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრაყური**, არაფერი უნდა გამოგეპაროს. ოჯახში უსაყვედურა ყაფლანმა მეუღლეს" (ვ. ბარნ.).

ცხრა ჩლაშია გამოვლილი გამოცდილი, ბევრის მნახველი, გამოცვეთილი, მეტად ნაჯახირევია.

ამრიგად, რიცხვი ცხრა ქართულ ფრაზეოლოგიზმებში სიმრავლეს, სიშორეს, მრავალფეროვნებას, გამოცდილებას, სიძლიერეს გამოხატავს; გადმოსცემს უზნეობას, გაიძვერობას, წვალებასაც.

თ) რიცხვ ცამეტის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის განსაკუთრებული იყო. ის ან უბედურების მომტანად ითვლებოდა, ან პირიქით, ბედნიერების მომასწავებლად. ქრისტიანობაში დიდმარხვის ბოლო კვირაში საღამოს წირვისას ცამეტ სანთელს (კათოლიკეები ამას tenebrae-ს უწოდებენ), აქრობენ ერთმანეთის მიყოლებით, რაც ქრისტეს სიკვდილის შემდგომ დედამიწაზე წყვდიადის დასადგურების სიმბოლოა. რიცხვი ცამეტი საბედისწეროდ ითვლება, რადგან ეს იუდას რიცხვია (ქრისტე, 12 მოწაფე და იუდა). აცტეკებთან ეს რიცხვი ნიშნავდა დროის ციკლის დასრულებას. წმინდა წიგნი „კაბალა" მოიხსენიებს ცამეტ ბოროტ სულს. აპოკალიფსის მეცამეტე თავი ანტიქრისტესა და მხეცს ეხება.

ამ რიცხვს მრავალი ცრურწმენა უკავშირდება. **აშშს** ბევრ სასტუმროში არ არსებობს არც მეცამეტე სართული და არც მეცამეტე ოთახი, თვითმფრინავებში არ არის ამ ნუმერაციის სავარძლები. საფრანგეთის მსხვილ ქალაქებში სახლებს, რომლებსაც რიგითობით ნომერი **ცამეტი** შეესაბამებათ, აღნიშნავენ „12 B-ს". დიასახლისები გაურბიან სუფრის **ცამეტ** პერსონაზე გაშლას. ეს უკავშირდება მოგონებას საიდუმლო სერობის შესახებ, როცა იესო ქრისტესა და მისი თორმეტი მოწაფის გარდა, ბოლო ტრაპეზზე მოღალატე იუდაც იმყოფებოდა.

მეცამეტე გოჭი მეტიჩარას, არამკითხე მოამბეს, უკანონოს ნიშნავს: ,,შენ შენთვის ეგდე, ემანდ **მეცამეტე გოჭივით** ნუ ეჩრები, თორემ კატასავით თავს გაგიჭეჭყ!"(ა. ცაგარ.).

,,ჯიშიან ღორს **თორმეტი** ძუძუ აქვს ხოლმე. დედა ღორს გამოზრდა შეუძლია იმდენი გოჭისა, რამდენიც ძუძუ აქვს. ზედმეტი გოჭი სასიცოცხლო არ იქნება, თუ ხელოვნურად არ ვასაზრდოვეთ. აქედან ,,მეცამეტე გოჭის" სახელი მიეკუთვნა ადამიანს, ვინც სხვათა საქმეში ეჩრება, უმაქნისია, არაფერშია გამოსადეგი, არც თავისთვის და აღარც სხვისთვის, ვინც მეტიჩარაა და ზედმეტ ბარგად სხვას აჰკიდებია. ახლაც მეტიჩარას, სხვათა საქმეში ჩამრევს გამასხარავებისა და მისი უღირსების გამოსახატავად ეტყვიან ხოლმე: გასწი, **შენ ჩემო ცამეტიანოო, რაც გულისხმობს მეცამეტე** გოჭსა და მის მეტიჩრობას" (სახოკია, 1979:392).

როგორც ვხედავთ, რიცხვი ცამეტი უარყოფითი სემანტიკის მატარებელია, საიდუმლო სერობის ზეგავლენით ცამეტს ავბედით რიცხვად მიიჩნევენ. ქართულ ფრაზეოლოგიაშიც ის უარყოფითი სემანტიკის მატარებელია. მისი სემანტიკა გაფართოებულია და არა მარტო ცუდის, მოღალატის, არამედ ზედმეტის აღსანიშნავადაც იყენებენ ფრაზეოლოგიზმებში.

ამრიგად, ცალკეულ რიცხვს ქართულ სინამდვილეში განსხვავებული სემანტიკისა თუ სტილისტიკური ნიუანსების გადმოცემა აკისრია. ეს უკავშირდება რწმენა-წარმოდგენებსა თუ გამოცდილებას.

II. 6. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ფრაზეოლოგიზმებში

ქართულ **ფრაზეოლოგიზმებში** წამყვანი სიტყვა ხშირადაა **ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა.** ფერებს სიმბოლურად აკისრია სხვადასხვა სემანტიკის გამოხატვა. ამით ცალკეული კულტურაც განსხვავდება ერთმანეთისგან. ფერების აღქმა და თეორიული გააზრება ადამიანს უყალიბებს ფერთა კონცეპტებს. მაგალითად, თეთრი სისუფთავის, სიწმინდის, უმანკოების, უბიწობის, სულიერი სიძლიერის სიმბოლოა. ის აღმოსავლეთში სიკვდილსა და გლოვასთანაც ასოცირდება. თეთრი ფერის

სამოსელს გლოვის ნიშნად იცვამენ. შავი ფერი გლოვას, სიკვდილს უკავშირდება, ისლამში შურისძიების ფერია, ჩინეთში კი – ღირსებისა.

უარყოფითი სემანტიკის გადმოსაცემად გამოთქმა **შავი დღე** უნივერსალურია ქართულში, ინგლისურში, გერმანულში (შავლაძე, ნათაძე, 2005:74).

შავი ფერი სიმბოლურად უბედურებას, ტანჯვას, წვალებას უკავშირდება. ქართულშიც უხვადაა ამ სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი: **შავი დღე, შავი კაბის ჩაცმა** (ქვრივობა), **შავი დღის დაყრა** (დატუქსვა, წვალება, მუქარა); **შავ დღეზე გაჩენილი** (უბედური):

რამდენი ოჯახია მისგან **შავი კაბით დამჯდარი,** ვინ მოსთვლის! (ს. მგალობ.); **შავი კაბის კალთით** ძლივს გამოვზარდე (მელან.); აქაც გულს ადამიანისა **შავები არ** შეუმოსია გლოვის ნიშნად (ილია); **ისეთი შავი დღე დამაყენა,** რომ დღესაც არ ვვარგივარ!; ამ გაჭირვების დროს გამოხსნეს ქალებმა თუ სადმე ჰქონდათ ფარა გამოკრული და **შავ დღისთვის** მიგდებული (ვ. ბარნ.); ვიღა შემოგხედავთ **თქვე შავ დღეზე გაჩენილებო,** ვიღა? (დ. კლდ.).

მ. ბარამიძემ **შავშურ კილოში** დაადასტურა **გამოთქმა: შავი პირი, თეთრი კბილი** (შავშ.187). „ასეთ ადამიანს გულში სხვა უდევს, ამბობს სხვას. **პირი** შეიძლება აქ **გულის** სინონიმიც იყოს“ (ბარამიძე, 2011:43).

საერთოქართველური გამოთქმა **შავი დედალივით გასუქება//შავი ქათამივით აშენება** (უჩა ქოთომცალუ გეკეთ) გამდიდრება, შოვნა, შეძენაა (გულუა, 2004: 31).

შავით თეთრზე – აშკარად, უეჭველად. **შავის გათეთრება** თავის გამართლება, ბრალის აყრა, დანაშაულის გაბათილებაა.

თეთრი კბილების გამოჩენა ფარისევლობა, მოჩვენებითობაა: მაგ.: **თეთრ კბილს გვიჩვენებს,** გვიცინის, **გული სავსე** აქვს **შხამითა** (ვაჟა).

ბიბლიური ფრაზეოლოგიზმია **წითელ კვერცხს უგორებს** – ყველაფერს უთმობს, ცდილობს ასიამოვნოს. წითელი კვერცხი სისხლით გამოსყიდული სიცოცხლის, დედამიწის სიმბოლოა

ქრისტიანობაში. აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა საფლავზე კვერცხს გადააგორებენ ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარმა ჯოჯოხეთიდან გამოიხსნა სულები და ზეცას დაუბრუნა.

წითელი კვერცხი საალერსოს, განსაკუთრებულს, მოსაფერებელს ნიშნავს. გამოთქმა **წითელი კვერცხის გორებამ** მიიღო ირონიული გაგება: უგორე ახლა ამას წითელი კვერცხი, მე მაქვს ბედი? შინ და გარეთ ყველას წითელი კვერცხი უნდა უგორო (დსკი). ამგვარ მაგალითებზე დაყრდნობით მსჯელობენ, რომ ,,ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმთა ნაწილს სემანტიკა დღეს შეძენილმა ირონიულმა დატვირთვამ შეუცვალა, რაც ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული" (ხაჭაპურიძე, ლომთაძე, 2006: 3012).

საინტერესო ფრაზეოლოგიზმია **წითელ კვერცხს ვერ გაფცქვნის** – დიდხანს ვერ იცოცხლებს; აღდგომამდე მოკვდება.

საინტერესოა ჩვენებურთა მეტყველებაში გამოვლენილი ფრაზეოლოგიზმი **ყირმიზი მუმებით დაპატიჟება: ყირმიზ მუმებითნა ვპაიჯო თუ?** (ჩვენებ. 77) (მუმი (არაბ. mum –სანთელი. ე.ი. რა თავპატიჟი გამოიდო, საგანგებო დაპატიჟება რად უნდა?!).

ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება **შერეული ფერებიც. მაგ. ჭრელი ადამიანი** (დაუნდობელი, შეუცნობელი, ორპირი); **ჭრელი ჭირი** (ადამიანის იშვიათი ნაკლო-ვანება ან განსაცდელი), **ჭრელი ხარის ამბავი** (მაჭანკლობა); **მზის ჭრელად დანახვა** (სიკვდილის მოახლოება):

ვაი, დედაშენსა, სოლომონ, **რა ჭრელად ვხედამ მზესა** (პ. უმიკ.); **ჭრელია ადამიანი,** ძნელი გასაგებია მისი ხასიათი (ვ.ბარნ.); გველი გარედანაა ჭრელი, ადამიანი შიგნიდანო, – გვასწავლის ქართული ანდაზა.

საინტერესოა **მეტიჩრობის** გამოსახატავი ფრაზეოლოგიზმი **ჭრელტარა კოვზივით ჩაჩრა** (სხვის საქმეში): ,,განა არ ვიცი მაგის თავხედობის ამბავი, საცა არა მგონია, **ჭრელტარა კოვზივით** ჩაეჩრება."

საინტერესოა კლარჯული დიალექტის **ფრაზეოლოგიზმი ჭრელი კბილების გამოჩენა:** თავრობამ თუ ცოტა ჭრელი

კიბილები არ გამუაჩინა, ქირდათ ეიღებს ჯაჰილი ხალხი და მის თოკზე დეიწყებს სამასა (ჩვენებ. 339).

წინამდებარე მაგალითიდან ჩანს, რომ **ჭრელი კიბილების გამოჩენა** რეჟიმის გამკაცრება, სანქციებია, **მის თოკზე სამა** – საკუთარ ნებაზე სიარული.

ფერის მნიშვნელობის სხვადასხვა კულტურაში აქვს არამარტო უნივერსალური ნიშანი, არამედ განსხვავებებიც, რომლებიც ეხება გონების ღრმა ფენებს და ასახავს კულტურულად განპირობებულ ეროვნულ ფასეულობებს. ფერთა სახელწოდებების სტრუქტურულ-სემანტიკური განსხვავებები დაკავშირებულია სხვადასხვა კულტუ-რის წარმომადგენლების მიერ სამყაროს სურათის განსხვავებულ აღქმასთან, რაც განპირობებულია ისტორიულ-კულტურული, კლიმატური და სხვა სხვაობით (ზოსიაშვილი, 2013:183).

დალოცვის ფორმულებში გვაქვს **თეთრი ლეჩაქით დაბერება:** თეთრი ლაჩაქით დაგაბეროს ციცავ, რა ლამაზი მომსახურება ქცოდნია (ჩვენებ.465); ღმერთმა შენი ბადიშების **თეთრი წვერი მოგასტრას** (იქვე).

ამრიგად, სამყაროს ფერის სურათი მეორეულია. ის ყოველ კულტურაში თავისებურია და მათში აისახება ღირებულებები, ზნეობრივი ნორმები, მორალი, კულტურა და ა. შ.

აღნიშნული საკითხის დეტალური, საფუძვლიანი კვლევა ფერთა ქართული ენობრივი სურათის აპეციფიკას გამოკვეთს.

II. 7. სამოსლის აღმნიშვნელი სახელები

ფრაზეოლოგიზმების წამყვანი სიტყვა შესაძლებელი იყოს სამოსლის აღმნიშვნელი სახელები: **ქუდი, მანდილი, ლეჩაქი, კაბა, შარვალი, ჯიბე, საკინძე, საყელო, ნაბადი.** განსაკუთრებით საინტერესოა **ქუდის ან მანდილის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც შეიცავს ლინგვოკულტუროლოგიურ ცნობებს, ინფორმაციას.

ქუდი მამაკაცობის ემბლემაა, ისევე როგორც ლეჩაქი, მანდილი ქალისა. სხვისთვის ქუდის აგლეჯა შეურაცხყოფად ითვლებოდა, ქუდის სროლა სიყვარულს ნიშნავდა, მგლოვიარე

კაცი ქუდს არ დაიხურავდა და ქალამანს არ ჩაიცვამდა. ქუდს მაშინ დაიხურავდა, როცა მიცვალებულის წინაშე ვალს მოიხდიდა. ხევსურები დიდ პატივს სცემდნენ ქუდის საშუალებით თხოვნას, თუ **„ქუდით სთხოვდნენ,"** მტერსაც კი შეურიგდებოდნენ. **„ქუდითვე სთხოვდნენ"** მიცვალებულში ქელეხში მისვლასაც. მოწვეული ქუდს ვერანაირი მიზეზით ვერ ეტყოდა უარს. სვანი მტერს რომ მოკლავდა, მოკლულის ქუდს თან წამოიღებდა. ვაჟკაცზე იტყოდნენ, **თეთრი ქუდი ჰხურავსო,** აუგიან სახელიანზე – შავი ქუდი ჰხურავსო. **ქმრისთვის ქუდის მოხდა** ცოლის ღალატზე მიუთითებდა, **ქმრისთვის ქუდის დახურვა** ნამუსიანობას ნიშნავდა. ზნეობრივად დამაკნინებელი იყო გამოთქმა **ქუდი შეგირცხვესო.** გვაქვს ფრაზეოლოგიზმი **თავს ლაფის ქუდი ჰხურავს** (სახოკია, 1979:690-691).

ძალიან საინტერესოდაა გადმოცემული შერცხვენა, **თავის მოჭრა** კლარჯულში, ლივანურ მეტყველებაში: თქვენებურ ოროსპებმა დაპილწეს თურქიე, თურქები თავ გვეცინებიან, **ქუდები ჩამოგვაწვიეს** (ჩვენებ. 315).

ქუდები დახიეთ და დედაკაცებმა კიდევ ჩიქილები. ვიქეიფოთ! (ა. ცაგარ.); ახლა უფრო შემიყვარდნენ ეგენი ძმასავით, მაგათ მამაცობისთვის. **დღეს დაიხურეს მაგათ ქუდი** (გრ. ორბ.); ახლა კი **ვაჟკაცს ქუდი მოხადეს,** საქვეყნოდ სცემენ (მ. ჯავახ.); აზნაურობა მიყვარდა, გვერდზე **დახურვა ქუდისა** (პ. უმიკ.).

ქუდის გვერდზე დახურვა თავმომწონეობაა.

ლეჩაქთან//მანდილთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმებია: **მანდილის// ლეჩაქის დახურვა, მანდილის//ლეჩაქის მოხდა** (ნამუსიანობა, ღირსება// ქალის მიერ ნამუსზე ხელის აღება). ქალი არა ვყოფილვარ და **მანდილი არა მხურებია თავზე,** თუ მაშინვე კბილით არ დავაგლეჯინე შენივ ხორცები, დიდო ბატონო აშოტ! (ვ. ბარნ.); **მოგიხდია თავზე ლეჩაქი** და მთელ სოფელს შენგან მოსვენება არ აქვს...ეს გურიელიც... **ლეჩაქის ყურზე მყავს გამობმული** (აკაკი).

ლეჩაქის დახურვა მამაკაცის მიერ სამარცხვინო საქციელია: ლამის იმ ურჯულო **თათარმა ლეჩაქი დაგვახურა** (ილია).

მეტად საინტერესოა ამავე სემანტიკის ლაზური ფრაზეოლოგიზმი **ძვალი შეელება** (სახელი გაუტყდა (მემიშიში, 2015:155).

ლეჩაქის ყურით გამოზრდა შინაურულად, კეთილზნეობით გამოზრდაა.

საყელო ამოიფერთხა – ეს ფრაზეოლოგიზმი თ. სახოკიას ,,ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში" განმარტებულია, როგორც რაიმეს მოცილების ნიშანი, ბოროტისა და სიავის განრიდება, უდანაშაულოდ აღიარება თავისა.

ლექსიკოგრაფი საყელოს ამობერტყვას უკავშირებს იმ დროს, ,,როცა ადამიანის სხეულის პირველი საფარველი მხოლოდ პერანგი იყო, რომლის უბეებშიც ინახავდა კანონიერი თუ უკანონო გზით ნაშოვნს. ბავშვები მეზობლის ტყეში ან ვენახში რამეს რომ მოიპარავდნენ, უდანაშაულობის დასამტკიცებლად პერანგის საყელო უნდა დაეფერთხათო",– წერს ავტორი (სახოკია, 1979:558) (შდრ. უბე ამოიფერთხა/ჲახა **ამოიფერთხა/ამოირეკა** (იმავე მნიშვნელობისაა, რაც საყელოს ამოფერთხვა).

ჩვენი აზრით, უბე, გული, საყელო ის ადგილია, სადაც ადამიანი ყველაზე ფაქიზ გრძნობებს და განცდებს ინახავს. თუ ის გაცამტვერდა, მაშინ **გულს გამოიცვლის, საყელოს ამოიფერთხავს, მას გული გაუგრილდება ან წარმოდგენა დაეკარგება**: ,,რა ღვთის გარეგანი ყოფილა, გენაცვათ!– **იბერტყავდნენ** სახელოს მეზობლები" (ვ.ბარნ.). როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ მეზობლებს წარმოდგენა აქვთ დაკარგული.

ე. შენგელიამ შეისწავლა სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში: ორტყაფუ მოლაფირი აფუ- **სარტყელი შეხსნია, ჩავარდნია** (მშიერია),ოყალე ოფშა მაქუ– **საყელო სავსე მაქვს** (ბევრი მყავს სარჩენი), **საყელოში მაცვივა** (ნაქურდალივით, უგემურად ვჭამ), ნაბადით ვარე რთვილი ქიყანა – **ქვეყანა ნაბდით არ არის დახურული** (სიმართლე არ იკარგება), მა დო ჩქიმი ნაბადია – **მე და ჩემი ნაბადიო**- მთელი ჩემი შესაძლებლობებით აქ ვარ, ჯიბეშა ალახუნაფა– **ჯიბეში ჩასმა** (მოტყუება), **ჯიბეწკემა** უკარსათ ვორექ **ჯიბესთან უკაცრავად ყოფნა** (უფულობა), **ჯიბეგორხვილი**– ჯიბეგახვრეტილი, ჯიბე ფართხილი- **ჯიბეგა-მოფერთხილი,**

ჯიბეშა ჭუკი აფუ ალაღურელი –**ჯიბეში თაგვები უთამაშებენ,** ძიქვას ეშე გამგონწყენქე– **შარვალს ზემოდან, კაბასავით გაგხდი** (სასწაულს დაგმართებ), ძიქვამო ონთხორალი **შარვლით დასამარხი** (სუდარა რომ არ ელირსება) (შენგელია, 2013: 64-66).

ლაზურში გ. ვანილიშმა დაადასტურა ფრაზეოლოგიზმი **ქალამნის თოკს ათრევს** (ქალამანის თოკი თიუფა) (ვანილიში, 2010:149).

კომპონენტი კალთა გვხვდება შემდეგ ქართულ ფრაზეოლოგიზმებში: **კალთაში გაზრდა** (ზედმეტი ზრუნვა), **კაბის კალთის დაფარება** (დაცვა, მზრუნველობა), **კალთების აკრეფა** (გაქცევა); **კალთების დაგლეჯა** (ხვეწნა), **პატივისცემის კალთიდან გადმოყრა** (უმადურობა).

მოვიყვანთ მაგალითებს: **ჩემ კალთაში ვზრდი** (ა.ცაგარ.); ღვთისმშობელო ჩარგლისაო, შენი **კაბის კალთა დააფარე** (ვაჟა); **კალთა დავაგლიჯე** ხვეწნით, კითხვა მასწავლე-მეთქი (აკაკი); არ ნამოხვალ და არავინ შეგეხვეწება, **კალთებს არავინ დაგაგლეჯს!** (საუბ.); მაქაურ კაცს რაც უნდა პატივი სცე, ადგება, წავა და **კალთიდან გადაყრის პატივს.**

აღნიშნული ჯგუფი, სხვა ჯგუფთა მსგავსად, დაწვრილებითაა შესასწავლი. ეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან გამოიკვეთება ლეჩაქის, მანდილის და ა.შ. ლინგვოკულტუროლოგიური როლი და მნიშვნელობა.

თავი III.

ქართულ ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ანალიზი

ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ანალიზის შედეგად გამოიყოფა ბუდეები. ყველაზე დიდ ფრაზეოლოგიურ ბუდეს ქმნიან ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სიყვარულის სემანტიკას გადმოგვცემს. ისინი განსაკუთრებით უხვადაა კლასიკური ქართულ ძეგლებში, დიდია ასევე ნათარგმნი ლიტერატურის როლიც, რომლის მთავარი თემა სასიყვარულო ურთიერთობებია. მრავლად გვაქვს სიკვდილის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებიც.

III. 1. სიყვარული

ქართული ფრაზეოლოგიზმების მიხედვით, სიყვარულის სემანტიკა პირველ რიგში უკავშირდება გულს: *გულში მიჯნურობის მარცვლის//თესლის გულში დათესვა, სიყვარულის გულში ჩავარდნა, ჩადება ან გულზე ტრფიალების ეშხის შემოყრა, გულის დაჭრა, გულში ისრის/ წანგის გარჭობა, სიყვარულის სასმელის შესმა, სიყვარულის ცეცხლის მოდება, გულის დაგვა, გულის დაწვა, გულის უკვამლო ცეცხლით წვა, გულის დადაღვა, გულის დატყვევება, დაბმა, გულის შეპყრობა, მიჯნურობის ქამანდით შეპყრობა* და სხვა მრავალი.

ამავე სემანტიკას გამოხატავს *გულში ჩაბეჭდვა, გულის მიცემა, გული მოტაცება. სიყვარული გულის ადუღება, გულის შევარდნა ან გულში ვინმეს ჩავარდნაა.*

მოვიყვანთ მაგალითებს: მისი **ეშყი გულსა ჩემსა შემოყრია** უკუსაყრად (შჰნმ. 281,48); ახლა რა შენ გიხილე, შენი **სიყვარული გულში ჩამივარდაო** (ყარ. 648,6); მე შენგან კიდე **სიყვარული გულსა არავისი ჩავიდვა** (ვისრ.241,24); შენ **მიჯნურობისა თესლი გულსა შიგან დაგეთესვის** (იქვე, 191, 33).

სიყვარული შეყვარებულისათვის **გულის მიძღვნა//მიცემაა: გული** შენთვის **საკუთრად მომცია** (ვისრ. 279,23), **შეცთომით გული გიძღვნია** მისთვის (იქვე, 31,7).

გულის ძლევასთან, მიცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული სიყვარულის კლიტის სხვისთვის შევედრებაც. იგი მხოლოდ „ვისრამიანში" გამოვლინდა: ცოლი კიდე გააძე და **სიყვარულის კლიტე სხვასა ვინმეს შეჰვედრე** (ვისრ. 116,13).

სიყვარული ხშირად **გულის დაჭრადაა** გაგებული: ვისის ცეცხლით იდაგება, ვისი **გიჭრის გულსა დანა**? (თამარ. 74, 6); შენი მკლიდეს სიყვარული, **გულსა დანა ასაქმარი** (ვტ.132,4); მოეწერა, გიბრძანებსო ვისი **მესვა გულსა დანა** (იქვე, 385,2).

ჭრის სემანტიკას უახლოვდება ისრის, ნანგის, ბრჭყალის, კლანჭის **სობაც**: გულჩინს შემოხედა და მისი ტრფიალის **ისარი გულსა განეწონა** (ყარ. 302, 12); ასი ათასი **ისარი მარჭვია** (ვისრ. 62,3); მისსა გულსა შიგან **წანგი ჩაემაგრა** (ვისრ. 88, 28).

ქალისა **გონებაცა მიჯნურობისა ქამანდს** შეეპყრა (ვისრ. 123,4).

ქალისა გონებაცა მიჯნურობისა **ქამანდს შეეპყრა** (იქვე,123,4)(შდრ.:გული ჯაჭვით შეკრული მაქვს, გამიხსენი, მომეხმარე (თამარ. 68, 3)).

„ქამანდი საგდებელია, მარყუჟიანი თოკია. ქამანდის გდება ანუ კვრა არის განსაზღვრა ვისამე დაჭერის, ხელში ჩაგდებისა. იგი საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში იხმარებოდა ცხენების დასაჭერად, რომელიც ჩვეულებრივ, ზამთარ-ზაფხულ მინდვრად ჰყავთ ხოლმე და ამიტომ ნახევრად გარეულები იყვნენ (სახოკია, 1979:673).

შეყვარება გაიგივებულია **სიყვარულის სასმელის შესმასთანაც**: სამსალისაებრ სიყვარულისა სასმელი დიდად უსვამს (ვისრ.72,14).

სიყვარული „ვისრამიანში" გაიგება ჭარმაგზე ჯდომასთანაც: რახსისაგან გარდახდომილ ვარ და **სიყვარულისა ჭარმაგსა შეჯდომილ** ვარ (ვისრ. 120,16).

საბასთან **ჭარმაგი** განმარტებულია, როგორც თეთრზე შავით დაწინწკლული ცხენი. ეს სიტყვა სპარსულია cartmak (ანდრონიკაშვილი, 1996:176).

სიყვარულის სემანტიკა ძალიან ხშირად **ცეცხლის მოდებასთან // დაგზნებასთან** ასოცირდება. ასეთი ფრაზეოლოგიზმებით

სათქმელი ჰიპერბოლიზებულია: **ერთი ცეცხლი მომედვა** მე და შენ (ვისრ. 346,18); მოაბადს **ღვიძლსა ცეცხლი ედებოდა** (იქვე, 127,4); შენის სიყვარულისა **ასეთი ცეცხლი ჩამეგზნა**, რომე ნამიცა ვეღარ დავყავ სახლსა ჩემსა (რუსუდ.54,22); ვაი, გულო ვირემდინ **მიგზნებ ცეცხლსა?** (ვისრ. 276,17); ვიროს **მგზნებარე ცეცხლი მოედვა გულსა** (იქვე, 46,15); წიგნი ვნახე, მისი იყო ვისი **მდაგავს ცეცხლი გულსა** (ვტ. 369,1); აწ გახსენებ, ვისგან ჩემი **დაუდაგავს გული ალსა** (იქვე, 318,4); რა ზავ მის მზისა ხმა გაიგონა, **გული დაეწვა** (რუსუდ.70,4).

ამავე მნიშვნელობისაა **გულის დადაღვაც:** მიკვირს, თუ **გული** ალმასი შავმან წამწამმან **დაღა** რად (ვტ.705,3); ზალდასტანს **მიჯნურობისა ცეცხლი გულსა უდაღვიდა** (შჰნმ. 1258,1).

სიყვარული **გულის დნობაცაა: დადნა გული** და ტანი ჩემი შენითა გონებითა (ვისრ. 76,16); **დადნა** ცვილივითა გული ჩემი სიყვარულითა (რუსუდ. 554,9). ,,ვისრამიანში" სიყვარული გაგებულია ასევე **გულის უკვამლო ცეცხლით წვად: გული მისი უკვამლოისა ცეცხლისაგან იწოდა** (ვისრ. 334, 4).

შეყვარებული, გამიჯნურებული გული **დაბმულია. ბმის** სემანტიკა აქ გავრცობილია მხატვრული ელემენტებითაც: აჯაბთა მქმნელნი მწვრეტელთა **გულსა** მუნ **დააბმიდიან** (ვტ. 612, 2); **ჩაიჭრა ჩემი გული** შენის სიყვარულისაგან უნებლივ, ვითა **ნადირი ბადესა** (ვისრ. 63,22); შენისა **სიყვარულისა ლაგამი ამდებია პირსა** (ვისრ. 300, 35); **გული ჯაჭვით შეკრული მაქვს**, გამიხსენი, მომეხმარე (თამარ. 68, 3). გვაქვს **გულის ქამანდით დაბმაც.**

ქამანდი საგდებელია, მარყუჟიანი თოკია. ,,ქამანდის გდება ანუ კვრა არის განსაზღვრა ვისამე დაჭერის ხელში ჩაგდებისა. იგი საქართველოში, განსაკუთრებით, სამეგრელოში იხმარებოდა ცხენების დასაჭერად, რომელიც ჩვეულებრივ, ზამთარ-ზაფხულ მინდვრად ჰყავთ ხოლმე" (სახოკია, 1979: 673).

სიყვარული, შეყვარება გულის დატყვევებაცაა: გულნი ჩუენნი გაუშვებლად **დაეტყვევნეს** მისით მახით (ვტ.1150,4); შეუპყრიხარ სიყვარულსა, **გული შენი დაუტყვია** (იქვე,128,4); გამოჩნდა ვისის პირი და მისისა გამოჩენისგან **დატყვევდა რამინის გული** (ვისრ.61,24).

„შაჰნამეში“ გვხვდება **გულის შეპყრობაც:** მან **შეიპყრა** კაცთა **გული,** ლომი მისგან მოკუდების (შჰნმ. 2646,2).

„ყარამანიანში“ **სიყვარული ტვირთადაც** გაიგება: რა ქალმან ყარამანს შეხედა, **სიყვარულის ტვირთი** გაუმრავლდა (ყარ. 103: 26).

საშუალი ქართულის ნათარგმნი ძეგლების მიხედვით, **სიყვარული** გაიგება, როგორც **მიჯნურობის თესლის გულში დათესვა, სიყვარულის გულში ჩავარდნა, ჩადება ან გულზე ტრფიალების ეშხის შემოყრა.**

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **გულის დადაღვაც.** სიყვარული **გულის ადუღება და გულის შევარდნაცაა.**

გამიჯნურებული **გული დაბმულია.** სიყვარული, შეყვარება **გულის დატყვევებაცაა.** „შაჰნამეში“ გვხვდება **გულის შეპყრობაც.**

III. 2. იმედი, დაიმედება ძირითადად შემდეგი ფრაზეოლოგიური შესიტყვებით გადმოიცემა: ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი, ჩემნი **გულისა მდებელნი** და ჩემნი შემაგონანი (ვტ. 582,2); ჩემთა ლაშქართა ზურგი და **გულის დამდები** შენ ხარო (რუსუდ. 283, 31); თავზედ მოწყალებიანი ხმა გაიგონა, **იმედი მიეცა** (ყარ.202,18); სამანის მიუსვლელობისათვის იმედი დაედოთ (იქვე,196,31), ნეტარ შევებრალებიცა და **იმედსა დამიდებსცა** (ვისრ. 263,4); უხანოთა კაცთა აღარ დავეახლო, აღარც არავისგან **იმედი მქონდეს** (იქვე, 242,18); ბედისა ჩემისაგან **ვპოვე იმედი,** რომელ არ თურე უბედური დამბადა ღმერთმან (იქვე, 339,12).

იმედის წყლის პკურება- აქ სემანტიკა აშკარაა (დაიმედება).

მიუთითებენ, რომ „შოთა რუსთველის ოპტიმისტური მსოფლმხედველობა შუქისა და ელვის სხივითაა გასხივოსნებული. **ელვათა ფენა, მზის შუქთა შემოდგომა** და სხვა მრავალი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სამხიარულო, ლაღ განწყობას გამოხატავენ“ (ღლონტი, 1968:23).

III. 3. სიხარულის სემანტიკაც, უპირველეს ყოვლისა, **გულს** უკავშირდება: აქვე გვაქვს ფრაზეოლოგიზმები, რომელთა კომპონენტიცაა **პირიც:** ნახვისა მოლოდნა **გულსა** ეგრეცა **ალხენ-**

და (ვისრ,134,18); იამა და სიხარულის ყვავილი აუყვავდა პირსა ზედა (ვისრ. 349,6); რამინ დაინახა და სიხარულით პირი აუყვავდა (ვისრ. 285, 35).

რა შეხედნა, ყმასა გულმან გაუფეთქნა, გაუნათლდა (ვტ. 857,1); გულსა ალხინე ჩემისა მოშორვებისა მთმობელსა (ვტ. 1294, 3).

ამგვარი ფრაზეოლოგიზმი სხვაც ბევრია: გულის განათება// ლხენა//აყვავება. გახარება გულზე ვარდის გადაფენაცაა.

III. 4. დამშვიდება მდიდარი სემანტიკური ჯგუფია: ვერ იპოვის, რა ქმნას ანუ გული რითა დაიწყნაროს (ვტ.758,4); გული თრთოლისაგანცა დაიწყნარა (ვისრ. 242, 20); დათმობისა წყლითა გული დაუბანია (ვისრ.55,11); დათმობისა წყლითა გული გავირეცხე (იქვე), მოთმინებით გული დაიმშვიდა (იქვე, 216, 34); სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა (ვტ. 81,4); დაიდვეს წინა ნადიმი, გარდუშვეს გულსა დარდია (შჰნმ. 556,2); იცოდა რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა (ვტ. 881, 2); შენ ჩემისა გულისა ნაღველი განაქარვე (რუსუდ. 96,32); ლამიანი პერანგი აიხადა, გულისგან შეწირვება გააგდო (ვისრ. 142,26); აწ შენისაგან გულისა შენისაგან ჟანგი მოიხოცე (ვისრ. 285,15); აწ გარდაიგდე სრულიად გულისგან მძიმე ტვირთისა (ვისრ.355,4); დამატკბო და მომასვენა, გულზე ჟანგი გარდამბანა (თამარ. 57,7); მისისა გულისგან ცეცხლი და კვამლი დაშრიტა (ვისრ. 95,19); აწ ვინღა დაავსებს გულისა ჩემისა ცეცხლს (ვისრ. 321,1); უკუვიყრი კაეშანსა, არ დამესმის გულსა მანა (შაჰნ.105,3); ვპოვე წამალი გულისა, აქამდე დადაღულისა (იქვე,595,4); ღმერთმან გული გამინათლა, გახეთქილი, გა-ცამწყრალი (ვტ. 1422,2).

იფ! მოსევ! ძლივს გულიდან ლოდი არ აიცალე! (ილია); ეს იყო იმის მიზეზი, რომ ყმანვილმა დარდი გადაიყარა გულიდან და მხიარულად დაადგა გზას (ვ. ბარნ.).

როგორც ვხედავთ, ამ სემანტიკურ ჯგუფშიც ფრაზეოლოგიზმთა უმეტესობა გულ' კომპონენტიანია, შედარებით იშვიათია სხვა კომპონენტები: სით ვისის ამბავი მესმა, შეჭირვებისა ჭირი დამიმოკლდების (ვისრ.,132,22); დაეხსნა სული ჩემი

ჭირთაგან (იქვე, 310,1), კაცმან პოვოს სიამოვნე, მაშინ სევდა გაიძესა (იქვე, 310,3); ვეცადე მალვასა, მას სევდის უკუყრასა (რუსუდ. 535,34); მერე მსწრაფლ გონება შემოიკრიბეს (იქვე, 471,12); ყმამან ცნა, თუ: გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა (ვტ. 242,3).

მოკლედ, დამშვიდება არის გულის დაწყნარება ან გულიდან დარდის გაშვება// შეჭირვების გაგდება// ნაღველის განქარვება//კვამლის დაშრეტა// ცეცხლის დავსება//ჟანგის მოხოცვა ან დაბანა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ჯგუფში ღრმა განცდებია გადმოცემული და დომინანტი კომპონენტი კვლავაც გულია.

III. 5. დარდი, ნაღველი, მწუხარება და განსაცდელიც ძირითადად გულს უკავშირდება: შვილთა მწუხარებამან გულსა ცეცხლი მომიგზნა (ყარ.125,29); გული უშენობისა ჭირითა ამვსია (ვისრ. 280,6); ამით ყოვლისა იმედისა კარი დახშულია შენთვის (იქვე, 267,4); რა ესრეთი მწუხარების ხმა გაიგონა, ხოსროვშირისგან, გულსა ცეცხლი მოედვა (იქვე, 355, 5); გულს ვარამი გარდამესხმის, უკურნებელს ჭირს მარგუნებს (თამარ. 42,7); ამევსო გული ცეცხლითა ...და ამასვე სოფელსა ნახე ჯოჯოხეთი (ვისრ. 262, 28); დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების (ვტ. 188,2); არ მეამების კაცთა ნახვა, მიდაღვიდეს გულსა დაღნი (იქვე, 588,3); ეგრე მითხრა მდუღარითა გულითა და ცრემლითა მწარითა (რუსუდ. 140,24); ხანდახან სულთქმასა მდუღარისა გულითა აღმოახდენდა (ყარ.112,6); შეჭირვებისა ცრემლმან დამილია გული (ვისრ.142,19); გულის სანთელი თავისა ხელით დამივსია (იქვე 267,27).

მწუხარების სემანტიკა გულის გახეთქა//დნობა//დაჭრა ან ლახვრის//ნარის სობაა. ,,ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ამ სემანტიკის უამრავი ფრაზეოლოგიზმი: მაშა, მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მესო (ვტ.525,4); ფატმანის გული მას აქათ ლახვართა შენახევია. მითხრა: ვაშად ამოვიღე, არ გასვია გულსა ნარი (ვტ. 386,3); გულზე ნარის დასობა- ,,ფატმანის გული

მას აქათ ლახვართა შენახევია მითხრა: ვაშად ამოვიღე, არ გასვია გულსა ნარი“ (ვტ. 386,3).

უიმედობით გამოწვეული სევდა, დარდი, ნაღველი კლასიკურ ქართულ ძეგლებში შემდეგი ფრაზეოლოგიზმებითაა გადმოცემული: ნასვლა ჩემი გულისა თქვენსა არ ეწყინოს, არ დაჭმუნდეს (ვტ.731,1); ნაცვლად მათი წყალობითა გულნი მათნი შევუარვენ (იქვე 846,4); გული ენასკვოდა და პირსა ზედა აჩნდა დაღრეჯილობა (ვისრ. 205,4); ჩვენი თხოვნა არ მიიღო, სევდით გული დაგვიკოდა (თამარ.148,2); ავთანდილსაც აეტირა, მისგან ცრემლმან გულსა მურა (ვტ.319,2); ვერა ვხედავთ ერთმანეთსა, გვიღამდება მტვერი გულსა (შჰნმ. 1948,3); გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა (ვტ. 947,2); მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად (ვტ. 1115,4); უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი (ვტ. 772,3); მათ ვერა გარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა (იქვე, 355,1); მას დაუმძიმდა, მოედვა კვლა გულსა კვამლ-ალმურობა (იქვე, 1469, 3); თურმე ნამეტნავმად ტირილმა გული შემიღამა (რუსუდ. 243,12); ზედა უშანგ-შაც შეწუხდა და გულთ შემოეყარა (ყარ. 386,32).

აქ დომინირებს გულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები: *გულის დაჭმუნება// შეურვება//დაღამება//დაკოდვა// განასკვა// შავად შეღებვა.*

„ვისრამიანში“ გვაქვს: მხიარული გულის ჯოჯოხეთისა მსგავსითა ჭირითა ავსება (ვისრ. 62,14).

ამავე ძეგლში გვაქვს მსგავსი სემანტიკის უამრავი ფრაზეოლოგიზმი: სიხარულისა საგებელი დამიკეცია (ვისრ.351,14); მის სიმწარესა გულსა ნასკვი დაუჭერია (რუსუდ. 33,16); მე შენი ჯავრი გულსა დაღად დამრჩენია (ვისრ. 298, 3).

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს სიამის სიმწარით დანაღვლება. ყველაზე საინტერესოა შემდეგი: შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა (ვტ.947,3).

ქალმა ერთის შეხედვით შეიტყო გრძნობათა რყევა და გულის შეკუმშვა (ვ.ბარნ.); პოლკოვნიკ ყორღანოვს გულ-გვამში დაუარა სიცხემ (ა. მორჩ.); ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლო ხანებში ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა,

უფრო **გული დაეხურა**, უფრო ჩაიკეცა, უფრო დანაღვლიანდა (ილია); შენ ნუ იურვი, ვისაც **გული დაეწვის**, მე ვიციო (საბა).

განსაცდელში ჩავარდნა ხატოვნად შემდეგნაირად გადმოიცემა: თავისივე ცნობისაგან **ჩავარდების კაცი ჭირსა** (ვტ. 865,4); შენ თვითონ იცი საზომნი **ჭირნი მინახვან** (ვისრ. 286,10); ღმერთმან იცის, თუ რა **ჭირი ვნახე** (იქვე,133,18); კვლა **ჭირად მომექცა** ჩემი საქმე (იქვე 186,33); შენ დაიცევ ღმერთო იგი ფათერაკისაგან და ჩემისა მიჯნურობისაგან **ჭირს ნურას მისცემ** (იქვე, 257,7); რაც გრძნეულთაგან **ჭირი გინახავს**, ნუღარ ჩავარდები ეშმაკთ ბადესო (რუსუდ. 198,32); მიჯნურობამან **ჩამაგდო ჭირსა ძნელსა** (ვისრ. 315,5); მე **ჭირი ჭირს მერთვის** და ლხინი რით მოვიგონი (რუსუდ. 245,18); აწ სოფელმან უარესი **ჭირი ჭირსა მომისართა** (ვტ.1286,1); თავისთვის კარგი უქნია, მაგრამ ჩვენ **დიდ ჭირში ჩავცვივნულვართ** (რუსუდ. 278, 26); ბედითი რამე ეშმაური საქმე მგონია და ბედითსა **ჭირსა ჩავსცვივით** (ამირ.349,7); დავხსნილვარ ლხინსა ყოველსა, მით **გული ჭირსა მოების** (ვტ. 635,4), ხვალ გაყრის გონებამან სხვა უმატა **ჭირსა ჭირი** (ვტ. 930,4); ვერა გვარგო მოგვიმატენ, **ჭირნი ჭირთა მოგვისავსენ** (ვტ. 195,3); ვაგლახ მე, შენცა **აგავსე ჭირითა** (იქვე, 1438,2); არც ვინმე შენზე უკეთესი მე მყავს და არც ამა **ჭირსა შეგაბამ** (ყარ. 465,30); დიდი ხნის მოუსვენებელია და **ჭირიც მრავალი გარდაუხდია** (რუსუდ. 213, 38).

ხიფათში გაბმის, ფათერაკში ჩავარდნის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ხშირად გავრცობილია:

ოდეს მიჯნურობისაგან **ფათერაკი რა წამეკიდოს** (ვისრ.269,26), ჰფიქრობს, ვითომც **ფათერაკი ჰქონდეს ვინმეს მოწეული** (თამარ. 56,4); შენ იმის კარზე სიარულს დაეხსენ, **ხიფათში არა გაგაბასო** (ყარ. 430,25); **ფათერაკისა მოედანსა შიგან ნუ ჩაიგდებ ბურთსა** (ვისრ. 32,35); ფათერაკისა წვიმა მოვა მისსა **ქვეყანასა** (იქვე, 24,1); კი მორჩი ამ გრძნებასა, მაგრამ **დიდს ფათერაკს გავები** (რუსუდ. 231,15); რაც უნდა **ტანჯვა დამადგეს**, მაგრამ ეს დიდად კეთილი იქნება (ყარ. 452. 25).

III.6. წუთისოფლის ამაოების, მზაკვრობისა და მუხანათობის გადმომცემი იდიომებია: **ცრუ საწუთრო, ცრუ სოფელი, მუხთალი საწუთრო, კრული საწუთრო, ფლიდი საწუთრო.**

ვგმობ **მუხთალსა საწუთროსა,** ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა (ვტ.937,4); იტყვის: მოგშორდი სიცრუე, **ვა, საწუთროსა კრულისა** (ივე 1013, 3); უნახაობა და სიცრუე, **ვა საწუთრისა ფლიდისა** (ვისრ.116, 32); ჰე, **მუხთალო საწუთროო,** შენგან ვარ ამა ჯავრსა შიგან (ვისრ.116, 32); ესე **უხანო სოფელი** ასე მოგვცა (რუსუდ. 564, 11), **ცრუ და მუხთალი სოფელი** მიჭყივ ავისა მქმნელია (ვტ. 332,3); უყურეთ **ცრუსა სოფელსა** და მისგან ჩემს მოპყრობასო (არჩ.); **ამ ცრუმ სოფელმა** არ იცის, ბოლოსა გატანებაო (თეიმ. II).

წუთისოფლის ამაოებაზე, მის ორმაგ ბუნებაზე ჩვენს კლასიკოსებს არაერთგზის გაუმახვილებიათ ყურადღება. **მუხთალი და მაცდური წუთისოფლის** სამდურავს ყველაზე შთამბეჭდავად დავით გურამიშვილი გადმოგვცემს. ამრიგად, ცრუ სოფელი ლიტერატურული წარმოშობის ფრაზეოლოგიზმია.

მუჰაჯირთა მეტყველებაში ქართული სიტყვები თურქულითაა შეცვლილი: **ჲალანჩი დუნია.** გვაქვს **ჲალანჩი ინსანიც** (პამპულა, მატყუარა ადამიანი). აჭარულში ჲალანჩს ეძახიან უხორცო ტოლმასაც, რადგან ეს კერძი საზოგადოდ, ხორციანია.

„ყარამანიანში“ ადამიანის უბედურება საწუთროს სიმუხთლეს უკავშირდება. **რა სოფელმან თავისი მუხთლად ქცეულობა** თახმურად ხელმწიფედ **მოიხმარა** და შვილი მწუხარებით მიიცვალა, იგლოვდა სამეფო მისი (ყარ. 29,19).

„ვისრამიანში“ ვკითხულობთ: **საწუთრომან დაიწყო მისებურად ხლართვა და საკვირველებასა ზედა საკვირველებისა მატება** (ვისრ. 10,8).

III.7. გაბრაზება გამოხატავს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ემოციურ მდგომარეობას, რომელსაც ენობრივად სხვადასხვაგვარად რეალიზდება. „გაბრაზების“ ცნება უშუალოდ დაკავშირებულია ფსიქოლინგვისტიკასთან. მიჩნეულია, რომ ამ ემოციასთან დაკავშირებული ენობრივი სტრუქტურები ხშირ-

ად გამოხატავს გარკვეული ეპოქის სოციალური ფენების მსოფლმხედველობრივ სულისკვეთებას (ნ. გოგოლაშვილი) https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/tezisebis%20krebuli.pdf).

გაბრაზება, გაჯავრება ქართულში **გულის გაშმაგებას/გაფიცხებას/გამხეცებას/ადუ-ღებას** ანდა ანთებას უკავშირდება. აქაც შეინიშნება **გულის** მკვეთრი უპირატესობა. **გული** სრულიად **გამიმხეცდა** (ვტ.581,2); დაჯდა მისთა შემხედველთა **გული** მართლად **ხელეს** (იქვე 722,1); **გული** სრულიად **გამიშმაგდა,** თავი მხეცთა დავადარე (იქვე, 641,4), რა ვისმან მოისმინა პასუხი, გული **გაუფიცხდა** (ვირ,20,15); რა მისი ესეთი სიტყვა გაიგონა, ჯიმშედს **გული აუდუღდა** (რუსუდ. 190, 38); ნუთუ გაბრჭოს, **გული** ჩემი ვით **იწვის** და ვით ენთების (ვტ. 760,2); მეფეს **გულთა ცეცხლი** მოედვა და ჰკითხა: იგი რამ მოჰკლაო, რა დაესენაო? (საბა); მოდიოდნენ და მოიგინებოდნენ **პირითა ცეცხლსა მოყრიდნენ** (რუსუდ. 131, 26).

წყენა, განაწყენება- გაბრაზება შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით გადმოიცემა: **გულის ტკენა/ გულის დაწვა** (ვისრ. 249,12).

ხმდა განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ **გულსა გლმობია** (ვტ. 38,3); მუნამდე გავსძლო სულთა დგმა, **გული რაზომცა მტკიოდეს** (ვისრ. 92,38); რამინისაგან **გული** კულა მას უფრო **სტკიოდა** (ვისრ.92,38); ენა დაშვრების, გაცვთების, **გულსა შეელმის** ლმობილსა (ვტ. 839,3).

ლმობა, სალმობა ძველ ქართულში ტკივილს ნიშნავს. მოკლედ, **ტკივილი და ლმობა** სინონიმებია, ზოგ ფრაზეოლოგიზმში არქაიზმია გამოყენებული, ზოგში – არა.

სასაუბრო სტილში გვხვდება: **რა ეკალმა უჩხვლიტა //რა წიწაკა გიჭამია// ლენცოფა ხომ არ გიჭამია?**

მეტად საინტერესოა ტაოური კილოს ფრაზეოლოგიზმი: **კუჭი გამუუვდა, გაკუჭდა** (ჩვენებ.178). **გაკუჭება გაბრაზების** მნიშვნელობით ფართოდ გამოიყენება **აჭარულში.** ასე რომ, აქ **გაბრაზება გულსაც უკავშირდება და კუჭსაც: კუჭის მოსვლა// გულის მოსვლა.** სვანურში **გაბრაზება** ზედმიწევნით არის ცუდი **გულის მოსვლა** (ხოლა გუმი ლიჯედ (ლშხ.). პარალელურად

გვაქვს **ცუდი კუჭის მოსვლაც** (ხოლა კუჭი ლიჩედ (საღლიანი, 2013: 46).

III.8. შიშის სემანტიკაც კვლავდაკვლავ **გულს** უკავშირდება. თედო სახოკია აღნიშნავს: ,,როცა კაცი აღშფოთებულია ბრაზისგან, გულმოსულია, შეშინებულია ან კიდევ გახარებული, ეს სულიერი განცდა, პირველ ყოვლისა, მოქმედებს გულზე, აფორიაქებს მას, არღვევს მის წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამშვიდებული მდგომარეობიდან: გული საგულეში აღარ ჩერდება, ბუდეში ვეღარ ეტევა, ბორგავს, გარეთ გამოხტომას ლამობს!" (სახოკია, 1979:113).

თუალთა ცრემლი ადგებოდა, **გული უთრთოდა**, საუბრისა ძალი არ ჰქონდა (ვისრ.231,32); **გულმა თრთოლა** დამიწყო (რუსუდ. 508,12); თუალთა ცრემლი ადგებოდა, **გული უთრთოდა**, საუბრისა ძალი არ ჰქონდა (ვისრ. 231, 32); **გულმან ძგერა დაუწყო** და განრისხებული ყარამიჯინისკენ წავიდა (ყარ. 305, 27); როცა ხოსროვშირს შეხედავდა, **გული ათას რიგად ეჭრებოდა** (ყარ.300,4); შიშით **გულს შემოეყრება** და უჭკუო შევიქნებიო (იქვე, 284,36); მისსა მნახველსა დევსაცა შიშით **გული გაუსქდებოდა** (იქვე, 159, 25); ამისა მებრძოლსა **გული** ვით არა **დაუდნებაო** (იქვე, 166,21); **გული** მი და მო იარდა, კრთებოდა და **მელალვოდა** (ვტ. 373,3); მე რომ მცირეს ხანს თქვენთან ვიყო, **გულს გამიხეთქამსო** (ყარ. 285,8); ეს სახე გამოჩენილთა დევთა ენახათ, მათ შიშით **გული გაუსკდებოდათ** (ყარ.30,8); ვისაც შორით მისი სახელი გაეგონა, შიშით **სული დაელია** (რუსუდ. 184, 34).

ამ კონტექსტში **ნაღველი** იშვიათად გვხვდება. მისსა მხილველსა შიშით **ნაღველა** გაუსკდებოდა (ყარ. 331,36).

ამავე სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი სხვაც მრავალია ქართულში. **ტანზე ეკლის ასხმაც** შეშინება, გულის გახეთქვაა: „ტანზე **ამასხა ეკალი**, საფლავთ წინაპართ კვნესამა" (ვაჟა).

III. 9. სიკვდილი სიკვდილ-სიცოცხლის ანუ ყოფნა-არყოფნის თემა გაჩენის დღიდან აღელვებს კაცობრიობას, მაგრამ ამ საკითხს აქტუალურობა დღემდე არ დაუკარგავს.

დ. უზნაძე წერს: ,,სიკვდილის, როგორც სიცოცხლის დასასრულისადმი ადამიანის დამოკიდებულება კაცობრიობის განვითარების სახვადასხვა საფეხურზე განსხვავებულია, ეს გზა ევოლუციაა, აღმავალია, მაგრამ მუდმივად სდევს დაუძლეველი დილემა – სიკვდილის შიში. ამ მოვლენას აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები. Sფილოსოფიური მიდგომით, ,,მთელი ჩვენი ცხოვრების ფორმა, სახე სიკვდილმა წარმოშვა" (უზნაძე, 1986: 16).

„სიკვდილი პირველ ცოდვასთან ერთად დამკვიდრდა წუთისოფელში და მასთან არის დაკავშირებული ნებისმიერი ბოროტება, ყველაზე უარყოფითი ემოციები. ეს იმიტომ ხდება, რომ ის არის მიჯნა, რომლის მიღმა გადახედვაც ადამიანურ ძალმოსილებას აღემატება.Jკაცს ამქვეყნად ყველაზე მეტად გაურკვეველობის ეშინია, ხოლო სიკვდილი უმწვერვალესი გაურკვეველობაა, ამიტომაა, რომ პიროვნებას მასზე ფიქრისას თანდაყოლილი შიში იპყრობს" (მურღულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე, 1992:216).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლება ადამიანის რწმენა-წარმოდგენები თუ დამოკიდებულება ყოფიერების საკითხებისადმი, რაც აისახება არამარტო მის ცნობიერებაში, არამედ ქცევაშიც. დღეს აქტუალური პრობლემაა რწმენის კრიზისისა და სიკვდილის არსის მიმართების საკითხი. ურწმუნობამ ადამიანის ყოფას შეიძლება სავსებით გამოაცალოს აზრი, ამიტომ სიტყვა ,,სიკვდილის" გაგებაში რელიგიური ასპექტის მიჩქმალვა ერთი საჭირბოროტო საკითხია.

კონცეპტ „სიკვდილს" უამრავ ლინგვოკულტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს კულტურის საკვანძო კონცეპტთა შორის.

სიკვდილის სემანტიკა ქართულში გადმოცემულია არაერთი ვარიანტით: **ხორცისა და სულის გაყრა, სულის ძლევა//მიცემა// დალოცვა//მიბარება (უფლისადმი), სულის ცაში გაგზავნა, სულის ამოსვლა//განტევება, გაფრთხობინება // გაცხება, სულთაგან დაცლა.**

სხეულისა და სულის წინააღმდეგობრიობა ძველ ბერძნული ფილოსოფიაში, სოკრატესთან იჩენს თავს. „პლატონისეულ კონცეფციაში **სხეული და სული** ერთ მთლიანობად გაიგება, სხეულის ასეთი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა ანტიკურ ფილოსოფიაში ფორმისა და შინაარსის ერთიანობის მოთხოვნა. შუასაუკუნეების ფილოსოფიაში ანთროპოლოგიური პრობლემატიკა თეოლოგიურია „ადამიანის სხეული არის ტყვირთი სულისა და ის უნდა დაიძლიოს, დაითრგუნოს, რათა სხეულმა მოიპოვოს სიმსუბუქე“ (ბენიძე, 2009: 456).

დღეს საგანგებოდ მსჯელობენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში გაბუნდოვნებულია სხეულის არსი, დაირღვა მისი ქრისტიანული გაგება, ადამიანი აღარაა „ხატი და მსგავსი ღვთისა, მოიშალა სულისა და სხეულის ჰარმონიული ერთიანობის ბერძნულ-ანტიკური წარმოდგენა, კულტურის ინდუს-ტრია აქცენტს აკეთებს მხოლოდ ფორმაზე, არადა, ფაქტია, რომ სხეულის გაგება ეპოქის, კულტურის, ხელოვნების და მთელი ყოფიერების განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ“ (იქვე, 458).

ფრაზეოლოგიზმი, რომელშიც **სიკვდილი ხორცისა და სულის** გაყრად გაიგება, უხვადაა საგმირო-საფალავნო ნაწარმოებებში:

ლაშქარში მოვიდეთ, ნუთუ დრო დავიცეთ და იმა ფალავანს **თავი ტანისაგან გავაშოროთო** (ყარ.84,32); ხმალი ჰკრა და თავი გააგდებინა და **სულთაგან დაცალა** (რუსუდ. 176,35); თუ ეცადო დაყოფასა, **ხორცთა შენთა სული გაჰყო** (ვტ.521,2); ჩემი ლხინია სიკვდილი, **გაყრა ხორცთა და სულისა** (იქვე,271,4); **სულნი ხორცთაგან** მიმწურვიან **გასაყრელად** (ვისრ.129,24); ინდოთა ლაშქართაგან მრავალთა **სული გვამთაგან განეშორათ** (ყარ.78.32); საშინელი კიდევ დაიჭყივლა და **სული ხორცთაგან დაცალა** (ყარ. 199.17).

იდეალისტურ ფილოსოფიაში სული წარმოდგენილია, როგორც ბუნების საგნებისა და მოვლენების მამოძრავებელი ძალა. რელიგიურად სული ადამიანის არსებობის ღვთაებრივი მხარეა, რომელიც უპირისპირდება სხეულს (ხორცს) იმით,

რომ იგი უკვდავია. ქრისტიანული რწმენით, იგი საიქიოში განაგრძობს არსებობას.

სიკვდილის სემანტიკის ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში უხვადაა სულ-კომპონენტიანი იდიომები. ისინი დასტურდება როგორც ძველ ქართულ ტექსტებში, ისე თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში:

მოაბადისა ნების გასრულებასა **სულისა** ჩემისა **ამოსვლა** მირჩევნია (ვისრ. 56,4); მრავალ დევს **სული ამოხდა** (ყარ. 626,34).

სიკვდილის ამგვარი გაგება არც თანამედროვე პოეტთათვისაა უცხო, თუმცა იშვიათია: ტიციანი წერს: ,,რათა ამეძრო სულისათვის ხორცის ბორკილი, ,,სული სხეულში ბორგავს ტყიური, გალიაში მყოფ ნადირის ფიქრით"

ან კიდევ: ,,და ცა აჩუქებს შენს ნაზ, ამაყ სულს
ხორცის ძონძისგან თავისუფლებას" (ბ. ქებ.).

ადამიანის ცხოვრების ამაოებასთან გატოლება არც მანამდე იყო უცხო. ავსტრიელი ფსიქოლოგი ვიქტორ ფრანკლი (1905-1997) წერს: ,,ხშირად გვსმენია, რომ სიკვდილი საბოლოო ანგარიშით სრულიად უკარგავს აზრს ცხოვრებას, ჩანთქავს ყველაფერს. სინამდვილეში პირიქითაა: რას დაემსგავსებოდა ჩვენი ცხოვრება თუ ის უსასრულო იქნებოდა? უკვდავი რომ ვიყოთ, ყოველგვარ საქმეს მშვიდად გადავდებდით ნებისმიერი დროით.... სასრულობა, დროით შეზღუდულობა ყოფიერებისთვის აზრის მიმნიჭებელიც არის. ამრიგად, სიკვდილი ადამიანს აცილებს უდიდეს მტერს, ფუტურო არსებობას".

დ. უზნაძე წერს: „ჩვენ გვაქვს ასაგები რაღაც დიდი შენობა, რომელიც ჩვენს წინაპრებს დაუწყიათ და შემდეგ მისი დამთავრება ჩვენთვის გადმოუციათ. ეს შენობა კულტურული შემოქმედებაა. სული ანუ აქტიური მომენტი მუდამ უნდა ებრძოდეს ნივთიერებას (მატერიას), რომ განასულიეროს იგი. ბიბლიური წარმოდგენით, ღმერთმა იმით დაასრულა თავისი შემოქმედება, რომ ადამიანის არსებობაში სამუდამოდ შეარიგა სული ხორცს, აქტიურობა – პასიურობას. ჩვენი დანიშნულება ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების

განგრძობაა,ღვთისგან დაწყებული საქმის დასრულებაა. Cდა ასეა თუ ისეა,ჩვენს გამუდმებულ,დაუღალავ შრომას მნიშვნელობა ჰქონია,ჩვენს დროულ (დროში შეზღუდულ) ცხოვრებას – ღრმა აზრი“ (უზნაძე,1986:34).

მის თანაცა **მისცა სული თვისი უფალსა** სამგზის სანატრელმან პეტრე (sin. 49,6); **მოულის სული** მათი მათგან და მოაკლდიან და მიწადვე თვისა მიიქციან (იქვე, 263, 17); **სულნი გაიქცნეს,** მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან (ვტ.); მოაბადისა ნების გასრულებასა **სულისა ჩემისა ამოსლვა** მირჩევნია (ვისრ. 56.4); ხმალი ჰკრა და თავი გააგდებინა და **სულთაგან დაცალა** (რუსუდ.176.35); მამაჩემი საშინლად აღელვებულა, გულისცემას უმატნია და ... **სული განუტევებია** (მ.ჯავახ).

განსხვავებულ სტილისტიკურ ელფერს ატარებს შემდეგი გამოთქმები: ჯვებე ავად იყო, ამიტომ პუპის ბედი და პატარა დუქანი ჩააბარა, ხოლო **სული ღმერთს დაულოცა** (მ. ჯავახ.); შუაგზაზე რომ მივიდა, **სული გაგზავნა ცაში** (პ.უმიკ.); მივდივარო, მითხრა და **ღმერთს მიაბარა ალალი სული** (ილია).

სიკვდილის სემანტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკავშირდება მზის **გაქრობას//დაბნელებას, მზისთვის ყურების// ცქერის შეწყვეტას.**

მზე დღის ატრიბუტია, ამიტომაც ნიშანდობლივია სიკვდილ-სიცოცხლის გაგება ამ უკანასკნელსაც რომ უკავშირდება,მაგ. **დღის დაბნელება//დალევა /გაქრობა ან შავი დღის გათენება:** უწინამც დღე **დაუბნელდეს** ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა (ილია); **დაილივნეს დღენი** შაჰინშასი (ვისრ. 364, 20); აბა, იფიქრე, წარმოიდგინე, როცა შავი დღე გაგვითენდება.

სიკვდილის სემანტიკას გადმოგვცემს **საწუთროს//სოფლის//წუთისოფლის დაბნელება//დაცლა// გაყრა// დასრულება//გამოსალმება//მოჭმა:**

საწუთრო თვალთა წინა დაუბნელდა (ვისრ.127, 3); სულ ოცდაათის წლის დედაკაცია,მაგრამ ბედმა ლამის **გამოასალმოს წუთისოფელს** (ილია); პირმზე დედოფალმან **საწუთრო დასცალაო** და მისმა ნაღველმა მოჰკლაო (საბა); მე ჩემი

წუთისოფელი უკვე მოვჭამე (ვაჟა); სულეიმან ამა სოფლიდამ განვიდა და მოკვდაო (ყარ. 480,31); ხვალვე ძალითა ღვთისათა იმათ ორთავე ამა სოფლიდან გამოვასალმებო (ყარ. 449,13); ძილში ნახეს მოჩვენება, წუთისოფელს გაეყარნეს (თამარ. 120,4); და ამგვარად დაასრულა წუთისოფლის კიდეგანი (იქვე, 91, 6).

დაცლას, გალევასვე უკავშირდება კომპონენტი გზაც: მე ჩემი გზა დავლიე (მ. ჯავახ.); ცხოვრების გზა გავლიე (აკაკი).

აღნიშნული სემანტიკა სხვა გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმებითაც: თავზე მზის//ბანის დახურვა//დაქცევა: ჩავუხდეთ ბარათაშვილსა,თავს დავაქციოთ ბანია (გ. ლეონ.); მაგასა მტერი მოგვიკლავს,ცა თავზე დაგვეხურება (ვაჟა); ქვეყანა ჩვენი არ აწყდეს,რისხვით არ დაგვტყდეს ცანია (ვტ.).

სიკვდილის ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში გამოცემულია რიტუალებიც: გვამის მიწაში შენახვა: მიწა მიწის გასკდომა// პირის დაყოფა, მიწის შეჭმა:

შენი ვიყო,სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა (ვტ.); იმ გმირის კოპალაის ლახტნაკრავსა იმ შავი მიწის შესაჭმელსა (ვაჟა); არ იცოდნენ, ცოცხალი იყო თუ მიწამ დაუყო პირი (ვ. ბარნ.).

სიკვდილის საკრალური ბუნება განაპირობებს ევფემიზაციის ტენდენციას, რაც გარკვეულწილად ბუნებრივ შიშს უკავშირდება. სიკვდილი გაგებულია, როგორც ადამიანისთვის მიწის ბატონობა,მის მიერ გარდაცვლილის გულში ჩაკვრა ან აკვანება. სიკვდილის არსის ევფემიზაციის ნიმუშებია შემდეგი ფრაზეოლოგიური ვარიანტები: მიწის გაბატონება// აკვანება// გულში ჩაკვრა //მიბარება // წაყრა // წაღება

მიწა მექნება ბატონად (ვაჟა), მიწა ჩაგიკრავს გულში, როგორც სატრფოს ნანატრს (ვ. ბარნ.); მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე (ვტ.).

ვაჟა-ფშაველა წერს: აკვანი და კუბო და-ძმანი არიან: ვიბადებით, აკვანში გვაწვენენ, გვარწევენ, ,,ნანას" გვეუბნებიან, ვიხრცებით, კუბოში ჩაგვდებენ და ქანაობით (იგივე) რწევით მივყავართ სასაფლაოსაკენ (,,გაბრიელის დღიური") (ვაჟა-ფშაველა, 1979).

სხვაგან სიკვდილის სემანტიკა დისფემისტურადაა გადმოცემული:

ნატრობდა, **გარღვეულიყო მიწა** და თან ჩაეტანა იგი (ვ. ბარნ.); **წაიღო შავმა მიწამ** ჩემი თევდორე (ილია).

სიკვდილი თავისი არსით სიცოცხლეს უპირისპირდება, ამიტომაც ეს ლექსემა ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი კომპონენტია. დასტურდება არაერთი ვარიანტი: **სიცოცხლის გაქრობა//გამოთხოვება//სიცოცხლის ფიალის ავსება: სიცოცხლეს ეთხოვებიან, სიცოცხლე ჰქრება** (ვაჟა).

საინტერესოა „ყარამანიანისეული" ფრაზეოლოგიზმი **სიცოცხლის ფიალის ავსება:** უშანგშას აღსასრული მოახლოებულა და **სიცოცხლისა მისისა ფიალა აღვსებულა** (ყარ.).

სიკვდილის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმთა ერთ ნაწილში წამყვანი **სიტყვაა წასვლა: შაბზე//მარილზე// პაპაჩემის მოსაკითხად წასვლა:** ე დამბაჩა დავცალე, იმან კი შუბლი შეუშვირა ტყვიას და **პაპაჩემის მოსაკითხად წავიდა** (მ. ჯავახ.).

ამნაირ ფრაზეოლოგიზმებში ზოგჯერ ჩანს ირონია, მაშინ როცა ხალხურ ლექსებში სახელოვანი ადამიანის სიკვდილი **ღმერთთან წასვლასთან** ასოცირდება:

„ერეკლეს სიკვდილ ვინა სთქვა,
გაუხმეს ენის ტარია,
არ მოკვდა, **ღმერთთან წავიდა,**
ძმა არის განაყარია (შიოშვილი, 2004:358).

ნათარგმნ საგმირო-საფალავნო ნაწარმოებებში გვაქვს: მოვკვდები და მას **საუკუნესა კალთასა მოგეკიდები** (ვისრ. 19,11); ბოლოს კიდევ **სიკვდილმა კალთა დამიჭირა** (ყარ. 671, 91).

ჩვენებურთა მეტყველებაში გვხვდება გამოთქმა **სიკვდილის ჯოხის ვინმეზე მიყუდება:** ჩემ ანამაც **იცოცხლოს პაწაა, სიკდილის ჯოხი პაწა ხანს არ მიეყუდოს.**

სიკვდილის თემა ამოუწურავია. ახალი ჰორიზონტი იშლება მხატვრულ დისკურსში, სადაც ინდივიდუალურ-საავტორო ფრაზეოლოგიზმებით ფართოვდება აღნიშნული სემანტიკური ჯგუფი. მართალია, ეს უკანასკნელი ვერ შექმნის კონცეპტოსფეროს, მაგრამ მას ავსებს.

III.10. ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულში სამეტყველო აქტივობა თავისი სტრუქტურითა და მრავალგვარი სემანტიკური ასპექტით თუ სტილისტიკური ნიუანსით რთული, მრავალასპექტიანი მოვლენაა. მეტყველება საინტერესოა ლინგვისტებისთვის, როგორც აქტიური, დინამიკური ქმედება, რომელსაც ლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური, სოციოკულტურული საფუძვლები აქვს.

მეტყველების, ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულში მეტად მრავალფეროვანია. აქ თავს იყრის განსხვავებული სტრუქტურის გამოთქმები. ყოველივე ეს ერთიან ლექსიკურ-სემანტიკურ ველს ქმნის. ექსპრესიულ ენობრივ საშუალებათა სისტემა რთულია, რადგან დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. ესენია: საუბრის ხანგრძლივობა, ტემპი, მიზეზშედეგობრიობა, მიზანი, ემოცია, ინდივიდუალური თავისებურებანი და ბევრი სხვა...

ლაპარაკის დაწყება გადმოიცემა შემდეგი მყარი გამოთქმებით: **ენის ამოდგმა, ენის ახსნა:** „კახურმა წითელმა დასძლია ჩვენს ბებერსა, **ამოიდგა** მარადის გაუჩერებელი ენა“ (ლ.არდ.); „როცა დუქანში ჩამოვხტებოდით... მაშინ სულ აეხსნებოდა ენა“ (ს. მგალობ.).

მეტად საინტერესოა პირის ქარის აშლა – ალაპარაკება, ენის ამოძრავება: „მკითხავს... შეუძლია... გამოიწვიოს სულები და **პირის ქარი ააშლევინოს**“ (ვაჟა).

გარე კახურში გვხვდება პირის მოლაშქვრაც (ჭოხონელიძე, 2007:100).

ენა აეცრა – ნიშნავს, რომ მავანმა დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დაიწყო: „დაწყვილდა ახალგაზრდობა, აღტაცებულ **ქალ-ვაჟს ენა ასცროდათ** და თავისუფლად უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ოცნებას თუ გულის ძგერას“ (ვ. ბარნ).

სიტყვის, ლაპარაკის გაბმაც ერთი ასეთი გამოთქმაა. **გაუთავებელი, დაუსრულებელი ლაპარაკი** ქართულში არაერთი ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა: **წისქვილის აბრუნება, ფეიქრის ქსელივით გაბმა, ლაპარაკად გადაქცევა.**

კაია, ნულარ გამახსენებთ, თუ ღმერთი გწამთ!, –**ააბრუნა ამან თავისი წისქვილი!**–ღიმილით მიაძახა არისტომ" (დ. კლდ.); **წისქვილის აბრუნება** ლაზურშიცაა (მსქიბუს ქოგჲუდუ) (მემიშიში, 2015:120).

რა დაგემართა ადამიანო? **ფეიქრის ქსელივით** გააბი და აღარ დაამთავრე ლაპარაკი, ეს **გრძელი სიტყვა...იმიტომ გავაბი,** რომ ჩვენი მსჯელობისათვის ფეხმოსაკიდებელი საგანი აგვეჩინა

თ. სახოკია აღნიშნავს: ,,ზოგიერთის დაუსრულებელი ლაპარაკის დაწყება შედარებულია **აბრუნებულ წისქვილთან,** რომელმაც, რაკი ერთხელ დაიწყო ტრიალი, მერე თავისით ვეღარ გაჩერდება" (სახოკია, 1979: 583):

ამავე სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი სხვაც ბევრია: **კოდალას ენა ჭამა**– ბევრს ლაპარაკობს, **ენად არის გაკრეფილი.** ძველი რწმენით, თუ პატარას კოდალას ენა აჭამეს, ენასაც ამოიდგამს და საუცხოო მოლაპარაკეც იქნება. ლაპარაკობს, არ შეუძლია გაჩერება.,, რა ქნას მაშ? რა სთქვას? **პირი დაუობდა** სიჩუმით (ეკ. გაბ.).

პირის გაცდენა უსაფუძვლო ლაპარაკია: ჩემო კარგო, ტყუილად **პირს იცდენ,** ამ საქმიდან არაფერი გამოვა (საუბ.).

ყბების ჩამოცვენა, ყბედად ქცევა, ყბის დაღება, ენით ჯარას დატრიალებაც ბევრი ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებია: კიდევ ეს პატიოსანი დედაბრები **დაატრიალებდნენ ენით ჯარასა** (ილია).

გამუდმებით ერთსა და იმავე თემაზე ლაპარაკი ასე გადმოიცემა: **ენაზე აკერია** „... რაც გულში მქონდა, **ის ენაზე მეკერა**" (აკაკი). ამავე სემანტიკისაა **ენაზე დგომაც.**

შორს გადაგდება სიტყვისა – მართლა ძილში ლაპარაკობდი: **შორს გადაუგდო სიტყვა** გიორგიმ, სულ იმას იძახდი: ღმერთო მიხსენ, ღმერთო მიხსენიო (ილია).

ამავე ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურული ვარიანტია **ბანზე სიტყვის აგდება**-პირდაპირ პასუხის მიუცემლობა რაიმე ნათქვამზე, ლაპარაკის საგნის მიფუჩეჩება, თავიდან აცილება პირდაპირი პასუხისა, განგებ დაბნელება აზრისა თუ ნათქვამი-

სა: თუ ანას იტყვის, ამისათვის ხელი გავიწვდინე და ვერ მივწვდიო, ეგ **ბანზედ სიტყვის აგდება იქნება** (ილია).

სინონიმურია შემდეგი ფრაზეოლოგიზმი: ,,რის **წნელების გრეხა, რის ფლავი, რის ბოზბაში!** ლაპარაკის საგანს რას აბნელებ! მე რას გელაპარაკები და შენ რას ამბობ? საიდან სადაო (სიტყვას ბანზე ნუ ისვრი, და! რა თვალები, რა ჭრელი? რის ფლავი, რის ბოზბაში?...“ (რ.ერისთ).

ალოგიკური საუბარი, თემის ხშირ-ხშირი ცვლა გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმებით: **მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით**: „სულ დაგავიწყებ ერთიან **მიკიბულ-მოკიბულ შარებსა** (შ.მღვიმ.); „აქაოდა, კარი ღია არის, ვისაც რა მოხვდება, **არახუნებს მოშლილი წისქვილივით**“ (ილია); „ჩვენ კი ვამბობთ, ამ **წალმა-უკუღმა ლაპარაკში იმას ვხედავთ, რაც წინათ დავინახეთ**“ (ილია); „ეს წყნარი და ტკბილი მოუბარი ყოფილა აბდაუბდისა და გადასკუპდისა – წამოდგა (ილია).

თ. სახოკია წერს: ზოგიერთი ადამიანი ერთ რამეზე რომ დაიწყებს ლაპარაკს, მეორე უცნაურ, საკვირველ, დაუჯერებელ ამბავს გამოაბამს კუდივით, რომელსაც პირველთან კავშირი არ აქვს: მეორე ამბიდან მესამეზე გადასკუპდება, მოჰყვება ამ მთისას, იმ მთისას, გამოიბამს ძაღლის ყბას, დაგიმძიმებს სმენას და სათქმელს მაინც ვერ გეტყვით, ასეთ კაცს ეტყვიან: „შენ ჩემო ძმაო, აბდაუბდა-გადასკუპდა ხომ გაგიგონია? (სახოკია, 1979: 5-6).

მოურიდებელი, მოუზომავი ლაპარაკი გადმოიცემა სხვა ფრაზეოლოგიზმითაც: **ლაგამწამოყრილი ლაპარაკი, ენა წინ უსწრებს**: „ეს კარგად უნდა ახსოვდეს იმათ, ვისაც ენა წინ უსწრებს ცოდნასა“ (ილია); გაგონილა ასეთი **ლაგამწამოყრილი ლაპარაკი** სამეცნიერო საგნებზედ? (ილია).

ენის წაგრძელება ნიშნავს მოურიდებლად, უშიშრად, დაუფიქრებლად ლაპარაკს, იმის თქმას, რის შესახებაც საუბარი აკრძალულია.

მეტად საინტერესო ქვესემაა მჭევრმეტყველება: ენისა და პირის დაშაქვრა – „შენ პირი და ენა დაიშაქრე და მე მომეხმარე, – დაიწყო სადილზე გმირისეულმა (ს.მგალ).

მოთაფლული ენა აქვს, – ტკბილი ლაპარაკი იცის, მლიქვნელია.

მოკალული სიტყვა გარეგნულად ლამაზი, მომხიბვლელი სიტყვა, საფერებელი ტყუილი.

ამავე სემანტიკისაა შემდეგი ფრაზეოლოგიზმიც: ვითომ მეტად ტკბილი, საალერსო სიტყვა: აი, ვინც შენ დაგიქნევდა ხელსა, შენმა მზემა, **პირში ჩაადნებოდი...** (ს.მგალობ).

აქვე უნდა დავასახელოთ **პირში მერცხლის გამოვლებაც (ანიკწიკება).**

გაურკვეველი ლაპარაკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში გამოსჭვივის კონკრეტული მიზეზი, ტემპი, ხმის სიდაბლე, გაბრაზება.

კევის ღეჭვა უგემურად, გაურკვევლად, გაუბედავად ლაპარაკია: მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად **კევის ღეჭვაა** (ილია), **რა კევი ჩაგიდვია პირში?**– რა გაუგებრად ლაპარაკობ! როცა ადამიანი ღეჭავს, ნელა, ზლაზვნით ლაპარაკობს. ამავე სემანტიკისაა **გვერდელა ლაპარაკიც.** იმის გვერდელა ლაპარაკისგან ადამიანი ვერც თავს გაიგებს, ვერც – ბოლოს. ასეთი ლაპარაკი მოსაუბრისადმი უპატივცემულობას ნიშნავს, ლაპარაკის ნაცვლად ლუღლუღი გამოდის, ტუჩებს ზანტად ამოძრავებს" (სახოკია, 1979: 92).

ონოფრე ბერივით ბუტბუტი გაურკვეველი,დაბალ ხმაზე საუბარია, **წვერმოტეხილი ენით ლაპარაკი** გაჭირვებით ლაპარაკია: ,,– რა ვქნა,– ამოთქვა აფშინამ წვერმოტეხილის ენითა" (ვაჟა).

მოშურნენი ბოროტი ენის ადამიანზე ხატოვნად იტყვიან **მყრალა ბალახი ამოსდის პირიდანო**– შურიანია, ცუდი სიტყვების თქმა ემარჯვების. მყრალი ბალახია საშინელი, მყრალი სუნის გამომშვები (სახოკია, 1979: 38).

ამავე სემანტიკისაა **მიწაში გველს მოკლავს.** აჭარულში გავრცელებულია გამოთქმა: **სტამბულში კაცს მოკლავს, ისეთი ენა აქვსო.**

ამრიგად, ქართულში **მეტყველების, ლაპარაკის** აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები იყოფა სხვადასხვა საფუძველზე აგებულ, სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ გამონათქვამებად,

რომელთა სისტემაც ერთიანია და ასახავს განსხვავებულ სემანტიკურ თუ სტილისტიკურ ნიუანსებს. აქედან ბევრია სინონიმური მნიშვნელობისა, ზოგი ჰიპერბოლურია, ზოგიც ლოგოეპისტემაა, ამიტომ ჩვენ მათ მომდევნო თავებში შევეხებით.

III.11. სხვა სემანტიკური ჯგუფები

გამოყოფთ ფრაზეოლოგიზმთა სხვა სემანტიკურ ჯგუფებსაც, რომელთაც ზოგა-დად მომოვიხილავთ.

ა) ლოდინის სემანტიკას გადმოგვცემს შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **თვალები დააწყდა, თვალები გზისკენ აქვს:**

თვალნი შენსა გზაზე ზედა მაქვს (ვისრ. 67,32); **თვალნი და ყური ზარდის გზისკენ** ჰქონდა (იქვე, 21, 18).

ბ) **სახელის გატეხა, შერცხვენა** ქართულში შემდეგი ფრაზეოლოგიზმებითაა გადმოცემული: **ნამუსის//სახელის წახდომა, თავს ლაფის დასხმა, ვირზე უკუღმა შესმა, ნამუსის გააშკარება:**

ჩემი **სახელი** ცუდად **წახდების** და აუგთა აივსებს (ვისრ.148,9); ან ნამუსი და **სახელი ჩვენი** სად **წახდა,** ცეცხლის ბრწყინვალებისაგან (ყარ. 177,25); მის გამო არც კი თაკილობ **ნამუსის გააშკარებას** (თამარ. 25,8); ვითა ვარდსა დილის ნამი, ეგრეთ **სირცხვილითა ოფლი დასხმოდა** (ყარ.113,26); ოჯახს თქვენის სტუმრობით **არ დაეყრება მტვერიო** (თამარ. 26,15).

სიწმინდის შელახვას ნიშნავს ფრაზეოლოგიზმი **ნამუსის ლეჩაქის ახდაც.**

აღნიშნული სემანტიკა ნათარგმნ ძეგლებში ასეა გადმოცემული: თავისა **სახელსა წყალსა შიგან ჩააგდებ** (ვისრ.92,16); რამინ **სირცხვილსა ფარდაგი დახია** (ვისრ. 60,31); შენ რომელსა **სირცხვილისა ფარდაგი პირთაგან აგიკვეცია** (ყარ. 96,3).

ეს ორი ფრაზეოლოგიზმი, რომელთა კონცეპტია **სირცხვილის ფარდაგი,** ჩვენი აზრით, თარგმანს უკავშირდება. ქართულ ფრაზეოლოგიაში აღნიშნული სემანტიკა სხვა კომპონენტებს უკავშირდება.

გ) **თავმობეზრება** გადმოიცემა შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით: **ძმა ძმისაგან აბეზარ იქმნა** (ვისრ. 28,20); **ბეზარ მუელ**

(შუახ.), **დაკოდილი სული ჩემი პირამდი მომსლვია** და ჩემი წამლის წამალი და თერიაყი შენ ხარ (ვისრ.180,20).

ამავე სემანტიკისაა **სული პირში ამომივიდა. ბეზარი** სპარსული სიტყვაა და მობეზრებულს ნიშნავს.

დ) **დაბნევა, აზროვნების უნარის დაკარგვა** ქართულში ასე გამოიხატება: ჩემმა ტრფიალებამ თავში **ტვინი აგიშალა** (თამარ. 79,1), წყენისაგან **უჭკუო გახდა** (რუსუდ. 14,22), თვალნი დაურეტდეს და **ჭკუანი წაუვიდათო** (რუსუდ. 129,22), გავშტერდი და თავისაგან **ჭკუა დამეფანტა** (იქვე, 242, 3); სიბერისგან **ტვინი წაგვსვლია** (ვისრ. 20, 35).

სამხრულ მეტყველებაში გვაქვს **ჭკუის დაკარგვა** ან **მისი ეშმაკის ხელში ჩაგდება** (ჩვენებ. 265).

ე) **უიმედობა** ძირითადად ასეა გადმოცემული: **საწუთრომან იმედი გარდასწყვიტა** მოაბადისა ხელმწიფობისაგან (ვისრ. 30,5); რა პოვნისა **იმედი გადასწყვიტა**, თავისა სიკვდილი სანატრელად გაუხადა (იქვე, 128,1); მტერთა ჩემთა **იმედი დაუმცირდეს** (იქვე, 254,16); **სული ჩემი უიმედოდ გახდების** (იქვე, 274,30), შენდობისგან **უიმედო ვიქნები და გული დამელევის** (იქვე, 289,10); ან რათგან **გული დამიბნელე** და **უიმედო მყავ**, ბარე შენისა გვარისაგან ნუ კიდეგან მიქმ (ვისრ. 8,17).

კიდევ უფრო საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი, რომელიც ნათარგმნი ძეგლისაა: შენისა **იმედისა ხელი** ჩემისა **ნაყვანებისათვის დია მოკლე არის** (ვისრ. 20,28).

თავი IV.

ფრაზეოლოგიზმთა გრამატიკული ანალიზი

ა) ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური კლასიფიკაციის საფუძველზე გამოყოფენ სუბსტანტიურ, ზმნურ და ადვერბიალურ გამოთქმებს. ზმნური ფრაზეოლოგიზმები ძირითადად შემასმენლის ფუნქციას ასრულებს წინადადებაში, სუბსტანტიურნი – ნომინატიურს, ადვერბიალურნი კი – გარემოებისას.

ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაციისას ყველა მეცნიერი მათი განსხვავებული კუთხით შესწავლის საჭიროებას ხედავს, ზოგი სინტაქსური კვლევის აუცილებლობას წამოსწევს წინ.

ქართულში ფრაზეოლოგიზმები ძირითადად **ზმნურია: თავის წაგება, თავის გამწარება, თავის დადება, გონების დაწყნარება, გულის გაფიცხება, გულის დაბმა, სულის შევედრება, ზურგის ჩვენება, ხელის შენახვა, ხელის აღება.**

ქართულში ფრაზეოლოგიური შესიტყვების სტრუქტურა ძირითადად მარტივია, უმრავლესობა ორკომპონენტიანია: **გულის გამაგრება, გულის გაგრილება, გულის დადნობა, გულის მოლბობა, გულის ადუღება, ხელში ჩაგდება, ხელის მოყოფა, ხელის აღება, ხელის შენახვა, ხელის წაკვრა, სულის გაწირვა, სულის ჩადგმა, სულად მოსვლა, თვალის წერა, პირის ჩვენება, პირის მიცემა, პირის დასკვნა, გონებას მოგება, ზურგის მიბმა, ზურგის მოტეხვა, ენის დაბმა, ენის დადუმება, პირისწყლის წაღება, ხვაშიადის შენახვა...**

ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი გავრცობილია: **ავი გულის ჩადება, ენა პირში დაიდუმა, მუნათს რამეს სდებს, მარჯვე დროს იპოვნიდა, სამტრო ჟამი იგდო და ა.შ.**

შედარებით ნაკლებია სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმები: **მრუდე თვალი, მკვახე სიტყვა, უპირო სიტყვა, გულის დასადები სიტყვა, ავი გული, თავის მტერი, ცრუ საწუთრო, მუხთალი სოფელი, უხანო სოფელი.**

ქართულში ყველაზე ნაკლებია **ადვერბიალური შესიტყვებანი: თვალში ეცოტავა, თვალში ეფუქსავატა, დამრჩება ოხრად**

ან დაგიხსნი ტყვეობიდან, **ან დამრჩება ოხრად ხმალი** (თამარ.18,7); წავიდეს, გავლეს სოფელი **ოჴრად დააგდეს** სეფენი (შაჰნ. 9,34).

ადვერბიალურია ფრაზეოლოგიზმი **ოხრად დარჩომაც.** იგი გამოიყენება წყევლის ფორმულებშიც და ნიშნავს **უპატრონოდ დარჩენას.**

თუ დავაკვირდებით კომპონენტთა რიგს, ჯერ სახელადი კომპონენტი გვაქვს და მერე ზმნური, მაგრამ ეს წესი უგამონაკლისო არაა. ქართულში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს: **დადნა გული, დადვა გული** (ვისრ.); **გამეპოს გული, კვდებოდა გული** (იქვე); **მიჰყო ხელი** (ყარ.); **დაეცემა სულით** (თამარ.); **მიცემა სულისა** (ეტ.), **დაეცა თვალი** (ვისრ); **მივსცე გონება** (ეტ.); **სიტყუა უპირო** (შაჰნ.); **მიაპყარ ყური** (რუსუდ.), **აძევს ძრახი** (თამარ.); **დაუდგათ თვალი** (რუსუდ.).

ბ) გრამატიკული კატეგორიები ზმნური ფრაზეოლოგიზმების მიხედვით

ზმნური ფრაზეოლოგიზმების კვლევისას ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საინტერესო მომენტი. გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ცვლას მოჰყვება სემანტიკური ცვლილებებიც. აღნიშნულ ფაქტამდე შეიძლება მიგვიყვანოს გრამატიკული სინონიმების შედარებითმა ანალიზმაც. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის, სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნების, ქცევის ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად. ძირითადი, წამყვანი, მაფრაზეოლოგიზებელი კომპონენტის გრამატიკული კატეგორიების შეცვლით ვიღებთ სრულიად განსხვავებულ, ხშირად საპირისპირო შინაარსსაც. შესაბამისად, მათი კონოტაციაც განსხვავებულია, ისინი მარკირებულია.

ერთი სიტყვით, ფრაზეოლოგიზმების კვლევისას აქტუალურია პარადიგმატული სინონიმიის საკითხი, კერძოდ, იდიომის კომპონენტთა სისტემური სინონიმური ურთიერთობა გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით.

ქართულში ამგვარი შემთხვევა სპორადულად გვხვდება: ერთსა და იმავე მნიშვნელობას გადმოგვცემს ზმნური ფრაზეოლოგიზმები: **ანგელოზმა ჩამოიარა** და **ანგელოზი ჩამოატარა:**

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, **ანგელოზმა ჩამოიარა** (ს. მგალობ.); ჩუმად, აბა ერთი, **ანგელოზები ჩამოვატაროთ**"(ს.მგალობ.).

ასეთივეა გულის მოსვლა და გულის მოყვანაც: ქალს ამათ ყურებაზე **გული მოუვიდა;** შენ გულს რომ მოიყვანდე, პიესებსაც დაწერდიო (ო. იოს.).

ანალოგიური მაგალითი მრავლადაა სამხრულ კილოებშიც: **მაგალითად, სული გაშპა//გაძრა** (დაიტანჯა, გაწვალდა, მოკვდა) და **სული გააშპუნა// გააძრო** (დატანჯა, გააწვალა, მოკლა).

ჩვენ გვაინტერესებს ისეთი შემთხვევები, როცა გრამატიკული კატეგორიების ცვლას მოჰყვება ცვლილებები სემანტიკაშიც. ზმნის ასპექტობრივი წყვილების სემანტიკის საკითხი ფრაზეოლოგიზმებში რამდენადმე შესწავლილია. ი.ლობჟანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: ,,ასპექტობრივი წყვილები გულისხმობს სრული და უსრული ასპექტის ზმნის სემანტიკურ იდენტურობას, მაგრამ ქართულში ეს წესი ხშირად ირღვევა, **ჭურში ზის // ჭურში იჯდა** შეუძლებელია **ჭურში ჩაჯდა.** ამიტომაც ჩნდება ე. წ. ლექსიკური ასპექტის შესაძლებლობა ენაში" (ლობჟანიძე, 2012: 112).

ქართულში იშვიათია ფრაზეოლოგიური ერთეული, გრამატიკული კატეგორიები მნიშვნელობის განმასხვავებელ ფუნქციას რომ ასრულებდეს. ამის ნიმუშებია: **ბუზსაც არ აიფრენს თავზე** (უძრავადაა, უდარდელია, არაფერს აკეთებს, არ ცდილობს, არ ირჯება: ,,როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არ გვაქვს, **ბუზსაც არ ავიფრენთ,** ხელსაც არ გავძრავთ (ილია); „თვით მამასახლისიც, როგორც ნასწავლ კაცს, მღვდლის შვილს და აზნაურს, პატივსა სცემდა და რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე, უიმისოდ **ბუზსაც არ ააფრენს** (შ. არაგვ.);,,ვაი, ვაი, **ბუზსაც კი ვერავინ აგიფრენს!** (ა. ცაგარ.); ყაზარასთანაები ამას **ბუზსაც ვერ აუფრენენ,** ვისთანაც გასვლია თავისი მიმართვები, ნენესთან ვერ გაუვა (ს. მგალობ.).

დავაკვირდეთ სემანტიკას: **ბუზს ვერ ააფრენს** (ვერ გაბედავს), **ბუზს არ აიფრენს** (ზარმაცია); **ბუზს ვერ აუფრენს** (ვერაფერს ვერ გაუბედავს), **ბუზი არ ამიფრინო!** (ოდნავადაც ვერ დამაზარალებ, ვერაფერს დამაკლებ).

ბუზი არ ამიფრინო, ბუზსაც არ აიფრენს თავზე, ბუზს ვერ აიფრენს, ბუზსაც ვერ აუფრენენ, ეს ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული კონოტაციისაა. ამ ტიპის ფორმებს ი. ლობჟანიძე გრამატიკულ სინონიმიაში განიხილავს. ,,ქცევის გრამატიკული კატეგორიის ნიშნებზე დამოკიდებულია ლექსიკური სხვაობა" (ლობჟანიძე, 2010: 90).

ანალოგიურია ფრაზეოლოგიზმების შემდეგი სტრუქტურული ვარიანტები: **თავიდან ერთ ბეწვსაც არ ჩამოიგდებს, თავიდან ერთ ბეწვსაც ვერ ჩამოუგდებს** (ვერაფერს დაუშავებს).

დავაკვირდეთ მომდევნო მაგალითებს: არ ვიცი, **თვალი მატყუებს,** მიშლის წყვდიადი ღამისა (ვაჟა); სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს, ცხენს მოაძოვებს, **თვალს მოატყუებს...** (ნ.ბარათაშვილი).

თვალი მატყუებს (ვტყუვდები, მეჩვენება); **თვალს ატყუებს** (ცოტა ხნით დაიძინებს).

აქვე უნდა დავასახელოთ **გულის დადებაც: გული დადო** – გადაწყვიტა, მოინდომა, დარწმუნდა; **გული დაუდო** - დაამშვიდა, დაარწმუნა.

ჩვენებურთა მეტყველებაში დადასტურებული **ღლიაში გამახედნია** და **ღლიაში გავახედნიებ** სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისაა: ერთი ნიშნავს **მასხრად აგდებას, უპატივცემულობას,** მეორე - **დაჯაბნას, დამორჩილებას:** გენილმა **გამახედნია ღლიაში,** შეიფერა და ... (ჩვენებ.78); ნაყურდეს, თვარამ **ღლიაში გავახედიებ** (ჩვენებ.162).

ამ უკანასკნელის სინონიმია **ღლიაში ამოჩრა:** ე მაგან რა'ნა მიყოს, თუ მევწადინე, **ღლიაში ამევჩრი** და ვარბენიეფ (იქვე, 171). როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ეს მოვლენა ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ წყობას ემყარება: **ღლიაში გამახედნია** (მასხრად ამიგდო), **ღლიაში გავახედნიებ** (დავიმორჩილებ).

სამხრულ მეტყველებაში დადასტურებული შემდეგი ფრაზეოლოგიზმები უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმათა ლექსიკურ სხვაობას ემყარება.

ლემსის ყუნწში გაძვრა (ყველა ღონეს მიმართავს მიზნის მისაღწევად) და **ლემსის ყუნწში გააძრუმლა** (ძლიერ შეაწუხა, გამოცდა მოუწყო, დასაჯა). ძალდატანებას, გამწარებას სამხრულ მეტყველებაში გადმოგვცემს ფრაზეოლოგიზმები: **ბუხარში შააძრუმლა;** დედამთილსა არ დუუჟდა ჭკვაში და ძალი **ლემსი ყურნში გააძრუმლა** (ჩვენებ.494).“

აქ კაუზატივი, ზმნის უშუალო და შუალობითი კონტაქტი ქმნის სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველს.

მნიშვნელობის ცვლილება შესაძლებელია ცალკეულ დიალექტსა თუ დარგობრივ ლექსიკაში. მაგ.:ჭანჭათელების შესრულებული კრიმანჭული განსაკუთრებით სასიამოვნო ყოფილა, ისინი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, ჩვენისთანა კრიმანჭულს გურიაში ვერ გაიგონებთო. მათს მონათხრობში აღმოაჩინა მ.კიკვაძემ ფრაზეოლოგიზმი: გურულები **ნემსის ყუნწში გააძვრენდნენ** იმ ღამეს **კრიმანჭულსო** (კიკვაძე, 2009: 50). ეს არის მინიშნება შესრულების მეტად სათუთ, წმინდა, იშვიათ მანერაზე.

საყურადღებოა ჩვენებურთა მეტყველებაში გამოვლენილი შემდეგი მაგალითი: **ჰახს არ შეჭამს** (უსამართლობას არ ჩაიდენს), **ჰახს არ შეაჭმევს** (უსამართლობას არავის შეარჩენს (hak არაბული სიტყვაა და ნიშნავს 1. კანონით კუთვნილს, 2. შრომის საფასურს ამაგის შესაბამის გასამრჯელოს, ... **ჰახ არვის შეაჭმევდა,** არავის **ჰახ არ შეჭამდა** (ჩვენებ. 260); ჰახი ჰელალი მივალ, შეჭამე **სხვისი ჰახი** (იქვე, 357).

ზოგჯერ სემანტიკური ცვლილება ზმნის გვარის ფორმებს ემყარება: **აბრუ გაუტყდება** (სახელი შეურცხვება), **აბრუს არ გაიტეხს** – წყენას არ შეიმჩნევს, იხტიბარს არ გაიტეხს), **აბრუ არ გაგიტეხონ**–არ შეგარცხვინონ (რამიშვილი, 2011: 38).

პრისტავმა კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ კიდევ **აბრუ არ გაიტეხა**. (ლ. არდ.); სურთ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში **აბრუ გაუტეხონ** (ილია).

აღნიშნულ მაგალითში **მოქმედებითი გვარის და დონიანი ვნებითის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები იდენტური მნიშვნელობისაა, **ინიანი** კი განსხვავებულია.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში მ. ხახუტაიშვილმა და შ. ფუტკარაძემ (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2009:200) გამოავლინეს მაგალითი, რომლიც ფრაზეოლოგიზმის გრამატიკულ მნიშვნელობას ეფუძნება **ანტონიმია: ჭადს მიაჭამე** (ცოტა ჭამე) და **წადი მიაჭამე** (საჭმელი სურვილისამებრ ჭამე, მჭადი მიატანე, მიაყოლე).

მ. ფაღავამ და მ. ცინცაძემ ყურადღება გაამახვილეს **ჭადის მიტყვებაზე: ჭადი მიატყვე** ლობიოს, ცარიელაᲥ ნუ ჭამ. ქობულეთის რაიონის მეტყველებაში ამ მნიშვნელობით იხმარება **მიაჭამე** (ცინცაძე, ფაღავა, 1978:185).

საინტერესოა აღნიშნულ გამოთქმებს როგორ განმარტავენ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები: **ჭადი მიაჭამეო,** – იტყვიან ვინცხას რაცხამდონი უნდა, იმდონი ჭამოს, **ჭადს მიაჭამე** –ცოტა ჭამე, სხვასაც დუურჩესო.

მოკლედ, შეიცვალა წინადადების წევრი, მივიღეთ საპირისპირო სემანტიკა. ორდუში ჩაწერილ 2012 წლის ექსპედიციის მასალებში ვკითხულობთ: ჩვენ საღამოს მოვყრებოდით, დავუდებოდით, ბაბაᲥ ილაპარიკებდა, **იგი დარჩა თავში, ჰამა თავი აღარ დარჩა** (ორდ.).

ეს მეტად საინტერესო ფაქტია ფრაზეოლოგიზმთა გრამატიკული შესწავლის თვალსაზრისით. ჩვენს მასალებში ბრუნვის შეცვლით შეიცვალა მნიშვნელობაც: **ჭადი მიაჭამა** განსხვავებულია ასევე **თავში დარჩა** და **თავი აღარ დარჩა**.

ეს ფაქტი შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების სიმრავლის კვალობაზე ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურაში გამოწვეული ცვლილება, კერძოდ, პარადიგმათა ლაბილურობა. სამხრული კილოების მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეს ცოცხალი პროცესია.

თავი V.

ფრაზეოლოგიური ვარიანტები ქართულში

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ იდიომი დაუშლელია და მისი წევრების სინონიმების შეცვლა შეუძლებელია. ,,სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა, რომელიც ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, შეუძლებელია ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვანი ან ექსპრესიული აზრის დარღვევის გარეშე (**Виноградов**, 1947).

მკვლევრებს სინონიმური მონაცვლეობა დასაშვებად მიაჩნიათ მხოლოდ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში მათი ნაკლები სინთეზური წყობის გამო.

ა. თაყაიშვილის აზრით, ფრაზეოლოგიზმის ეს ნიშანი არაა აბსოლუტური. ამ მხრივ ქართულში თავისუფლებაა. შესაძლებელი ხდება ბევრი გამოთქმის მყარ წყობაში ცვლილებების შეტანა. **თვალში ხვდება, თვალში ეცემა...აქ** ზმნური კომპონენტია შენაცვლებული. არის შემთხვევები, როცა თვით სემანტიკურ ფუძესაც ეძებნება კორელატი და ამით გამოთქმის მხატვრული სახე არ ირღვევა: **ფეხს მოიტეხს// კისერს მოიტეხს, კუდი ეჭვის //ზურგი ეწვის.**

ამდენად, მკვლევრის აზრით, საფუძველს მოკლებული ჩანს მტკიცება, რომ იდიომებში სემანტიკური ფუძე არ შეიცვლება სინონიმით (თაყაიშვილი,1961:22-23).

სავსებით ვეთანხმებით ამავე ავტორის თვალსაზრისს, რომ ამგვარ ფორმათათვის მიზანშეუწონელია სინონიმური იდიომების დარქმევა, რადგან ,,მათ ერთი ამოსავალი აქვთ და განსხვავდებიან თითო კომპონენტით, ამიტომაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება მათ ფრაზეოლოგიური სინონიმებისაგან განსხვავებით ფრაზეოლოგიური ვარიანტები ეწოდოს" (თაყაიშვილი,1961:23).

ერთნაირი სტრუქტურის ფრაზეოლოგიზმები სტრუქტურული სინონიმებია. ასეთი შენაერთების ერთ-ერთი კომპონენტი ხშირად ხდება შენაცვლებადი. ქართულში ამის

ფართო შესაძლებლობა არსებობს. სტრუქტურული სინონიმიის ცნებას ქართულში არ იყენებენ, თუმცა ამნაირი ვარიანტების არსებობა ფაქტია. სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა კი ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების მაჩვენებელია“ (სტამბოლიშვილი, 2000: 66).

სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაც ერთნაირი წევრები აქვთ, დუპლეტებსაც უწოდებენ (Шанский, 1985:32).

ზოგი მეცნიერის მიხედვით, ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს ერთნაირი მნიშვნელობა და ხატოვნება აქვთ, განსხვავდებიან ერთი ან ორი კომპონენტით (მამულია, 2006: 8).

,,ფრაზემის შიგნით შეიძლება განხორციელდეს ვარიაციები, ან შეიქმნას ქარაგმები, რომლებიც ფრაზეოლოგიზმის მთლიან მნიშვნელობას ვერ ცვლიან, მაგრამ ცალკეული ცვლილებების თუ ნიუანსების გამძაფრებას ნამდვილად ემსახურებიან“ (ბახტაძე, 2013:59).

კლასიკური ქართულის ძეგლებსა და სამხრულ კილოებში მოპოვებული მასალების ილუსტრირების შემდეგ ვეცდებით, დავადგინოთ, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში რომელი კომპონენტი იცვლება და რა ქმნის შენაცვლების საფუძველს.

ა) ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს ქმნის ქართველური ენებიც: **ძაღლის ბედი აქვს** მეგრულში გვაქვს **ყვავის ბედი აქვს**-ყვარიაში **ბედი უღუნია** (მითაგვარია, გიგლემიანი, 2015:75).

ჯოლორიშ ნაჩამინაცალო შუ-ძაღლის ნაკბენივით ახსოვს// გველის ნაკბენივით ახსოვს (მითაგვარია, გიგლემიანი, 2015:75).

მეგრ. **ბაყაყმაც ფეხი გაიშვირაო** – გორდიქ ხოლო კუჭხი გაფიცხინუ. ქართ. **კუმ ფეხი გამოყო**).

ბ)ფრაზეოლოგიური ვარიანტებით განსაკუთრებით მდიდარია საშუალი ქართული. ხშირია სომატურ კომპონენტთა მონაცვლეობა.

მწუხარებით გამოწვეული სევდა ,,ყარამანიანის“ მიხედვით ხან **გულიდან** ამოდის, ხანაც– ღვიძლიდან: ასეთი შეწუხებული სულთქმა **გულთაგან აღმოახდინა** (ყარ. 299,29); ყარამან ეს სიტყვა გაიგონა და საზარელი სულთქმა **ღვიძლითგან აღმოახდინა** (იქვე, 35,36).

აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ ფრაზეოლოგიური ვარიანტების შედარებისას ქართულსა და თურქულში.

სტრუქტურულ ვარიანტებში მონაცვლეობს **გული** და **სული: გულის წაღება/ სულის წაღება:** (შდრ.ტვინის წაღება (საუბ.).

გიშრისა ფერითა თვალითა **გული წაუღე** მხედავთა (ვისრ. 66,17); რათგან სიბერისა ჟამსა **გულისა წამღებელი ხარ,** ნეტარ სიყრმისა ჟამსა ვითარ ყოფილ ხარ? (ვისრ. 8,14), გრძნეულმან მოწამლა რამინ, რომელ ერთითა ნახვითა **სული წაუღო** (იქვე, 61,26).

დუპლეტებია ასევე: **გულის ლევა** (ვისრ. 142,19), სულის ლევა (რუსუდ. 184, 34).

ჩვენებურთა მეტყველებაში ფრაზეოლოგიური ვარიანტები გვერდიგვერდაც გვხვდება: **გული დიმიპაწავდა, სული დამიპაწავდა** (ჩვენებ. 35).

თავის დადება და სულის **დადებაც** აქვე უნდა განვიხილოთ. ასეთი მონაცვლეობა გვქონდა ძველ ქართულშიც: **თავი** და **სული** სინონიმებად გამოიყენება ძველ ქართულშიც: მწყემსმან კეთილმან **დადვის თავი (სული (C) თვისი** საცხოვართა თვისთა ზედა (ი. 10, 11, DE).

ქართულში **გულის** სინონიმი ხშირად არის **სული,** იშვიათად **გონებაც:** მან მისთა მჭვრეტთა წაუღის **გული, გონება** და **სული** (ვტ. 33,3).

„ვეფხისტყაოსნის" ენაზე მუშაობისას ალ. ღლონტი წერს: **გული** სინონიმური მნიშვნელობითაა ნახმარი ისეთ სიტყვათა რიგში, როგორებიცაა: **იმედი, სიცოცხლე, გონება, სული...** (ღლონტი, 1955:34-41).

„სინურ მრავალთავში" დასტურდება **გულში დადება** და **გონებაში დადებაც:** წმიდასა მას ქალწულსა დაემარხნეს სიტყუანი ესე და **დაედვა გულსა** თვისსა (sin 16,35); **დაიდევ გონებასა** შენსა და გიჩუენო შენ (იქვე 66,15).

სახელები მონაცვლეობს ყმამან ცნა, თუ: **გონებანი** ჩქარნი ჩემთვის **დააწყნარნა** (ვტ. 242,3); პირველ გაჭრისა პირება, მერმე **დაწყნარდეს ცნობანი** (იქვე, 383, 1).

ცნობა (იგივე ცნობიერება) ადამიანის ტვინის უნარია, ასახოს სინამდვილე და განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, 2) გონება.

გვაქვს **ცნობის//გონების მიხდა:**

ვისის სულის ცემამან ესრე **ცნობა მიჰხადა,** რომელ გონება აღარასი ჰქონდა (ვისრ. 278,11); ასეთი დასცა მიწასა, რომ **გონება მიეხადა** (ყარ. 446,3);

დუპლეტებია **ხვაშიადის მალვა// ხვაშიადის შენახვა:** იმედი მაქვს, რომ **ხვაშიადს შეგვინახავ** დაკრძალულად (თამარ. 66,3); მე ესე აუგი და **ხვაშიადი** შენთვის ადრითგან **მიმალავს** (ვისრ. 164,33).

ფრაზეოლოგიურ ვარიანტებში მონაცვლეობს **სახელებიც და ზმნებიც: ცნობის წასვლა//წახდომა//დაფანტვა// მიტაცება**

ასიმს **ცნობა წაუვიდა** და მცირეს ხანს გაოცებული უყურებდა (ყარ. 272, 21); მეტის მწუხარებითა **ცნობა დაეფანტა** (იქვე, 399, 6); მე მიჯნურობისაგან ამეხადა საფარველი და გულისაგან თმობა და სულისაგან **ცნობა წამივიდა** (იქვე, 62,10); ფერად-ფერადი ყვავილები იდგა ასეთი, რომ სურნელებითა **კაცსა გონებას მისტაცებოდა** (იქვე, 468, 28);

დროის მოხელთება//შერჩევის მნიშვნელობით საშუალ ქართულში გამოიყენება **ჟამი იგდო// ჟამი დაეცა // ჟამი ერგო დრო, დრო ჰპოვა// დრო მოჰხვდა.**

დღესა ერთსა ჩემ ზედაცა მტერობისა **ჟამი იგდო** (ყარ. 124,26); უშანგ შაჰს ლაშქართა იმ დროს **ჟამი დაეცეს** (იქვე, 387,26); აზღანუზის ქალსა უმაინ ფერიას **ჟამი დაეცა** და ის ჯადო მოეკლა (იქვე 358,2); რა ყათრანს **ჟამი ერგო,** მანცა რამდენიმე ლახტი დაჰკრა (იქვე, 32,26); თუ ღვთით **ჟამი დაგვეცა** თვისსა ამბავსა თვითეულად თვითონ მოგახსენებსო (იქვე, 37,32).

ამჟამად დევებმან **დრო დაიცეს** და ყოველთავე მათ ყმანვილთა ზედან სამტრო **ჟამი იგდეს** (იქვე, 24,12); ახლა **დრო ჰპოვე,** შენ და შარუნ-შაჰა აბანოდამ მოგიტაცეთ (იქვე, 647,35); **რა დრო პოოს,** მტრისაებრ მომკლას (იქვე,147,26); თქვენ ერთმანეთისა მოახლოებასა შიგან თავისა ნებისა **ჟამი ვერ მოგვხვდა** (ვისრ. 52,2).

უკანასკნელ მაგალითში ორივე კომპონენტია შეცვლილი.

აქვე უნდა დავასახელოთ **ზიანის დაცემა// წვევა** და **ზიანი უქნა// ზიანი დამართა:**

ქაჯთა და დევთაგან მრავალი **ზიანი ეცემოდა** (ყარ. 23,4); ეს ადგილი დააგდევით, თორემ არამც **ზიანი გეწვიოსთ** რამეო (იქვე, 644,34).

უშანგის ლაშქარში მიდით და **ზიანი უქმენითო** (იქვე, 63,29); მას ჟამად დევთა და ქაჯთა მრავალი **ზიანი დამართეს** (იქვე, 23,11).

ეს ძველქართული ფრაზეოლოგიზმებია და გვხვდება ძველი აღთქმის ტექსტებშიც.

სტრუქტურული ვარიანტებია ,,ყარამანიანისეული" **თვალში ეცოტავა და თვალში ეფუქსავატა.** ძეგლზე დართულ ლექსიკონში განმარტებულია, რომ ,,ეფუქსავატა" ,,ეცოტავას" ნიშნავს.

ფუქსავატის (ქარაფშუტა, უსაქმური, უქნარა (ქეგლ II) გამოყენება აღნიშნული მნიშვნელობით მოულოდნელია.

მომდევნო ვარიანტებში მონაცვლეობს ორივე კომპონენტი: **პირი მისი ყმათა კაცთა სულისა მიმტაცებელი და გონიერებისა წამლებელი** მიჯნურთა (ვისრ. 282,8); **გული** წამსავე **წამიღო** (ვტ. 729,4); **ცნობის//გონების წასვლა:** ვითარ ხელსა **ცნობა და გონება წაუვიდა** (ვისრ. 75,6).

სტრუქტურულ ვარიანტებში შეიძლება ორივე კომპონენტი მონაცვლეობდეს: თუმცა **დრო დაიცვა,** ესეოდენითა ლაშქართა სრულად შთანთქამსო (ყარ.183,30); თუ მარჯვე **დროს იპოვნიდა,** გულში მახვილს ჩაისობდა (თამარ. 118,4).

ზოგჯერ სინონიმური შენაცვლების საფუძველი ხდება არქაული ან უცხოური ნარმომავლობის სიტყვა:

ამავე ძეგლში დავადასტურეთ **მუქაფის// სამაგიეროს მიგება.** თუ გამწირავს, ისინი **მუქაფას მიგაგებენ** (ყარ. 656,25); მას ზედან ჟამსა იგდებთ, რომელ **მაგიერი მიაგოთ** (იქვე, 23, 28).

მუქაფა ქართულში სპარსულიდან შემოსული სიტყვაა და მაგიერს, სამაგიეროს, სანაცვლოს ნიშნავს (ანდრონიკაშვილი, 1996).

ნაფაზი შეეკრა და ვერ ამოისუნთქა, **სული შეუგუბდა** და ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა (ყარ. 315,20).

ნაფაზი არაბული სიტყვაა და **სუნთქვას** ნიშნავს (იქვე).

ფრაზეოლოგიური ვარიანტები თანამედროვე ქართულშიც საკმაოდ ბევრია. საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმეს განვიხილავთ. მაგ. **თვალის დატანება** და **თვალის დადგმა:** რა იყო და ჩვენს ბატონს **თვალი დაუტანებია** მაგ მგელი-ბაბიას გოგონასთვინა და მოტაცებას უპირებდა (ს.მგალობ.); ახლა კი მელბორის ქვრივს **დავადგი თვალი,** ქალი ბევრ რამეს შემატებს მოჯანაყეს, ოღონდ დატაკება არ შეიძლება (ა. მორჩ.).

ვარიანტებია ასევე **ერთ წერტილზე გაყინვა//ერთ წერტილზე გაჩერება//ერთ ჭდეზე დგომა**

- ოო, ჩვენი კარლო? აი კაცი, რომელიც **ერთ წერტილზე გაიყინა** (შ. დად.); ხიზნობის მიმართულება იმაში გამოითქვა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელი იყოს, **ერთ ჭდეზე იდგეს** (ილია).

თანამედროვე ქართულში არსებობს გამოთქმა: ,,ვერაფერს დამაკლებ.“ამავე სემანტიკისაა მისივე სტრუქტურული ვარიანტებიც: **ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრი, ნალებს ვერ დამაგლეჯ.**

სინონიმური ფრაზეოლოგიზმებია: **სახატეში ხატები არ დამიფრთხო, საპრასე არ მომიჯეკნო** და ა.შ.

დუპლეტებია ასევე: **მიწაზე ფეხს არ ადგამს//მიწაზე ფეხს არ აკარებს, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს// ჭიასაც არ დაადგამს ფეხს; მუხლის მოდრეკა//მუხლის მოყრა.**

გ) ფრაზეოლოგიური ვარიანტები მრავლად გვხვდება სამხრულ კილოებშიც, კერძოდ, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დადასტურდა **ჯოხს ჭამს // ჯიღს ჭამს** (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2009:213).

იმის დაჟდომილ იერზე'ნა დაჟდოს, თუ ვერ მუასტრა, **ჯოხს ჭამს,** ქორწილის მემრე მურავს, მაჭანკალს დეჲჭირვენ, **ჯიღს ჭამს** შვაში (ქობ. მუჰ.).

მეტად იშვიათი ფრაზეოლოგიზმია ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დადასტურებული **წა-**

ხე//მუუსლელი//უმწიფარი ჩვენებურები: ჭახე ჩვენებურები პა-პუნაიშვილები არიან (იქვე, 206).

აქოური ხალხი ჩვენ მუჰაჯირს გვიძახიან, კილავ ისე გვიძახიან, **მუუსლელი, უმწიფარი ჩვენებურებიო** (ქობ. მუჰ.კრებ. VI:198).

მ. ფაღავა სტატიაში „მეტსახელები ჭოროხის ხეობიდან" განიხილავს, რა ლაღაბებს უგონებდნენ მუჰაჯირი ქართველები (გურჯები, ჩვენებურები) თურქებს და თურქები ქართველებს: „თურქებ კუდიანს ვეტყოდით, იგინი კოზახს **(დაუმწიფებელს, ჭახეს)** დიგვიძახებდენ" (ფაღავა, 2017:12).

როგორც კონტექსტიდან ირკვევა, **ჭახე** დაღვინებულის, მომწიფებულის, დადუღებულის ანტონიმია. ადგილობრივები, როგორც ჩანს, მუჰაჯირებს ეძახდნენ იმიტომ, რომ ისინი არ მიჰყვებოდნენ მათს ტრადიციებს, ხოლო თვით მუჰაჯირები **ჭახე ჩვენებურებს ჭახათლებს** ეძახდნენ ლაპარაკის, მეტყველების თავისებურებათა გამო. შესაძლებელია, ახალმა მასალებმა სხვა სემანტიკური ნიუანსებიც გამოავლინოს (ცეცხლაძე, 2013:35). ზოგადად, ეს იდიომი უარყოფითი სემანტიკისაა.

ძალიან ბევრი ვარიანტია შემონახული ჩვენებურთა მეტყველებაში წყევლის, დალოცვის, ან ფიცის ფორმულებში: მაგ: შენი **თვალები** მომართვი; შენი **სული მომართვი** (ჩვენებ.160), შენი **თავი მომართვი** (აჭარ.).

დუპლეტებია **წვერი პირში ჩაიდო** და **წვერი პირში ჩაიჩარაც.**

მაჭახელში მ. შაჰინმა ჩაიწერა წყევლის მეტად საინტერესო ფორმულები: **ღმერთმა შენს კალოზე ლეღვი//ანწლი//დიგირგოს** (შდრ. ახტალა ამოგივიდეთ ოჯახში (სახოკია, 1979:22). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ეს ერთადერთი ფრაზეოლოგიზმია, რომელშიც წყევლის ბიბლიური ფორმულა, საეკლესიო-წიგნური ფრაზეოლოგიზმი, სტილიზაციის მიზნით გამდიდრებულია დიალექტური ვარიანტებით. კერაზე **ლეღვის** დარგვა კი მეტად საინტერესოა სოციოკულტურული თვალსაზრისითაც. ეს გამოთქმა **ocağına inciri dikecek** დასტურდება თურქულში და ოჯახის დაღუპვას ნიშნავს (მამულია, 2006).

„შესაქმეში“ ვკითხულობთ, თუ როგორ დაწყევლა პირველშეცოდების შემდეგ ღმერთმა ადამი და ევა: „ეკალსა და კუროჲსთავსა აღმოგიცენებდეს შენ“... (შეს. 3,18). კარ-მიდამოში ნარ-ეკლის ამოსვლა ტიპური ქართული წყევლაა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება კერიის აბალახება ან ჭინჭრის ამოსვლა, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში ლეღვი სამხრულ მეტყველებაში მხოლოდ მაჭახლელთა მეტყველებაშია გამოყენებული. აქვე შემონახულია ლეღვთან დაკავშირებული უარყოფითი კონოტაციის შემცველი ცნობილი ფრაზეოლოგიზმებიც: **ლეღვის ჩხირი მიატყდა** (ე.ი. მისი საქმე ნასულია, ცუდადაა). **ლეღვის ჩხირის მისობა** იმედის გადაწურვას, ცუდად ამოჩემებას ნიშნავს.

რატომ უკავშირდება ლეღვს უარყოფითი წარმოდგენები? ბიბლიის მიხედვით, უნაყოფო ლეღვის ხე წყევლამ გაახმო, მაგრამ აქ რელიგია არაფერ შუაშია, უფრო ადამიანის სამეურნეო გამოცდილებაა წამყვანი. ლეღვი ადვილად მტვრევადია და დიდია ტრავმირების რისკი, წვისას არც სითბოს გამოსცემს, ამასთან, მის ფესვებს შეუძლია შენობის საძირკვლის დანგრევაც. ამიტომაც არ რგავენ მას სახლთან ან ბოსელთან ახლოს, იტყვიან, საქონელი არ იხეირებსო. ზოგჯერ სამეურნეო ყოფაც ერთნაირია, მაგრამ სხვა ლექსემაა გამოყენებული. ქართულში **ლეღვი** წყევლის ფორმულებში არ გვხვდება, თუმცა კონოტაცია ზოგადად ერთნაირი, უარყოფითია (Tandilava, Tsetskhladze, 2015:106).

ჩვენებურთა მეტყველებაში ამგავრი ფრაზეოლოგიზმის გამოვლენის საფუძველი ადამიანის სამეურნეო გამოცდილებაა, მსგავსი უარყოფითი ასოციაციები ლეღვს ქართულშიც უკავშირდება, ამიტომაც იგუა ის ჩვენებურმა ქართველმა.

სტრუქტურული ვარიანტებია ლოცვის ფორმულებშიც: ღმერთმა ხელები იგიშენოს ან ხელები იგიყვავოს.

ამრიგად, ქართულ კლასიკურ ძეგლებში გვაქვს ფრაზეოლოგიზმთა არაერთი სტრუქტურული ვარიანტი: **გონების//ცნობის დაწყნარება, ხვაშიადის დამალვა//შენახვა, ცნობად//ჭკუად მოსვლა, სულის//გულის ლევა, გულის//ნაღველის გასკდომა,**

სულის//გულის//გონების მიტაცება ან წაღება, ზიანის დაცემა// დამართება// წვევა//ქმნა და ჟამი იგდო// დაეცა // ერგო, დრო ჰპოვა//მოჰხვდა ა. შ.

შეინიშნება, რომ ძველსა და საშუალ ქართულში დუპლეტი მეტი იყო თანამედროვე ქართულთან შედარებით.

ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული ვარიანტების წარმოქმნაში უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების როლი მეტად უმნიშვნელოა. **მუქაფის// სამაგიეროს მიგება, ნაფაზის// სულის შეკვრა.**

მომდევნო ვარიანტებში მონაცვლეობს ორივე კომპონენტი: **სულისა მიმტაცებელი// გონიერებისა წამღებელი; გულის წაღება, ცნობის//გონების წასვლა; ცნობა და გონება წაუვიდა; დრო დაიცვა//დრო იპოვიდა.**

სტრუქტურული საფუძველი ისევ ქართულ სინამდვილეშია საძიებელი. ერთმანეთს ენაცვლება არქაული და ახალი, ასევე სინონიმური არსებითი სახელები.

ძაღლის ბედი აქვს//ყვავის ბედი აქვს; ძაღლის ნაკბენივით ახსოვს// გველის ნაკბენივით ახსოვს; ბაყაყმაც ფეხი გაიშვირა// კუმ ფეხი გამოყო.

ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული ვარიანტები უხვადაა სამხრულ მეტყველებაში. მაგ. **სული //გული დამიპაწავდა, ხაპერი//ტვინი შიმიწამეს** (დამღალეს, შემაწუხეს), **ჩენგე მიეგრიხა//ჩეიკლიტა** (მოკვდა)(მაჭახ.), **კუდი გამეიკოჭა//გამეისკვნა (გაემგზავრა) (აჭარ.), გულში გამოიკოჭა//ჩამოიდო// დუუდგა (დაიმახსოვრა), სიტყვაში დიება//დეიმტრა (გამოტყდა) (ჩვენებ).**

ეზიეთის//ჰალის გაწევა (ქობ.196), გულის დაწვა //მოტეხვა (შეცოდება)(მაჭახ.), გვეხა //ხრენგა გააყრევია (წააქცია) (აჭარ.); **ჭახე// მუუსლელი, უმწიფარი ჩვენებურები, ჯოხს // ჯიღს ჭამს** (ქობ. მუჰ.).

სამხრული კილოების ფრაზეოლოგიურ სინონიმთა უმრავლესობა სტრუქტურულ ვარიანტებს ქმნის, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მათ შესწავლას. ქართულში კი (მეტწილად საშუალი ქართულის ძეგლებში) ღირსსაცნობია სხვადასხვა დიალექტური წრის გავლენაც.

თავი VI.

ფრაზეოლოგიზმთა სემასიოლოგიური ანალიზი

VI.1. სინონიმური ფრაზეოლოგიზმები

მოპოვებული მასალის მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა დაგვეჯგუფებინა სინონიმებად, ანტონიმებად და ა. შ. სინონიმია, ანტონიმია თუ პოლისემია ენის ფრაზეოლოგიური სისტემის ორგანიზებულობასა და სისტემურობაზე მიუთითებს. ენის ფრაზეოლოგიური სისტემა ლექსიკის მსგავსად იცვლება. იგი არაა იდეალური, მაგრამ სისტემურია, რასაც ზოგი მეცნიერი საეჭვოდ მიიჩნევს.

ქართულში უამრავი მყარი გამოთქმა არსებობს, რომელთაც მსგავსი ან ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ. ასეთი ფრაზეოლოგიზმები სინამდვილის ერთსა და იმავე მოვლენას ასახავენ და მათ განსხვავებულ ემოციურ ელფერს ანიჭებენ. ისევე როგორც რელატიურ სინონიმებს, ამნაირ მყარ გამოთქმებსაც განსხვავებული ფუნქციები აქვთ და შესაბამისად, მკვიდრი ადგილი უჭირავთ ენაში. მათ ფრაზეოლოგიურ სინონიმებს უწოდებენ.

ლექსიკურ ერთეულთა გაერთიანება ველებად სინონიმურ რიგებზე უფრო ფართოა და სტილისტიკური ნიუანსებიც ბევრად მკვეთრადაა გამოხატული.

ფრაზეოლოგიურ სინონიმებს ლექსიკურისაგან განსხვავებით არ აქვს სემანტიკური დომინანტი, ე. ი. ძირითადი სინონიმი, რომელიც სინონიმური რიგის ბირთვს ქმნის და თავის მხრივ მათზე დაქვემდებარებულ სინონიმებს წარმოქმნის ყველა ფრაზეოლოგიური სინონიმი მისი მკვეთრი გავლენით. ისინი სტილისტიკურად მარკირებულია.

სტილისტიკურ სინონიმებში იგულისხმება ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სათქმელისადმი სხვადასხვა ემოციურ დამოკიდებულებას ავლენენ, ერთსა და იმავე საგნობრივ-ლოგიკურ სემანტიკას ნეიტრალურად, ევფემისტურად და დისფემისტურად გადმოგვცემენ. ზოგი ფრაზეოლოგიზმი

არამარტო ექსპრესიულია, არამედ გამოიყენება დამატებითი ასოციაციებისა და ემოციების გამოსახატავად. ზოგჯერ იქმნება გამონათქვამის მეორე აზრობრივი პლანი, იმდენად დიდია ემოციური დატვირთვა და ასოციაციური მნიშვნელობა.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების ემოციურ-ექსპრესიული კუთხით შესწავლა იძლევა იმის დანახვის შესაძლებლობას, რამდენაც ხშირად გამოიყენება იგი მეტყველებაში, რაოდენ ღრმაა მისი მნიშვნელობა და დიდია სტილისტიკური დატვირთვა.

ქართულში ფრაზეოლოგიური სინონიმები იყოფა სამ ჯგუფად: 1. ერთნაირი ერთნაირი აზრობრივი მნიშვნელობის, 2. სინონიმები შეიძლება განსხვავებული ან ერთნაირი სტრუქტურისა იყოს, 3. სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებში შიდა სტრუქტურა არაა დარღვეული, მხოლოდ რომელიმე კომპონენტი იცვლება (არსებითი, ზედსართავი სახელები, ზმნა, სახელის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი).

ერთნაირი აზრობრივი მნიშვნელობის სინონიმური ფრაზეოლოგიზმები თავის მხრივ იყოფა ერთნაირი და სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულებად.

ნ. შანსკის მიხედვით, ,,რუსულში ყველაზე მეტი სინონიმი ზმნურ და ზმნიზედურ ფრაზეოლოგიზმებს მოეპოვება“ (Шанский,1985:149).

თუ ფრაზეოლოგიზმები განსხვავდებიან მნიშვნელობის მოტივაციითა და წარმოსახვის შინაგანი ფორმით, ისინი დუპლეტებს არ წარმოადგენენ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვ. ვინოგრადოვისეული კლასიფიკაციით გამოყოფილ ფრაზეოლოგიზმთაგან (ფრაზეოლოგიური შენაზარდი, ფრაზეოლოგიური მთლიანობა და ფრაზეოლოგიური შესიტყვება) სინონიმები მხოლოდ უკანასკნელი ტიპის გამოთქმებს მოეპოვება, რადგან მათ კომპონენტებს შორის კავშირი ნაკლებად მტკიცეა.

სინონიმურია შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **ცხრა საცრის პური მიჭამია// ბევრი საცრის პური მიჭამია:** ბევრი რამ გამომიცდია, დიდხანს მიცხოვრია, ბევრი ავი და კარგი მინახავს.

საცერი გამომხატველია დროისა, უმეტესწილად, ხანგრძლივობისა, რომლის განმავლობაში ის ემსახურება ოჯახს და

შიგ გატარებული ფქვილისაგან გამომცხვარი პურიც ასაზრდოვებს ოჯახის წევრთ. მაშასადამე, ბევრი საცერი ხატოვნად გულისხმობს დიდხანს, მრავალჟამიერობას, წელმრავლობას, დღეგრძელობას, რომლის განმავლობაში უცხოვრია ადამიანს, ვისზედაც არის ლაპარაკი.

სინონიმური ფრაზეოლოგიზმებით განსაკუთრებით მდიდარია **სამხრული მეტყველება.** აქ აისახება საკუთრივ აჭარულ, ზოგადად ქართულ და თურქულ ფრაზეოლოგიზმებთან მიმართება. ქართულ მყარ გამოთქმათაგან ზოგი ძველია, ზოგიც – ახალი. ყოველივე ამის გათვალისწინებით გამოიყოფა ძირძველი ქართული და კლასიკური ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალა დაჯგუფებულია სემანტიკური ბუდეების მიხედვით.

გაჯიუტება სამხრულ მეტყველებაში ასე გადმოიცემა: **ჯინების ცხენზე შეჯდომა** (ინ), ცხენიდან ჩამოსვლა და **ვირზე შეჯდომა** (მაჭახ.); **გაკნაჭულ ვირზე ჯდომა** (აჭარ.) (ნიჟარაძე, 1975: 124); **ვირის ინათზე ჯდომა** (ინ.); **ინათზე შედგომა** (იქვე).

ინათი არაბული სიტყვაა (inad) და ნიშნავს სიჯიუტეს, ჟინიანობას. ვირი ჯიუტი ცხოველია და გაჯიუტების მხატვრულად გადმოსაცემად მყარ გამოთქმებში მისი გამოყენება კანონზომიერია.

აქვე უნდა განვიხილოთ გამოთქმაც: **ცხვირი დუუშვა** (გაბრაზდა, მოიწყინა) სიტყვა **ცხვირს** სამხრულში ზოგჯერ ცვლის ვულგარიზმი **ფოლო**, იგი ცხვირ-პირს აღნიშნავს.

შეშინების, შიშის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია: **გულზე მომწია** (ორთაბ.), გულში მონია (მაჭახ.; ჩვენებ. 368), **გული გუუსკდა||დუუპაწავდა, თვალებიდან წინწკლები დავყარე** იქვე, 338); **ენა ჩუუშპა//ენა ჩუუვარდა** (ორთაბ.), **მუცელში გარცხა.**

დასახელებულ ფრაზეოლოგიზმთაგან რამდენიმე მათგანი სტრუქტურული ვარიანტიცაა: ყველაზე მეტად ემოციურია **მუცელში გარცხა** (იგულისხმება ფაღარათი).

მოქარგული ენა აქვს, პირიდან შაქარი//თაფლი გადმოდის მჭევრმეტყველების სემანტიკის გამოთქმებია. კიდევ უფრო ექსპრესიულია ფრაზეოლოგიზმები: **ბერს ცოლს შეართვევინებს და ენაზე ჭალი არ მოედება,** მაგრამ მათ შორის არის სხვაობაც:

ჩემ მაკრინეს სატანაც ვერ დასტყუებს, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ვითომ ენაზე ჭალი მოედება თუ (გ.ერისთ.). ,,იმისი ტოლ-ბადალი არ გაუჩენია ღმერთსა, რომ მოინდომოს, **ბერს ცოლს შეართვევინებსო.** საეკლესიო კანონით ბერად შემდგარის ცოლის შერთვა მომაკვდინებელი ცოდვაა.

სამხრულ მეტყველებაში თადარიგიანობა, მოწესრიგებულობა, ხელსავსეობა უამრავი ფრაზეოლოგიზმითაა გადმოცემული: **მომკობილი კაცი, მოკოჭვილი კაცი** (ჩვენებ.109).

ხელების მოჭმა ან **მოფშვნაც** სინონიმური ფრაზეოლოგიზმებია და ნიშნავს **ხელის შეშლას.** მუჰაჯირთა მეტყველებაში მას სხვა სინონიმიც აქვს: **ხელის მოხირკვლა.** ოსმან ძიაჲთ ვაწყობდი წასვლას, მარა **ხელი მომეხირკლა** (ჩვენებ.671).

მჭევრმეტყველ კაცზე იტყვიან: **სიტყვაში არ დეიმტვრევაო** (ჩვენებ. 50), **სიტყვაში ვერ დააბამო** (შდრ. ენა უჭრის (სახოკია, 1979: 173).

ნური-ეფენდი დედეს მაშინ **სიტყვა გუუდიოდა** (ჩვენებ.104); დელიაღა დედეი **სიტყვას უკან არ დეიბრუნებდა** (ჩვენებ. 98).

ფიზიკურად სუსტ, გამხდარ, გაძვალტყავებულ კაცზე იტყვიან, **ყვავის აპოხტი** ან **ხაპის ყვიპიაო** (ნიჟარაძე, 1975: 430).

სამხრულ მეტყველებაში გონებაგახსნილ კაცს **გაწურულ** (მაჭახ.); **ყურგახრეტილ** (ჩვენებ.140); **გამგნებელ, თვალგახელილ** კაცს ეძახიან. გონიერ, დინჯ ქალზე იტყვიან, **მოწევლი ქალიაო:** ნენევრაჲ მოწევლი, წკვიანი ქალი ყოფილა (ჩვენებ. 99). ...ყველა მათგანი მიემართება საღი გონების, მოხერხებულ ადამიანს, რომელიც ადვილად გაიკვლევს გზას ცხოვრებაში, ალღოს აუღებს მას.

აქვე უნდა განვიხილოთ **გონჯი თუალიც.** გონჯი ავს, ცუდს ნიშნავს. ეს ფრაზეოლოგიზმიც ლიტერატურულია, ოღონდ მასში **ავი** შეცვლილია **გონჯით** მაგ. მან ბებერმან **ავის თვალით** შე-

მომხედა (რუსუდ. 182); საქნელსა საქმესა **ავისა თვალით არა სჭვრეტდე** (საბა II).

ამ დელიაღასა **გონჯი თუალით უყურებდა** მეგომ ხულას თოფან ბეგი (ჩვენებ. 42), დელიაღას ვერ შეჭდებოდა, ბრუდე თვალით ვერ შეხედავდა (იქვე); **ბრუდე თუალით ვერ შეხედევდა** (ჩვენებ. 42).

სამხრულ კილოებში დადასტურებული **წარბის მობლუნკვა** სინონიმია ფრაზეოლოგიზმისა – **წარბის შეკვრა (მოღუშვა, გაბრაზება, შუბლის შეკვრა).**

მოკლედ, სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებში სემანტიკური და სტილისტიკური ნიუანსები მკვეთრადაა მარკირებული, ამიტომ ერთმანეთის სანაცვლოდ მათი გამოყენება მხოლოდ გარკვეულ, იშვიათ შემთხვევებში თუ მოხერხდება. სამაგიეროდ, ამგვარად გადმოცემული აზრი ხატოვანიცაა, ექსპრსიულიც და ზედმინევმით ზუსტიც.

VI 2. ანტონიმური ფრაზეოლოგიზმები

საპირისპირო სემანტიკა მოძიებულ მასალაში ანტონიმური ფრაზეოლო-გიზმებით გადმოიცემა. აქაც საშუალი ქართული გვაძლევს განსხვავებულ სურათს. გვაქვს საპირისპირო შინაარსის ფრაზეოლოგიზმები: **ხვაშიადის შენახვა – ხვაშიადის გამჟღავნება, ნამუსის შენახვა– ნამუსის გააშკარავება, გულის გაშმაგება//გამხეცება – გულის დამშვიდება//დაწყნარება** და ა.შ.

მან კარგად უმასპინძლა და **ხუაშიადიცა კარგად შეუნახა** (ვისრ. 294, 21); შენთა საქმეთაგან **გამჟღავნებულია** ჩემი **ხვაშიადი** (იქვე, 179,37).

თქვენ **შემინახეთ ნამუსი**, თქვენსა და ჩემსა ძმობასა (ვტ. 1046,4); მის გამო არც კი თაკილობ **ნამუსის გააშკარებას** (თამარ. 25,8).

გული სრულად გამიმხეცდა (ვტ. 581, 2); **გული სრულად გამიშმაგდა** (იქვე, 641, 4), თავბრუ დამესხა და **გული გამიშმაგდა** (რუსუდ. 191,4); ვერ უპოვოს, რა ქნას ანუ **გული რითა დაიწყაროს** (ვტ. 758, 4).

ანტონიმურია **გულის დაბნელება** და გულის განათებაც: მოეშორვების ნათელსა, **გული** ამისთვის **ბნელდების** (ვტ. 1300,2), მან **განანათლოს** მჭვრეტელთა **გული** რაზომცა **ბნელია** (იქვე, 468, 3).

აქვე უნდა დავასახელოთ **იმედის მოცემა** და **იმედის გარდაწყვეტა:**

მოწყალებიანი ხმა გაიგონა, **იმედი მოეცა** (ყარ.208,16); საწუთრომან **იმედი გარდასწყვიტა** მოაბადის ხელმწიფობისაგან (ვისრ. 30,15).

ანტონიმებია ასევე **ალის დება–ალის შრეტა:** თქვა მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ **მედების** ვისგან **ალი** (ვტ. 316, 4); ზენაარ სულთა ნუ გამყრი, ამბითა **შრეტდი** ამ **ალსა** (იქვე, 391,2).

„ვისრამიანში" გვხვდება გამოთქმა **ეკლის ჟამი,** რომელიც **ხურმის ჟამის** ანტონიმია. ისინი ფრაზაში ანტითეზას ქმნის, კონტექსტური ანტონიმებია: შენთვის **ხურმის ჟამი** წავიდა და **ეკლისა მოვიდა** (ვისრ. 111: 4).

ანტონიმებია ასევე სამხრული კილოების **პირზე ნური ადგას** (მაჭახ.) და **პირზე ჯეჰენნემი ახატია** (ჩვენებ.).აქვე გვხვდება თეთრაპირაჲ და პირშავი ინსანი (ჩვენებ. 71).

ანტონიმურ ფრაზეოლოგიზმებს მხატვრულ ლიტერატურაში იყენებენ ანტითეზის, ანტონიმიისთვის. მათი სტილისტიკური ფუნქციაა სათქმელის მკვეთ-რად, შთამბეჭდავად გამოხატვა.

VI.3. პოლისემიური ფრაზეოლოგიზმები ქართულში

ქართულში ზოგი ფრაზეოლოგიზმი ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას გადმოგვცემს. ეს იმთავითვე გამხდარა მსჯელობის საგანი, მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ომონიმიაა, მეორენი პოლისემიად მიიჩნევენ. როგორც ვიცით, ომონიმები განსხვავებული წარმომავლობის სიტყვებია, რომლებიც გარეგნულად ემთხვევიან ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმებთან პოლისემიის მოვლენა ვლინდება და არა ომონიმიისა.

პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმთა წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ზმნას ძირითადი მნიშვნელობის გარ-

და გადატანითი მნიშვნელობაც აქვს. სწორედ ეს უკანასკნელია ტროპული.

თუკი სიტყვის ნორმატიული და გადატანითი მნიშვნელობები პოლისემიის ცნებაში ერთიანდება, ასეთივე დამოკიდებულებაა თავისუფალ შესიტყვებასა და ფრაზეოლოგიზმს შორისაც. ლექსიკურთან შედარებით ფრაზეოლოგიური პოლისემია ვიწროა.

ავიღოთ **გულის დნობა**. **დნობა** არის 1) მყარი ნივთიერების ლღობა გახურებისაგან, 2) თანდათანობით დალევა, გაქრობა, 3) გახდომა, დასუსტება (ჯავრისაგან) (ქეგლ).

გულის **დნობა** ქართულში გამოხატავს **შიშსაც და სიყვარულსაც**.

რაც შეეხება **გულის ადუღებას**, იგი ქართულში **გაბრაზებას** ნიშნავს, მაგრამ ,,ვისრამიანში" შეყვარების სემანტიკითაა დატვირთული.

გულის დნობა ,,ვისრამიანში," ,,რუსუდანიანსა" და ,,ვეფხისტყაოსანში" შიშსაც გადმოგვცემს და სიყვარულსაც: **დადნა** გული და ტანი შენი გონებითა (ვისრ. 76,16), ამის მებრძოლსა **გული** ვით არა **დაუდნებაო** (ყარ. 166,21); დღეთა მეტად ნუ მოკვდები, **გული** ჩემი ნუ **დადნების** (ვტ. 188,2); გულსა შუქი შემომადგნა, მაგრა **გული** არ **დამიდნა** (513,4).

პოლისემიური ფრაზეოლოგიზმებია ასევე: **გულში ცეცხლის გზება** (სიყვარული, გაბრაზება), **გულის დაწვა** (სიბრალული, აღშფოთება), **გულის ადუღება** (სიყვარულიცაა და გაბრაზება), **გულის ლევა** (ტანჯვა, უიმედობა, სიყვარული). **გულის დაბმა** გადმოგვცემს **სიყვარულსაც, თავშეკავებასაც და მწუხარებასაც**.

აქვე უნდა განვიხილოთ **გულის დაგვაც** და **გულის დადაღვაც**. ორივე მათგანი სიყვარულსაც აღნიშნავს და მწუხარებასაც: აწ ვახსენებ, ვისგან ჩემი **დაუდაგავს გული ალსა** (ვტ. 318,4).

ალის დება სიყვარულიცაა და სიბრალულიც: მის ქალისა სიბრალული ამინათებს და **მიდებს ალსა** (ვტ. 12341,1); ფატმან ხათუნს მისსა მჭვრეტსა **ედებოდა ცეცხლი ნელი** (იქვე,1421,1).

ცეცხლის დება სიყვარულს//შებრალებას//დანანებას ნიშნავს: ან გაყრისა მომლოდნესა, **ედებოდა ცეცხლი**, სწვიდა (ვტ. 1008,3); იგი მთვარე ჩემი იყო, მით **მედების ცეცხლი** მდაგად (იქვე, 623,3); შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს **ცეცხლთა დება** (იქვე, 1083,3); მის ამბავს ნულარას მკითხავ, მისი ბრალი **ცეცხლსა მიდებს** (რუსუდ. 183,29); ქარმან წამიღო ჩემი ნაჭირვები, გულსა **ცეცხლი მომიდვა** (ვისრ. 129,31).

გულს ცეცხლის გზება ნიშნავს **მიჯნურობასაც და მწუხარებასაც:** მიჯნურობამან გულს **ცეცხლი მომიგზნა** (ვისრ.); შვილთა მწუხარებამან გულთა **ცეცხლი მომიგზნა** (ყარ. 125,29).

გულის დაწვა გამოხატავს სიბრალულსაც და აღშფოთებასაც: რა ესე სიტყვა ესმა, ვისსა სამისოისა სიბრალულისაგან **გული დაეწვა** (ვისრ.139,32); ოდეს გიხმე, პასუხი რად არ გამომეც, რომელ აღმაშფოთე და **გული** ესრე **დამეწვის** (იქვე, 144,25); ზოგჯერ **გული** მისი **შეჭირვებითა** დაიწვის (იქვე, 42,25); **გული** წელიწადითა წელიწადამდის **ცეცხლსა შიგან იწვის** (იქვე, 46,10).

გულის ადუღება სიყვარულიცაა და გაბრაზებაც: ... რამინს **გული აუდუღდა** ვისის სიყვარულისაგან (ვისრ.36,3); ჯიმშედს **გული აუდუღდა** (რუსუდ. 190,38).

გულის ლევა არის **ტანჯვაც, უიმედობაც და სიყვარულიც:** შეჭირვებისა ცრემლმან **დამილია გული** (ვისრ.150,6); შენდობისაგან უიმედო ვიქნები და **გული დამელევის** (იქვე, 289,9); გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ **გული გულსა ელია** (ვტ. 475,2).

საკითხი სათანადოდ არაა შესწავლილი, ზოგაი სურათი კი ასეთია: განხილულ პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობა ადამიანის უარყოფით განცდებს გადმოგვცემს.

VI. 4. ნეკროტიზმი

ფრაზეოლოგიზმები ინახავენ ცნობებს ლექსიკოლოგისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენის შესახებ, როგორიცაა სიტყვათა სესხება. ის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც ენის განვი-

თარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ როლს ასრულებს. „არცერთი ენობრივი კოლექტივი არ ასცდენია შეხებას სხვა ენობრივ კოლექტივთან", – წერს შ. ძიძიგური სიტყვათა სესხების პირობების შესახებ მსჯელობისას (ძიძიგური, 1960: 41).

მკვლევარი საგანგებოდ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას იმაზე, რომ „სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს, ისიც იბადება, ვითარდება და კვდებაო, რომ ამბობენ, მეტაფორული გამოთქმაა, თორემ არსებითად ვერ გავუტოლებთ ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრებას ორგანიზმისას, რომლისთვისაც მართლა დამახასიათებელია დაბადება, ზრდა და სიკვდილი, ეს უკანასკნელი არაა აუცილებლობა, არამედ არის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამბობთ, სიტყვას თავისი ცხოვრება აქვსო. მართლაც, ესა თუ ის სიტყვა თანდათანობით იქმნება და მკვიდრდება ენაში, დროთა განმავლობაში სახეს იცვლის, შესაძლოა, ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე ხმარებიდან გავიდეს, დაიკარგოს" (ძიძიგური, 1960: 14-15).

სიტყვათა სესხების შესწავლა გასაღებია ისტორიისა, მოცემული ერის, ენის სოციალურ-კულტურული ურთიერთობებისა. ნასესხები სიტყვა ზოგჯერ ფართოდ მკვიდრდება, საყოველთაო მოხმარებისა ხდება, ზოგჯერ იკარგება, დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება ენაში. „ხშირად სიტყვები ისე გამოდის ხმარებიდან, რომ კვალს არ ტოვებს, მაგრამ მათ შემცველად იდიომი რჩება" (თაყაიშვილი, 1961:53).

ამ უკანასკნელთ ნეკროტიზმებსაც უწოდებენ. მათი კომპონენტები ენაში დამოუკიდებელ ლექსემებად არ გამოიყენება. არქაული და ხმარებიდან გასული სიტყვები ძირითადად არაბული და სპარსული წარმოშობისაა. ასეთებია: **აბრუ, ილაჯი, ყავლი, ყალყი, ყირა, არაქათი, სიქა, აინუნი, იხტიბარი.** ისინი შემონახულია ფრაზეოლოგიზმებში: **აბრუს გატეხა, ყავლის გასვლა, აინუნში მოსვლა/ ჩაგდება, ყალყზე დადგომა, ყირაზე გასვლა, ყირაზე გადატარება, ილაჯის გაწყვეტა, არაქათის გაცლა, სიქას გაცლა.**

ს. ტერ-მინასოვა წერს: „თუმცა ენა რა არის მხოლოდ ყულაბა ან სათავსო, რომელშიც ხმარებიდან გასული სიტყ-

ვა-ცნებები ინახება, იდიომატურ გამოთქმებში მართლაც ინახება მკვდარი, ხმარებიდან გასული სიტყვები, მაგრამ ის გამონაკლისებია, რომლებიც წესების არსებობას ადასტურებენ" (ტერ-მინასოვა, 2017:142).

ნეკროტიზმია **აბრუს** გატეხა. **აბრუ** ქეგლ'ში არაა ახსნილი, როგორც უცხოური ენიდან შემოსული სიტყვა, ის არ დასტურდება საბასთან. **აბრუ** სპარსული სიტყვაა (abru: ab-სახე, ru– წყალი) და ქართულში ხატოვნად ნიშნავს **პირის წყალს, ღირსებას, სინდისს, რეპუტაციას, კეთილშობილებას. პირის წყლის დაღვრა/ წაღება შერცხვენა, დამცირებაა.** ქართულში უფრო გვიანდელ ძეგლებში გვაქვს **აბრუც.**

ამ შემთხვევაში კი სიტყვის კალკირებასთან გვაქვს საქმე, – წერს მ. ანდრონიკაშვილი (ანდრონიკაშვილი, 1996:130).

აბრუს გატეხა ,,თავზე ლაფის დასხმა", ,,შერცხვენაა". ,,ვისრამიანში"ამ მნიშვნელობით დასტურდება **პირის აბრუს გატეხა. აბრუგატეხილი** მისგან მიღებული კომპოზიტია და სახელგატეხილს ნიშნავს (ნეიმანი,1978:559). შესაბამისად, უკუთქმითი ფორმა განსხვავებული მნიშვნელობისაა: **აბრუს არ გაიტეხს**– სახელს არ იტეხს, თავს არ ირცხვენს, საჩოთიროს არ აკეთებს.

აბრუსგან ნაწარმოებია **ბიაბრუ (bi– უ, ab – პირი, სახე, ru – წყალი: უსირცხვილო), გაბიაბრუება** – შერცხვენა, თავს ლაფის დასხმა, შერცხვენა, თავის მოჭრა, გალანძღვა. ქიზიყურში გვხვდება გამოთქმა **,,ბიაბრუ მომაყენა"**– შეურაცხყოფა მომაყენა (ღლონტი, 1984: 72).

აქვე უნდა დავასახელოთ **აინუნშიც არ აგდებს და აინუნში არ მოსდის. აინუნი** არაბულად თვალებია, **აინ**–თვალი, **უნ**– მრავლობითი რიცხვი, რაც ნიშნავს თვალში მოსვლას. **აინუნში მოსვლა** დანახვა, მოწონება, რამედ მიჩნევა, ანგარიშის გაწევა, მორიდება, შიშია (სახოკია, 1979:14):

,,მე ეს კარგად ვიცოდი და **აინუნშიც არ მომდიოდა,** ვამბობდი, – ამისთანა ბოდვას ვინ ათხოვებს ყურს-მეთქი (ილია); გაღორებულ-გათამამებული აბლაკატი ყველა ამას ყურადღების ღირსადაც არ რაცხდა, **აინუნშიც არ იგდებდა**"(ნ.ლომ).

ბაიბური ქეგლ'ის და უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით **სრულ სიჩუმეს** ნიშნავს: „ქუთაისში **არჩევნების ბაიბური არ არის... ხალხი ბაიბურში არ არის;** ნამების კადრები უმწეობის განცდას იწვევს, ეს ხდებოდა და **ბაიბურში არ ვიყავით;** „ამ დროს პოლიტიკის **ბაიბურში არ არიან,** გვარებიც კი არ იციან; „მშობლების უმრავლესობა **ბაიბურში არ არიან,** სად არიან მათი შვილები."

დამბურას უკრავს: დამბურა (არაბ. Tambura) ჩვენებურთა მეტყველებაში სიმებიანი ინსტრუმენტის საერთო სახელია (ფუტკარაძე, 1993: 426). ეს სახელი გვხვდება საშუალ ქართულშიც: „ამოიღო ერთი **დამბურა** და მომცა" (რუსულ. 456).

რუსუდანიანზე" დართულ ლექსიკონში ახსნილია, რომ „დამბურა" მანდოლინის მსგავსი სიმებიანი საკრავია, ხოლო „ქართული მწერლობის VI ტომზე დართულ ლექსიკონში ზ. სარჯველაძეს ის ახსნილი აქვს, როგორც **დოლი.**

აჭარულში გვხვდება მყარი გამოთქმა **„დამბურას" უკრავს** (ჩაქვი, ორთ. მახინჯ.). დამბურას უკრავსო, იტყვიან ადამიანზე, რომელიც თავის პოზიციაზე მყარად დგას, თავისას აკეთებს, თავნათქვამაა. სულხან-საბას ლექსიკონში იგი არაა ახსნილი. მ. ცინცაძე და მ. ფალავა მიიჩნევენ, რომ დამბურასავე უნდა ნიშნავდეს „ვისრამიანში" დადასტურებული **დუმბულიც** (ცინცაძე, ფალავა 1998: 202).

ეს სიტყვა, დასახელებულ ავტორთა აზრით, საშუალი ქართულის ძეგლებში სამხრული დიალექტებიდან უნდა იყოს შესული. აქ მიუღია **დამბურას დაკვრას** გადატანითი მნიშვნელობა და ფრაზეოლოგიურ ერთეულად ჩამოყალიბებულა: „ელაპარიკე და იყავ, იგი მაინც **მის დამბურას უკრავს"** (ხალა); „კიდვენ **მის დამბურას უკრავს,** ვინმესი ნათქუამი არ ესმის, ინათიანია"(ჩვენებ.426).

ადიდაში გამოსული გაიძვერას, ქლესას, ვერაგს, დაუნდობელს ნიშნავს. **ადიდა** არაბული სიტყვაა, ნიშნავს ფოლადის ფიცარს, რომელსაც სხვადასხვა სიდიდის ნახვრეტები აქვს და ამ ნახვრეტში ლითონის მავთული გამოჰყავთ ხოლმე გაჭიმვით.

ვინც ადიდაში მოახერხებს გაძვრომას, ის მოხერხებული და მეტად ეშმაკია: ყველგან გაიტანს თავს.

ალაიაში გატარება შერცხვენა, საჯაროდ გალანძღვაა. **ალაი** – თურქული სიტყვაა და ნიშნავს ორ წყებად დაწკაპულ ადამიანთა შუა ადგილს.

„გურულებს ჩვეულება აქვთ, მტერს რომ დაიმორჩილებენ, თოფების ქვეშ გააძვრენენ და შემდეგ მისცემენ თავის ქვეყანაში დაბრუნების ნებასო. ამგვარად, თოფებს ქვეშ გაძვრენას **ალაია** ჰქვია თურმე იმათებურად, ვითომდა ალაიაში გააძვრინესო“(ეგ.ნინოშვილი) (სახოკია, 1979::15) (შდრ. სირცხვილის დერეფანი).

„ილია ჭყონიას ლექსიკონში ვკითხულობთ: **„ალაიაში გატარება** უწინ ნიშნავდა ადამიანთა წკეპლით, ჯოხით ან მათრახის ცემით გატარებას ორ წყებად დარაზმულ ჯარისგან, ახლა ნიშნავს საჯაროდ შერცხვენას (ჭყონია, 1910).

აბუჩად აგდება არად ჩაგდება, უპატივცემულობა, ვინმეს, რამეს არად მიჩნევა, დამცირება, სათაკილოდ მიჩნევა, იგნორირებაა. ქეგლ'ში იგი არაა განმარტებული, საბას მიხედვითაც ის **უხამს სტუმარს** ნიშნავს: აბუჩალაკი კი იგი არს, პატიოსანი მიუჩნეველად გახადოს (საბა (I) 1991).

აბუჩი ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის“ მიხედვით დაუპატიჟებელი სტუმარია (ღლონტი, 1984: 669).

ნეკროტიზმია ასევე **იხტიბარი არ გაიტეხა. იხტიბარი** არაბული სიტყვაა: იხთიბა გამოცდილებას, მოხერხებას ნიშნავს. **იხტიბარს არ გაიტეხს** კი – არ შეიმჩნევს უხერხულ მდგომარეობაში ყოფნას, ჯიუტია. ამავე სემანტიკისაა **ულურს არ იტეხს** (ქეგლ).

ყავლი გაუვიდა: Kavil (-vh) არაბული წარმოშობისაა. 1. ის არის დაუსაბუთებელი მტკიცება ალაჰის ნებით, წინასწარმეტყველის სიტყვით (მოძღვრებით); 2. პირობა, შეთანხმება, პირობის დადება (ჩლაიძე, 2001: 805).

ყავლი არაბული სიტყვაა და რაღაცა პირობის განსაზღვრულ, დათქმულ დროს ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით კი – გაუფასურებას, რამის მნიშვნელობის დაკარგვას.

თავდაყირა და **ყირამალა** კიმერიული სიტყვებია, რომლებიც დღეს იშვიათად გამოიყენება. **თავდაყირა დააყენა**, ნიშნავს გადატრიალება მოახდინა, ყველაფერი აურდაურია, **სახლი ყირაზე დააყენა**, ძალიან ცელქობს.

ყირაზე/ ყირამალა გადასვლა იგივე მალაყია, გადატანითი მნიშვნელობით ზოგჯერ ნიშნავს უზნეობასაც.

ყირაზე გადატარება ჯობნა, მორევაა: ,,ეჰეე, დიდი ძალა აქვს სოფელსა, თუ მოინდომა, **ყირაზე გადაგატარებს**'' (ვაჟა).

ყირანი აყენია საჭმლისა: ბევრია საჭმელი, სუფრა პირამდე სავსეა. **ყირანი ყირა**'ს მრავლობითი რიცხვის ფორმაა, რაც ნიშნავს ერთიმეორეზე დახერგილს, თავდაღმა დაყრილს.

ყალყი არაბული სიტყვაა, შემონახულია გამოთქმაში **ყალყზე შედგომა, რაც პირდაპირი** მნიშვნელობით ნიშნავს ცხენის უკანა ფეხზე შედგომას, გადატანითი მნიშვნელობით კი აღელვება, საწინააღმდეგოდ განწყობა, უზომო აღშფოთება, განრისხება, გაწყრომა, გაჯავრებაა: ,,ჩვენებურს მწერლობას არც ისეთი ძალა და გავლენა აქვს, რომ მთელი საზოგადოება **ყალხზე დააყენოს**"(ილია).

განსხვავებული სემანტიკისაა ამავე ფრაზეოლოგიზმის გავრცობილი ვარიანტი **თმების ყალყზე დადგომა**, რაც ნიშნავს შეშინებას, თავზარის დაცემას, შეშფოთებას, უსაზომო ზიზღს: ,,თუ ერთი რამ დაიძრა იმ შენობისა, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან, არამცთუ **თმა ყალხზე შეუდგება** ევროპის პოლიტიკას, არამედ ყველა ხმალზედ ხელს წაივლებს" (ილია).

ყაბული არაბული სიტყვაა qabul (თანხმობა, მიღება). **ყაბულს არის** – ნიშნავს თანახმა არის, თანხმობას აცხადებს. ქართულში გამოიყენება მისგან წარმოქმნილი ნასახელარი ზმნა **დაჰყაბულდა**. ჩვენებურთა მეტყველებაში გვხვდება ამავე ზმნის აქტიური ფორმები სუბიექტური და ობიექტური წყობისა: **იყაბულა, მიყაბულა**. მაგ.: არ იყაბულებს ჩვენი ჰუქუმათი... უნივერსიტეს რექტორმა მიყაბულა (ჩვენებ. 478).

ნეკროტიზმია ასევე **ილაჯის გაწყდომა**. **ილაჯი გაუწყდა**, ნიშნავს, დაიღალა, დაიქანცა. ,,**ილაჯი იყო გაწყვეტილი** რუსულში ახალი სიტყვების – მომეტებულად უცხო ქვეყნის სი-

ტყვებისა და ლაპარაკის კილოების შემოტანისაგან“(ილია); ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხი მეტისმეტად შეწუხდება და ცხოვრების **ილაჯი** გაუწყდება (ვაჟა).

ილაჯი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ღონეს, ქანცს, ჯანს, ძალას. ამავე სიტყვისგანაა მიღებული **ილაჯს წაიღებს:** თ. სახოკიასთან ის განმარტებულია, ,,როგორც აღელვება, მოთმინებიდან გამოსვლა, თავის მობეზრება, გულის მოყვანა, გაბრაზება, გულის გაწყალება ბევრი ლაპარაკით“ (სახოკია, 1979: 286): ,,იმ ყმაწვილმა უფრო **ილაჯი წაილო**“ (ა. ცაგარ.).

არაქათიც არაბული სიტყვაა და ძალ-ღონეს ნიშნავს: **არაქათი გამოელია ან გაუწყდა,** ნიშნავს, ქანცი აღარა აქვს. არაქათგამოცლილი ისაა, ვისაც ძალა გამოცლილი აქვს დაღლილობისაგან.

სიქა გააცალაც ნეკროტიზმია და ნიშნავს საშინლად გვემას, მძიმე ტვირთისგან წელში გაწყვეტას, ვინმესთვის გაჭირვებისგან ადამიანის სახის დაკარგვინებას: იმდენი ამუშავა, საცოდავს **სიქა გააცალა;** ხარფუხელმა მექისე ჩელოვეკამ რომ არ დაზოგა ისინი და **სიქა გააძრო** (დ. ტურაშვ.).

თ. სახოკიას მიხედვით, ,,**სიქა** არაბული სიტყვაა და ის ერქვა ნიშნავს ფულს, საზოგადოდ კი ლითონის მონეტას, რომელსაც არტყამდნენ ბეჭედს და აღნიშნავს მის ღირებულებას, ფასიანობას. უამბეჭდოდ ფული არ ფულობდა, ყალბად ითვლებოდა. ეს სიტყვა იხმარებოდა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მეორე ნახევრის დასაწყისში“ (სახოკია,1979:585).

მაგ.: მიუწერიათ კიდეცა სტავროპოლის კამისიაში, რომ დამიბრუნონ 160 თუმანი, სულ თეთრი **სიქა მანათი,** მანათი ხუთი აბაზიანი“ (გრ. ორბ).

სიქა მანათი ნამდვილ, ღირებულებიან მანეთს ნიშნავს. ,,სიქა არაბული ნასესხობაა, რომელიც აღნიშნავს შტამპს ლითონის ფულზე. სიქის გაცლა მიუთითებდა ბევრი ხმარებით ფულის ისე გაცვეთას, რომ ზედ შტამპი აღარ შეიჩნეოდა“(თუმანიშვილი, 2015:224).

ქართულში ამ გამოთქმამ შეიძინა დამქანცველი საქმიანობით ძალ-ღონის გამოცლის მნიშვნელობა.

ამრიგად, ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი იძლევა ცნობებს სიტყვათა სესხების შესახებაც. ბევრი უცხოური სიტყვა, რომლებიც მეტწილად არაბული და სპარსული წარმოშობისაა (**აბრუ, ილაჯი, ყავლი, ყალყი, ყირა, არაქათი, სიქა, აინუნი, იხტიბარი**) ერთ დროს შემოსულა ქართულ ენაში, დღეს დამოუკიდებლად თითქმის არ გამოიყენება, მაგრამ დაცულია ნეკროტიზმებში: **აბრუს გატეხა, ყავლის გასვლა, აინუნში მოსვლა/ ჩაგდება, ყალყზე დადგომა, ყირაზე გასვლა, ყირაზე გადატარება, ილაჯის გაწყვეტა, არაქათის გაცლა, სიქას გაცლა.**

თავი VII.

ფრაზეოლოგიზმთა სტილისტიკური ფუნქციები

VII.1. სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთა მარკირების საკითხი

ფრაზეოლოგიზმთა სინონიმიკა და ვარიანტულობა მეტად საინტერესო ენობრივი მოვლენაა. იგი გვიჩვენებს, რომ ენის ფრაზეოლოგიური სისტემა ლექსიკის მსგავსად იცვლება. ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრება, სტრუქტურული ვარიანტების არსებობა იძლევა მათი შედარების საშუალებას და სტილისტიკური სხვაობის გამოვლენას.

ფრაზეოლოგიური სინონიმები იყოფა ერთნაირი აზრობრივი მნიშვნელობის იდეოგრაფიულ და სტილისტიკურ სინონიმებად. ერთნაირი აზრობრივი მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმები შესაძლებელია განსხვავებული ან ერთნაირი სტრუქტურისა იყოს. სტრუქტურულ სინონიმებში კომპონენტთა მონაცვლეობა ზოგჯერ იძლევა სემანტიკურ ან სტილისტიკურ სხვაობას.

ამრიგად, სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს აქვთ ერთნაირი საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობა, მაგრამ სტილისტიკური ნიუანსებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცვლილებები სემანტიკაში იწვევს ფრაზეოლოგიურ სინონიმთა სტილისტიკურ მარკირებას. ისინი ინარჩუნებენ თავისთავადობას და აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ენობრივ სიტუაციაში ერთმანეთის სინონიმებად ვეღარ გამოდგებიან.

შესაბამისად, ამგვარ ფრაზეოლოგიზმებს კონტექსტის გაუთვალისწინებლად ვერ გამოვიყენებთ ერთმანეთის სინონიმებად, მათი სინონიმურობა ვიწრო ცნება ხდება.

ლექსიკოგრაფიაში ფრაზეოლოგიზმი სტილისტიკურად ამომწურავად არაა დახასიათებული (სასაუბრო, წიგნური, პოეტური, რიტორიკული, მდაბიური, ვულგარული და ა.შ.). მართალია, განმარტებით ლექსიკონებში მინიშნებულია ზოგიერთი სტილისტიკური ნიშანი: სალანძღავი, ვულგარული, კუთხური, დამცირებითი, პოეტური, მდაბიური, სასაუბრო, რიტორიკული, ფამილიარული და ა. შ., მაგრამ ფრაზეოლოგიზმის ექსპრესი-

ული ბუნება სრულყოფილად შესწავლილი არაა. ზოგ ფრაზეოლოგიზმს არ ახლავს ემოციური ელფერი – იგი საერთოა სხვადასხვა სტილისთვის, ბევრი მათგანი კი ექსპრესიულობით საგრძნობლად განსხვავებულია. ზოგი ფრაზეოლოგიზმი არამარტო ექსპრესიულია, არამედ გამოიყენება დამატებითი ასოციაციებისა და ემოციების გამოსახატავად. ზოგჯერ იმდენად დიდია გამონათქვამის ემოციური დატვირთვა და ასოციაციური მნიშვნელობა, რომ იქმნება მეორე აზრობრივი პლანი.

ფრაზეოლოგიზმის ემოციურ-ექსპრესიული კუთხით შესწავლა იძლევა იმის დანახვის შესაძლებლობას, რამდენად ხშირად გამოიყენება იგი მეტყველებაში, რაოდენ ღრმაა მისი მნიშვნელობა და დიდია სტილისტიკური დატვირთვა.

ავიღოთ სინონიმური ფრაზეოლოგიზმები რომელიმე სემანტიკური ჯგუფიდან და გავაანალიზოთ მათი სტილისტიკური ფუნქციები.

მაამებლობის მეტად საინტერესო სემანტიკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში კარგად ჩანს სამეტყველო ქმედების მიზანიც და საშუალებაც. მაგ.: **გუნდრუკის კმევა** – გამორჩენის მიზნით ვისიმე ქება-დიდება, მლიქვნელობა, მაცდურობა, ან კიდევ მაამებელი საქმიანობაა. რომელი მათგანია კონკრეტულად, არ ჩანს.

მთელი ეს მეთაური იმ აზრზეა აკინძული, რომ დაამტკიცოს ივერიის კონსერვატორობა ... თავად აზნაურობისთვის მის მიერ **გუნდრუკის კმევა** და სხვა ამისთანები (ილია).

გუნდრუკი ანუ მამალი საკმეველი სურნელოვანი ფისია, რომელიც სხვადასხვა ხეს გამოუდის. ის სუნს გამოსცემს, როცა გაღვივებულ ნახშირზე დაყრიან და ისიც აკვამლდება (სახოკია, 1979:125).

სინონიმური ფრაზეოლოგიზმი **ენით გალოკვა** აკონკრეტებს, რომ მაამებლობა პირში ქებაა, პირმოთნეობა, პირფერობაა: „როცა ეს გამოაცხადა მამასახლისმა, თავიდან ფეხებამდის **ენით გალოკეს**“(ცხოველებმა იციან თავიანთი შვილების გალოკვა ენით და ამგვარად თან ასუფთავებენ მათ და ეალერსებიან) (სახოკია, 1979: 174).

სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთა მარკირება კარგად ჩანს სამხრულ კილოებში მოპოვებული მასალებიდან.

უაზრო, ალოგიკური საუბარი სამხრულ დიალექტებში რამდენიმე ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა, მაგრამ მათი სემანტიკა და სტილისტიკური ნიუანსები მკვეთრად განსხვავებულია. მაგ.: **ლაპარიკში კატა დაამტრია** (მაჭახ.), **ჯიხრიკი დაამტრია, ძემ გადმეცარა, ხებერი არ აქ, ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლი, კაჭა-კუწაია ლაპარიკობს, წინ-უკან ლაპარიკობს.**

ინეგოლში (კერძოდ, თუფექჩი ქონაქში) გავრცელებულია გამოთქმა **კატა დაამტრია: ქალმა ლაპარიკში ბარსამჯელ დაამტრია კატა, შაატყე, ხომ?** „კატის დამტრევა" ნიშნავს მოუზომავი ლაპარაკით ვიღაცის წყენინებას ან საიდუმლოს გაცემას (ფუტკარაძე, 1993:482).

ინეგოლშივე გავრცელებულია ფრაზეოლოგიზმი **„ჯიხრიკი დაამტრია"**,—დაუფიქრებელი სიტყვა თქვა, მოურიდებლად ილაპარაკა, უნებურად საიდუმლო გასცა. **„დაამტრია ქალმა ჯიხრიკი, ყველამფერი გააგონა მამამთილსა"**— ამ უკანასკნელ გამონათქვამში დომინირებს ის სემანტიკა, რომ რძალმა ისეთები თქვა, რომლებიც მამამთილს არ უნდა გაეგონა, უხერხულობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო უბრალოდ უნდა მორიდებოდა. **ჯიხრიკი** მოურიდებელი, ხმაურიანი საუბარი ან მოძრაობაა.

მოკლედ, **კატის გაგლეჯაში** იგულისხმება მოურიდებლობა. როცა ოჯახში რძალი შედის, თუ დედამთილმა მაშინვე გამოამჟღავნა თავისი ხასიათი, რძალს არ მოერიდა, იტყვიან **კატა თავიდან გაგლიჯაო,** ამრიგად, ორივე ფრაზეოლოგიზმისათვის საერთოა მოურიდებლობის გაცემის სემანტიკა, მაგრამ ისინი სტილისტიკურად მარკირებულია. **კატის დამტვრევა** თუ გამიზნულია, **ჯიხრიკის დამტვრევა** დაუკვირვებლობით არის გამოწვეული. მისი სინონიმია **ხოშრად დაგვახუნება** (ჩვენებ.44).

მაჭახლურში მ. შაჰინმა დაადასტურა შემდეგი ფრაზეოლოგიზმი: **გაფაჯა და დადვა, დაცემამდე ილაპარაკა** (მაჭახ.). დაცემამდე ლაპარაკი მხოლოდ გაუთავებელ საუბარს ნიშნავს.

მაჭახელში შაჰინმა ჩაიწერა უთავბოლო, უაზრო ლაპარაკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები: **წინ–უკან ლაპარიკობს და კაჭა–კუწაია ლაპარიკობს** (მაჭახ.).

სიტუაციის შეუსაბამო ლაპარაკს ჩვენებურები იტყვიან, **ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლიაო.**

მაჭახლურშივე დადასტურდა მეტად საინტერესო ფრაზეოლოგიზმი:**(რ)ძემ გადმოიარა: ძემა გადმეიარა, ნენეს ხებერი არ აქ“** (მაჭახ.).

„ეს გამოთქმა მიანიშნებს ასაკის გამო გაუთავებელ, უთავბოლო, სიტუაციის შეუსაბამო ლაპარაკზე, ანუ მოლაპარაკეს იმ ამბისა აღარაფერი გაეგება, რომელზეც გაუთავებლად საუბრობს“(ცეცხლაძე, 2009:143).

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის წამყვანი სტილისტიკური ნიუანსია სემანტიკა, რომ ასაკით გამოწვეულ ამ მოვლენას აღარაფერი ეშველება. ყველა ზემოდასახელებული ფრაზეოლოგიზმი სტილისტიკურად მარკირებულია, მაგრამ აღნიშნული გამოთქმა არსებითად განსხვავებულია.

მუჰაჯირთა მეტყველებაში გავრცელებულია გამოთქმა **იაღლი ჩენგეც**, ის ყბედს აქვს.

სინონიმურ რიგს ქმნის ჩვენებურთა მეტყველებაში გამოვლენილი ფრაზეოლოგიზმები **ხაპერი შეეშალა“** (ჩვენებ. 86), ჭკუა დაკარგა, ან **ჭკვა ეშმაკის ხელში ჩააგდო** (ჩვენებ. 265).

სინონიმებია **უეცარი, ძლიერი გაბრაზების, აფექტის** გამომხატველი შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **შარვლის აბრუნება, ჭიპზე გარჩევა და ჭიპზე გასკდომა.**

ინეგოლში იტყვიან, **შალვარი ააბრუნაო: შალვარი** ააბრუნა იმ ბაღვმა, არ იყაბულა ჩვენი ნათქუამი (ჩვენებ.). სტამბულში იტყვიან, **ჭიპზე გეირჩაო.** ამფერ უბრალო რამეზე რათ **უნდა ჭიპზე გარჩევა?** (აჭარ.), **ჭიპზე გასკდომით** საქმეს ეშველება? (იქვე).

გაბრაზება, განრისხება გადმოცემულია ფრაზეოლოგიზმებით: **ხახაში ღველფი აქ ჩაყრილი** ან **ხიმში ჭამა.**

ზემოდასახელებულ გამოთქმათაგან **შარვლის აბრუნება** ყველაზე ნაკლები სტილისტიკური ძალისაა, **ჭიპზე გასკდომა** კი ყველაზე ექსპრესიულია.

სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთაგან ზოგი დისფემისტურია, ზოგი კი – ევფემისტური.

სინონიმებია **ყურების ჩამოყრა, ცხვირის დაშვება** და **ფოლოს დაშვებაც**, ფოლო ვულგარიზმია და ცხვირ-პირს ნიშნავს. ეს ფრაზეოლოგიზმები სტილისტიკური სინონიმებია.

სტილისტიკურ ფრაზეოლოგიურ სინონიმებში ასახულია ხალხის რწმენა და წარმოდგენებიც. ამ საკითხზე საგანგებოდ მსჯელობს მკვლევარი ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997: 62-72).

ყველაზე საინტერესო სტილისტიკური სინონიმებითაა გადმოცემული სიკვდილის სემანტიკა: **წეიხურა მიწის საბანი, შავი მურგვი მუუგორდა, ლეხტზე თავი მიარტყა** (მაჭახ.), **სული გაძრა, სული მისცა, სული გაშპა** (ჩვენებ. აჭარ.); **სული დიეგლიჯა, ჩენგე მიეგრიხა, ჩენგე ჩიეკლიტა** (მაჭახ.)

მიუთითებენ, რომ ,,ამა თუ იმ მოვლენის ინტერპრეტაციისას გამოიყოფა ორი ძირითადი ტენდენცია: ხალხური და მწიგნობრული. ეს ტენდენციები შეიძლება საპირისპირო იყოს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას, თუმცა ისინი ხშირად განუყოფელია"(კიკონიშვილი, აბალაკი, 2010: 87).

სასაუბრო სტილში, როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმებს ფამილიარული ელფერი აქვს, ისინი დაცილებული არიან სინამდვილის ფილოსოფიურ ჭვრეტას. სამხრულ მეტყველებაში სიკვდილის სემანტიკა იშვიათად გადმოიცემა ევფემიზმით: **წეიხურა მიწის საბანი||შავი მურგვი მუუგორდა** (ცეცხლაძე, 2009: 67).

სიკვდილის სემანტიკის გამოხატველ ფრაზეოლოგიზმებში მარკირებულია სიკვდილის მიზეზიც: აღარც **ანაი** მყავს, აღარც **ბაბოი, ჩემი დერდი წეიღო** (შავშ. 374); თავის ქერქები, ხაპერის ქერქები, ყრია პაწაი, მოკდნენ, დეიხოცნენ (შავშ.381); ზათი **ანაი მოკდა, ანამ მიწაში თავი ჩაყო** (იქვე, 368); წყალში **მოყლარწულაო** – იტყვიან, ლოგინში რომ მოკდება– **მოკდაო** (იქვე, 373); **ყაზა ქნილა** – მოკდა, **გაცდა** – ფინთია ასე ნათქვამი.

განსაკუთრებით საინტერესოა სტილური სხვაობა სიკვდილის სემანტიკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში. სასაუ-

ბრო სტილსა თუ მხატვრულ დისკურსში გამოიყენება აღნიშნული სემანტიკის ამგვარი დისფემისტური ფრაზეოლოგიზმები:

დღესა თუ ხვალ ჩემი სულთამხუთავი მოვა და სულს **გამაფრთხობინებს** (ილია); სამსახურიდან დაითხოვეს და მალეც **სული გააცხო** (დ.კლდ.); მორჩებიან ჭამას და მაშინვე ესენიც **ფეხებს გაფშეკენ** (თ. რაზიკ.). მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს **ფეხები გააჭიმვინა** (ილია).

ეს ფრაზეოლოგიზმი უკავშირდება წესს, რომლის მიხედვითაც მიცვალებულს ასწორებენ, **ფეხებს აჭიმვინებენ**. დისფემისტური ფრაზეოლოგიზმი **ფეხის თითებში გაჭიტინებაც** აქ უნდა განვიხილოთ.

მიცვალებული სახლიდან ისე გააქვთ, რომ ფეხები წინ ჰქონდეს, რაც აისახება წყევლაში: „**ფეხები წინ გქონდეს გაშვერილი** და ისე გადიოდე სახლიდან“ (ხტვ.მოკვდი).

დისფემისტურია ასევე **შავ მიწაში რომ ჩაძრება, შავ მიწას რომ პირზე დააყრიან,** იმათი ჲერი ჯუჯუბეთი ჯეჰენნემია (ჩვენებ. 68).

დისფემისტურია სიკვდილის მოახლოების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმიც: **მიწის სული უდიან, იმფრათ დაბერებულან.**

ზოგჯერ ჩანს სათქმელისადმი ირონიული დამოკიდებულებაც: **ლეხტზე რომ თავს მიარტყამს, მაშინ მუუვა ჭკვა.** აქ ნათქვამია, რომ ადამიანი ვიდრე ლეხტს (საფლავის ძელს) არ მირტყამს თავს (არ მოკვდება), მანამ არ დაჭკვიანდება, მოკლედ, ვერასდროს ისწავლის ჭკუას. ამნაირად გადმოცემული სათქმელი ექსპრესიულია და ხატოვანი.

მეტად საინტერესოა ძალდატანების, სხვისი **გამწარების, ტანჯვის** გამომხატველი ფრაზეოლოგიური სინონიმები: დედამთილსა არ დუუჟდა ჭკვაში და **ძალი ლემსი ყურწში** გააძრუმლა, **ბუხარში შააძრუმლა ზავალი** (ჩვენებ.), **იმსოჲ საქმე მუუწყო, რომ ბუხრიდან კტარი აატანია** (ჩვენებ. 41); (აჭარ.) (ნიჟარაძე, 1975: 224); **ქალმა ამდენ საქმეში სული გააშპუნა, შააქანებია ჩენგე, ფენა ზორი მიცა ბერსა** (ჩვენებ.); წყალი წაგდებამდინ, **კიბილი ტვინები გამაყრევნიაო** (იქვე, 176).

ნემსის **ყუნწში გაძრომა** (არის თურქულშიც და ქართულშიც), ის მიზნის მისაღწევად ყველა ღონის ხმარებას ნიშნავს, **გაძვრენა** კი სხვისი უკიდურეს გაჭირვებაში ჩაგდება, ძალდატანებაა. აქ სათქმელი უფრო გაზვიადებულია, ვიდრე **ბუხარში გაძვრენაში**. თუმცა არანაკლებ ექსპრესიულია **ბუხრიდან მკვდრის ატანინება**. ყველა მათგანი განსხვავებული სიძლიერით გადმოგვცემს გაჭირვების სიძნელეს.აჭარულში გავრცელებულია გამოთქმა **ტრუბაში გაძრუმლებაც**, რომელშიც კარგად ჩანს რუსულის გავლენა. იგი ბუნებრივია, ვერ იქნება მუშაჯირთა მეტყველებაში.

სულის გაშპუმლება თუ **ჩენგეს შექანება** სიკვდილის სემანტიკას გადმოგვცემენ, ე.ი. ისე გაამწარა, რომ სიკვდილი თვალით ანახვაო. სასტიკ გამწარებაზევე მიუთითებს **კბილის ტვინების გაყრევინებაც**. აქ ტკივილია წინა პლანზე წამოწეული.

სიღარიბის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია: **ცეცხლი რომ წაუკიდო სახლს, ნატისულაც არ ადინდება** (აჭარ.); ხრუკის სული უდის, მაჭახლურში შაჰინმა დაადასტურა **კატა არ მიიცემება** (მაჭახ.), იგივეა, რაც ღარიბია, მის **ოჯახში კატაც ვერ გაძღება**. აჭარულში გვაქვს **ხმელი სულიც (ნიჟარაძე, 1971:438.)**.

შერცხვენის, სირცხვილის ჭმევის გამომხატველი გამოქმებია: **ბუკში//ხახაში ჩაფურტნება (ჩაფურთხება), წვერის პირში ჩაჩრა// ჩადება, ცოცხლათ მეზერში ჩადება.**

სიზარმაცის გამომხატველ სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს **ირონიული ელფერი აქვს: ხანუმობა მუუარა, თვალებს სირა-სირა ახილეფს.**

აქვე შეიძლება განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც **ზმნის კავშირებითი კილოსა და უარყოფითი ნაწილაკისგან** შედგება. აღნიშნული მოდელით აგებულია რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი: **ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, ბალბა არ მომიხარშო, შეჭამანდი არ მომიხარშო, კეფაზე წვენი არ დამასხა, საპრასე არ მომიჯეკნო, ხვლიკების ჯოგი არ დამიფრთხო, რქა-დეკეულები არ გამომირეკო ბაკიდან! ჯორს ნალები არ ამიყარო, სახატეში ხატები არ დამიფრთხო!**

როგორც ვხედავთ, ასეთი ფრაზები მეტად ექსპრესიულია. მათში საყურადღებოა კავშირებითის ფორმათა გამოყენება მომავალი დროის მნიშვნელობით (**დამასხა//დამაჭრა - დამასხამ// დამაჭრი**). კავშირებითი კილოს გამოყენება მომავალი დროის გამოსახატავად უფრო ძველია, ვიდრე ზმნისწინიანი აწმყო. მას შემდეგ, რაც ზმნისწინმა შეიძინა აღნიშნული ფუნქცია, ენამ კავშირებითი კილოს ზემოდასახელებულ ფორმებს საგანგებო ფუნქცია, დაცინვა, დააკისრა. ადამიანის ამაო მცდელობა, მიაყენოს სხვას ზარალი, შეურაცხყოფა, აღნიშნული ყალიბის ზედგამოჭრილი ფუნქციაა, რაც კარგად ჩანს მათი ზმნისწინიანი აწმყოს ფორმებით ჩანაცვლებისას: **კეფაზე წვენს ვერ დამასხამ.** აქ საგანგებო დანიშნულება აკისრია **არ/ ვერ** ნაწილაკების მონაცვლეობასაც.

ამავე ფუნქციით გამოიყენება წინადადებანი, რომლებიც თხრობითი კილოსია, მათში არის უარყოფითი ნაწილაკი და ზმნის წარსული დროის, ფორმები, რომლებიც მომავალი დროის მნიშვნელობით გამოიყენება: **ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი, ვერ მოგართვი მარგალიტი...**

მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია მათი გამოვლენა სამხრულ კილოებში, ასევე მუჰაჯირთა მეტყველებაში.

ამრიგად, ქართული მდიდარია ფრაზეოლოგიური სინონიმებით. საინტერესო სურათს ქმნის სამხრული მეტყველება: აქ აისახება მიმართება ზოგადად ქართულ, საკუთრივ აჭარულ და თურქულ ფრაზეოლოგიასთან.

ქართულის ფართო შესაძლებლობას, შეცვალოს ფრაზეოლოგიზმის საყრდენი სიტყვაც კი, აქ ემატება თურქულის გავლენა, თუმცა უცხოენოვან ლექსიკურ ერთეულებს ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებული სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება: მუჰაჯირები მათ ხშირად მეტი დამაჯერებლობისათვის იყენებენ. ამბობენ, თურქებს ენა მართალი აქვთო.

შეგროვილი მასალა სასაუბრო სტილის ნიმუშებია, ისინი მდაბიურია, მაგრამ სათქმელს მეტად ემოციურად გადმოგვცემენ. მათ მოეპოვება უამრავი ფრაზეოლოგიური სინონიმი, მაგრამ ეს იშვიათი მრავალფეროვნება არ ტოვებს მოუწესრი-

გებლობის შთაბეჭდილებას. ყველა მათგანს განსხვავებული ემოციური ელფერი აქვს და ისინი სტილისტიკურად მკვეთრად მარკირებულია. ზოგი ევფემისტურად გადმოგვცემს სათქმელს, ზოგიც – დისფემისტურად. ზოგჯერ კიდევ თვალში საცემია ჰიპერბოლიზაცია და ირონიზაცია.

VII.2. სინონიმური პარალელიზმი, როგორც სტილისტიკური ხერხი

სამხრულ კილოებში გამოკვეთილია ერთი სტილისტიკური ხერხი, **სინონიმური პარალელიზმი.** სინონიმების პარალელურად ხმარება გაგებულია, როგორც აზრის გამაძლიერებელი საშუალება, მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის მისაღწევი ერთ-ერთი მეთოდი.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებურთა მეტყველებაში სინონიმურ პარალელიზმს მხოლოდ ლექსიკური სინონიმები კი არ ქმნის, არამედ ფრაზეოლოგიზმები, სინონიმური ფრაზეოლოგიზმები და მათი შესატყვისები. მოკლედ, აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ გამოიყენება სიტყვა (ზოგჯერ წინადადებაც) და მისი პერიფრაზული სინონიმი. კომპონენტები ერთმანეთს კავშირით ან უკავშიროდ უერთდებიან. ბილინგვიზმიდან გამომდინარე, განმმარტებლის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ქართულ სიტყვას ან ფრაზეოლოგიზმს, რომელიც კალკური ან ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმის გვერდით გამოიყენება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სინონიმების გვერდიგვერდ მოხმობა ექსპრესიას აძლიერებს. გამოვყოფთ რამდენიმე ქვეჯგუფს:

ა) ქართული ფრაზეოლოგიზმი // მისი ლექსიკური შესატყვისი და პირიქით: დავბერდი, **სულმა დიმიპაწავდა** (ჩვენებ.35); წვანელი კაცი მის **სიტყვაზე არ დადგება, ღალატია** (ჩვენებ.51); ვიდერდე, **გევლეწე დერდისგან (ჩვენებ.); მერცხალი გაშპა,** დავბერდი (ჩვენებ. 30); **გამახედნია ღლიაში,** შეიფერა (ჩვენებ.78); არ გუუგონია, **ყური რამისთვინ არ მუუცემია** (ჩვენებ.); დამწვარი კაცი **დემეწვა, გული იმიტირდა** (ჩვენებ. 155).

მოკდა, **მიწაში თავი ჩაყო** (ჩვენებ.368); დაბერდა, **ხაპერში ჭკვას ვერ წუწკავს** (შავშ. 380).

ბ)კალკური//ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმი//ლექსიკური შესატყვისი და პირიქით:

ხათრის აშენება/ მათთვის რაღაცის გაკეთება, მოკდება, **ჯან მიცემს; ყიამეთის მოსრა/ დუნიის დაქცევა; ფუხრობა, ზაჰმეთი გამოვლილი აქ** (ჩვენებ.35); **ღეზაბში ვიყავით, ფუხრობა იყო** (ჩვენებ. 32).

თვალეფს ქი დოუხუჭავ, ემეს იქ, **იშმარი მისცაო** (შავშ. 588); ერთქვანეფთან **ხებერი გვაქ,** მიალთ, მუალთ (ქობ.194); ძალიან ყურგახრეტილი კაცი იყო, **ყუელამფრიდან ხებერი ჰქონდა** (ჩვენებ.140); თურისთობას ძალიან უყურებენ, **უჯანგო ფაფრიკაა, კაჲ** მოგება აქ (ჩვენებ. 360); არ მაგონდება, დავბერდი, **ყაფა აღარ საქმობს** (იქვე, 257); შარაფშია, **ხაპერი მოშლია** (იქვე, 86).

გ) კალკური ან ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმი და მისი სინონიმური ქართული ფრაზეოლოგიზმი:

ინსანსა მისი **აჲბი პირზე არ'ნა შამოკრა, სირცხვილიდან'ნა გამეიყვანო** (ჩვენებ. 29) (**აჲბი** არაბ. სირცხვილი, ვინმეს ნაკლის გამოაშკარავება); **გული მეკოჭვის, სიხინთი მერევა** (კლარჯ. 261); მისი **ნათქუამი ძირს არ დავარდება, სიტყუა არ წიექცევა,** იმფერი **კაჲ** მოლაპარიკე იყო, **სიტყუაში არ დეიმტრეოდა,** ვერც **სიტყვით დააბემდი** (ჩვენებ. 50). **ძემ გადმეჲარა - ნენეს ხებერი არ აქ** (ცეცხლაძე, 2011:48).

დ) კალკური ფრაზეოლოგიზმები //თურქული სიტყვა:

სისხლიდან არ გავრეცხილვართ, ისვენ **ხისიმ-ახრაბა** ვართ ერთმანებისა, **კაჲ** ინსნები იყვენ, **სიხინთი არ გიმიწევია** (ქობ.185).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ გამოყენებული თურქული სიტყვები აჭარულ დიალექტში საყოველთაო მოხმარებისაა.

მეტად საინტერესოა შემდეგი მაგალითი: ზოგი დღესაც მახსოვს, ზოგი ჩიმიცვინდა და **მაჩუქვე ყუსური** (ჩვენებ.62).

ყუსურის ჩუქება საინტერესო ფრაზეოლოგიზმია ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით საინტერესოა კალკის კალკითვე ახსნა და ქვეტექსტი, რომ მისი ე. წ. ნაკლი დაიფაროს, მასპინძელთანვე დარჩეს.

ე) სინონიმური ფრაზეოლოგიზმები: მოკოჭვილი კაცია, ხელ არ მეიჭამს (ჩვენებ.109); გზა შენნა გუუჭარბო, გზა შენნა მისცე (ჩვენებ.80); ქირდათ ეიღებს... და მის (თავის) თოკზე დეიწყებს სამას (ჩვენებ. 338); გული დემეწვა, გული იმიტირდა (ჩვენებ.165).

ვ) ფრაზეოლოგიზმი//ფრაზეოლოგიზმი// მათი განმარტება: იმფერი კაი მოლაპარიკე იყო, სიტყუაში არ დეიმტრეოდა, სიტყუაში ვერ დააბემდი, ხებერი არ ქონია, რაცხა გუუგონია, ყურიდან ყურში გამშპარაო (ჩვენებ.137), ჭკვას თვალი არ ეცემაო, ვინმე ვინმეს ჭკვას არ ასწევს, შვილები მარტო ხესავენ არ'ნა გაზარდო, შვილებს ეს დუნიაც დაასტავლეთო.

როგორაა ახსნილი სპეციალურ ლიტერატურაში ეს მოვლენა? რატომ, რა მიზნით გამოიყენებოდა ადრეულ ეტაპზე სინონიმური პარალელიზმი და რა ფუნქცია ეკისრება მას დღეს? რა როლს ასრულებს ის მხატვრულ ლიტერატურასა და სასაუბრო სტილში? საკითხი, ბუნებრივია, არაერთგვაროვანია და სინონიმთა გვერდიგვერდ გამოყენება განსხვავებულ სტილში, სხვადასხვა ეტაპზე ნაირგვარი დანიშნულებისაა.

სინონიმური პარალელიზმის ძირითადი ფუნქცია, ემოციის გაძლიერება, აშკარაა ჩვენ მიერ შეგროვებულ მასალაშიც. მაგ.: ვდერდობ, გული მეწვის, ძალიან ვიდერდე, ემჯამი გევლეწე დერდისგან... თუმცა ზოგჯერ რაციონალური საწყისი დომინირებს.

შ. ძიძიგური წერს:„როცა უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას ადგილობრივ ხვდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა, ეკვივალენტი, ერთხანს ისინი ერთად იხმარებიან, პარალელურად გამოხატავენ ერთ ცნებას. ენაში ამ ბუნებრივად გამომუშავებული ფორმულის მიზანია, გაავრცელოს ეს უცხოური ტერმინი, ერთგვარად განმმარტებლის ფუნქცია იკისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, შემოიყვანოს იგი ახალ სინამდვილეში და როდესაც უცხოური სიტყვა „მოქალაქეობას" მოიპოვებს მიმღებ ენაში, შემდეგ ჩამოსცილდება მას ეს გზირი სიტყვა, უცხოური სიტყვა უკვე შეთვისებულია" (ძიძიგური, 1960: 71- 72).

თ. ბოლქვაძე წერს: „თავიდან უცხო სიტყვის შემცველ სინონიმურ წყვილებს ყველა ენაში ძირითადად მეტალინგვისტური ფუნქცია აქვთ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი იცვლიან ფუნქციებს, რასაც მათი გამოყენების არეც განსაზღვრავს. „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ არაბულ-სპარსულ სიტყვათა შემცველი სინონიმური წყვილების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ პოემის შექმნის დროისათვის უკვე დაბინდულია მათი მეტალინგვისტური ფუნქცია და ისინი ქართული ენის რეფერენციულ ძალას შეერთებია“ (ბოლქვაძე, 2007).

ჩვენ ამავე მოსაზრებამდე მიგვიყვანა ჩვენებურთა მეტყველებაში კალკურ და ნახევრადკალკურ ფრაზეოლოგიზმთა კვლევამ. ისინი ჩვენებურთა მეტყველებაში ქართული ფრაზეოლოგიზმით, ლექსემით ან ფრაზით არის ახსნილი. სინონიმური პარალელიზმის საფუძველზე აგებული წინადადება მეტად ექსპრესიულია. ეს ერთგვარი სტილისტიკური ხერხია და მეტყველებას მეტ დამაჯერებლობას სძენს. თავდაპირველად კი ამას უცხოური ფრაზების განმარტების ფუნქცია უნდა ჰქონოდა. საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითები: **მისი ნათქუამი ძირს არ დავარდება, სიტყვა არ წიექცევა. ძემ გადმეიარა – ნენეს ხებერი არ აქ/ ინსანს მისი აԹბი ბუკზე არ'ნა შამოკრა, სირცხვილიდან'ნა გამეიყვანო, უჯანგო ფაფრიკაა, კაԹ მოგება აქ, სისხლიდან არ გავრეცხილვართ, ისვენ ხისიმ-ახრაბა ვართ ერთმანეთიზა“** (ცეცხლაძე, 2011: 48).

სამხრულ კილოთა შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აჭარულ დიალექტსა და ჩვენებურთა ან მუჰაჯირთა მეტყველებაში კალკური ფრაზეოლოგიზმების პრაგმატიკა განსხვავებულია. აჭარულ დიალექტში კალკური გამოთქმები ახსნილი არაა, მუჰაჯირთა მეტყველებაში კი გამოკვეთილია სტილისტიკური ხერხის, სინონიმური პარალელიზმის გამოყენება, რასაც აღმოსავლურ ენათა გავლენა და ორენოვნება უნდა განაპირობებდეს. საკითხის შესწავლა აქტუალურია ბილინგვიზმის და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილშიც, რაც შემდგომი, უფრო ღრმა კვლევის საგანია.

ზემომოყვანილ მაგალითებში გამოიყოფა შემთხვევები, სადაც სინონიმიის საფუძველი რაციონალურია, ქართულ სიტყვას, წინადადებას ან ფრაზეოლოგიზმს განმმარტებლის ფუნქცია ეკისრება, **სიხინთი** თურქული სიტყვაა (sikhint) და მოწყენილობას, სევდას, სულის წუხილს ნიშნავს, **ეზიეთი** არაბული სიტყვაა (eziet) და გაჭირვების, მწუხარების მოთმენას აღნიშნავს, **ხებერი** (არაბ. haber) **ამბავი, ცნობა, შეტყობინებაა, მერაყი** (merak) – დარდი და მოუსვენრობა, **ფუხრობა** (არაბ. fukara) გაჭირვება, სიღარიბეა, **ზაჰმეთი** (zahmet) – საქმე, ზრუნვა, სიძნელე, გასაჭირია, **ყიამეთი** (kiyamet) – სამყაროს დასასრული, უბედურება, გაჭირვება.

შევნიშნავთ იმასაც, რომ თვით ასეთ შემთხვევებშიც პარალელიზმი დღესდღეობით რაციონალურ ფუნქციას აღარ უნდა ასრულებდეს, თუმცა ეს ხერხი მეტად პროდუქტიულია.

მსმენელმა რომც არ იცოდეს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა, ეს ვერ შეუშლის ხელს გაგებინებას: მთქმელი თავადვე ამზადებს კომუნიკაციის პირობას, მას ხაზგასმით განუმარტავს სათქმელს. ის განუმარტავს არ ტოვებს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვას და მის გვერდიგვერდ გვაძლევს შესატყვის ფრაზეოლოგიზმს. ამ უკანასკნელს აქვს კონკრეტულ ნიუანსებზე მითითების ფუნქციაც. ჭარბი ექსპრესიულობით გამოირჩევა ფრაზები, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება **სინონიმური ფრაზეოლოგიზმები.** საგანგებო ყურადღებას იქცევს ფრაზები, სადაც **გვაქვს სინონიმური ფრაზეოლოგიზმებიც და მათი ვრცელი განმარტებანიც.**

ფრაზების დანაწევრებით, დაზუსტებით, ნათქვამის დეტალური ახსნა- განმარტებით ჩვენებურთა მეტყველება ამოუწურავ მასალას იძლევა ტექსტის ლინგვისტიკის, სტილისტიკის და ლინგვოპრაგმატიკის თვალსაზრისით. რით აიხსნება ასეთი ჭარბი ექსპრესიულობა? ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფაქტორი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული გეოგრაფიული გარემო, გრძნობებისა და ემოციების გააქტიურება, ნოსტალგიის გამოხატულება.

ცალკე თემაა თურქული ენის გავლენა, აღნიშნული მოვლენის ახსნისას პირველ რიგში, გასათვალისწინებელია უცხო კულტურულ გარემოში ყოფნა, ენათა კონტაქტები. ნიკო მარი „ვეფხისტყაოსანში“ არაბული და სპარსული სიტყვების გამოყენების შესახებ წერს: „ისინი ისეთი ფორმითაა ნახმარი, რომ ვერ იქნება შეთვისებული რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოებიდან. რუსთველი მათ უშუალოდ ცოცხალი ურთიერთობიდან იღებს“ (მარი, 1917: 428).

მოკლედ, სამხრულ კილოებში, მეტადრე გარე დიალექტებში დადასტურებული სინონიმური პარალელიზმის განსაკუთრებული სახეობა მრავალმხრივი ასპექტითაა შესასწავლი. ჩვენებურთა მეტყველება ფრაზეოლოგიზმთა მრავლფეროვნებით, ექსპრესიულობით, სტილისტიკურ საშუალებათა მრავალფეროვნებით და მათი გამოყენების ხერხებით არსებითად სცილდება სასაუბრო სტილის ჩარჩოებს.

სპეციალურ ლიტერატურაში სინონიმური პარალელიზმი გაგებულია, როგორც აზრის გამაძლიერებელი საშუალება პოეტურ ენაში... თავისებური რიტორიკული ფიგურა... რომელიც ფეხმოდგმულია ჩვეულებრივს სიტყვათხმარებაშიც“ (ძიძიგური, 1960:67). რა როლს ასრულებს ის სასაუბრო სტილში? ჩვენებურთა მეტყველებაში სინონიმური პარალელიზმის უპირველესი ფუნქცია ემფაზაა, მაგრამ ამის საფუძველი ღრმად რაციონალურია, ქართულ სიტყვას, წინადადებას ან ფრაზეოლოგიზმს განმმარტებლის ფუნქცია ეკისრება. „მსმენელმა რომც არ იცოდეს კალკური ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა, ეს ვერ შეუშლის ხელს გაგებინებას: მთქმელი კონკრეტულ ნიუანსებზე მითითებით, ფრაზების დაზუსტებითა და ნათქვამის დეტალური ახსნა-განმარტებით თავადვე ამზადებს კომუნიკაციის პირობას“ (ცეცხლაძე 2013:178).

VII. 3. კალკურ ფრაზეოლოგიზმთა პრაგმატიკული ფუნქციები სამხრულ კილოებში

კალკი ენის ცვლილება-განვითარების მუდმივი თანამგზავრია. მიუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლითურო-

ბისა, მასში გვხვდება სხვადასხვა ენის კალკი. ბერძნულის ზოგი კალკი ენამ მიიღო და შეითვისა, ქართულში უამრავი ასეთი გამოთქმა შემოვიდა რუსულიდან, სამხრულ კილოებში უამრავი აღმოსავლური კალკია გავრცელებული, ნახევრადკალკებში გვხვდება **არაბული, სპარსული და თურქული** ლექსემები. ეს საინტერესო ფაქტია როგორც ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით. ფრაზების სხვა ენის ყაიდაზე აგება, კალკირება საიანტერესოა ფსიქოლინგვისტიკის კუთხითაც.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ფრაზეოლოგიზმთა კალკირება: სამხრულმა კილოებმა ოსმალთა ბატონობისა თუ თურქულთან უშუალო კონტაქტის შედეგად აღმოსავლური ფრაზეოლოგიზმებიდან რა გადმოიღო უცვლელად და როგორ რეალიზდება ენაში ისინი. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია კალკები აჭარულში: **ყუსურზე არ დიმიხედოთ, სულის სიმწარით, სიტყვის დაკავება// წაქცევა, თვალიდან ჩამოგდება, ქესაში ჩაგდება** (სპ. დაიმედება), **ეზიეთის მიცემა** (შ. ნიჟარაძე), **ბოლთის ცემა** (კ. დონდუა), **სჯულიდან გადაბრუნება, კლავის გაწვდა, ენაზე მოსვლა** (ნ. გურგენიძე), **ხათრის გატეხა, წყალივით იცის** (ს. ჯიქია), ლაზურში- **ჯოხის ჭამა, ამბის მიცემა პირდაპირ მოსვლა** და ა.შ. (ს. ჯიქია). ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ ,,ფრაზეოლოგიური კალკირება უფრო ხშირად შეიმჩნევა მოტივირებულ ფრაზეოლოგიზმებში, სადაც მეტაფორა ნათელია, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა კომპონენტთა შეკავშირებას შიდაფრაზეოლოგიურ ვალენტობას ეყრდნობა"(მამულია,1987:6).

შეინიშნება ისიც, რომ კალკირებულია მეტწილად ზმნური ფრაზეოლოგიზმები. პრაგმატიკული ანალიზისას საინტერესოა აჭარულის მასალებისა და მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშების შედარებაც: როგორ, რა კონტექსტში გამოიყენება აჭარულ დიალექტში კალკი და როგორ იყენებს მას ორენოვანი მუჰაჯირი.

ყუსურზე დახედვა ფიგურული გამოთქმაა და ნიშნავს ნაკლის დანახვას, ამის გამო დაწუნებას. **ყუსურზე არ დიმიხედოთ** – ნუ დამძრახავთ (ყუსური არაბ. kuşur -ნაკლი, დეფექტი, და-

ნაშაულია, მთლიანი გამოთქმა (kusura batmamak) თურქული ენის კალკია (გურგენიძე, 1973:77). მაგ: ახლა ვიჩქარევი და **ყუსურზე არ'ნა დიმიხედო,** დაქტიო'ნა (ჩვენებ.); ცხენი გაცდა, ვერ შეგატყობიე და **ყუსურზე არ'ნა დიმიხედოო** (იქვე).

მ. ბარამიძემ შავშურში დაადასტურა ამ გამოთქმის სტრუქტურული ვარიანტი **ყუსურზე არ დიმირჩე**: ჭამოთ'ნა, ქათამიც არი, **ყუსურზე არ დიმირჩეთ** (შავშ. 400). აქვე გვხვდება თურქული გამოთქმაც: წყალ'ნა ნავხედო, მარტოდ გაგდებ, **ყუსურ ბახმა** (იქვე, 384) (ბარამიძე, 2011:46), რომელიც აჭარულში არაა.

კალკია ფართოდ გავრცელებული გამოთქმა **სულის სიმწარით** (სულით და გულით, მთელი არსებით (მამულია, 2006: 69). მაგ: **სული სიმწარით** მინდოდა ხისიმების ნახვა (ჩვენებ.129); იმასაც **სული სიმწარით უნდა** (ჩვენებ.115).

სამხრულ კილოებში გავრცელებულია კალკი **ბეზარზე მოსვლა- მოთმინებიდან გამოსვლა** (ახ.სპარს. Bizar –ვინც რამეს გაურბის, გაწამებული, თავმობეზრებული - ანდრონიკაშვილი, 1996:56): ამ დიდ ზამთარ **ბეზარ მუელ** (ჩვენებ.37), ,,**ბეზარ მოვდა** მილლეთი (იქვე),ეს გამოთქმა ,,ყარამანიანშიც" გვხვდება.

კალკია **ფეშინში ჩადგომა- ჯიბრში ჩადგომა** (peşina düşmek– ფუსქულუოღლუ, 2006: 663): მაგან თუ **ფეშინში ჩუუდგა,** მეისაქმებს კაცსა (ჩვენებ.).

ხათრის აშენება ყაიდის, ანგარიშის გაწევა: ამ მობძანებულ დიდ მსტავლობელ ხანუმსა **ხათრინა უუშენო** (ჩვენებ.57).

ეს გამოთქმა გვხვდება მუჰაჯირთა მეტყველებაში, აჭარულ დიალექტში კი– არა, სამაგიეროდ, გავრცელებულია **ხათრის გატეხა** (Hatırını kırmak - Püsküllüoğlu, 2006: 433).

ცოდვები გავა მეიდანში (ცოდვების გამოაშკარავება– თურქ. Meydana geldi- მამულია,2006:224). ის მხოლოდ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დასტურდება. მაგ.: შენი ცოდვები **გავა მეიდანში,** ღმერთო ბატონო, შენ შიგვიბრალე (ჩვენებ. 275.)

იმფერი რამიები უთხრა, რომ **ექბერი აძახებია,** შააშინა ზოვლი (ინ.). ekber -მაღალი, უმაღლესია. ეს გამოთქმა ნიშნავს დამორჩილებას, შეშინებას. სამხრულ კილოებში გვხვდება ასევე გამოთქმა **ბენუმ იძახის** – ე. ი. რაც ვარ, მე ვარო.

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დასტურდება კალკური გამოთქმა **სისხლიდან გარეცხვა** (ნათესაობის დაკარგვა). აქვე გავრცელებულია **(რ)კინის ფერდეც** (საერთო ენის უქონლობა): **კინის ფერდე ქონდენ ჩამოკიდული** ხისიმ-ახრაბას დოსტების შუაზე (ჩვენებ. 264); **სირცხვილი აწევლია,** ახალგაზდები შავ ჩადრ აღარ იხურვენ (ჩვენებ.22).

აქვე დასტურდება გამოთქმა **ყაზიაღში გარეცხილი** (**ყაზიაღი**–ნავთი) (ჩვენებ.137) ე.ი. ადამიანობისგან დაცლილი. ეს გამოთქმები არ გვხვდება აჭარულში.

თურქულის კალკია **წაღმა-უკუღმა ლაპარიკიც** –Ileri geri konuşur (მამულია, 2006:169). ანალოგიურია **ხებერი არ აქ,** რომელიც ფართოდაა გავრცელებული სამხრულ კილოებში. **ხებერი** (არაბ. haber) ამბავი, ცნობა, შეტყობინებაა. **ხებერი არ აქ**– არაფერი იცის, საქმისა არაფერი გაეგება, არ იცნობს ვითარებას: **ხებერი არ მაქ,** აგზე ჩამუელ, აგზე მითხრეს, ავათ გახდაო (შავშ.385); მიტირია და **ხებერი არ მაქ** (იქვე, 387).

ს. ჯიქია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ფრაზეოლოგიზმზე **ბალანჩი დუნია** (yalanci dünya) ლაზურში: ,,ქართველურ ენებში ამ ცნების გამოსახატავად არ იხმარება სიტყვა **მატყუარა,** გვაქვს **წუთისოფელი, წარმავალი ქვეყანა** და სხვა. ამრიგად, **მამცუდალე დუნია** თურქული **იალანჩი დუნიას** კალკი უნდა იყოს (ჯიქია,1964:260). მუჰაჯირთა მეტყველებაში დასტურდება **ტყვილი დუნიაც:** ჩუენც მოსაფირათ მოსული ვართ **ტყვილ დუნიაზე** (ჩვენებ.223).

კალკურადაა მიჩნეული **ჰახს არ შეჭამს** (უსამართლობას არ ჩაიდენს), **ჰახს არ შეაჭმევს;** ასევე **ჯოხს სწამს**– თუ ვერ მუასტრა, **ჯოხს ჭამს** (ქობ.193); **ზოფას ჭამს.**

კალკურია გაბრაზების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმი **ხიშმი ჭამა** (**ხიშმი** სპარს. რისხვა, წყრომა- Hışmına uğradı (Püsküllüoğlu, 2006: 449): ქალმა **ხიშმი ჭამა, იბრეთი დეემართა** (ჩვენებ.674).

მაჭახლელთა მეტყველებაში მ. შაჰინმა დაადასტურა **პირის მოძებნა//შემოწმება**- agzını aradı) (მამულია, 2006:25).

დასტურდება ასევე კალკები: **ყაფა// ხაპერი საქმობს** (ჩვენებ.120), იგივეა, რაც **თავი უმუშავებს** - kafası işler) (მამულია, 2006:176): მუქერემას ბაღვებ **ხაპერი უსაქმებენ** (ჩვენებ. 35); **ვახტი არ აქ-** უქეიფოდაა, იმა ცოტა **ვახტი არ ქონდა** დღესა (ჩვენებ.454).

საანალიზო გამოთქმების ერთ ნაწილში დასტურდება ზმნური ნაწილი **მიცემა: ეზიეთის// ზორის მიცემა** (სპ. **Zor**-გასაჭირი, **ეზიეთი/ეზიათი** არაბ. Eziyet- გაჭირვება, აუტანელი მდგომარეობა, გაჭირვების მოთმენა): რუსები თუ შეგეყარნენ, **ეზიათ მოქცემენ** (ჩვენებ.212); **ეზიეთ** ვერ **მივცემ** (იმერხ. 268); შააქანებია ჩენგე, ფენა **ზორი მიცა** ბერსა (იქვე), დედეს **ხებერი მისცეს,** ხალხი მოდიანო (ჩვენებ. 250). ხშირად გამოიყენება **იუზის მიცემა:** იმ წყენის მერე დედაჲ მაგა **ჲუზ აღარ აძლევს** (შუახ.); **ჲუზი მივცეთ,** დღესვე მეიყვანს ქალსა (ჩვენებ. 40).

აქვე უნდა დავასახელოთ **ფითის მიცემაც**: იგი თურქული გამოთქმის Fitil verir (მამულია, 2006:124) კალკად მიგვაჩნია, რადგან ქართულში ამავე მნიშვნელობით გვაქვს შეგულიანება, წაქეზება, **პატრუქი** (Fitil) ქართულში ფრაზეოლოგიზმების კომპონენტად არ დასტურდება.

სინონიმური პარალელიზმის საფუძველზე აგებული წინადადება მეტად ექსპრესიულია. ეს მეტ დამაჯერებლობას სძენს ნათქვამს. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ამ ხერხს მუშაჯირი მთქმელი მაშინ მიმართავს, როცა ქართველს ესაუბრება. არც ამის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ წინასწარი ვარაუდით, ფრაზის ამნაირად აგება აღმოსავლურ ენათა თავისებურებაა. ბილინგვი მთქმელი მას იღებს დომინანტი ენისგან, თუმცა მის ცნობიერებაში ამოტივტივდება ქართული ფრაზები, ენობრივი კოდები გააქტიურდება და პარალელურად ამოქმედდება. სწორედ ამით უნდა აიხსნას კალკურ ფრაზეოლოგიზმთა პრაგმატიკული თავისებურებანი აჭარულ დიალექტთან შედარებით.

ამრიგად, კალკური ფრაზეოლოგიზმები სამხრულ კილოებში მრავალფეროვან სურათს იძლევა. კალკირება უფრო ხშირად შეიმჩნევა მოტივირებულ, ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში. ბუნებრივია, მუჰაჯირთა მეტყველებაში ბევრად მეტი კალკია გავრ-

ცელებული, ვიდრე აჭარულ დიალექტში. გამოვლინდა მეტად იშვიათი კალკები: **ყუსურზე დარჩენა, ყუსურის ჩუქვება, ხათრის აშენება და ა. შ.**

შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აჭარულ დიალექტსა და მუჰაჯირთა მეტყველებაში კალკური ფრაზეოლოგიზმების პრაგმატიკა განსხვავებულია. აჭარულ დიალექტში კალკური გამოთქმები ახსნილი არაა, ჩვენებურთა მეტყველებაში კი გამოკვეთილია სტილისტიკური ხერხი, სინონიმური პარალელიზმი, რასაც აღმოსავლურ ენათა გავლენა და ორენოვნება უნდა განაპირობებდეს.

საკითხის შესწავლა აქტუალურია ბილინგვიზმის, სოციოლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილშიც, რაც შემდგომი, ცალკე კვლევის საგანია.

VII. 4. მყარი შედარებანი

ხატოვან გამოთქმებში გამოიყოფა კომპარატიული ენობრივი შედარებანი, რომელთა შეცნობა გრამატიკულად ადვილია, რადგან ფიქსირებული ენობრივი სტრუქტურა აქვთ. კომპონენტების სემანტიკური შერწყმა, ტროპული ბუნება, სტაბილურობა და მზა ფორმით გამოყენება იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ დაისვას საკითხი მყარი შედარების ენობრივი სტატუსის შესახებ. ორმაგი ბუნების გამო ის უპირისპირდება ტროპის სხვა სახეობებსაც და სპონტანურ შედარებებსაც.

„შედარებისთვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით,"– მითითებულია „ლიტერატურის თეორიის საფუძვლებში." მეტაფორული შედარების მთავარი ნიშანია ახალი შინაარსის პროდუცირება: „მეტაფორული შედარების შემთხვევაში გრძნობადი შინაარსის სიტყვები სულ სხვა, ახალი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება. ჩვენ ახალ შინაარსს ვიღებთ, რომელიც არ დაიყვანება წინასწარ აღნუსხულ ნიშნებზე" (რამიშვილი, 1963: 214).

შედარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემეცნების პროცესში. მიაჩნიათ, რომ თვით შემეცნების პროცესი

შედარებაა. როგორც შემეცნების ფორმა, შედარება განუმეორებელია. შედარებისას, როდესაც ვავლენთ მსგავსებას უცნობსა და ნაცნობს შორის, ვაკავშირებთ აბსტრაქტულსა და კონკრეტულს, ჩვენ შევიმეცნებთ გარესამყაროს და გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი. ლიტერატურაში ავტორის მიერ შემეცნებული სამყარო მხატვრულადაა დახასიათებული, ამიტომაა შედარება შემოქმედის მხატვრული ინდივიდუალურობის დასადგენი ერთ-ერთი საშუალება. მიგნებული და მოულოდნელი შედარება მეტად ექსპრესიულია.

საკითხის კვლევა საინტერესოა შიდაფორმის (ინვარიანტული კონცეპტური მოდელის) და ლოგიკურ შედარებათა სემანტიკური და სტრუქტურული ტიპების გამოსაყოფად. ამრიგად, მყარი შედარების გარეგანი ფორმა და შინაგანი სტრუქტურა პირველ რიგში იქცევს ჩვენს ყურადღებას.

„ნებისმიერი პოეტური შედარება ემყარება მეტ-ნაკლებად რთულ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემომცველი სამყაროს ნაირგვარ, ზოგჯერ არსებითად ურთიერთგანსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს. ესა თუ ის ასოციაცია წარმოდგენათა შორის ისეთ კავშირს გულისხმობს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მსგავსების ან კონტრასტის მიხედვით,“– წერს ელგუჯა მაკარაძე (მაკარაძე, 1999: 61) ქართული საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველების ანალიზისას.

I. მყარ შედარებათა ერთ ნაწილში ჩანს ისტორიული მოვლენები, კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები, ტრადიციები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები, რწმენა და ა.შ. ისინი ლოგოეპისტემებია, ლინგვოკულტურემებია, გადმოგვცემენ კონკრეტული ხალხის მსოფლგაგებას.

„ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას,“– წერს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997: 89).

მკვლევარმა დ. გოცირიძემ მყარი შედარების აღსანიშნავად შემოიტანა **ტექსტობრივი აბრევიატურის ცნება**, ე.ი. ის არის

მინიმალური ტექსტი, რომელსაც კულტუროლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ამგვარ ფრაზეოლოგიზმებში ინფორმაციულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრიადის მესამე წევრს, შედარების საყრდენს, **რემას**, რომელიც ყველაზე ხშირად ნაციონალურ-კულტურული კომპონენტია.

ამგვარ ერთეულებს უწოდებენ კვაზისტერეოტიპებს, ანუ გეშტალტებს, რომლებიც აერთიანებენ ამა თუ იმ ენის საშუალებით ობიექტური რეალობის საგნებისადმი მიწერილ ნიშან-თვისებებს. ასეთი გეშტალტები წარმოადგენს მეტაფორებს, რომლებითაც ჩვენ ვსულდგმულობთ" (Лакофф., Джонсон,1990:3).

ატოცის გლახასაებრ სიარული თავგანწირვით, დაჟინებით მთხოვნელია (ს. მგალობ). სოფელი ატოცი შიდა ქართლში, ქარელის რაიონში მდებარეობს. იქაურები ღარიბები იყვნენ და ამ სოფლის ეკლესიის დღეობაში იცოდნენ თავის მოყრა ეკლესიის კარებთან სამათხოვროდ და მლოცველთა თავის მოსაბეზრებლად (სახოკია, 1979: 31).

აჭარაში თუ იტყვიან: **მახოს ხიდივით აქვს ცხვირი გაშვერილიო,**– ამით მიანიშნებენ გაბრაზებაზე, დიდ წყენაზე.

ბ) ზოგ შედარებაში საუბარია ტრადიციებზე, რომლებიც გადავარდა, მაგრამ ხატოვანი გამოთქმა დარჩა.

გირაო ქვაბივით დაათრევენ – რაიმე საგანს ყველგან და ყოველთვის ატარებენ. ,,სოფლად ქვაბები, ჩვეულებრივ, სპილენძისა იყო და გაჭირვების დროს ხელის მოსანაცვლებლად ასეთ ქვაბებს უფრო ადვილად აგირავებდნენ" (სახოკია, 1979: 98)

გირაო წალდივით მიგდებული უპატრონოდ მიტოვებულია: ,,ამ ვაჟბატონებმა დატოვეს სოხუმი და სოხუმის ქართველები **გირაო წალდივით მიგდებულად.**" ფულს რომ ისესხებდა მეზობელი, სესხის უკან დაბრუნების გარანტიად მასესხებელს ოჯახში ყველაზე საჭირო ნივთს, წალდს უტოვებდა. წალდს ვინც იგირავებდა, არც ხმარობდა და ისიც იდო უყურადღებოდ, სანამ პატრონს მისი გამოსყიდვა არ მოაგონდებოდა (იქვე).

ფლავივით არიგებს – უხვად, ხელგაშლილად უბოძებს. ფლავი საყვარელი საჭმელია საქართველოში, ქელეხსა თუ

ქორწილში ის აუცილებლად უნდა ჰქონდეთ და ბლომადაც არავის რჩება, რომ ფლავი საძღომად არ დაურიგონ (შდრ: აჭარაში გავრცელებული გამოთქმები: **ბაირამის ჰალვასავით არიგებს//„ყურბნი ხორცივით არიგებს/ანაწილებს“**).

თ. სახოკიასთან დასახელებულია ამ გამოთქმის მეორე მნიშვნელობაც: „ეგ ქალი, ძმაო, ყველაფერს ფლავივით არიგებსო.“ ქალი თუ ფლავივით არიგებს, ის აღვირახსნილია (სახოკია, 1979: 6).

წრიანტელივით ერთმანეთში არევა – მართლისა და ტყუილის, სხვადასხვა საგნის არევა ასე, რომ თითოეულის თვისება ცალკე არა ჩანდეს. „შენ, ჩემო კარგო, წრიანტელივით კი აურიე ერთმანეთში ეს საქმეები, კაცი ვერას გაიგებს, სად თავია და სად – ბოლო..

წრიანტელი ქართლ-კახეთში ხელმოკლეთა საჭმელს ჰქვია, მზადდება ტყემლისა და მწვანილებისგან, მერე პურსაც ჩააყრიან და ასე შეექცევიან. წრიანტელს ნაბახუსევზეც მიირთმევენ. მომზადების წესის გამო უწესრიგობის, განუკითხაობის სიმბოლოდ იქცა (სახოკია, 1979: 899).

ბზობის ყვავივით გაქრა – უცებ გაქრა: „იგრიალა ხალხმა და მიიწია სოსიკასკენ, რომელიც **ბზობის ყვავივით** სადღაც გაქრა“ (ს. მგალობ.). ყვავები აღდგომის წინა კვირას ტყეს მიაშურებენ, სადაც სარჩო საკმაო აქვთ.

რომის პაპივით შეუცდომელი – წმინდა, უბინო: **„რომის პაპასავით** შეუცდომელი გამკითხავია“(ილია). პაპი შეუცდომლად ითვლება.

დიაკვანივით კითხვა – გაურკვეველად, ლუღლუღით, ჩქარა კითხვა. ძველად ეკლესიებში წირვა-ლოცვის დროს დიაკვნები, როცა კითხულობდნენ საღვთო წერილის წიგნებს, ჩქარობდნენ და ეკლესიაში მდგარ ხალხს მათი გაურკვეველი ხმიანობაღა ესმოდა“(სახოკია,1979:155). ამავე სემანტიკისაა **ონოფრე ბერივით ბუტბუტიც.**

ლაზარესებრ დასველება მეტისმეტად დასველებაა: „ლაზარეზე დავლა იყო წეს-ჩვეულება, გვალვის დროს სოფლის ხანში შე-

სული დედაკაცები ძირს უხვად ღვრიდნენ წყალს, რომ ცისთვის პირი გაეხსნევინებინათ.

ლეკური ხმალივით მოსვლა დაურიდებელი, ჯიქური ბრძოლაა, უკავშირდება ლეკური ხმლის მჭრელობას.

მამალივით იბღინძება იგივეა, რაც **მედიდურობს.** მამალი თავმომწონე, ჩხუბის მოყვარული ქედმაღალი ფრინველია, **ინდაურივით იბღინძება**– გაბრაზებულია, გაფხორვა ინდაურის თვისებაა.

მყარ შედარებებს, რომლებიც ლოგოეპისტემებია, არ აქვს შესაბამისობები სხვა კულტურაში. ცალკეული ენის მყარი შედარების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, უნივერსალობის ნაციონალურ-სპეციფიკური გამოვლინება დავაფიქსიროთ. მსგავსება შესაძლოა შესადარებელი კულტურებისთვის საერთო მესამე წყაროსთან იყოს დაკავშირებული. არ არის გამორიცხული აგრეთვე კულტურათა კონტაქტებიც. სხვაობა, როგორც წესი, შეუმჩნეველია ინტრაკულტურულ ურთიერთობაში, მაგრამ აშკარა ხდება კულტურათშორისი შეპირისპირებისას.

შედარება ეფუძნება გამოკვეთილ თვისებას. მაგ.: **სიჩქარე – თოფის წამალივით იფეთქებს**: ფიცხია, ცხარია, უცბად იცის გულის მოსვლა. ,,ისევ მელიტონს უშველოს ღმერთმა. ზაალს აღარ დააცადა და **თოფის წამალივით იფეთქა**“ (მ. ჯავახ).

უწესრიგობა – ირაო საქონელივით სიარული - თავაშვებული საქციელი.

სიღარიბე – თითივით ტიტველი: (ჩხიკვი) **თითივით ტიტველი** უნდა გავუშვა“ (ვაჟა).

სიტკბო – თაფლივით გადნებიან პირში (პირფერობა): ,,მაგისთანა ხალხი თაფლივით გადნებიან პირში“ (ს. მგალობ).

თავდაუზოგაობა, გამეტება – ვირივით მუშაობა//ცემა: „პატარა დემეტრეს საცოდავი **ვირივით ამუშავებდნენ და ვირივითვე სცემდნენ**“ (ს. მგალობ). ,,ვირი შინაურ ცხოველებში ყველაზე გამძლეა მუშაობაში, მომთმენი გაჭირვებისა და შიმშილისა. პატრონები წელში წყვეტენ მძიმე საპალნის ზიდვით, არ აკლებენ ცემას, საკმარის საკვებსაც არ აძლევს ბევრი“– წერს თ. სახოკია (სახოკია, 1979: 203).

უაზრობა – არახუნებს მოშლილ წისქვილივით: „ვისაც რა მოხვდება, **არახუნებს მოშლილ წისქვილივით**“ (ილია).

ძალიან გახდომა სანთელივით დნობაა: „ამას მოსთქმიდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის“ (ვტ).

სიხშირე ჯორის ტლინკებივით მიყრა, ზედიზედ დარტყმაა: სხაპასხუპით ლაპარაკი. ,,ადვოკატს სტატიები ჯორის ტლინკივით მივაყარე“ (რ. ერისთავი).

ჯორის კუდივით არც გრძელდება, არც მოკლდება – სულ ერთი ზომისაა.

მოუშორებლობა, ჩაციება, სულ თან ადევნება – ჩონგურივით ჩამოკიდება: ,,ჩონგურივით ჩამოეკიდა მიხას, სანამ არ დაითანხმა“ (ე.მენთ). ამ გამოთქმის სინონიმები და მისი სტრუქტურული ვარიანტებია: **წურბელასავით მოკიდება/ მიწებება და ხურჯინივით აკიდება:** ,,დიდ არსენას ხურჯინივით ავეკიდები და მივენდობი“(მ.ჯავახ). გავრცელებულია **წურბელასავით მიწებება.** ცნობილია, რომ წურბელა მჭიდროდ ეკვრის ხორცს, მისი მოშორება ძალიან ძნელია. აჭარაში გავრცელებულია გამოთქმა **ზაპასკა პაგრიშკასავით (სათადარიგო საბურავივით) ახლავს...**

გაჭირვებას გამოხატავს ჭიანჭველანაჭამი დათვივით ბუტბუტი. ჭიანჭველა შეიცავს ერთ შხამიან მჟავას, რომელიც ადამიანს სხეულზე მოქმედებს, როგორც მწვავე ნივთიერება. ამ მჟავამ ჩაყოლა იცის თაფლის საშუალებით, იმავე გზით ჩადის ხოლმე დათვის მუცელში, ნაწლავს დაუწვავს და ფაღარათს მართებს ცხოველს.

სისწრაფე- წისქვილის წყალივით გადავარდა: ,,იმ ქალის ავადმყოფობა წისქვილის წყალივით გადაუვარდა“.

დარწმუნება- ჩემი ხუთი თითივით ვიცი: „თელავის ბაზარი აი ამ ჩემი ხუთი თითივით ვიცი და მომატყუებენ“ (ვ. ბარნ).

ფეიქრის ქსელივით გაბმა – რა დაგემართა ადამიანო? **ფეიქრის ქსელივით გააბი** და აღარ დაამთავრე ლაპარაკი: „იმან კი გამიცრუა ყველა იმედებიო... გააბამს და დასასრული აღარ ექნეს მის ამისთანა წუწუნს“ (სახოკია, 1979: 647).

უკვალობა - უტარო დანასაებრ დაიკარგა, უკვალოდ დაიკარგა: „ჩვენი მეგობარი უტარო დანასაებრ დაგვეკარგა. ვის

არა ვკითხე მისი ამბავი, მაგრამ ვერავინ გვითხრა მისი ასავალ-დასავალი (სახოკია, 1979: 634).

სიმარტოვე - ტოროლა ჩიტივით დარჩა, მარტო, უამხანაგოდ დარჩა: ,,და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი ამხანაგებიცა სწავლასა მრავალნი სწავლასაცა და წუთისოფელსაცა და დავრჩით ტოროლა ჩიტივით მინდორში“ (ილია).

ბედისწერა - სამგლე გოჭივით ატყდომა - განსაცდელისთვის პირდაპირ ჩავარდნა პირში, ხიფათში ძალით ჩაგდება თავისა, გაუფრთხილებლობა: ,,სჯობია, **სამგლე გოჭივით ნუ ავტყდებით,** თორემა...(მ. ჯავახ.).

სიმალე, სისწრაფე–აბრიალებულ ჩალასავით ჩაქრობა: ,,ცოტა ხანს იპარპაშა (ავტორიტეტების წინაშე პოლემიკამ) და მერე აპრიალებულ ჩალასავით ჩაჰქრა“ (ილია).

დაუდგრომლობა, თავგასულობა: აჯილღასებრ დააჭენებს: აჯილღა ულაყი ცხენია, რომელიც ჭაკებს უკან დასდევს...

სისხარტე– ჯარასავით დატრიალდა: ეს პატარა საქართველო **ჯარასავით დატრიალდა** (აკაკი).

სიმწარე- ბალღამსავით გამიმწარდა: ეხლა კი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა ფიქრი აღარაფრისა მაქვს (ილია).

სილაღე– გამოშვებული ხარივითაა: ,,ის, ჩემო ძმაო, გამოშვებული ხარივითაა, აუღია თავი და დადის, სხვათა გაჭირვება არა ადარდებს.“

დარდი, ნაღველი – გულზე მუწუკივით ბმა: ,,ეს საქმე ისე მადარდებს, თითქო **გულზე მუწუკი მაბიაო.“**

ყველაზე წაჩხუბება – ნიორწყალივით გადაესხა ყველას: ქალი ყველას **ნიორწყალივით გადაესხა** (საუბ.).

შეუმჩნევლობა – ნიორივით გაიპარა. ნიორს აქვს თვისება, გაზაფხულზე გაქრეს, დაიფშუტოს, დაილიოს. თუ ადამიანი ჩუმად წავიდა, გაიპარა, იტყვიან, ნიორივით გაიპარაო.

თავკერძობა – ეჩოსავით თავისკენ მოთლა. ,,ამ ბურუსაზიამ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ **ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა“** (ილია).

გამოსადეგობა – ხერხივით კაცია: ისეთია, ყველას გამოადგება, ხერხი ეჩოსგან განსხვავებით, ნახერხს წინაც ყრის და უკანაც.

ქართულში ასეთი გამოთქმა სხვაც ბევრია: ყაჭივით ჭამს. ნიშნავს ბლომად, გაუჩერებლად ჭამს, **თავი კიტრივით// ნიახურის ფოჩივით მოაქვს** (მედიდურობს, ამპარტავნობს), **წყალივით იცის, ღვედივით გაქნილი (ეშმაკი), ჭიანჭველებივით ირეოდნენ, შავი დედალივით გასუქდა, თაგვივით გაძვრება, ცხვარივით ადამიანი და ა.შ.** ლაზურში დასტურდება **მხალივით ჭამს-** არ მომჭირნეობს. გავრცელებული გამოთქმაა **პარხალივით ჭამს.**

წისქვილის წყალივით გადავარდა, ცხვარივით ადამიანი, ნიორივით გაიპარა, ხერხივით კაცია, ფლავივით არიგებს, ხახვივით შემრჩა, ყაჭივით ჭამს, გამოშვებული ხარივითაა და ა. შ ფრაზეოლოგიზები უფრო ღრმა, ნაირსახოვან ასოციაციურ წრეს ქმნიან, რადგან მათში შესადარებელი ნიშანი უშუალოდ არ არის მოცემული. განსხვავებული ვითარებაა, როცა ეს ნიშნები აშკარაა, ცხადია, შესაბამისად, მეტაფორის მნიშვნელობაც ნათელია: **თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია, ჯორის კუდივით არც გრძელდება, არც მოკლდება...** სავარაუდებელია, ზემომოყვანილი მაგალითები ხშირი ხმარების გამო იყოს შემოკლებული.

მოკლედ, მყარ შედარებაში ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება ხშირად უამრავი თვისებიდან ერთი გამოკვეთილი ნიშანია. ესენია: **სიჩქარე** (შავარდენი, თოფის წამალი), **ძლიერება, გემო** (თაფლი, ბალღამი), **თავდაუზოგაობა** (ვირი), **სიღარიბე, ხმაური** (წისქვილი, წყალი), **საგნის ფიზიკური მონაცემები, გარეგნული ფორმა** (თითი, კიტრი, ნიახურის ფოჩი) და **სულიერი თვისებები, მოქმედების (სიარული, ლაპარაკი, ვარდნა, დნობა) თავისებურებანი** (ჭიანჭველნაჭამი დათვის გაჭირვებით ბუტბუტი, სანთლის დნობა ან ნთება, ჯორის ტლინკების ყრა, წისქვილის წყლის ჩქარი ვარდნა, ხურჯინის (მუდამ) აკიდება, სათადარიგო საბურავის (მუდამ) ტარება, ჩალის (სწრაფად) აბრიალება, დედოფლის (მეტისმეტი) მოკრძალება...), ასევე **მოძრაობის ტემპი, რიტმი** (ასკილის ნაყოფის ქანაობა). აქ

იკვეთება სახე-სიმბოლოები: **არწივი, მიმინო, თაფლი, სანთელი, დედოფალი, ტროლა, ვირი, მამალი, კატა, ინდაური.**

მყარ შედარებათა უმეტესობა თანდებულიანია (ვით, ებრ), შედარებით ნაკლებად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, როგორც). თანდებულიანი გარემოებით წარმოდგენილი შედარება ახასიათებს ობიექტის მოქმედებას (მიმინოსავით ქრის, ვირივით მუშაობს – გარემოება), გადმოგვცემს თვისებას (შავარდენივით მალი – განსაზღვრება), პორტრეტულ ნიუანსებს. მყარ შედარებათა უმეტესობა გარემოებაა, რაც მოქმედების დინამიზმზე მიუთითებს.

ისე გაჩუმებულია, თითქო ქალი გასჩენიაო: ქართველისთვის რამდენადაც სასიხარულო იყო ვაჟის შეძენა, იმდენად ნაღვლიანი იყო ქალიშვილის დაბადება. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა თქმა: რას გაჩუმებულხარ, ქალი ხომ არ გაგჩენიაო (სახოკია, 1979: 293- 294).

თითქო შეულოცაო - საკვირველი რამ გააკეთაო, ხიფათს გადაარჩინაო. როცა უეჭველი საკითხის წინაშე დამდგართ მოულოდნელად გაუმარჯვდებოდათ, უეჭველ განსაცდელს თავს დააღწევდნენ, იტყოდნენ, თითქო ვიღაცამ შეულოცაო (სახოკია, 1979: 274).

თითქო გუშინ იყოო - სულ ცოტა დრო გავიდა.

როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯავრებოდა - ძალიან ეჯავრებოდა: ,,დათოს, როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯავრებოდა გიტო" (ილია).

ამის სტრუქტურული ვარიანტია **როგორც სიკვდილი, ისე ეჯავრება** - ,,ჩვენებურ ხალხს, **როგორც სიკვდილი, ისე ეჯავრება** მომრიგებელ მოსამართლესთან სიარული" (ილია).

როგორც ცა და დედამიწა – ერთმანეთისგან შორს ,,ისე ვერ დასწვდებიან იროდიონს, როგორც ცა დედამიწას" (ს. მგალობ.).

როგორც თავის ორ თვალს, ისე გაგვიფრთხილდება - მოგვივლის, იზრუნებს.

როგორც კედელს – არაფერი არ ესმოდა: ...იმას როგორადაც კედელსა, არ ესმოდა (ლ. არდაზ.).

როგორც თევზი უწყლოდ– სასიცოცხლოდ აუცილებელი: ,,ეს არსებითი პური ჩვენი დედებისა, ურომლისოდაც გაძლება არ შეუძლიანთ, **როგორც თევზს უწყლოდ**“ (ილია).

თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ (შ. არაგვ.).

ვაშლი რომ გაჭრა, სწორედ ისე ჰგავს დედამისს, პირწავარდნილი ანაა.

ემოციური ელფერითა და ექსპრესიულობით განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრულ კილოებში დადასტურებული იშვიათი **შედარებანი:**

თქუშასავეთ ლამაზია (მაჭახ.); **წურბელასავით მეგეწეპება** (იქვე); დედამთილი **ძველ ფალაზივით მიგდებულია** (ჩვენებ. 141); მისი ნათქუამი **ხარბურ ქუეშ დარჩა, დამპალ სხლებივით გაჩეჩდენ** (ჩვენებ.109); **ბერაბუზასავეთ მიასკდა** (ორთაბ).

ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურებულია მოულოდნელი შედარებანი: დოდოფალს ყირმიზათ გადაფარებული ქონდა, **სუნაგ კატასავენ** ააფარებდენ თვალებზე (ქობ.194); **დოდოფალივით** სიძე მყავს, დაუდება, არ დეჲლაპარიკებს (იქვე, 188).

ამრიგად, ქართული მდიდარია მეტაფორული შედარებებით, რომლებიც უცვლელი სტრუქტურითა და ახალი შინაარსის პროდუცირებით მეტად საინტერესოა. ისინი ხშირად ერთმანეთთან აკავშირებს არსებითად განსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს. მყარ შედარებათა ერთი ნაწილი ლოგოეპისტემაა.

ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება ხშირად არის გამოკვეთილი ნიშანი. ესენია: **სიჩქარე, ძლიერება, გემო, თავდაუზოგაობა, სიღარიბე, ხმაური, საგნის გარეგნული ფორმა და სულიერი თვისებები, სიარულის მანერა, ლაპარაკის თავისებურება, ვარდნის სიჩქარე). იკვეთება სახე-სიმბოლოები:** წყალი, ვირი, მამალი, ინდაური, წისქვილი, კატა.

მყარ შედარებაში შესადარებელი ნიშანი ძირითადად შეკვეცილია (**ნიორივით გაიპარა, ხერხივით კაცია, ფლავივით არიგებს, ხახვივით შემრჩა**) **იშვიათად კი** ეს ნიშნები აშკარაა: **თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია, გველივით აჭრელება...**

მყარი შედარების მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების მთავარი ნიშანი ჰიპერბოლურობაა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ექსპრესიულობას.

მყარი შედარება უმრავლეს შეთხვევაში თანდებულიანია (ვით, ებრ), შედარებით ნაკლებად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, როგორც). მყარი შედარება სინტაქსურად განსაზღვრება გარემოება, ან განსაზღვრებით - ან გარემოებითდამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადებაა. ეს უკანასკნელი ხშირად შეკვეცილია.

ს. ომიაძე მსჯელობს, რომ ,,ქართული ბიომორფული კულტურის კოდი დაკავშირებულია გარე სამყაროს ცოცხალ არსებებთან, ასახავს ქართველთა წარმოდგენებს ცხოველებზე. მკვლევარი განიხილავს, თუ როგორია ეს წარმოდგენები ზოომორფიზმების მიხედვით ქართულ ენასა და დისკურსში. მას მოჰყავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა. მაგ.: ქალი შეიძლება იყოს ბედაურივით, ჯეირანივით (ლამაზი, აღნაგი, მოხდენილი, დედალივით (ჩასუქებული), მამალივით (თამამი, მოურიდებელი), თუთიყუშივით (ჭრელაჭრელა ტანსაცმლიანი, უგემოვნებოდ და თვალში საცემად შეღებილი), ძროხასავით (უსიმპათიო, დიდი და უშნო, მოუხეშავი), გოგო – მწყერივით, მტრედივით, ხოხობივით (ლამაზი, მშვიდი, თვინიერი), კალმახივით (ცოცხალი, ხალისიანი), პეპელასავით (ნაზი), ჩიტივით (ჟღურტულით მოლაპარაკე, წიკწიკა), თხასავით (ცეტი, დაუფიქრებელი), კაცი – ლომივით (ძლიერი), ხარივით (ამტანი, ღონიერი, მშრომელი), მგელივით (შეუპოვარი), მამლაყინწა (ყოყლოჩინა, ჩხუბის ამტეხი), მამალივით (თავმომწონე, ცუდმედიდი), ბიჭი – არწივივით, ქორივით, მერცხალივით, კალმახივით, ყვინჩილასავით (ყოყლოჩინა, თავისი უპირატესობის ჩვენების მოყვარული) ...

სქესის განურჩევლად გამოიხატება თვისებები შემდეგ გამოთქმებში: ბატივით შტერი, უტვინო (ბატისტვინა), ბეჰემოთივით ზორზოხი, მოუქნელი, ბუზივით, ბზიკივით აბეზარი, ბუსავით მობუზული, მარტომყოფი; ბაყაყივით, გომბეშოსავით შეუხედავი, გველივით ჭკვიანი, ცბიერი, გესლიანი; გოჭივით ჩასუქებული (ბავშვზე იტყვიან), დათვივით მოუხერხებელი,

უხეში, დედალივით ჩამრგვალებული, ვეფხვივით მძვინვარე, ვირივით ჯიუტი, მშრომელი, თუთიყუშივით ერთისა და იმავეს გამმეორებელი, თხასავით ცეტი, ინდაურივით სულელი, უჭკუო, გაფხორილი, ირემივით ლამაზი, მფრთხალი, იხვივით სქელი, კამეჩივით ზანტი, მშრომელი, კატასავით ფრთხილი, მსუნაგი, მჩხავანა, კრუხივით მზრუნველი, ქომაგი, კუსავით ნელი, ლომივით უძლეველი, მამალივით, მამლაყინწასავით თამამი, ცუდმედიდი, ყოყლოჩინა, მეტიჩარა; მელასავით გაიძვერა, მორიელივით გესლიანი, ნიანგივით ულამაზო, ნიანგივით ცრემლს ღვრის არაგულწრფელი; სვავივით გაუმაძღარი, სპილოსავით სქელი, ტურასავით ეშმაკი, ფარშევანგივით გამკივანი, ფუტკარივით გამრჯე, ქათამივით დაბნეული, უტვინო, სულელი, ღორივით ბინძური, გაუმაძღარი, უმადური, ყვავივით შეუხედავი, ბებერი, ცხვარივით უწყინარი, თვინიერი, ძაღლივით ერთგული, ბრაზიანი; წიწილასავით სუსტი, უღონო, ჭუკივით დაბნეული, ხარივით ღონიერი, მშრომელი, ხბოსავით დამყოლი, ჯეირანივით აღნაგი, მოხდენილი, ჯორივით ჯიუტი.....

ცხოველთა სახელების გამოყენება ადამიანთა დასახასიათებლად ძველი და უნივერსალური მოვლენაა. მოცემულ მასალაზე დაკვირვებით ს. ომიაძე საგანგებოდ აღნიშნავსმ რომ ,,ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენად გამოხატავს ზემომოყვანილი შედარებები ეროვნულ-სპეციფიკურ ხედვას. მოარულმა იგავარაკულმა ჟანრმა ზეპირსიტყვიერი თუ ლიტერატურული გზით გავლენა მოახდინა იმაზე, რომ ბევრი ცხოველის, *განსაკუთრებით ზღაპრებისა და იგავ-არაკების პერსონაჟი ცხოველების, დახასიათება სხვადასხვა ერებში ერთმანეთს ჰგავს“ (ომიაძე, 2006: 172-173).*

საკითხის შესწავლა საინტერესოა ცალკეული მწერლის ენაში შემოქმედებითი ინდივიდუალურობის გამოსავლენად. განსხვავებული ვითარება იქნება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებშიც. ზოგადად ქართულში მისი გამოწვლილვითი შესწავლა მოგვცემს სხვა ენების მონაცემებთან შედარების საშუალებასაც. კვლევის შედეგები გამოადგებათ მთარგმნელებს ლინგვოკულტურემათა ეკვივალენტების შერჩევისას.

VII.5. სატირული ფრაზეოლოგიზმები

სატირას, როგორც სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას, ლირიკულ საწყისებზე დაფუძნებულ უძველეს მხატვრული ხერხს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ფრაზეოლოგიზმებში, რითაც ძლიერდება შთაბეჭდილება, ნათქვამი იძენს იშვიათ ექსპრესიულობას, მით უფრო, რომ ის წინააღმდეგობრიობასა და ფასეულობებს უპირისპირებს ერთმანეთს და ეფუძნება ჰიპერბოლას.

სატირა, როგორც მხატვრული მოვლენა, ათასწლეულების განმავლობაში ვითარდებოდა, ჯერ ზეპირი გზით ვრცელდებოდა, შემდეგ კი ვითარდებოდა და იხვეწებოდა, იკვეთებოდა მისი გამოსახატავი საშუალებანი. ფაქტობრივად, მისი ფუნქცია (სიცილი) უცვლელი დარჩა, შეიცვალა მხოლოდ გამოსახატავი ფორმები. ძველბერძნული სატირა გადმოგვცემდა ავტორთა პირად დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენებისადმი, ის კერძო პირებს კენწლავდა და არა საზოგადო მანკიერებებს. ,,სატირა ცხელი წყალია, იუმორი – თბილი შხაპი, მე თბილი წყალი მირჩევნია. ადამიანი კი არ უნდა დაწვა, წუწყი უნდა ჩამობანო,"– წერს ნოდარ დუმბაძე (https://www.mental.ge/2015/03/31/dumbadzen/) სწორედ საზოგადო მანკიერებათა მხილება განსაზღვრავს სატირის აქტუალურობას. რეალიზმის ხანაში სატირა ტიპიზაციის ერთ-ერთი ხერხი ხდება, ასახავს რა სინამდვილეს, სწვდება ადამიანის მთელ სულიერ სამყაროს, პიროვნების ფსიქოლოგიას.

სატირას განსაზღვრავენ, ,,როგორც დაცინვის უკიდურეს ფორმას," როგორც შურისგებას შელახული და შეურაცხყოფილი პატიოსნების გამო, იგი შეურაცხმყოფლის შეურაცხყოფაა. ხშირად სატირა და ირონია თანაარსებობს ერთსა და იმავე ფრაზეოლოგიზმში.

მოპოვებული მასალა დავაჯგუფეთ სატირის გამოსახატავ ენობრივ საშუალებათა მიხედვით.

ა) ზმნის კავშირებითი კილო და უარყოფითი ნაწილაკი სატირული გამოხატვის ხერხებიდან ყველაზე გამოკვეთილია. აღნიშნული მოდელით აგებულია რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი.

ქართულში არსებობს გამოთქმა **ვერაფერს დამაკლებ.** ამავე სემანტიკისაა: **ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრი.** მე ვიცი, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! (ილია).

ა. თაყაიშვილი წერს, რომ ხშირად შეცდომით ვაკავშირებთ იდიომს ისტორიულ მოვლენებთან. შესაძლოა ფრაზეოლოგიზმს – ,,ყურებზე ხახვი არ დამაჭრა" საერთო არაფერი ჰქონდეს აღნიშნულ პროცედურასთან და სავსებით მოტივირებული იყოს, ეყრდნობოდეს პროცესის შესრულების სიძველეს და ატარებდეს ისეთივე ირონიულ-ფამილიარულ ელფერს, როგორსაც იდიომი ,,ფეხები არ მომჭამო". ასეთი დაშვებისაკენ გვიბიძგებს ის ფაქტიც, რომ სვანურ შესატყვისში ყურის მაგივრად კისერია ნახმარი: **კისერზე ხახვი არ დამაჭრაო** (თაყაიშვილი, 1961:148).

ჩვენი თვალსაზრისით, ამ გამოთქმამ, რომელიც თავდაპირველად ეროვნულ რეალიას გამოხატავდა, მას შემდეგ რაც ისტორიზმად იქცა, შეიძინა სატირულ-ირონიული ელფერი. შემდგომ კი გაჩნდა მისი სტრუქტურული ვარიანტებიც.

ქართლ-კახეთში იტყვიან, **ბალბა არ მომიხარშოო.** ბალბა სამკურნალო მცენარეა, რომელსაც ხარშავდნენ და ჭრილობაზე აყრიდნენ.

შეჭამანდი არ მომიხარშო – მოპირდაპირე როცა იმუქრება, მის გასაჩუმებლად მოპასუხე **იტყვის, შეჭამანდი არ მომიხარშოო.**

კეფაზე წვენი არ დამასხა – კეფაზე თუ თავზე წვენის დასხმა ეკუთვნის ძველებურ სასჯელთა ისეთ კატეგორიას, როგორებიცაა: თავლაფის დასხმა, პირისახეზე მურის წასმა და სხვა. კეფაზე წვენს დაასხამენ ისეთ ადამიანს, რომელიც რომელიმე კანონს დაარღვევდა. ხატოვნად ეს ნიშნავდა შერცხვენას. ვისაც წვენს დაასხამდნენ კეფაზე, იგი თამამად ვეღარ გამოჰყოფდა თავს საზოგადოებაში. ,,სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია გამოთქმა: ,,გიგობი დუს წაწიე," დაგასხი თავს წვენი, როცა კაცი ვინმეს გააჯავრებს ან სამარცხვინო საქციელს ჩაიდენს" (სახოკია, 1979: 328).

საპრასე არ მომიჯეკნო – საპრასე იმერეთსა და სამეგრელოში პატარა ბოსტანს ჰქვია, სადაც პრასასთან ერთად სხვა მწვანილებიც ითესება, მაგრამ პრასას იმერეთში საპატიო ადგილი უწი-

რავს. მისი მოთელვით მაინცდამაინც დიდი ზარალი არ მოუვა მოსახლეს, მაგრამ ამით მტერს აგრძნობინებს, რომ საპრასე რა არის, იმასაც ვერ დამიზარალებო (სახოკია, 1979: 548).

ხვლიკების ჯოგი არ დამიფრთხო –„ხვლიკების ჯოგი არავის ჰყავს და ვერც ვერავინ დააფრთხობს იმას, რაც არ არსებობს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობის აზრი ისაა, რომ მოწინააღმდეგის მუქარას დასაყრდენი აკლია“ (სახოკია, 1979: 526),

ფეხებსაც ვერ მომჭამენ! იმავე სემანტიკის ფამილიარული გამოთქმაა. **ფეხებსაც ვერ დაგვჭამენ!** --და რუსის ჯარის მიერ ზურგმომაგრებული დავითი მარაბდელებს უარესსაც ჰპირდებოდა (მ. ჯავახ.),

რქა-დეკეულები არ გამომირეკო ბაკიდან! – „თორემ რქა-დეკეულები არ გამოურეკო ბაკიდამა!“ (ს. მგალობ.). სიტყვა რქა აღნიშნავს საქონლის ხნოვანებას. ფრაზაში ნახმარი რქა-დეკეულები იქნება საფურე დეკეულები, რომელთაც ზრდა გათავებული აქვთ, საცაა უნდა იმაკონ და ხბოები მოიგონ. ასეთი დეკეული, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ერთისა თუ ორი წლის ბოჩოლა. მაშასადამე, ასეთი ხნის საქონლის წაგვრა უფრო საგრძნობი იქნება, ვიდრე ნორჩი საქონლის წართმევა (სახოკია,1979: 526).

წინახარები არ ამიშვა, აი!: რას მემუქრები, წინახარები არ ამიშვა, აი! (სტ. მენთ). „წინახარები ჰქვია გუთნეულში ყველაზე წინ მიმავალ ხარებს. წინახარებად გუთანში აბამენ გამოცდილ და ღონიერ ხარებს, რომლებმაც სხვა ხარებს წინამძღვრობა უნდა გაუწიონ. ეს ხარები თავისით მიდიან და მთელი გუთნეული მათ მიჰყვება უკან. საქცევში თავისით ბრუნდებიან, კვალშიაც თავისთავად ჩადგებიან და გზას უჩვენებენ სხვებს. ამათ რომ ვინმე წინ გადაეღობოს და მუშაობაში დააბრკოლოს, ხელი შეეშლება მთელ გუთნეულს, ხვნის მთელ საქმიანობას“ (სახოკია, 1979: 864).

ჯორს ნალები არ ამიყარო: ვერაფერს დამაკლებ, ჩემგან ვერას წაიღებ.

სახატეში ხატები არ დამიფრთხო! ბიჭო, შენ შენი ღმერთი აქ იყავი, **ხატები არ დაგვიფრთხო საყდარში!** (ა. ცაგარ.).

ნაფუზარს თავი არ ჩამიჭრან: „ზოგი მაშინ დაიკვეხნონ, როცა ნაფუზრის თავი ჩამიჭრან!“ ნაფუძარი ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც ნასახლარი ან ბოსელი დგმიათ, საქონელი ჰყოლიათ და მიწა განოყიერებულია. პატრონი მეტად ძვირად აფასებდა ასეთ მიწას მის დაცვას თავს შეაკლავდა.

ჭინჭარს არ მოგიხარშავ: შენი გულისთვის თითსაც არ გავძრავ, მცირედსაც არ გავირჯები. ჭინჭარი მხალეულში ყველაზე ადვილი მოსახარშია, ამიტომაც იქცა ეს ხატოვან თქმად.

ბ) ამავე ფუნქციით გამოიყენება წინადადებანი, რომლებიც თხრობითი კილოსია, მათში არის უარყოფითი ნაწილაკი და ზმნის წარსული დროის, ფორმები, რომლებიც მომავალი დროის მნიშვნელობით გამოიყენება: **ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი**- ცარიელზე დაგსვი, დამარცხდი. „ეხლაც გინდოდა რამე გექნა ჩემთვის... მაგრამ ვერ მოგართვი ბადრიჯანი“(შ. არაგვ.).

ვერ მოგართვი მარგალიტი – ჩემგან ვერაფერი წაიღე: „გინდოდათ უჩვენოდ მოხვედრილიყავით წარმოდგენაზე რაღა? – ვერ მოგართვით მარგალიტი“(ი. სონღულ.).

ასეთ გამოთქმებში **ვერ და არ** ნაწილაკების მონაცვლეობას სტილისტიკური დატვირთვა აქვს: **ვერ მოგართვი//არ მოგართმევ.** სწორედ **ვერ** ნაწილაკიანი ფორმებითაა გამოხატული დაცინვა, თითქოს დანანებაა, რომ ადრესატს პატივი ვერ სცა, სინამდვილეში სატირაა.

გ) მსაზღვრელ-საზღვრული – სატირული ფუნქციით ორი სიტყვის უჩვეულო შეხამებაც გამოიყენება: **დანივრული ხაშლამა** – ჯამაგირები კი არა, დანივრული ხაშლამა“(რ. ერისთ.).

დ) დროის გარემოება. დაცინვის ფუნქციით ხშირად გამოიყენება ფრაზები, რომლებიც ნიშნავს, რომ კონკრეტული ფაქტი არასდროს მოხდება: **როდინობის კვირაში** – არასოდეს:

ერთმა გლეხმა მკითხა, შენ როდის წაიკითხავო („სამოციქულოს“), ჩემ მაგიერად. მეორემ მიუგო, **როდინობის კვირეშიო** (აკაკი).

სინონიმურია ჩვენებურთა მეყუველებაში დადასატურებული გამოთქმები: **წითელ დილას, უშაბათო კვირას (არასდროს), წითელ კვირას, ნამიან დილას** (ჩვენებ. 77).

მსგავსი სემანტიკის **დროის გარემოებითდამოკიდებული წინადადებანი:** როცა ბაყაყს კბილი ამოუვა, როცა ვირი ხეზე ავა (არასდროს).

საინტერესო გამოთქმები დავადასტურეთ ჩვენებურთა მეტყველებაში: **„შენ მიხტენამდე ბევრი წვიმა- წყალი ჩამეიარსო** (ჩვენებ. 138), ე. ი. გვიან მიხვდები, მაი რომ შეუდება ჩემ ზედო, **დუნიას თავი თავზე შამუუარსო** (ჩვენებ. 267).

ე) მაერთებელკავშირიანი (საპრეზენტაციო) ფრაზები: დაულაგებელი, ლოგიკას მოკლებული ლაპარაკის აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება ისეთი ფრაზები, რომლებშიც შეერთებულია აბსოლუტურად განსხვავებული რანგის საგნები და მოვლენები, მათი შედარება შეუძლებელია, რადგან არაფერი აქვს საერთო: **ბოლოკი და ხბოს ტყავი// ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლი.**

„ჩვენ... ჩვენ ქართველებს რაღა? ბოლოკი და ხბოს ტყავი! მეტის ღირსიც არა ვართ“ (აკაკი).

ბოლოკი და ხბოს თავი– არაფერი. მაგ. „ჩვენ... ჩვენ ქართველებს რაღა? **ბოლოკი და ხბოს თავი, მეტის ღირსიც ვართ“** (აკაკი).

ეს თქმა დაცინვითია, როცა რამეს არიგებენ, ვისაც არ ერგება ან არ არგუნებენ, ასე მიუგებენ.

ვ) თხრობითი წინადადებები:

თუ ნაცნობები ერთმანეთის ახლო ნათესავები არ არიან, იტყვიან, **ყვავი ბუის მამიდა,** ყვავი ჩხიკვის მამიდააო, ამავე შინაარსისაა: **ბალის ხიდზე განარები//ქათმის თავის ნახარში// ქათმის ნახარშის ნახარში.**

იმავე სემანტიკისაა ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც უნახავი აქტის ფორმებია გამოყენებული: **ჩვენი ვირი თქვენს სანაცრეზე გაგორებულა// ჩვენს მამალს იმათ ეზოზე გადაუვლია.**

ნაზუქის სუნი დაახრჩობს (გ. ხეჩუაშვ.) – ნაზუქზე გაჭირვებულს მხრტო შეეძლო ეოცნება ამაზე. ეს თქმა ხელმოკლეობაზე მიუთითებს.

გამოთქმა **ანდერძის აგებას,** გარდა თავისი პირველი მნიშვნელობისა (მრკვლა, გაწაღდერება, მოსპობა, ბოლოს მოღება), ირონიული ან მუქარის ელფერიც დაჰკრავს.

კლარჯულ მასალებში გამოვლინდა ერთი ასეთი მოსწრებული თქმა: **ჭკვას თვალი არ ეცემა:** „ასე რომ დააწყო ჭკვები სირაზე, ყველამ მის ჭკვა ასწევს. ჭკვას თვალი არ ეცემა, ვინმე ვინმეს ჭკვას არ ასწევს“ (კლარჯ. 244).

ზ) ბრძანებითი წინადადებანი: თუ ადამიანს სურს მატყუარა გაკენწლოს, მიახვედროს, რომ ამაოდ ცდილობს მის მოტყუებას, ეტყვის: **ეგ საკენკი // ნაკმაზი შენს წიწილებს დაუყარეო:** ეგ ნაკაზმი თქვენს წიწილებს დაუყარეთ, ჯერჯერობით ბედი მწყალობს (მ. ჯავახ.), ეგ ნაკაზმი თავის წიწილებს დაუყაროს (მ.ჯავახ.).

ამ გამოთქმის სტრუქტურული ვარიანტებია: **მაგისთანა კვერცხები ბებიაშენს დაულაგე ეს ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი!** (ვერ მომატყუებ),

აღუ, ნეკზე არ მიკბინო! – ეტყვიან ზრდასრულ ადამიანს, როცა ბავშვივით მსჯელობს, აქ უსუსური აზროვნებაა გაკიცხული.

–ააბრუნა ამან თავისი წისქვილი! – ღიმილით მიაძახა არისტომ“(დ. დაუსრულებელი ლაპარაკი შედარებულია **აბრუნებულ წისქვილთან,** რომელმაც, რაკი ერთხელ დაიწყო ტრიალი, მერე თავისით ველარ გაჩერდება (სახოკია, 1979: 5). ეს გამოთქმა ლაზურშიც გვხვდება.

თ) ძახილის წინადადება ქართულ ფრაზეოლოგიზმებში სატირული გამოხატვის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია, ადამიანის უარყოფითი თვისება ან ცუდი საქციელი თითქოს აღტაცებას იწვევს, სინამდვილეში გაკიცხვაა. თუ ადვილად მისაწვდომი რამ გააკეთა და იკვეხნის, ვითომ დიდი საქმე გააკეთა, იტყვიან, - **რიყეზე ქვა იპოვნა!- საყდარში ხატი იპოვნა, თაროზე კოვზი იპოვნაო.**

თუ ძველი ამბის ახლად გასაღებას ცდილობს, იტყვიან, ახალი ამბავი ძველი გაზეთებიდანო, თუ ტყუილს სიმართლედ ასაღებს, დასძენენ: **სთქვა რუქამ არაკი!**

თუ ამაღელვებელი რამ მოხდა, იტყვიან, **მშვიდობამ ჩამოგიაროს! ან კიდევ: მეყოლე ვარდივით!** (ირონია) საქმე ცუდადაა.

ყვავები შავს ჩაიცვამენ! – იტყვიან მაშინ, როცა ვინმე თავის უბედურებაზე ძალიან წუხს და სხვას ეს არ ადარდებს.

თავზე წნელი მოუჭირეთ! – იტყვიან, როცა ადამიანი ლოგიკურად ვერ აზროვნებს.

ზოგი ფრაზეოლოგიზმი ატარებს ირონიულ ელფერს. **ირონია** (ბერძნ. εἰρωνεία (eironeia – მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა) თავაზიანობით შენიღბული დაცინვა, დამცინავი გადაკვრით ნათქვამია (თავშეკავებული, მშვიდი, სერიოზული ტონი, გარეგნულად გამოხატული პატივისცემა). დავასახელებთ რამდენიმეს:

ერთი მე ვარ ახალგაზრდა და მეორე შენ!.. როგორც მე ვარ ახალგაზრდა ისე შენ, ახალგაზრდა არა ხარ, ბებერი ხარ. ეს დაცინვითი და დამცირებითი თქმაა. ეტყვიან მოხუცს, როცა ის ახალგაზრდობას იჩემებს, არადა, ორივე მოსაუბრე ხანში შესულია.

ერთი მე ვარ და მეორე - თამარ დედოფალიო ძალიან ლამაზი ვარ. ,,ისე ამპარტავნობდა თავის სილამაზით, თითქოს ერთი მე ვარ და მეორე თამარ დედოფალიო!"(დ.მაჩხ.). რაო, ბავშვიაო? – შეიცხადა ბიბომ, – რის ბავშვია, აბა, რას ამბობ, ე რა თქვა, ბავშვიაო... ბავშვი არა, ისა! **ერთი ეს ბიჭია ბავშვი და მეორე ეგა** (გ.დოჩან.).

ი) თხრობითი წინადადება აღნიშნული ფუნქციით არც თუ იშვიათად გვხვდება. **ჭიმური ჭამა** - ამ გამოთქმას ეთერ ბერიძემ მიაკვლია აჭარულში. ის არაა დადასტურებული თ. სახოკიას ლექსიკონში. ჭიმური ერთგვარი კერძი, ცხელი მჭადის გულში შეზელილი ერბოა (შდრ. საბა: ჭიმური – ესე არს პური დაფხვნილი, გინა ბრინჯი, ან სხვა მარცვალნი მგბარი, ერბოსა ანუ ზეთში მოხრაკული (საბა(2)1993).

ადამიანი როცა რჩევას, თხოვნას არ გაითვალისწინებს და მარცხს იწვნევს, იტყვიან, **ჭიმური ჭამაო, შესაძლებელია** თავისთავზეც თქვას, ვჭამე ჭიმურიო (სხვას რომ არ დავუჯერე, დავზარალდი).

ქალამანი ჩააცვეს – მოატყუეს, მოაპამპულეს. ,,ჩარჩებმა იმ დღეს გლეხს ქალამანი ჩააცვეს. ფეხშიშველი გლეხისთვის

ქალამნის ჩაცმა სწორედაც კარგი იყო, ამიტომაც ეს თქმა დაცინვითია.

ადამიანის უჭკუობის გასაკილავად გვხვდება გამოთქმა: **დათესილი აქ და თიბავს ჭკვას** (იმერხ.2007:250), აჭარულში დასტურდება: **ქერემეთი აქ დაჩოჩვებული, ლურსმანი გამოძრა, შლიაპა უჭერს...**ამავე სემანტიკის და განსხვავებული სტრუქტურის გამოთქმებია: **ინა დავადე მათ ჭკუას, მათ ჭკუას ბოლოკი დავაწურე.**

თავისზე უარესს სჯობია – ბევრი ვერაფერი შვილია, სახარბიელო თვისება არაფერი აქვს. ,,ამ კაცის ქება რა გითხრა თავისსა უარესსა სჯობია".

ი) კითხვითი წინადადება ამ ფუნქციით ხშირად გვხვდება: – გაგიუდი? გადაირიე? ბათქაში ჩამოგცვივდა? (რ.ინან). **ჭკუას რომ არიგებდნენ, მაშინ სად იყავი?** ეს ირონიული თქმაა და ნიშნავს, ვითომ პირველად ადამიანებისთვის ჭკუა დაერიგებინოთ. ვინც შესწრებია ამ პროცესს, თავისი წილი ჭკუა წამოუღია, ვინც ვერა, ჭკუა აღარ რგებია.

რა ნიშა ხარი ხარ? – არც ისეთი საფერებელი ხარ. ნიშა არის თეთრი ნიშანი, რომელიც ცხოველებში სილამაზის ნიშნად ითვლება.

როგორ, მწნილად შემინახავდი თუ? (ილია): ნიშნავს გასათხოვრად დარჩენას. თუ მოუბარი გაურკვევლად საუბრობს, ეტყვიან, **რა კევი ჩაგიდვია პირშიო.**

კიდევ შეხვალ ლობიოში?– კიდევ გაბედავ ქურდობას? მეორეჯერ არა განახოთ, თორემ.. მაგ. ჩვენი მეზობელი სხვის ლობიოში შესულიყო საქურდავად, დაიჭირეს და მანამდე სცემეს, სანამ მე და თქვენ მოვასწრებდით, და თან მიაძახეს თურმე: **„კიდევ შეხვალ ლობიოშიო?"**

ეს თქმა ნიშნის მოგებისაა, თან მუქარაც აქვს დართული. ეტყვიან დანაშაულის ჩამდენს და ცდილობენ ამით ჩააგონონ: მეორეჯერ არ დაგემართოს, თორემ უარესი დღე დაგადგებაო (სახოკია, 1979: 335).

კ) კითხვა-ძახილის წინადადებანი გამოხატავს სათქმელის მიმართ აღტაცებასაც და გაკვირვებასაც. სატირული გამო-

ხატვის ხერხებიდან ერთ-ერთი გავრცელებულია: **„რის ჭნელების გრეხა, რის ფლავი, რის ბოზბაში?!; რა თავი მოგაქვს კიტრივით// ნიახურის ფოჩივითა?!** (ვ. კოტეტ.). ე. ი. თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს.

ჩვენებურები იტყვიან, **რაფერ არ მოკრეს ჭკვას ხელი?!** (ჩვენებ. 39). ჭკუას რომ არიგებდნენ, როგორ არ გამოიყენეს ეს შანსიო. აქ თითქოს დანანებაა, სინამდვილეში კი- დაცინვა.

რა მიჭვრიტინა გამიხდა?! საბას და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, **მიჭვრიტინა** არის სარკე. თუ კაცი მუდმივად პირში შეჰყურებს ვინმეს, ეტყვიან, რა მიჭვრიტინა გამიხდიო.

რქა ამოგივიდა?! რა შეგემატა? რა მოიგე? სულწასული ადამიანის მიმართ იტყვიან. ეს გამოთქმა ლაზურშიცაა: **ქრა ქექიხთუ?!**. (მემიშიში, 2015).

ლ) პირობით დამოკიდებული წინადადება: იშვიათად ასეთი სტრუქტურის ფრაზებიც გამოიყენება დაცინვის მიზნით: **ტიტვირი რომ დეიყაფანო, ვერ მიხტება** (ჩვენებ. 45).

მ) სხვა საშუალებანი: ამავე ფუნქციით გამოიყენება ბევრი სხვა საშუალებაც: ოჭინარით ასაწევი - ყველაფერში სხვისი დახმარება სჭირდება, დასაცინი, საქირდავი თქმაა. სიტყვის ბანზე ამგდებს ეტყვიან, **ჭალას ქორწილიაო** (მე რას ვეუბნები და ის რას მეუბნება), **როგორც ბატონი კუბოში (ირ.)** - ზუსტი, კოხტა, ზედგამოწრილი.

გაკილვის ობიექტებია ადამიანის მანკიერებანი: უმეცრება, უგნურება, დამარცხება, მედიდურობა, არასწორი ქცევა, სიტუაციის შეუსაბამო, ნაცნობ თემებზე ან გაუთავებელი საუბარი და ა. შ. ზოგადად კი დაკნინებულია ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების არაადეკვატური შეფასება.

ჭეშმარიტი სატირის უმთავრესი ნიშანია აქტუალურობა. მოპოვებული მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სატირას, როგორც სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ერთ-ერთ ფორმას, ქართულ ფრაზეოლოგიაში გამოხატვის მეტად მრავალფეროვანი და თავისებური საშუალებანი აქვს.

VII.6. ჰიპერბოლა და ლიტოტესი ფრაზეოლოგიზმებში აძლიერებს ექსპრესიულობას. ისინი შესაძლებელია კონტრასტის გადმოსაცემად ერთადაც გამოიყენებოდეს.

ჰიპერბოლა წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან (hiperbole) და გადაჭარბებას, ზედმეტობას, გაზვიადებას ნიშნავს. მასში მთქმელის სუბიექტური განწყობის რომელიმე მომენტი იჩენს თავს. ჰიპერბოლებით განსაკუთრებით მდიდარია საგმირო ეპოსი, სადაც გმირის ფიზიკური ძალა თუ სხვა თვისებები გაზვიადებულადაა წარმოდგენილი, რეალური და ფანტასტიკური ერთმანეთთანაა შეზრდილი (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014:204).

ფრაზეოლოგიზმი, თავისთავად აღებული, ხატოვანი გამოთქმაა, ექსპრესიულია, მაგრამ ის შესაძლებელია სათქმელს ერთდროულად მხატვრულადაც გადმოსცემდეს, მეტაფორულადაც და გაზვიადებულადაც:

ჰიპერბოლა მაშინაა გამართლებული, როცა ის მკითხველს თუ მსმენელს კი არ აშორებს სინამდვილეს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს, რომ მკვეთრად, ზუსტად განიცადოს და შეიმეცნოს იგი. თუ ის საგნის ან მოვლენის ხილვით თუ განცდით ზომაზე მეტად აღტაცებული, განცვიფრებული ან აღშფოთებულია, ჰიპერბოლის საშუალებით ახერხებს მკითხველშიც გადაიტანოს თავისი განწყობილება და მასშიაც იგივე განცდა და გაგება გამოიწვიოს...(ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014:204).

ჰიპერბოლურია ჩვენებურთა მეტყველებაში მოპოვებული შედარებანი: ღმერთი იმისიხო დიდია, რომ თუ უნდა, ამ **დუნიას ერთ ტყემალის, ერთ ბალის, ერთ ყავაღის ჟუერივით გააქანეფს** (ჩვენებ. 68); **ზღუები რომ მელნათ იქცენ, ხიები რომ კალმათ იქცენ, ჩემს დერდებს ვერ ასწერს** (ჩვენებ. 343); მემლექეთში **ყიაზე თოვლი მუა** მეგემ (ჩვენებ. 50), **ყიაზე მქონდა ფული** (შავშ. 371); იმფერი წოწოქაჲ გიგიკეთებიან, **კდარსაც აალაპარიკეფს** (ჩვენებ. 483); **მისი გემო ჰალა პირში მაქ**, იმფერი გემრიელი იყო (იქვე,86); **ძირში ჲოლურთი დააქციო, გეილოკვის** (მაჭახ.).

სამხრულ კილოებში დასტურდება ჰიპერბოლური მნიშვნელობის გამოთქმა, რომელიც ზედმეტ ძალისხმევას, მო-

წადინებას: **პირით რომ ჩიტი დეიკავო,** დედამთილი არ უნდარან (ჩვენებ. 138).

სათქმელი გაზვიადებულია სამხრულ კილოებში დადასტურებულ გამოთქმაში: **ისე მშია, ძაღლის ყეფა არ მეყურება** (ჩვენებ.196).

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში შვილის, მეტადრე ვაჟის დაბადებით გამოწვეული სიხარული ასე გამოიხატება: **ჯეიჰანაჲ რუმ დეიბადა, სიხარულით მიწას დავასკდით** (იქვე,190).

მწუხარება თავზე მდუღარე წყლის დასხმით გამოწვეულ სიმწარესთან ასოცირდება: **დუღარე წყალი დემერო თავზე** (იქვე, 197). ან კიდევ: **გულის კაკალით შევეხვეწოთო** და **წვერის ჩამოსმამდე გაწვიმდებაო** (იქვე).

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში განსაკუთრებით თვალში საცემია დადებითი თვისებების, სილამაზის, ფიზიკური ძალის და ა. შ გაზვიადება: დედეს, ლეზგიოღლი უსუფას, **ძმაჲ ყოლია,** ხოშორი კაცი ყოფილა, **ხასანაჲ ნალიას დაამხობდა, იმფერი იყო** (ქობ. მუჰ.12).

აქვე დაცულია მეტად იშვიათი გამოთქმა:...**ფატყუმა ნენეჲ, ფირუზა ნენეჲ დეილაპარიკებდენ, ხორთლაღი ადგებოდა** (ჩვენებ. 84).

ხორთლაღი (hortlak) თურქული სიტყვაა და ვამპირს, მოლანდებას, საფლავიდან ამდგარ მიცვალებულს ნიშნავს (ფუტკარაძე, 1993: 675).

ჰიპერბოლურობა იკვეთება მყარი შედარების მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების კვლევისას: **ისე გავძეხი, როგორც მღვდლის ცოლი - ზომაზე მეტი მივირთვი;** ,,ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ **ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს**“ (ილია).

ჰიპერბოლიზაცია კარგად ჩანს მყარ შედარებებშიც: **რომის პაპივით შეუცდომელი, ვირივით მუშაობა, ისე გავლანძღე, ხელში პური რომ სჭეროდა, ძაღლი არ გამოართმევდა...**

ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება **ლიტოტესი**, ტროპის სახეთაგანი, რომელიც ნიშნავს საგნის დამცირებულად, დაკნინებულად წარმოდგენას:

ზრდადაუსრულებელ, გამოუცდელ ადამიანს მიემართება ,,ვისრამიანში" დადასტურებული ფრაზეოლოგიზმი: **ჯერეთ სძისა და ძუძუისა სული ამოვა პირისა შენისაგან** (ვისრ. 49,8). მისი სინონიმებია **მიწას არ ასცილებია**, ნეკისოდენა.

იშვიათად გვხვდება **ბზეც: ბზის წონა** მეტად მსუბუქი, უფასური, უღირალია. ყმას სიამე საწუთროსა **წონად ბზისად აეწონა** (ნ. ციციშვ.).

თუმცა წელანაც იცოდა, რომ უკვე წყალწაღებული იყო და **ჩალასღა ეჭიდებოდა** (მ. ჯავახ.); საკომისიო მაღაზიას **ჩალის ფასად მიუგდებდა** (მ. ჯავახ); იარაღს **ჩალის ფასად ჰყიდულობენ** და საბოლოო ბრძოლისთვის ემზადებიან (მ. ჯავახ.).

აქვე უნდა დავასახელოთ **ჭიან ტყემლადაც არ აგდებს** (არაფრად აგდებს).

ამგვარ გაგებას შეიცავს ბევრი სომატური ფრაზეოლოგიზმი, რომლებიც სივრცის გარკვეულ დანაწევრებაზეც მიგვითითებს: **ხელის გაწვდენაზე, ყურის ძირში, ცხვირწინ, გვერდით, ერთი ფეხის გადადგმაზე (ერთ ნაბიჯზე) და სხვ.**

ლიტოტესის ნიმუშებია: **ფხალისდენი არ მიყვარს, ისე პაწაწა, კვერცხი არ გადაბრუნდება** (იმერხ. 252).

ენაში იკვეთება ეტალონები, თუ რას უნდა შეადარონ უმცირესი ან უდიდესი საგანი. ს. ომიაძის მიხედვით, ,,ეტალონი არის ის, რითაც ხატოვნად იზომება სამყარო. ის სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე არსებულ ნორმატიულ წარმოდგენათა გამოვლენაა – ბუნების მოვლენათა, საზოგადოების, ადამიანისა და მათი თვისებების შესახებ. ეტალონი ფარულად შეიცავს პრესკრიფციას და ზემოქმედებს შერჩევითობასა და შეფასებაზე. ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში **რწყილს გაატყავებს ან რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებსო**, რწყილი ზომის უმცირესი ,,ერთეული და ამიტომ არის შერჩეული და არა სხვა თვისების (ხტუნავს, იკბინება) გამო. ის სიმცირის ეტალონად არის მიჩნეული" (ომიაძე, 2006: 178).

თავი VII.

ფრაზეოლოგიზმთა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი

VIII.1. კონცეპტი სიკვდილი ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში

სიკვდილის სემანტიკა უნივერსალურია მრავალი ხალხის ენობრივ ცნობიერებაში, მაგრამ ყოველი ნაციონალური კულტურა უნიკალურს ხდის მას.

,,კაცობრიობის დამოკიდებულება სიკვდილისადმი, როგორც ყოფის კონცეპტუალური მომენტისადმი, შეიძლება იყოს საუკეთესო საშუალება, გასაღები სხვადასხვა ეთნოსის კულტურული მსოფლხედვის გასარჩევად. წარმოდგენა სიკვდილზე უნივერსალურია მრავალი ხალხის სამყაროს ენობრივ სურათში, თუმცა ყოველი ნაციონალური კულტურის (რწმენა, ტრადიცია, რიტუალი, წარმოდგენა და ა. შ.) თვითმყოფადობა განაპირობებს თითოეული ეთნოსის ენობრივი ცნობიერების უნიკალურობას" (კიკონიშვილი, აბალაკი, 2010: 86-87).

დ. თევზაძე წერს: ,,ყოველგვარი კულტურა სიმწიფის მაუწყებელია, თუ როგორ აჰყვება იგი სიკვდილის როკვას..... ვინ ნახა ჭეშმარიტი როკვა სიკვდილისა? ვინ დაიჭირა საშინელი სახე სიკვდილისა? ვინ ჰკრიფა მასთან ერთად ყვავილები? D Danse Macabre - რა არის ეს გვემა ჩვენი თუ ხსნა ჩვენი? ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს სიკვდილი, რომ არ დაუხურდავდეს სითბო, არ ჩაკვდეს, არ ჩაიფერფლოს.... როკვის არსი სიცოცხლის დასასრულია, ნეშტი მტვრად იქცევა, მტვერი - მიწად, მიწა სიცოცხლეს კვებავს ისევ..." (თევზაძე, 1993:7).

ავტორის აზრით, ქართული აზროვნება ოდნავ სხვანაირ სიკვდილს იცნობს: წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილის გზა **ვარდისფერ გზად ვერ გადაიქცეოდა,** როკვა - სიმღერად, ხოლო სიკვდილი - **მეფურ ძილად** (თევზაძე, 1993:9).

ც. ლაგვილავა შეისწავლის კონცეპტ სიკვდილის საკითხს ქართულში, რუსულსა და თურქულში. ,,საკვლევ კულტურებში, ისევე, როგორც კულტურათა უმრავლესობაში, სიკვდილი განიხილება, როგორც დიალექტიკური მთლიანობა, ერთიანი სამყაროს ორი ნაწილი, რომელთა შორის არსებობს გარკვეული კანონზომიერი კავშირი. მიუხედავად რელიგიათა და იდეოლოგიურ სისტემათა მრავალფეროვნებისა, არსებობს სიკვდილის შემდეგ არსებობის შესაძლებლობა, თუმცა მისი გაგრძელება განსხვავებული კულტურების მიერ არაერთგვაროვნად არის გაგებული. მაგალითად, ინდუიზმის სულთა გრადაციის თეორიის მიხედვით, ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზით, მისმა სულმა შესაძლოა სხვადასხვა იერარქიული ღირებულების მოვლენაში ჰპოვოს განხორციელება. აღნიშნული ეთნიკური ფაქტორი რელევანტურია ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიებისთვისაც, რომლებიც სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ჯენნეთისა და ჯერნემის ოპოზიციებს გამოყოფენ და ადამიანის ,,პერსპექტიული დისლოკაციის" ადგილს ასევე მის ამქვეყნიური ცხოვრების შინაარსს უკავშირებენ.

სხვადასხვა კულტურაში ,,აქტუალურია ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყაროს ოპოზიცია და მათ შორის კავშირის არსებობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კავშირი არ არის მონოვექტორულად გაგებული და დასაშვებია ორმხრივი მოძრაობის შესაძლებლობა" (ლაგვილავა, 2016: 24-25).

თ. შავლაძე ადარებს რა სიკვდილის ფენომენის აღქმას ქართულ და ანგლო-ამერიკულ კულტურებში, ასკვნის: ,,მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს რადიკალურად განსხვავებულ კულტურებთან, შეინიშნება აშკარა მსგავსება ამ კულტურის წარმომადგენელთა სიკვდილთან მიმართებაში. ეს გასაგებია, რადგანაც არსებობს უნივერსალური ადამიანური ფასეულობები, რომლებსაც ყველა კერძო კულტურა თავისი პრიზმიდან აღწერს, თუმცა ხშირად ხდება კონცეპტუალური თანხვედრა დაშორებულ და განსხვავებულ კულტურებს შორის" (შავლაძე, 2013: 17).

როგორც ზემოთ ვნახეთ, სიკვდილი ქართულ დისკურსში უკავშირდება შემდეგ კომპონენტებს: სული, მზე, მიწა, დღე, წუთისოფელი.

სიკვდილის მოაზრება უკავშირდება რწმენა-წარმოდგენებს (სულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები), ასევე კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს (შაბზე წასვლა, მარილზე წასვლა).

სულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები სიკვდილს გამოხატავს ქართულშიც და თურქულშიც: გვაქვს გამოთქმები: სულის წასვლა, სულის მიცემა, სულის განტევება: Gani gelirim (მამულია, 2006: 71), ruhunu teslimetti (იქვე, 254).

ქართულისა და თურქულისთვის საერთოა სიკვდილის სემანტიკის **დღესთან** დაკავშირებაც (კიკვაძე, ცეცხლაძე,2010:186). გვაქვს **დღის დალევა, დღის დაბნელება**

უწინამც **დღე** კი **დამელევა** მე (ნ. ბარათ.), ქართველები მტერს **უბნელებდნენ დღეებს** (რ.ერისთ.).

აქვე უნდა აღინიშნოს იმ განსხვავების შესახებაც, რომელიც ამ ორი ხალხის მენტალობაში არსებობს. ქართველისთვის სიკვდილი დღის დალევაა, თურქისთვის- **დღის ავსება:** gününü doldurdu (მამულია, 2006: 151).

დროული სიკვდილის გადმოსაცემად ქართველ კაცს არაერთი ფრაზეოლოგიზმი მოეპოვება: **თავის პური მოუჭამია,** დღეიდან აღარც ავად არგია საზოგადოებას და აღარც კარგად (აკაკი); მე **ჩემი წუთისოფელი უკვე მოვჭამე** (ვაჟა); ამ ქვეყნისა არა ვარ, ცხოვრების **შულო ამოვახვიე** (შ. გულისაშვ.), **ჩემი კალო გალეწილია,** ჩემი წილი **ერბო დაქცეულია.** აჭარულში გვაქვს გამოთქმა **ჩემი ქეტო გალეულია** (ნოღაიდელი, 2007: 12).

თურქულ ენაში მსგავსი შინაარსი შემდეგნაირად გადმოიცემა: მის **კანდელს ზეთი გაუთავდა, მისი დავთარი დაიგრაგნა** (მამულია,2006: 186, 89).

ორივე ენისთვის მსგავსია მოაზრება დროის კონცეპტის გამოყენებით: **მისი დრო მოჭამა** (ქართ.), **მისი ვახტი ათავდა** (თურქ.).

სიკვდილის სემანტიკა სამხრულ კილოებში უკავშირდება **ფეხსაც:** მუშაობ, მუშაობ და ბოლოს **გეიჭიტინეფ ფეხის თი-**

თებში (ნოღაიდელი, 2007:15) (შდრ. აჭარ.: **გეᲔჭიტინეფ ცერა თითში**).

ზემოთ დავასახელეთ ფეხების გაფშეკა, რომელიც ასევე დისფემიზმია ამავე სემანტიკური ველისაა ქართულისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმები: **ჭირის მოჭმა** და **ჭირის წაღებაც. წაღებასვე** უკავშირდება **წერილის წაღებაც.** საინტერესოა ასევე **ჩაბარდა პატრონს; მაგ.:** ღმერთს რომ კაცისთვის ძაღლია რ გაეჩინა, დიდი ხნის წინ **ჩაბარდებოდა პატრონს** (ო. იოს.).

სიკვდილის მოახლოება აჭარულ დიალექტში ასე გამოიხატება: ორი პარასკევი დარჩენია, **წერტილზე დგას:** ორი პარასკევი დარჩენია, მარა მაგის გაჩერება მაინც არაა (ნოღაიდელი, 2007: 25), მე რაღა'ნა გითხრა, **წერტილზე ვარ** (იქვე, 34).

საინტერესოა ჩვენებურთა მეტყველებაში დადასტურებული ფრაზეოლო-გიზმი: **მიწის სული უდის: მიწის სული უდიან,** იმფრათ დაბერებუ-ლან (ჩვენებ.141). ლაზურში გვაქვს **მიწის სუნი მისცემია** (მემიშიში, 2015:115).

მეტად საინტერესოა ამავე სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი **ლობიაᲓს სული უდის** (ე. ი. მალე მოკვდება და მის ქელეხზე ლობიოს გააკეთებენ).

არანაკლებ საინტერესოა ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტუ-რებული **სული ღენკავს:** ერთი ბერია, **სულმა ღენკავს** (ორდ.225).

ქვემოთ (ლოგოეპისტემებში) განვიხილავთ ამავე სემანტიკის ზოონიმურ გამოთქმას **ცხვარი ფეხზე ჰყავს მოკიდებული.** უკვე დავასახელეთ **მზის ჭრელად დანახვა.**

VIII.2. ლოგოეპისტემები

ეთნოსის ფონური ინფორმაცია ყველაზე კარგადაა შემონახული ხატოვან სიტყვა-თქმებში. სწორედ ისინი გვიქმნიან სრულ წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის შესახებ, რამეთუ შეიცავენ უტყუარ ცნობებს მსოფლგაგების შესახებ, მოკლედ, ისინი ნათლად გამოხატავენ ნაციონალურ რეალიებს.

ფრაზეოლოგიზმები ინახავენ ინფორმაციას ამა თუ იმ ხალხის მატერიალურ-კულტურული მიღწევების, სულიერი ფასე-

ულობების, ყოფა-ცხოვრების, რწმენის, ტრადიციების, მსოფლგაგების შესახებ. მათში დაცულია ისტორიული ფაქტები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები ყოველივე ამას რეალიებს უწოდებენ. მათში დაუნჯებულია ერის მსოფლხედვა, ისინი საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კონცეპტუალური სისტემის, ეროვნული სამყაროს კულტურული ხატია.

,,სწორედ ამ ტიპის მყარი შესიტყვებებით ენის მიერ მარკირებულია ეთნოსის ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ყოველი სფერო: სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, საოჯახო ყოფა, ნათესაური და სოციალური ურთიერთობები, ჩვეულებითი სამართალი, ხალხური მმართველობის ფორმები, ეტიკეტი, რწმენა-წარმოდგენები, და ა.შ.“ (აზმაიფარაშვილი, 2014:8).

ამ ნიშნით უპირისპირებენ ამგვარ ფრაზეოლოგიზმებს იდიომებს, რომელთა არსებითი ნიშანიცაა მეორეული ნომინაცია და ექსპრესიულობა (აზმაიფარაშვილი, 2014:8).

,,ერის კულტურა, სულიერი წყობა, ისტორია კარგად წარმოჩნდება ხატოვან გამოთქმებში. საქმე ისაა, რომ ე. წ. ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას“,– წერს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997: 89).

ლოგოეპისტემების სპეციფიკა ისაა, რომ ისინი ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის ერთიანობას წარმოადგენენ და შეიცავენ როგორც ენის, ასევე კულტურის სეგმენტს. ლინგვოკულტურემა წარმოადგენს ერთგვარ კოდს, თავისებურ მატრიცას, რომელიც ასახავს აზროვნების წესს, წარმართავს მენტალური და ენობრივი რეპრეზენტაციების შინაარსსა და ფორმას.

,,ფრაზეოლოგიზმი და იდიომი ენობრივი ცნობიერების პროდუქტია და ყველაზე ნაციონალურად გამოხატავს ობიექტურ სინამდვილეს. ობიექტური რეალობა მეტაფორიზაციის შედეგად ხატოვნად გადმოიცემა ,,შინაფორმით.“ იგი მის ცნობიერებაში აირეკლება, როგორც ენობრივ მოცემულობაში

დამკვიდრებული სამყაროს შესაძლო ხატი, რეალია, ფრაზეოლოგიზმები და იდიომები წარმოადგენენ სამყაროს ვერბალური გააზრებისა და ლინგვოკრეაციული აზროვნების ერთ-ერთ გამორჩეულ საშუალებას (გამყრელიძე, 2010:63).

,,იდიომის შინაგანი ფორმა არის ასოციაციურ-ხატოვანი მოტივირებული კომპლექსი, რომელიც აყალიბებს შინაარსს ენაში" (სურგულაძე, 2003:5).

ჩვენი კვლევის მიზანია ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც ჩანს ისტორიული მოვლენები, ტრადიციები, რწმენა და ა. შ. ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები. მიუთითებენ, რომ იმ ფრაზეოლოგიზმების შესწავლა, რომლებიც მიემართებიან ექსტრალინგვისტურ ფაქტებს, იძლევა საშუალებას, შევისწავლოთ გარემო, სადაც ეს ფრაზეოლოგიზმები ჩაისახა და განვითარდა და ყოველივე ამის გათვალისწინებით მივადევნოთ თვალი ფრაზეოლოგიის სფეროში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ექსტრალინგვისტური ფაქტის იდიომად გარდაქმნის გზებს (აზმაიფარაშვილი, 2014:9).

I. ხატოვან სიტყვა-თქმებში დაცულია ისტორიული ფაქტები და კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები: **ეგ არის და გორის ციხე** (გორის ციხესავით მტკიცე, უძლეველი), **კაკას ხიდი გაიარა** (კვალწმინდად დაიღუპა – ქვემო იმერეთიდან კაკას ხიდით გაჰყავდათ ტყვეები), სინონიმურია ფრაზეოლოგიზმი- **ჩაილურის წყალი დალია, აქედან და ახალციხეო** (ახალციხე სიშორეს აღნიშნავს), **ბევრჯერ გაიხედავ საქარიას ქედზეო** (ამაოდ ელოდები რამეს უშრომლად, საქარია არის ქედი დიღომთან, სადაც თავს იყრიდნენ ზარმაცები, უქნარები), **მტკვარი ვერ გარეცხავს**. მტკვარი აქ დიდ წყალს ნიშნავს, კონკრეტულ კუთხეში მას აქვს სტრუქტურული ვარიანტები: **ჭოროხის//ჩაქვის წყალი ვერ გარეცხავს.**

გავრცელებული გამოთქმებია ჭოროხი ვერ გარეცხავს, **აჭარის წყალი ვერ გარეცხავს:** მაგას იმფერი ყუსური აქ, **აჭარის წყალი ვერ გარეცხავს** (ჩვენებ.).

ჩაილურის წყლის დალევა უკვალოდ, უიმედოდ დაკარგვას, ხელიდან წასვლას რისამე მორჩენას, მალე გათავებას ნიშნავს...

„ჩხუბს, ლანძღვა-გინებას **ჩაილურის წყალი დაელია,** მათ მიდამოს არ იბადება შხამი და ბოროტი (ვაჟა).

ჩაილური პატარა სოფელია ქიზიყში, სოფ. მატაანთან (გარეკახეთი) ჩამოდის პატარა, ღრმაკალაპოტიანი, მაღალნაპირებიანი მდინარე – ჩაილურის წყალი. სოფლები მას სარწყავად ვერ იყენებდნენ.

ძველად შიდა კახეთიდან მოპარულ საქონელს ქიზიყში გასასაღებლად რომ ნამოასხამდნენ ქურდი ლეკები, თუკი ჩაილურის წყალზე გადაატარებდნენ, უკვე სამშვიდობოს ეგულებოდათ თავი, პატრონების დევნის აღარ ეშინოდათ.

თვითონ სიტყვა **ჩაილური** თურქულია, **ჩაი** – წყალი და **ლული** – დენა, მდინარე წყალი ანუ მდინარე. ამრიგად, ქიზიყში მოპარულ საქონელს თუ მდინარე ჩაილურზე გადაიყვანდნენ, მას ვეღარ იპოვიდნენ.

II. აქ შემონახულია ცნობები კონკრეტული პიროვნებების შესახებაც:

გაგუნაანთ დერეფანი გახდა, იტყვიან, როცა რამე საქმეს დასრულება არ ეღირსება მაგ: „საქმე გაგუნაანთ დერეფანი გახდა სწორედ! ამდენი ხანია დასრულება კი არ ეღირსა.

თელავში ვინმე გაგუნაშვილი ყოფილა, სახლის დერეფნის კეთება დაუწყია, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩენია ბოლომდე. თელაველები ბოლომდე მიუყვანელი საქმის გამოსახატავად ამ ფრაზას იყენებდნენ (სახოკია, 1979: 66).

გათავდა ბუხუიას პურობა - დაუსრულებელ რამეს ბოლო მოეღო. ბუხუია მეგრელი ყოფილა, მან პურობა გაუთავებელი იცოდა (სახოკია, 1979: 68).

ანალოგიურია ციციაანთ სუფრა – უპურობა, **ციციაანთ დავა** – დაუსრულებელი დავა.

აქვე უნდა დავასახელოთ **ცენტერაძის მონაზონიც.** ცენტერაძის მონაზვნის ვინაობა დაჩრდილულია, თუმცა ამ გამოთქმას ხმარობენ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ყველას დარდობს, განურჩევლად ყველას ამბავს განიცდის. ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეულების კულტურული ინფორმაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული დენოტატის პარამეტრთან, სწორედ დე-

ნოტატია კულტურული ინფორმაციის მატარებელი. მაგრამ კულტურული ინფორმაცია ფრაზეოლოგიზმთა დიდ ნაწილში ხატოვან-ემოციური გზითაც ვლინდება და ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეულების შექმნის მთავარი საფუძველი სახეა. როგორ შეიძლება ჩნდებოდეს ამგვარი ფრაზეოლოგიზმები? ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად რაღაც პროტოტიპულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ამ სიტუაციას შინაარსი უკავშირდება, რომლის ახლებური გააზრიანება ხდება, ანუ ყალიბდება ფრაზეოლოგიური ერთეული პროტოტიპული სიტუაციის თავდაპირველი სიტყვების შინაარსის საფუძველზე, ასე ჩნდება შინაგანი ფორმა, რომელიც შეიცავს კულტურასთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას (Маслова, 2001:84).

ლაზურში გვაქვს: **სულთან ჰემიდის ხმალი ახლა გახდა ატამი** (სულთან ჰემიდიში კამა აწი დიყუ ანტამა. ეს გამოთქმა ისტორიულ ფაქტთან, სულთანის ძლიერების დაცემასთან არის დაკავშირებული. შემდეგ ფრაზეოლოგიად იქცა და აღნიშნავს, შენი დრო წავიდაო (ვანილიში, 2010: 150).

მიაჩნიათ, რომ ,,ფრაზეოლოგიზმის თვით ჩამოყალიბებაში, ანუ სახეების შერჩევაში ჩანს მათი კავშირი ეროვნულ-კულტურულ სტერეოტიპებსა და ეტალონებთან: **ალჩუზე კოჭი უჯდება** ნიშნავს, რომ ბედი სწყალობს, იღბალი აქვს. ფრაზეოლოგიზმში აღწერილია სიტუაცია, როცა სათამაშო კოჭი ზედა, ოდნავ ამოღარულ ნაწილზე (ალჩუზე) ჯდება, რაც თამაშის დროს წარმატებას ნიშნავს. იმავე

მნიშვნელობისაა **დუშაში მოუვიდა,** აქაც სიტუაცია ნათელია, ასევე **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა,** ანუ ხელი მოეცარა, მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ სანამ ფრაზეოლოგიურ ერთეულად იქცეოდა გამონათქვამი, ის რეალურ სიტუაციას აღწერდა (ომიაძე, 2006: 176).

ტყუილი, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი გადმოიცემა შემდეგი გამოთქმით: **აქედან და აშურიანიო** „შენი ნათქვამი, ჩემო ძმაო, რომ იტყვიან–აქედან და აშურიანიო! სწორედ ის არის მეტად მიკიბულ-მოკიბული და სიმართლეს ძალიანაა დაშორებული: შორავს, გირჩევ, მოკლედ მოსჭრა.“

აშურიანი დიდი საერისთავოა გორს ქვემოთ, მტკვრის ქვემოთ მტკვრის მარცხენა მხარეს. აშურიანი სიშორის სინონიმად დარჩა მტკვრის მარჯვენა მხარის მცხოვრებთათვის.

თუ ვინმე სიმართლის თქმის ნაცვლად მიკიბ-მოკიბვას შეუდგება, ეტყვიან **აშურიანზე ნუ წახველიო.**

III. ხატოვან სიტყვა-თქმებში დაცულია გარკვეული მორალი და ზნეობრივი ღირებულებანი: **მანდილის//ლეჩაქის მოხდა** (ქალის მიერ ნამუსზე ხელის აღება), **ულვაშის აწევა//მოპარსვა** (შერცხვენა), **ჩაქოლვა** (ჩაქვავება), **თავზე ლაფის დასხმა** (შერცხვენა), **პირშავი** (შერცხვენილს პირზე მურს სცხებდნენ), **ყურმოჭრილი მონა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, არ ეხახვება.**

არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ,,კულტურული ინფორმაცია ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაფორმაში ინახება, რომელიც სამყაროზე ხატოვან შეხედულებას წარმოადგენს და ფრაზეოლოგიზმსაც კულტურულ-ეროვნულ კოლორიტს ანიჭებს“ (Маслова, 2001: 82), მაგალითად, ყვავი ჩხიკვის მამიდა, ცენტერაძის მონაზონი, ენას მოიქარგავს, ჩიტს მოწველის, კუდა აზნაური, კერკეტი კაკალი, კუტი პური, ჭერი გააცინა, ყანწის ტრიალი ...ეტიკეტის ხასიათის: თავპატიჟის გამოდება, წითელ კვერცხს უგორებს და სხვ., მათ შორის მითოლოგიური წარმოშობის: **ადგილის დედა, ფუძის ანგელოზი, ჰაერის მცველი (სულები), ქრისტეს ბოსტანი, უკვდავების ყურძენი, მაისის წყალი, წითელ კვერცხს უგორებს.**

,,კულტურის მთლიანობა გულისხმობს კულტურის სტერეოტიპთა, ანუ სამყაროს ზოგადი სურათის სტერეოტიპთა შემუშავებას. ესენია: მიზანდასახულობის, ქცევის, აღქმის, გაგების, ურთიერთობისა და სხვ. სტერეოტიპები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ქცევის სტერეოტიპი, რომელიც შეიძლება რიტუალშიც გადადიოდეს“ (Маслова, 2001: 111).

გამოთქმა: **ვერაფერს დამაკლებ.** ამავე სემანტიკისაა: **ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრი. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა** – ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე.

ყურებზე ხახვის დაჭრა ისტორიულ მოვლენას უკავშირდება. ძველად გაბატონებული იყო ერთმანეთის მოსარევად

ფიზიკური ძალმომრეობა. სუსტი და უძლური ძლიერს ეჭირებოდა მსხვერპლად, მონებს აჭრიდნენ ყურს, რადგან ყური ისეთი ორგანო იყო, ფიზიკურ მუშაობას ხელს არ უშლიდა, ნამოსული სისხლის შესაჩერებლად და სადეზიფენქციოდ ყურებზე ხახვს აჭრიდნენ (სახოკია, 1979: 725).

თავზე ნაცრის დაყრა გლოვა, მწუხარება, თავის შერცხვენა, დამცირებაა.

ეს გამოთქმა მომდინარეობს ძველი ჩვეულებიდან: გლოვის ნიშნად ნაცარში გორვისა და თავზე ნაცრის დაყრიდან. ბ. ჯორბენაძე წერს: ,,საფუძველი არის ის, რომ ქმრის გარდაცვალებისას მის ცოლს ცეცხლში წვავდნენ. ამ წესის გადავარდნის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა სიმბოლურმა თვითდაწვამ. ადამიანს წვავდნენ დანაშაულის დროსაც, შემდეგ ეს წესი თავზე ნაცრის დაყრით შეიცვალა" (ჯორბენაძე, 1997: 91).

თავზე ნაცრის დაყრა უკავშირდება სამეგრელოს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნემდე ჩვეულებად ჰქონდათ, როცა ცოლს ქმარი მოუკვდებოდა, კერიის პირას უნდა დაწოლილიყო და თავზე ნაცარი დაეყარა. ნაცრის თავზე დაყრა თავის დამცირებას ნიშნავდა და ეს მეტად სამარცხვინო იყო და ღვთის განსარისხებელ საქმედ მიიჩნეოდა (სახოკია, 1979: 223).

აქვე უნდა დავასახელოთ **პირზე მურის ცხებაც:** ძველად ქართლში დამნაშავეს პირს მურით უთხუპნიდნენ. ხატოვნად ეს გამოთქმა ნიშნავს ვისიმე უსინდისობას, უსირცხვილობას, ღალატს.

პირშავი (მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამასთან პირშავია (ილია). ძველად საქართველოში სოფლის თავკაცები დამნაშავეს პირზე მურს სცხებდნენ. დამნაშავე ყველას წინაშე აღიარებდა თავის დანაშაულს, თავის პირშავიანობას და პირნათლებში ვერ გაერეოდა (სახოკია, 1979: 499).

თავზე ლაფის დასხმა გალანძღვა, გაწბილება, შერცხვენა, საქვეყნოდ შეურაცხყოფა: სოფელი ძალიან არის აღშფოთებული, ამბობენ, მოვაშთობთ და **თავს ლაფს დავასხამთ** ბაბალესაც და მღვდელსაცო (ვ. ბარნ).

„ძველად ადამიანს უზნეობისათვის მთელი სოფელი ასამარებდა. მხცოვანნი და სოფლის თავკაცნი საყოველთაოდ დაადასტურებდნენ დასასჯელის დანაშაულს. ისინი დაგმობდნენ დამნაშავეს და გადაწყვეტდნენ, თავს ლაფი დავასხათო. ჯერ ქუდს ან მანდილს მოხდიდნენ დამნაშავეს, თუ წვიმა არ იყო და ლაფი არ იშოვებოდა, მინას წყლით აზელდნენ, ვირზე უკუღმა შესვამდნენ მას და თავზე ლაფს დაასხამდნენ. ეს წეს-ჩვეულება ჯერ კახეთში გადავარდა, იმერეთში გაცილებით ადრე მოიშალა, მაგრამ ხატოვანი გამოთქმა დარჩა“ (სახოკია, 1979: 221).

აქვე უნდა დავასახელოთ **თავს შემოვლება, ქადაგად დაცემა, კვერის დაკვრა** (აზმაიფარაშვილი, 2014:8).

IV. ზოგ ფრაზეოლოგიზმში დაცულია ცნობები ხალხური მედიცინის შესახებ: **ყურებზე ხახვი არ დამაჭრა** (სადეზინფექციოდ ხახვს იყენებდნენ), **ბალბა არ მომიხარშო, თავზე ბალბა დავადე** –დავამშვიდე (ქართლ-კახეთში ჭრილობის მოსარჩენად ავადმყოფს მოხარშულ ბალბას ადებდნენ.

თავზე ბალბა დავადე- გაბრაზებული დავამშვიდე.

V. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შემონახულია რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებანი თუ ტრადიციები: **ხორცისა და სულის გაყრა, სულის განტევება** (სიკვდილი), **ცხვარი ფეხზე ჰყავს მოკიდებული - მომაკვდავია,** მალე მის ქელეხში ცხვარი დაიკვლება (აღმოსავლეთი საქართველოს წეს-ჩვეულება), **შენი ლავაში დავხიე (ასევე აღმოსავლეთ საქართველოს წეს-ჩვეულება), ჭერის ახსნა, გულქართლი** (იგულისხმება ქართლის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა); **შაბზე წავიდა//მარილზე წავიდა** (გარდაიცვალა).

იდეალისტურ ფილოსოფიაში სული წარმოდგენილია, როგორც არამატერიალური საწყისი, დასაბამი, ბუნების საგნებისა და მოვლენების მამოძრავებელი ძალა. რელიგიურად სული ადამიანის არსებობის ღვთაებრივი მხარეა, რომელიც უპირისპირდება სხეულს (ხორცს) იმით, რომ იგი უკვდავია.

ქრისტიანული რწმენით, იგი საიქიოში განაგრძობს არსებობას. სიკვდილის სემანტიკის ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში უხვადაა სულ- კომპონენტიანი იდიომები. ისინი დასტურდება

როგორც ძველ ქართულ ტექსტებში, ისე თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში:

სიკვდილის მოახლოების ამსახველი ფრაზეოლოგიზმებია: დედა მომიკვდა, მამა **სულზედა მიძეს** და ვსტირი მუდამ სულ ზედა (დ. გურ.), საწყალი მაგი მამა რომ **სულს ებრძოდა**, მე იქ ვიყავი (ს. მგალობ.).

ვაჟა წერს: ხევსური მიცვალებულს დიდის ამბით მარხავს. როცა სნეული დაუწყებს **სულ ბრძოლას**, ე. ი. სიკვდილისკენ პირს მიიღებს, ხევსური სხეულს გარედ გამოიტანს, რომ სული გარედ დალიოს (ვაჟა-ფშაველა).

მარილზე წასვლა, მარილზე გაგზავნა აღზევანს სიკვდილს გამოხატავს და უკავშირდება კონკრეტულ ფაქტს. საქართველოში საკუთარი მარილის საბადოების უქონლობის გამო ადამიანები აღზევანში მიდიოდნენ მარილის მოსატანად. შორი გზა ხიფათიანიც იყო. ოსმალები ძარცვავდნენ მათ და ხშირად ხოცავდნენ კიდეც. მარილზე წასვლა და უკან დაბრუნება მეტად საეჭვო იყო.

ქვემო სვანეთში მარილი ხონიდან აჰქონდათ. გზა ცხენისწყლის ხეობით ჩადიოდა და მეტად სახიფათოც იყო. მარილზე წამსვლელთაგან ბევრი იღუპებოდა, ამიტომაც თქმა **ხონში მარილზე წასვლა** გადაიქცა სიკვდილის სინონიმად. ვინმე რომ მოკვდებოდა, იტყოდნენ: „ აჩად ჯიმთ ხონთე“,– ხონში მარილზე წავიდაო.

სინონიმურია შაბზე წასვლა. ძველად ტყავეულობის დასამუშავებლად შაბი განჯიდან მოჰქონდათ. განჯიდან 12 კმ. მანძილზე დღესაც არის შაბის საბადოები. ქართლიდან აიყრებოდა მთელი ქარავანი ურმებისა, ზოგჯერ 60-80 კაცი მოიყრიდა თავს. ყველანი შეიარაღებული იყვნენ, აზერბაიჯანში უხვდებოდნენ ყაჩაღები, რომლებიც შაბზე წამოსულთ ძარცვავდნენ და ხშირად ხოცავდნენ.

ცხვარი ჰყავს ფეხზე გამობმული – მალე მოკვდება: ბებერი, საცა მოკვდება, მალე მისი ქელეხი გაიმართება. მაგ: „იმას რას უყურებ! ვერა ხედავ ბებერი ცხვარი ფეხზე ჰყავს გამობმული!“

აღმოსავლეთ საქართველოში: სადაურიცაა ეს თქმა, ვინმე რომ მოკვდებოდა, ქელეხს უმართავდნენ, იკვლებოდა საქონელი და განსაკუთრებით ცხვარი. ასეთი ცხვრის დაკვლა და ქელეხის ჭამა მოსალოდნელი იყო მაშინ, როცა კაცი ბებერი იყო და როგორც ამბობდნენ ხოლმე, წინ ორი პარასკევი არ ედო: თავი უნდა დაეკრა სააქაო ცხოვრებისათვის (სახოკია, 1979: 820).

მეტად საინტერესოა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი **ხელის დაბანა** – ამ გამოთქმის წარმოშობაზე სახარება შემდეგს მოგვითხრობს: პილატემ რაკი დაინახა, რომ ვერაფერს შველის, არამედ უფრო იზრდება შფოთი, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე **დაიბანა ხელები** და თქვა: მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლში. თქვენ იკითხეთ (მ. 27,24).

რომის პროკონსულმა პონტოელმა პილატემ უარი თქვა ქრისტეს გასამართლებაზე და სხვებს მიანდო მასთან ანგარიშსწორება, ხალხს განუცხადა, „არა ვარ მონაწილე სისხლის დაღვრისაო" და ამ სიტყვების წარმოთქმისას მან ხელებზე წყალი გადაისხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ წმინდა, უცოდველი იყო ამ საქმეში, ფიგურალურად ეს გამოთქმა ნიშნავს მოხსნას.

ხელების დაბანა შემდეგ მეტაფორად იქცა და ნიშნავს ბრალიდან გამოსვლას, ბრალის თავიდან მოხსნას, თავიდან აცილებას. ბრალმდებელნი ხელებს დაიბანდნენ, ე. ი. წყალს გააყოლებდნენ ხოლმე იმ ბრალს. თუ ზღვის წყალი არ ექნებოდათ, წყალში მარილს ჩაყრიდნენ. კათოლიკეთა ეკლესიაში დღესაც ხმარობენ მარილიან წყალს.

ამრიგად, ხატოვანი სიტყვა-თქმებიდან ვეცნობით ნაციონალურ რეალიებს, რომელთა მეტაფორული გადააზრიანებითაც მივიღეთ ექსპრესიული ფუნქციების მქონე ენობრივი ერთეულები.

VIII. 3. კულტურათა დიალოგი ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიური ვარიანტების მიხედვით

ფრაზეოლოგიზმების შესწავლა მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური და მენტალური თავისებურებების შესწავლასაც გულისხმობს. გლობალიზაციის ეპოქაში აქტუალურია კულ-

ტურათა დიალოგისკენ სწრაფვა, რის გამოც მძაფრდება ამა თუ იმ ეთნოსის კულტურული იდენტობის შესახებ მეცნიერული ცოდნის მოპოვების სურვილი. თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტად აქტუალურია კულტურათშორისი კომუნიკაციების კვლევა. ამ უკანასკნელის მიღწევა კი სხვა ენასთან შედარების გარეშე შეუძლებელია. თანამედროვე მსოფლიო პროცესები და უშუალო მეზობლობა განაპირობებს ქართველი და თურქი ხალხების მზარდ ინტერესს კულტურათა დიალოგისადმი.

ამ ორ ხალხს ერთმანეთისაგან განსხვავებული ისტორიული წარსული, სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე, კულტურა, მენტალობა აქვთ. ხალხის ეთნოფსიქოლოგიაზე გავლენას ახდენს ტრადიციები, გარემო და თანამედროვე ყოფა.

ჩვენი კვლევის საგანია ქართულ და თურქულ ფრაზეოლოგიზმთა შედარებითი ანალიზი. ამ ორი არამონათესავე ენის სიტყვათა მყარ შეხამებებში იკვეთება ეროვნული მენტალობის თანხვედრაცა და ერთგვარი სხვაობაც.

ერთი მხრივ, ფრაზეოლოგიზმებში დალექილია ისტორიული ფაქტები, მატერიალურ-კულტურული მიღწევები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროები, იმალება გარკვეული მორალი, კულტურული ღირებულებანი, მაგრამ მეორე მხრივ, ,,არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მსგავსება, ის საერთო, რაც აშკარად ახასიათებს სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიზმებს. ეს საერთო შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად“ (მამულია, 2006: 9).

სხვადასხვა ხალხი მხოლოდ მშობლიური ენის პრიზმაში გავლით აღიქვამს სინამდვილეს. ,,ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. იმის გამო, რომ ენათა სტრუქტურები განსხვავებულია, განსხვავებულია მათი მსოფლხედვაც“ (ჯორბენაძე, 1998: 22).

ფრაზეოლოგიზმებში ნათლად ჩანს უნივერსალურიც და ეროვნულიც. საკითხის კვლევის ერთ-ერთი ასპექტია თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება. სამხრული მეტყველება იძლევა ყველაზე მდიდარ და საინტ-

ერესო მასალას, როგორც ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

ჩვენი კვლევის საგანია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ქართულსა და თურქულში ქმნიან ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს. მათ აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთი ან ორი კომპონენტით. მათ შორის შეიძლება იყოს სტილისტიკური განსხვავებაც.

დამახსოვრება ანუ გონებაში ჩაბეჭდვა – Aklina koydu (მამულია, 2006:30) თურქულში გადმოიცემა **თავში//გონებაში/ ჩადება** ფრაზეოლოგიზმით. იგი ნიშნავს **გადაწყვეტასაც, აჩემებასაც.** სამხრულ კილოებში კი მხოლოდ **დახსომების** მნიშვნელობით გამოიყენება. **გონებაში დადება** გვხვდება სინურ მრავალთავშიც, სადაც ამავე მნიშვნელობით დასტურდება **გულში დადებაც**: წმიდასა მას ქალწულსა დაემარხნეს სიტყუანნი ესე და **დაედვა გულსა თჳსსა** (sin.16,35); **დაიდევ გონებასა შენსა** და გიჩუენო შენ (იქვე,66,15).

ქართულში **შეძულება** გადმოიცემა **გულიდან ამოიღო, გულიდან ამოირეცხა, გულიდან ამოიხოცა, გული გაუგრილდა** ფრაზეოლოგიზმებით.

სიყვარულის, ნდობის, პატივისცემის დაკარგვა, შეძულება, ათვალწუნება ქართულში გადმოიცემა **გულიდან ამოგდება** ფრაზეოლოგიზმით.

თურქულში გვაქვს **თვალიდან** ჩამოგდება. გამოთქმა **თვალიდან ჩამომივარდა** იშვიათად გამოიყენება სამხრულ კილოებშიც. იგი თურქული **Gözunden duşer**-ის კალკია (ნიჟარაძე,1971:209). **გულიდან ამოღება** თურქულშიცაა (მამულია, 2006:133), გვხვდება **თვალიდან ამოღებაც** იქვე,138), მაგრამ თურქულს ამავე მნიშვნელობის სხვა ფრაზეოლოგიზმებიც აქვს: **საშლელი გადაუსვა - sunger geçirdi, რუკიდან ამოშალა - haritadan sildi, დავთრიდან ამოშალა - defterden siler** (მამულია, 2006: 89, 206, 207).

შეინიშნება, რომ **შეძულება** ქართულში უფრო ღრმა სემანტიკისაა და უსათუოდ **გულს** უკავშირდება, გამოიხატება **გული-**

დან ამოიღო, გულიდან ამოირეცხა, გულიდან ამოიხოცა, გული გაუგრილდა ფრაზეოლოგიზმებით.

ამავე მნიშვნელობისაა თვალში ამოღებაც (სახოკია, 1979: 267).

ქართულში წყენის დამახსოვრების, ვერდავიწყების, დაბოღმვის მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები: გულში ჩაჭედვა, გულში ჩახვევა, გულში ჩარჩენა გულში შენახვა (სახოკია, 1979:122-123).

აჭარულში გვაქვს გულში გამოკოჭვაც (ე.ი. გამონასკვა, რომ არ დაავიწყდეს) და გულში გამობოყვაც (ორთაბ. ბოქლომით ჩაკეტვა, ჩარაზვა). სამხრულ კილოებში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება გულში გამოკოჭვაც: შენ ხარ გამთხუარი და მე არ მომყუებიო!- გულში გამეიკოჭა მეგემ (ჩვენებ.)

შაჰინმა მაჭახელში დაადასტურა გულში დადგომაც, რომელიც ძველი ქართულის კუთვნილებაა და გულში ქონებას, განზრახვას ნიშნავს. გულში ჩადება თურქულშიც გვხვდება, ოღონდ საიდუმლოს შენახვას ნიშნავს (მამულია, 2006:68).

ზემოთ დასახელებული სემანტიკა კი გადმოიცემა თავში (გონებაში) ჩადება ფრაზეოლოგიზმებით (იქვე 30).

სამხრულ კილოებში ინფორმაციის დახსომების მნიშვნელობით გამოიყენება ტვინში ჩაწერა, ჭკვაში შემოდება: ესენი ისე მქონდა ბაღვობით აკრეფილი, ჩიმიწერია ტვინში (ფუტკარაძე, 1993:23), რაცხა გუუგონია, ყუელამფერი ჭკვაში შამუუდიაო (იქვე, 137).

მ. ხახუტაიშვილმა და შ. ფუტკარაძემ ფაცელ ქობულეთელთა მეტყველებაში გამოავლინეს ჭკვაში შენახვაც: ბაბაჲ გაგონებულს შეინახდა ჭკვაში (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2009:196).

აქვე უნდა დავასახელოთ ფრაზემა გულიდან არ ამოდის, რომელიც მ. ბარამიძემ დაადასტურა შავშურ კილოში: ჲარ (სატრფოვ), შენი ნათქვამი გულიდან არ ამოდის (შავშ.156).

შიშით გულის გახეთქა – ამ ფრაზეოლოგიზმში ქართულში ნაღველი არ გამოიყენება. წყენის გამოსახატავად თურქულში სხვათა გვერდით გამოიყენება გამოთქმები: ღვიძლში ისარივით ჩაესო, ღვიძლი ეწვის, ღვიძლი ეფლითება (Ok gibi ciğer-

ine işledi, Ciğeri yanar, Ciğeri parçalar).ქართველი კი არცერთ შემთხვევაში **გულს** არ ჩაანაცვლებს სხვა სიტყვით. ნათარგმნ ძეგლებში, ,,ვისრამიანსა" და ,,ყარამანიანში," ასეთ გამოთქმებში **ღვიძლი** გამოიყენება: ,,მოაბადს **ღვიძლს** ცეცხლი ედებოდა" (ვისრ.127,4). **ღვიძლში ისარივით ჩაესო,** ყარამანმან საზარელი სულთქნა **ღვიძლითგან აღმოახდინა** (ყარ. 35, 36).

თუმცა დიდი დარდის გამოსახატავად ქართულში **გულთან** ერთად გვხვდება **ღვიძლიც: გულ-ღვიძლში ცეცხლი დაუტრიალდა; გულისა და ღვიძლით** მწუხარების ხმა აღმოუტევებია (იქვე, 355,25)

„რუსუდანიანში" გვაქვს ანალოგიური მაგალითი: **გული და ღვიძლი ამენთო** (508, 18) აქ იგი გაბრაზებას, განრისხებას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, გულის და ღვიძლის სინონიმებად გამოყენება ,,ყარამანიანის" და ,,რუსუდანიანის" თავისებურებაა.

გულიან ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურულ ვარიანტებში თურქულთან შედარებისას გამოვლინდა, რომ იქ სხვა კომპონენტია წარმოდგენილი.

გულის მოქცევა, იგივე გულის მობრუნება ქართულისთვის სპეციფიკურია, თურქულში არ გვაქვს (ჩიმქე, 2015:551), ისევე როგორც ქართულისთვის უცხოა მოაზრება, რომელიც თურქულ გამოთქმაშია: **გულის ბაზარზე გამოტანა** (უღირსი ადამიანის შეყვარება, გამორჩევის გარეშე ნებისმიერ ადამიანთან, მისი პიროვნული თვისებების მიუხედავად, ურთიერთობის დამყარება (იქვე). ქართულისა და თურქულისთვის საერთოა: **ავი გულის პატრონი, შავი გულის, გული გაუშავდა, გული არ აქვს, სუფთა გულის.**

მწუხარების თუ სიხარულის გამოსახატავი **გულიანი** ფრაზეოლოგიზმები ძირითადად უნივერსალურია. მათი არსებობა შეიძლება აიხსნას აზროვნების მიზეზშედეგობრივი კანონებით, სხვადასხვა ენაში ისინი, შესაძლებელია, დამოუკიდებლად იყოს გაჩენილი, ანდა კალკირების შედეგი იყოს. როგორც აღვნიშნეთ, ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, შიში, წყენა, სტუმართმოყვარეობა, სიზარმაცე, შიმშილი, დაბნედა.** ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდე-

ბი ძირითადად **გულს,** მის მოძრაობას უკავშირდება. ქართულში გონებასთანაა დაკავშირებული ის, რის უბრალო დამახსოვრებაცაა საჭირო, რაც გრძნობებს უკავშირდება (წყენა, ბოღმა..) **გულ-იანი** ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა.

თურქი გულწრფელობის აღსანიშნავად იყენებს ფრაზეოლოგიზმს **სულით, თავით... Canla başla** (მამულია, 2006:75), ქართველი იტყვის, **სულით, გულითო.** ამის დასამტკიცებლად ჩვენში იტყვიან, **გულზე ხელი დაიდოო,** თურქი იტყვის, **ხელი სინდისზე დაიდოო** –Elini vicdanına koydu (იქვე,116), **İçini okur** – მის სულს კითხულობს –მის გულში იხედება (Tandilava, Tsetskhladze, 2015).

ქართულ სალიტერატურო ენაში დარწმუნების გამოსახატავად გამოიყენება გამოთქმა **თავს დავდებ, თავს მოვიჭრი.** ჩვენებურთა მეტყველებაში **მ. მიქაუტაძემ** დაადასტურა გამოთქმა **წვერს შევიჭრი:** გეჲკითხავს და არ მეეწონება-ქი, **წვერს შევიჭრი** (ტაო, იმერხევი). შდრ. თურქული Sakalımı keserim. აღნიშნულ ფაქტს ასეთი კვალიფიკაცია ეძლევა: ,,ქართულ-თურქული სიტორიული ურთიერთობებიდან გამომდინარე, იმერხეულსა და ტაოურში გამოიყოფა ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სწორედ დიგლოსიის შედეგად თურქული ენიდან ქართულზე მექანიკური თარგმანით, სესხებით ან სამეტყველო კოდების გადართვით შეიძლება აიხსნას“ (მიქაუტაძე, 2015: 397).

ულვაშები ჩამოიწმინდა (bıyığını sildi), – იტყვის თურქი, მაშინ როცა ქართველი ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმს იყენებს: **ხელები დაიბანა.** ულვაშის ტარების ტრადიცია ქართულშიცაა გამოკვეთილი, მაგრამ აღნიშნულკონტექსტს ქართველმა ბიბლეიზმი მოარგო.

ავად ნამოქმედარის აღსანიშნავად თურქი და ქართველი ხალხი ერთი და იმავე სტრუქტურის ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებულ კომპონენტებს იყენებს: თურქი სხვისი ცუდი საქციელის შესაფასებლად იტყვის, მის ნაჭამ **პიტნას** უყურეო (**yediğin naneye bak**).

ქართველი, თუ ვინმეს საქციელი არ მოეწონება, იტყვის, **მისი ნაჭამი პრასა ნახეო** (შდრ: მისი ნაჭამი **ნაგავი** ნახე (საუბ.)...

ნეტავი პრასა მეჭამა და ეს არ მექნაო, იტყვიან ხალხში. რატომ გამოიყენება აღნიშნულ კონტექსტში პრასა ან პიტნა?

როგორც ვიცით, პრასა მწარეა და პირში უსიამოვნო სუნს ტოვებს, ამიტომ ერიდებიან მის ჭამას, რომ გვერდით მყოფ მოლაპარაკეს ცუდი სუნი არ მოხვდეს, უსიამოვნო სუნმა ის არ შეაწუხოს.

სამხრულ კილოებში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ,,ცხვირში ეპიტნებაც (შდრ. ანდაზა ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში ატენიდნენო). ქართულში გვაქვს სიტყვა ეპიტნავება, რაც მოწონებას, სიამოვნებას, ნიშნავს. არ ეპიტნავება მისი ანტონიმია. მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია, რომ ზემოდასახელებულ ფრაზეოლოგიზმში ქართველი პიტნას არ იყენებს და პრასას ამჯობინებს. თურქი სუსტი აგებულების ადამიანსაც პიტნას მიამსგავსებს ხოლმე.

ქართულსა და თურქულში სათქმელისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც: სიტყვას ამწნილებს/ სიტყვას ტკეპნის (მამულია, 2006: 217)

ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიური ვარიანტებია ასევე: ღვედს ეწევა (თურქ.)// ჭაპანს ეწევა (ქართ.): ჭაპანს მე ვეწევი, ყველაფერი ჩემს ზურგზე გადადის, ყველაფერი მე მაწევს კისერზე.

საქვეყნოდ შერცხვენა, თავის მოჭრა თურქულში თავის გატეხაა -Başını yıkar (შდრ. ქართული ანდაზა ატეხილს თავი გაუტყდებაო). ქართულში აღნიშნული სემანტიკისაა სახელის გატეხა. ქართველებს გვაქვს ანდაზაც, სადაც ამ ორი გამოთქმის ანტონიმურობა ჩანს: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო, ორივე ენაში გამოიყენება სახელის გაფუჭებაც.

თურქულში გაბრაზების გამოსახატავად არაერთი ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება: დოქებზე ჯდება, ოპიუმმა თავში დაარტყა, სახეზე ცეცხლი მოედო, დენთად იქცა, თვალებს აკვესებს, ჭარხალივით გახდა, ცხვირიდან ცეცხლს აფრქვევს, სისხლი თხემზე აუვიდა.....

როგორც ვხედავთ, თურქულში აღნიშნული სემანტიკა უკავშირდება ცეცხლს, სისხლს. ასეა ქართულშიც, მაგრამ განსხვავება ერთია: პირიდან ცოფებს// თვალებიდან წინწკლებს ყრის,

თურქულში კი გვაქვს **ცხვირიდან ცეცხლის ფრქვევა**, რაც ქართულში პრინციპულად არ გვხვდება.

აქვე უნდა დავასახელოთ გამოთქმები: მის **სიმღერას მღერის** (თურქ.**Kendi şarkını söyler**)//მის **დაკრულზე ცეკვავს** (ქართ.). შდრ. მუჰაჯ. **მის თოკზე ასამებდა.**

ფრაზეოლოგიურ ვარიანტებში ჩანს კონცეპტები: **მამლის ჭკუის/ კატის ჭკუის:** გონებასუსტობის, უტვინობის გამოსახატავად თურქი იტყვის, **მამლის ჭკუისააო**, ქართველი იტყვის, **კატის ჭკუისააო**. ორივეგან გვხვდება **ბატის ჭკუის, ბატიტვინა. მამალი** ქართულში თავმომწონეობის, ჩხუბისმოყვარულობის, მედიდურობის სიმბოლოა. ძაღლი და კატა ქართველებისთვის უწმინდური ცხოველები არიან, მათ ხორცს არ ჭამს ადამიანი, კატა ეშმაკიცაა და მსუნაგიც, თუმცა აუხსნელია, რატომაა უჭკუობის სიმბოლო.

სხვისი გაჩუმება თურქულში გადმოიცემა პირში **სიტყვა// ცერცვი// ქვა// საცობი ჩასჩარა (ağzında kelime// bakla//taş // sokmak)** ფრაზეოლოგიზმებით, ქართველი კი იტყვის პირში **ბურთი** ჩასჩარაო. ქართველი კი სათქმელის მოთმენა **ქართულში პირში წყლის** ჩაგუბება ფრაზეოლოგიზმით გადმოსცემს: **პირში წყალი უნდა ჩავიყენო ხოლმე,** როცა მამაჩემთან ერთად ვარ (მელან).

საიდუმლოს გაცემა თურქულში ისევ მარცვლეულს უკავშირდება: **პირიდან მუხუდოს ყრის, პირში ცერცვი არ უსველდება (ağzinda bakla islanmaz)** საიდუმლოს ვერ ინახავს, ყველაფერს ამბობს (მამულია, 2006:23). (შდრ. ქართ. **ენაზე არაფერი ამაგრდება, ყველაფერს ფქვავს, კაკლავს, ენა უსწრებს**).

თურქულ ფრაზეოლოგიზმებში **მუხუდო** და ცერცვი საიდუმლოს გაცემის სიმბოლოებია, ქართულში კი ამ სემანტიკისაა **დაკაკლვა**, რაც ნიგოზს უკავშირდება (Kikvadze, Abuseridze, 2014).

მიზნის მისაღწევად მეტისმეტი ძალისხმევის, თავდაუზოგაობის აღსანიშნავად ქართულსა და თურქულში მსგავსი ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება. ქართულში გამოიყენება **ნემსის ყუნწში** გაძვრომა, თურქულში კი ამასთან ერთად **თხილის ნაჭუჭში //ცხრილის ნასვრეტში** გაძვრომაც გვხვდება (**fındığın**

kabuğunda// kalbur deliğinden geçer rastlıyoruz) (მამულია, 2006:183).

ნემსის ყუნწი უმცირესი ხვრელია, რომელშიც მხოლოდ ძაფი თუ ძვრება. აქ სათქმელი უფრო გაზვიადებულია, ვიდრე – თურქულში: ნემსის ყუნწში ძვრებოდა ლოპიანა და ალალი გულით ცხოვრობდა...

სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებში განვიხილეთ **ნემსის ყუნწში გაძვრენა** (117,167) სხვისი უკიდურეს გაჭირვებაში ჩაგდება, ძალდატანებაა: დედამთილმა ლემსი ყურწში გააძრუმლა ძალი...

თურქულში ამის გვერდით არის გამოთქმა **Ceviz kavuguna sokar – კაკლის ნაჭუჭში ჩატენის** – შეავიწროებს, შეზღუდავს, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს.

დაუპატიჟებლად ბინის დადება თურქულში ასე გადმოიცემა: **ტყავი //მოსასხამი გაშალა** (მამულია, 2006:13). ქართულში **ფეხების გაშლაა: მოვიდა და ფეხები გაშალა, წასვლას აღარ აპირებს.** მოსასხამი საერთოდ ხშირად გამოიყენება თურქულ ფრაზეოლოგიზმებში.

ფინჯანს არ აცივებს (fincan soğutmaz),– იტყვის თურქი დაუდგრომელ ადამიანზე, ვინც დიდხანს არ მოიცდის ერთ ადგილას. ქართველი იტყვის, **სკამს არ ათბობსო.**

აქ აღვნიშნავთ, რომ ლექსემა **ფინჯნით** გამოკვეთილია თურქების განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩაის კულტურისადმი.

ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით საინტერესოალაპარაკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმთა ანალიზი ქართულსა და თურქულში, რადგან მეტყველებას ეთნოლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური საფუძვლები აქვს. აღნიშნული საკითხი იკვლიეს მ. ხახუტაიშვილმა და მ. კიკვაძემ. ორივე ენაში დომინანტი სიტყვებია: **ენა, ყბა, სიტყვა, პირი.** განსხვავებაა ქვესემებში: თურქულში **მუხუდო, ცერცვი, მწნილი, სოკო, მეფურნის ნიჩაბი, ბებიაქალია,** ქართულში – **კაკალი, ჭიბონი, რძე, წისქვილი...**

ქართულში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაუთავებელი, დაუსრულებელი ლაპარაკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზ-

შებია: **ააბრუნა წისქვილი, კოდალას ენა ჭამა, კრუბის თავი უჭამია,** თურქულში ეკაქვს –ჯამივით პირის პატრონი, ენაზე ბენვის გამოლევა, ენის გაცვეთა, ყბა მანქანასავით უმუშავებს, მისმა პირმა დიეტა არ იცის, მისი ყბა არ ჩერდება, ყბას იღლის, ყბა წაიგრძელა, პირი ჭიშკარი აქვს, ან კიდევ - მეფურნის ნიჩაბივით ენა აქვსო.

გაურკვეველი ლაპარაკის აღმნიშვნელია ჭიანჭველანჭაჭი დათვივით ბუტბუტი, კევის ღეჭვა, თურქულში ეკაქვს სიტყვის დამწნილება, სიტყვის დირჰემობით ამოსვლა.

მჭევრმეტყველება ქართულში ასე გადმოიცემა: ენისა და პირის დაშაქვრა, მოკალული სიტყვა, მოთაფლული ენა, მოქარგული ენა, პირში ჩადნობა.

ორივე ენაში გვაქვს- პირიდან თაფლის ამოსვლა. განსხვავებულია თურქულში სიტყვის ბებიაქალი- მჭევრმეტყველი (Laf ebesi) და ენის ბებიაქალი (ბევრი ლაპარაკი (Dil maskotu).

ქართულში ბილწი ენის გადმოსაცემი ფრაზეოლოგიზმებია: მყრალი ენა აქვს, მიწაში გველს მოკლავს, ისეთი ენა აქვს, სტამბოლში კაცს მოკლავს. თურქულში ასეთ ადამიანზე იტყვიან, მძიმე და გაფუჭებული პირი აქვსო.

ამგვარი მასალების დაძებნით და შედარება- შეპირისპირებითი ანალიზით გამოჩნდება ის მენტალური სხვაობა, რაც ამ ორ ხალხს აქვს. საკითხის კვლევა არამარტო ლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის, არამედ ეთნოფსი-ქოლოგიის, ეთნოლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის განხრითაცაა აქტუ-ალური.

VIII. 4. სამხრული ფრაზეოლოგიის კვლევის ლინგვოლ-კულტუროლოგური ასპექტები სამხრული კილოები მრავალმხრივ იქცევს მკვლევართა ყურადღებას. შეიძლება ითქვას, ქართული ენის დიალექტებიდან სამხრული მეტყველება ყველაზე სპეციფიკურია. დავიწყოთ იმით, რომ აჭარის ზოგ რეგიონში ვლინდება ჭანურის გავლენა, ქვემოაჭარულს, მეტადრე ქობულეთურს, გურულთან კონტაქტი ატყვია.

აჭარულში უხვადაა თურქული ლექსიკა-თურქეთის სამასწლოვანი ბატონობის შედეგი, თურქულისავე მაასიმილირებელ გავლენას განიცდის სამხრული კილოები.

სწორედ სამხრული კილოები იძლევა ყველაზე მდიდარ და საინტერესო მასალას, როგორც ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა ფრაზეოლოგიზმების, როგორც ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ერთეულების კვლევა. მხოლოდ მათი შესწავლით შეიძლება ეროვნული კოდის გახსნა, ამიტომაც გააქტიურდა XXI საუკუნეში ფონური ინფორმაციის კვლევა.

ჩვენი მიზანია, ვიკვლიოთ სამხრული ფრაზეოლოგიზმები და განსაკუთრებით კი სამხრული კილოების, როგორც განსხვავებულ კულტურულ გარემოში მყოფი დიალექტების თავისებურებანი.

სამხრული ფრაზეოლოგიის კვლევა მრავალასპექტიანია. უპირველეს ყოვლისა, დასადგენია მიმართება ქართულ ფრაზეოლოგიასთან. აქ კი საგანგებოდ უნდა გამოიკვეთოს, რაა ძველქართული, კლასიკური ქართულის კუთვნილება და რა – საკუთრივ დიალექტური.

საკვლევია თურქულ ფრაზეოლოგიასთან მიმართებაც: რა გადმოიღო, რა შეითვისა სამხრულმა თურქულისგან უცვლელად, რომელია კალკური და ნახევრად კალკური ფრაზეოლოგიზმები. ის, რაც საერთოა ქართული და თურქული ენებისთვის, როგორ შეიცვალა განსხვავებულ კულტურულ გარემოში.

თუ რამდენად შეიცვალა უნივერსალური ფრაზეოლოგია სამხრულში, რა სახისაა ეს მოდიფიკაცია, ვნახოთ სათანადო მაგალითების ჩვენებით.

საყელოს დაფერთხვა **yakasını silkti** (მამულია, 2006:291) თურქულში ნიშნავს 1. მოშორებას, 2. მიტოვებას, თავის მინებებას.

„შენიდან საყელო დევრეკე, ამფრა თუ დამმართებდი, არ მეგონა“ (ფუტკარაძე, 1993:560).

მკვლევარი შუშანა ფუტკარაძე ასე განმარტავს: განცვიფრდა, წარმოდგენა დაეკარგა, ცუდი შეხედულება შეექნა (ფუტკა-

რაძე, 1993:560). სამხრულ კილოებში გვხვდება ცახა დევრეკეც – ზმნა ქართულია, საყრდენი სიტყვა – თურქული. გვხვდება **უბის დარეკვაც.**

როგორც ვხედავთ, ეს ფრაზეოლოგიზმი სამხრულ კილოებსა და თურქულში რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. წარმოდგენის დაკარგვა ადამიანზე თავისთავად გულისხმობს მისგან განრიდებას, მაგრამ სამხრულში სემანტიკა უფრო ღრმაა.

გულის ცხიმის დადნობა (içinin yagi erir) (მამულია, 2006:78) თურქულში ნიშნავს შეწუხებას, დარდს. როგორ ვხედავთ ეს ფრაზეოლოგიზმი უარყოფითი კონოტაციისაა, მაშინ, როცა სამხრულ კილოებშიც გამოთქმას **გულზე ცაღები დაადნა ნიშნისმოგების, ჯავრის ამოყრის მნიშვნელობით იყენებენ.** როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, აქ იგულისხმება **გულის მოფხანა, ჯავრის ამოყრით სიამოვნების მიღება.**ე.ი. კონოტაცია დადებითია. მოკლედ, ეს ფრაზეოლოგიზმი რამდენადმე შეცვლილია ფორმობრივად და რაც ყველაზე მთავარია, განსხვავებულია სემანტიკურადაც.

ჯორზე შეჯდომა თურქულში გაბრაზებს ნიშნავს, თ. სახოკიასთან კი განმარტებულია, როგორც **გაჯიუტება** (სახოკია, 1979:190). აჭარულში ეს ფრაზეოლოგიზმი არ გვხვდება, გვაქვს **ვირზე შეჯდომა, გაკნაჭულ ვირზე შეჯდომა** (ნიჟარაძე,1971:124).

სამხრულ კილოებში გვაქვს **ჯინების ცხენზე შეჯდომაც და ვირის ინათზე შედგომაც,** რაც თურქულის გავლენა უნდა იყოს. სამხრულ მეტყველებში **გაჯიუტება** მეტწილად ვირთანაა ასოცირებული.

კბილების ლესვა - diş biler (მამულია, 2006:96) არის ვინმეზე გაბრაზება, საჩხუბრად მომზადება, მზადყოფნა ზიანის მისაყენებლად. თ. სახოკია ამ ფრაზეოლოგიზმს უკავშირებს იმას, რომ კბილები ადამიანის საჭრელ და მოსაგერიებელ იარაღად ითვლებოდა, ცხოველებისთვის კი დღესაც ერთადერთი საბრძოლო საშუალებაა.

ქართულში ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა გაფართოებულია და აგრესიასთან ერთად დადებითი სემანტიკაც აქვს.

„მგონი **კბილებს ილესავს** ჩვენზე, რომ გიული წყალზე გავგზავნეთ; ოხ, იმფერი გაბრაზებული ვარ მაგაზე, **კბილებს ვილესავ,** როის ვნახავ, რომ ვეჩხუბო; პურმარილი როჲს'და ვჭამოთ, მეზობლები **კბილებს ილესვენ** რახანია“ (აჭარ.).

ფრაზეოლოგიზმი **ხელის დადება (elini koyar)** გვხვდება თურქულშიც და ქართულშიც. თურქულში ნიშნავს 1. დადანაშაულებას, მხილებას, 2. თავის განკარგულებაში მოქცევას, ხელყოფას (უარყოფითი სემანტიკაა), ქართულში 1. ამორჩევას, 2. თავზე აღებას, 3. დანიშვნას.

თ. სახოკიას მიხედვით, მისი მნიშვნელობებია: 1. ცოლად დანიშვნა ქალისა, 2. დაბრალება დანაშაულისა, 3. წამლობა ავადმყოფისა, 4. მღვდლად კურთხევა, 5. უფლების გადაცემა (სახოკია, 1979). ალ. ონიანთან ამ ფრაზეოლოგიზმის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა: **დამნაშავედ გამოცხადებაა** დაფიქსირებული (ონიანი, 1966).

ხელის დადება საკმაოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმია ძველ ქართულშიც: უკუეთუ ვპოვე მადლი წინაშე შენსა, **დადევ ხელი** შენი წყვილსა ჩემსა ზედა (შეს. XLII, 29); სნეულთა **ხელთა დასდებდიან** და განცოცხლდებოდიან (მ. 16, 18).

მკურნალობის სემანტიკა გვაქვს გამოთქმაშიც **ექიმმა ხელი დაადო. ხელის დადება** დღეს ვინმეს დამნაშავედ გამოცხადებასაც ნიშნავს. დახმარების სემანტიკით აჭარულ დიალექტში დღესაც გამოიყენება **ხელის დადგმა** ფრაზეოლოგიზმიც (ამავე მნიშვნელობისაა გამოიყენება **ხელის დადგმა** ან **ხელის წამოკვრაც**).

შენ ღმერთი არ დაქკარქავს, ბევრჯერ **დამადგი ხელი** (შუახ.).

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, **ხელის დადება** ნიშნავდა ამორჩევას, შველას, მკურნალობას.

ჩვენებურთა მეტყველებაში **ხელის დადება** ქალის დანიშვნის მნიშვნელობით გამოიყენება: „ვინმემ **ხელი** დაადვა ასე მალე თუ?“ (ჩვენებ.).

შ. ფუტკარაძეს „ჩვენებურების ქართულის“ ლექსიკონში მხოლოდ ეს ერთი მნიშვნელობა აქვს დადასტურებული (ფუტკარაძე, 1993: 671).

ამრიგად, სამხრულ კილოებში მოძიებული მასალების მიხედვით, **ხელის დადება** პოლისემიურია, ჩვენებურთა მეტყველებაში უპირატესად დანიშვნას ნიშნავს. ვინაიდან მასალა ამომწურავი არაა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, შსაძლებელია, გამოიკვეთოს განსხვავებული ნიუანსებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი **ხელების დაბანა** სამხრულ კილოებში სემანტიკურად მოდიფიცირებულია: იმათ **ხელები დუუბანიან ინსნობიდან** (ჩვენებ.141); მაგ ფულიდან მგონია **დევბაი ხელი,** ბახალომ, რა იქნება! (შუახ.).

ამგვარი მნიშვნელობა დასტურდება ლაზურშიც, ისევე როგორც სამხრულ კილოებში, **ხელების დაბანა** აქაც ნიშნავს ვინმეს ან რამეს მიმართ **იმედის დაკარგვას, გულის გატეხას** (მემიშიში, 2015:169).

მსგავსია და რამდენადმე განსხვავებული ეკალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები. **თვალში ეკლად ექცა - Gōze diken oldu** (არ მოსწონს) (მამულია, 2006:139). ქართულში ის **თვალში გაჩხერა, თავმობეზრებაა: თვალში ეკლათ ამომივდა** მაი ანტერი, ერთი როის'ნა წევდეს, რომ მევსვენო (აჭარ.).

სათქმელის მოუგონებლობა, დავიწყება ქართულში გადმოიცემა **ენის წვერზე დგომა** ფრაზეოლოგიზმით. იგი გვხვდება თურქულშიც **Dilinin uçunda oluyor** (მამულია, 2006:95).

ჩვენებურთა მეტყველებაში ამ ფრაზეოლოგიზმს გარკვეული გრამატიკული ცვლილება განუცდია: ჩვენებურები იტყვიან, **„ენის წვერში მიგორავს და ვერ მითქმია** (ფუტკარაძე,1993: 70), რაც არ გვხვდება აჭარულში. აქვე **გვაქვს ენაზე დგომაც.**

საილუსტრაციო მასალა გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ სამხრულ კილოებში ფრაზეოლოგიზმები რამდენადმე მოდიფიცირებულია:

1) მხოლოდ ფორმობრივი განსხვავებაა: **ენის წვერში მიგორავს//ენაზე მადგას.**

2) სემანტიკური სხვაობაა: ა) მნიშვნელობა საერთოდ შეცვლილი: **საყელო დაიფერთხა, გულის ცხიმი დაუდნა, ეშმაკის ცხენზე შეჯდა, თავის გატეხა**..... ბ) მნიშვნელობა დავიწროე-

ბულია: **ხელი დაადო...** გ) მნიშვნელობა გაფართოებულია: **კბილებს ილესავს.**

VIII. 5. მყარი ენობრივი შედარებანი ქართულსა და თურქულში განსაკუთრებით საინტერესოა შედარების კვლევა განსხვავებულ ენებში, რადგან როგორც ზემოთ, აღვნიშნეთ, შედარებათა ერთ ნაწილში ჩანს ისტორიული მოვლენები, კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები, ტრადიციები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები, რწმენა და ა.შ. ისინი ლინგვოკულტურემებია, გადმოგვცემენ კონკრეტული ხალხის მსოფლგაგებას.

მყარი შედარებები, რომლებიც ლოგოეპისტემებია, თარგმნისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს მთარგმნელისგან, რადგან მათ აუცილებლად ესაჭიროება კონკრეტული ხალხის ყოფისა და კულტურის ცოდნაც.

ცალკეული ენის მყარი შედარების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, უნივერსალობის ნაციონალურ-სპეციფიკური გამოვლინება დავაფიქსიროთ. სხვაობა, როგორც წესი, შეუმჩნეველია ინტრაკულტურულ ურთიერთობაში, მაგრამ აშკარა ხდება კულტურათშორისი შეპირისპირებისას. არ არის გამორიცხული აგრეთვე სხვა კულტურებთან კონტაქტებიც. მსგავსება შესაძლოა შესადარებელი კულტურებისთვის საერთო მესამე წყაროსთან იყოს დაკავშირე-ბული.

ქართული და თურქული მდიდარია მეტაფორული შედარებებით. მათი ერთი ნაწილი საერთოა ორივე ენისთვის:

ხასიათის ცვალებადობას ქართველიც და თურქიც ერთნაირადგამოხატავს: **მარტის ამინდივითაა.** ორივე ენაში გვაქვს **ძაღლივით ეპყრობა** – არაფრად აგდებს, ცუდად ექცევა; **ჩიტივით ჭამს** – ცოტას ჭამს, **ჭიასავით ღრღნის** – გამუდმებით აწუხებს, **ტკიპასავით ეკრობა** (არ შორდება), **კატა და ძაღლივით ერთმანეთს ჭამენ** (მუდამ ჩხუბობენ, კინკლაობენ), **ჩიტივით გაფრინდება** (მალე, უმალ წავა, ხანმოკლეა), **ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია** (მტკიცება არ უნდა, ყველაფერი ნათელია,

აქსიომაა), წყალივით //ხუთი თითივით იცის (კარგად იცის), წყალივით მიდის, წყალივით წავა (სწრაფად და ბლომად იხარჯება); ლომივით ბრდღვინავს- განრისხებულია და ა.შ.

ქართულისთვის უცხოა თურქულის შემდეგი მყარი შედარებანი:

გოგრის ყვავილივით იშლება- ძლიერდება, ფრთებს შლის (kabak çiçeği gibi açıldı – güçlenmek, kanat açmak) (მამულია, 2006:173),

ბანანივით იქცა (muz gibi oldu) - თავი დახარა, შერცხვა (მამულია, 2006: 26),

ცვილივით გახდა (balmumu gibi oldu) – დამჯერი, მორჩილი გახდა;

თვალები სამკითხაო ქვასავით გაეხსნა (gözleri fal taşı gibi açıldı – hayretle, şaşkınlıkla bakmak (მამულია, 2006: 140), გაოცდა, თვალები შუბლზე აუვიდა;

ტყლაპივით გახდა- pestil gibiydi (მამულია, 2006:249)- სიქა გამოეცალა, დაიღალა.

ისე უსმენს, როგორც ცხვარი სალამურს (koyunun kaval dinlediği gibi dinlemek) (მამულია, 2006:205), არაფერი ესმის, არაფერი გაეგება

ზეითუნის ზეთივით მაღლა ამოდის (zeyitinyağı gibi üste çıkmak) (მამულია, 2006: 309);

პატრუქივითაა (fitil gibidir, çok sarhoştur) მთვრალია;

ცხვირიდან პატრუქივით ამოუვა– ძმრად ნასდინდება, ნაემწარება (Burnundan fitil fitil gelmek – zehir gibi gelmek) (მამულია, 2006: 124);

მეფუტნის ნიჩაბივით ენა აქვს– გრძელი ენა აქვს (fırıncının küreği gibi uzun dili var) (მამულია, 2006:123).

ქართულში გვაქვს ფრაზეოლოგიზმი ტოროლა ჩიტივით დარჩა – მარტო, უამხანაგოდ დარჩა: ,,და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი ამხანაგებიცა სწავლასაცა და წუთისოფელსაცა და დავრჩით ტოროლა ჩიტივით მინდორში" (ილია).

თურქულში გვაქვს ამაეე მნიშვნელობით გამოიყენება გუგულივით დარჩა- მარტო ცხოვრობს (guguk gibi kaldı – yalnız yaşıyor) (მამულია, 2006:149).

აქვე უნდა დავასახელოთ თურქულის **ბაიყუშივით დარჩა** (**baykuş gibi kaldı**) – თავის ამარა დარჩა.

ქართულისთვის სრულიად უცხოა გაყუჩების, გაჩუმების, დადუმების მნიშვნელობით ფრაზეოლოგიზმში კომპონენტ **ბულბულის** გამოყენება: **თუთანაჭამ ბულბულს დაემსგავსა dut yemiş bülbüle dönmek, sessiz, sus pus kalmak** (მამულია,2006:100).

განხვავება კარგად ჩანს მომდევნო მაგალითშიც: **შაბივით გახდა- sapı gibi dondu** (მამულია, 2006: 268).

ვარდივით უვლის- თვალისჩინივით უფრთხილდება, ფარვანასავით თავს დასტრიალებს- **Eş anlamlar – gül gibi bakıyor-gözbebeği gibi dikkat ediyor** (მამულია, 2006: 149), **kendi gözlerine dikkat ettiği gibi dikkat eder, ilgilenir, pervane gibi başında dönüyor (ilgileniyor** (მამულია, 2006: 244).

თურქულში გვაქვს: **ისე უსმენს, როგორც ცხვარი სალამურს.** ქართულში ასეთი ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება: **როგორც კედელს -არაფერი არ ესმის.**

საკითხის შესწავლა მოგვცემს სხვა ენების მონაცემებთან შედარების საშუალებასაც. კვლევის შედეგები გამოადგებათ მთარგმნელებს ლინგვოკულ-ტურემათა ეკვივალენტების შერჩევისას.

თავი IX.

ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პრობლემები

IX. 1. ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიზმების თარგმნა

ენათმეცნიერების მთავარი პრობლემა არის ფონური ინფორმაციის კვლევა, რომელიც ყველაზე კარგად ვლინდება სიტყვათა მყარ შეხამებებში.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ორი არამონათესავე ენის: თურქული და ქართული ფრაზეოლოგიზმების თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემები. საკითხი მით უფრო საინტერესოა, როცა ორი არამონათესავე ენის კომუნიკაციურ-კულტურულ სისტემებზე ვსაუბრობთ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ამ ორი ენის ურთიერთგავლენა უშუალო მეზობლობის შედეგად. ,,მართალია, ყოველი ენა თავისებურ ეროვნულ იერსახეს აძლევს ფრაზეოლოგიზმს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მსგავსება, ის საერთო, რომელიც აშკარად ახასიათებს სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიზმებს“ (მამულია, 2006:9).

თურქულსა და ქართულშიც უხვადაა უნივერსალია, რომლებიც აზროვნების საერთო მიზეზ-შედეგობრივი კანონებით აიხსნება, მაგრამ ბევრი მათგანი დამოუკიდებლადაა გაჩენილი. ეს საერთო შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად.

თარგმნის პროცესი რთულია და საპასუხისმგებლო, აქ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ტექსტები, რომლებიც შეიცავენ ფრაზეოლოგიზმებს, მთარგმნელთათვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს. პირდაპირმა, სიტყვასიტყვით თარგმნამ შესაძლებელია გადმოსაცემი შინაარსი შეცვალოს.

ა) თავდაპირველად განვიხილოთ ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სტრუქტურა და კომპონენტებიც ქართულსა და თურქულში იდენტურია, მაგრამ სემანტიკური და სტილისტიკური ნიუანსები არსებითად განსხვავებულია. ასეთი ერთეულები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის თარგმნისას და მთარგმნე-

ლისაგან შესაბამისად მოითხოვს არა მარტო ორი ენის, არამედ ყოფის, ტრადიციების, კულტურის ცოდნასაც.

I. Yüregine kar ağar გულზე ათოვს თურქულში ნიშნავს ეჭვიანობს, ეჭვებით შეპყრობას. ქართულში – **გულზე ათოვს** განსხვავებული სემანტიკისაა და ნიშნავს: **მწუხარეა, დარდიანია.** მაგას რომ დავინახავ, **გულზე მათოვს,** მეცოდება ობოლი გოგო...

Göze alır თვალში იღებს თურქულში მოწონებას ნიშნავს, ქართულში კი **თვალში ამოღება** ათვალწუნებაა: მაგი არ გამახარებს, ვიცი, **თვალში ამომიღო** რახანია.

ფრაზეოლოგიზმი **Adi cikti** (სახელი გაუვარდა) თურქულში მხოლოდ უარყოფითი კონოტაციით გვხვდება და ნიშნავს: ცუდი სახელი გაუშვა, გაუვარდა, სახელი გაუფუჭდა. ქართულში მისი ტიპური შესატყვისია **სახელი გაუტყდა.** ამასთან, **სახელის გავარდნა** ქართულში ცოდნით, წარმატებებით სახელის გათქმაცაა.

მსგავსია და თან რამდენადმე განსხვავებული **ეკალთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები.

Gözleri arkada kaldi - თვალები უკან დარჩა თურქულში **მოწონებას** ნიშნავს, ქართულში ამ მნიშვნელობის გარდა შენიშნულია **წასვლა არ უნდა:** მივდივარ და **თვალები უკან მრჩება.** თარგმანის დროს ორივე მნიშვნელობაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

ბ) პოლისემიური ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, შესაძლოა, ერთი რომელიმე მნიშვნელობა არასწორად იქნეს გადატანილი სათარგმნელ ენაში, რაც ხელს შეუშლის გაგებინებას, გააბუნდოვნებს აზრს. ამ ტიპისაა: **Alninin damarı çatladı - შუბლის ძარღვი გაუწყდა-** თურქულში ნიშნავს 1. ბევრ შრომას, წვალებას და 2. უნამუსობასაც, უსინდისოდ მოქცევას. ქართული ენის სამხრულ კილოებში მხოლოდ მეორე მნიშვნელობაა რეალიზებული და ნიშნავს უსირცხვილობას, ნამუსის ძარღვის გაწყვეტას. ,,მაგას რაღანა ელაპარიკო, **შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქ,** არაფრის არ რცხვენია"(აჭარ.); **შუბლის ძარღვს თუ გაიწყვეტ,** მერე იოლია ცხოვრება (ნ. დუმბ.).

უსირცხვილობის სემანტიკური ველი ქართულსა და თურქულში რამდენადმე უახლოვდება ერთმანეთს. შდრ. თურქ. **ვირის ტყავი, შუბლის კანი სქელი აქვს** და ქართული- **შუბლზე ხარის ან კამეჩის ტყავი აქვს გადაკრული.**

მოკლედ, ამ ფრაზეოლოგიზმის პირველი მნიშვნელობა თურქულში განსხვავებულია, მეორე – იდენტური, ამიტომ თურქულიდან თარგმნისას პირველ მნიშვნელობას თუ დავეყრდნობით, არასწორი თარგმანი გამოგვივა. მთარგმნელმა გადმოსაცემი შინაარსის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს ადეკვატური სიტყვა-სტატია ან უკანასკნელი მნიშვნელობის სხვა ფრაზეოლოგიზმი გამოიყენოს.

თურქულში არის გამოთქმა **Agzi qara** - შავი პირისა, რაც ნიშნავს 1. ცუდის მაუწყებელს, 2. ცუდი ენის ადამიანს. ქართულში ნიშნავს შერცხვენას: შენთან **პირშავად ვარ,** შერცხვენილი ვარ (შენი პირშავობა შემიტყვია და მისთ.).

თარგმნა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს მთარგმნელისგან. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება თითოეულ კომპონენტს, რადგან ზოგჯერ მსგავსებამაც შესაძლოა მოგვიყვანოს შეცდომამდე.

თურქულში გვაქვს Başına kına yaktı- თავზე, ხელზე ინა დაიდო (მამულია, 2006:53), რაც გახარებას, ფრთების გამოსხმას ნიშნავს. ქართულში გვაქვს **ფეხზე ინის დადება, რაც** მოუცლელობას, გაუნძრევლობას ნიშნავს. ,,იმას ფეხზე ინა აქ დადებული, რაფერ წამუა! (აჭარ.). ინას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თმის, წვერ-ულვაშის, ფრჩხილების შესაღებად იყენებდნენ და რამდენიმე საათით იჩერებდნენ. ეს მცენარე ახლაც გამოიყენება თმის შესაღებად. ქართველისთვის თავზე ინის (საღებავის) დადებას მეტაფორული კი არა, პირდაპირი მნიშვნელობა აქვს. ე. ი. თურქულში- **ხელზე/ თავზე ინის დადება,** ქართულში **ფეხზე ინის დადება** სტრუქტურული ვარიანტებია და მნიშვნელობაც განსხვავებულია (Kikvadze, Khakhutaishvili, 2015).

აქვე უნდა დავასახელოთ **Sakalına soğan doğradı - წვერზე ხახვი დააჭრა,** რაც თურქულში დაცინვას, დამცირებას, შერცხ-

ვენას ნიშნავს. ქართულში ცნობილი ფრაზეოლოგიზმი **ყურებზე ხახვი არ დამაჭრა** ნიშნავს: ვერაფერს დამაკლებ, ვერ შემაშინებ!

Ağzı açıldı- ალაპარაკდა, კრიჭა გაეხსნა. ქართულში მისი შესატყვისია **პირის გახსნა** (ყველაფერი თქვა). სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ამ ფრაზეოლოგიზმს რელიგიური თვალსაზრისითიგივე ფრაზეოლოგიზმი (მუსლიმ-თათვის ე. წ. **იფთრობა**). „საქართველოში არსებობს რიტუალი **„სულის ახსნა,"** რომელიც **პირში ხორცის ჩადებას** უკავშირდება, ის გადმოცემულია სხვადასხვა ლექსემებით (სული/ პირი/ მკლავი)" (კიკვაძე, 2011:186).

ფრაზეოლოგიზმებში ერთი საინტერესო მომენტია სემანტიკის გადაწევა, რაც კარგად ჩანს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში. თურქი იტყვის: **წვერი წისქვილში კი არ გავათეთრე, რაც ნიშნავს, ვერ მომატყუებ, გამოცდილება მაქვს** (მამულია, 2006: 58).

აღნიშნულ მაგალითში **წვერის წისქვილში გათეთრება** პირდაპირი მნიშვნელო-ბით გამოიყენება.

წვერი წისქვილში გასთეთრებია თურქულში ნიშნავს, რომ **დაბერებულა, მაგრამ არაფერი იცის, უვიცია** (მამულია, 2006: 257). თურქეთში მცხოვრები ქართველი კი ამ ფრაზას პირდაპირი და ამასთან, საპირისპირო მნიშვნელობით იგებს: **წვერი წისქვილში კი არ გავათეთრე, დავბერდი.**

IX. 2. ქართულ-თურქული ლოგოეპისტემების თარგმნა

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ადგილი ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ დაიკავა. ეთნოსის ფონური ინფორმაცია ყველაზე კარგადაა შემონახული ფრაზეოლოგიზმებში. სწორედ ისინი გვიქმნიან სრულ წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის შესახებ, რამეთუ შეიცავენ ძვირფას და უტყუარ ცნობებს მატერიალურ-კულტურული მიღწევების, სულიერი ფასეულობების, ყოფა-ცხოვრების, რწმენის, ტრადიციების, მსოფლგაგების შესახებ. მათში დაცულია ისტორიული

ფაქტები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები, მოკლედ, ისინი ნათლად გამოხატავენ ეროვნულ რეალიებს.

ფრაზეოლოგიზმი არის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კონცეპტუალური სისტემის, ეროვნული სამყაროს კულტურული ხატი. მისი შინაფორმით მარკირებულია ტრადიციული ყოფის ყველა სფერო. იდიომი ჩნდება მაშინ, როცა აღმნიშვნელი კარგავს პირდაპირ კავშირს აღსანიშნთან და ახალ აღსანიშნს გამოხატავს. ,,საქმე ისაა, რომ ე. წ. ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას",- წერს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997:89). ,,მას შემდეგ, რაც ექსტრალინგვისტური ფაქტი იდიომად გარდაიქმნება, იდიომი იძენს სხვაგვარ კონოტაციას, ადამიანის სწრაფვა ექსპრესიისკენ კი უშუალოდ ფსიქოლოგიის სფეროა" (აზმაიფარაშვილი, 2014:9).

ლინგვოკულტურემა, „მითოლოგემა" „ლოგოეპისტემა" ყოველი ტერმინის მეშვეობით ცდილობდნენ აესახათ მოუხელთებელი, ე. წ. „ხალხის სული," ანუ ენობრივ ცოდნათა წარმოდგენის ეთნიკური სპეციფიკა. ფონური ცოდნა გაიგება როგორც მოლაპარაკისა და მსმენელის ერთობლივი ცოდნა, რომელიც ენობრივი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს. კულტურის კოდირება-ტრანსლაციაში უზადო თარგმნის როლი უდავოდ დიდია. მხოლოდ ამ ერისთვის დამახასიათებელი საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები, რაიმე ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტები ფრაზეოლოგიზმების ეროვნული სპეციფიკურობის განმაპირობებელი ექსტრალინგვისტური ფაქტორებია.

არამოტივირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების გაგება სინქრონული თვალსაზრისით შეუძლებელია. ისინი-განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის თარგმნისას და მთარგმნელისაგან მოითხოვს ორი ენის, ყოფის, ტრადიციებისა და კულტურის საფუძვლიან ცოდნას. ,,თარგმნის პროცესი რთულია და საპასუხისმგებლო, აქ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ტექსტები, რომლებიც შეიცავენ ფრაზეოლოგიზმებს, მთარგმნელთათ-

ვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს (Kikvadze, Khakhutaishvili, 2015). სიტყვასიტყვითი, კალკირებული თარგმანი იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენებოდეს კიდეც.

„განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება თითოეულ კომპონენტს, მაგრამ არც კომპონენტების სემანტიკა ემთხვევა საერთო სემანტიკას. ზოგჯერ მსგავსებამაც შესაძლოა მოგვიყვანოს შეცდომამდე“ (როდინაძე, 2008:148). თუ მთარგმნელი გვერდს აუვლის ლოგოეპისტემის თარგმნას, თარგმანი მდარე გამოვა და ძალიან დასცილდება ორიგინალს. თარგმნისას აუცილებლადაა გასათვალისწინებელი სტილისტიკური ნიუანსები და ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმის სტილური კუთვნილების საკითხიც, მწიგნობრულია ის თუ სასაუბრო, მდაბიური, ვულგარული, ფამილიარული თუ პოეტური, რიტორიკული. მართალია, განმარტებით ლექსიკონებში არის ზოგიერთი სტილური ნიშანი: სალანძღავი, ვულგარული, კუთხური, დამცირებითი, პოეტური, მდაბიური, სასაუბრო, რიტორიკული, და ა.შ. ფრაზეოლოგიზმის ექსპრესიული ნიშანდობლიობა სრულყოფილად შესწავლილი არაა. ზოგ ფრაზეოლოგიზმს არ ახლავს ემოციური ელფერი - იგი საერთოა სხვადასხვა სტილისთვის, ბევრი მათგანი კი ექსპრესიულობით საგრძნობლად განსხვავებულია. მოკლედ, ლოგოეპისტემების თარგმნისას თავიდან უნდა ავიცილოთ სტილისტიკური დისტრიბუციის დარღვევა, ანუ მწიგნობრული სტილის ნაცვლად სასაუბრო არ გამოვიყენოთ.

საგანგებო ყურადღების ღირსია იმ ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, რომლებშიც ჩანს ისტორიული ფაქტები და კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები. აქ შემონახულია ცნობები კონკრეტული პიროვნებების შესახებაც, რწმენა-წარმოდგენები და რელიგიური პირების სახელები. ასევე ასეთი ერთეულები ზუსტად არ ითარგმნება. გამოვყოფთ ორ შემთხვევას:

ა) თურქული ლოგოეპისტემის თარგმნა ქართული ლოგოეპისტემით: ე. მამულიას თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში ისინი სპეციალური ნიშნითაა (რომბით) წარმოდგენილი.

თურქულში გვაქვს ცხენის ქურდმა უსქუდარი გაირბინა **At hırsızı Üsküdarı koşarak geçti.**

ქართულში გვაქვს **კაკას ხიდი გაიარა: კაკას ხიდს** გაველ, დავაგდე იმერეთისა საზღვარი, ახალციხეში ჩავედი, იქ მომცეს თავშესაფარი" (აკაკი).

კაკას ხიდი გაიარა კვალწმინდად დაიღუპა, უკან აღარ მობრუნდება, მის ასავალ- დასავალს ვეღარ შეიტყობს ვინმე.

სინონიმურია ფრაზეოლოგიზმი **ჩაილურის წყლის დალევა,** რომელიც უკვალოდ, უიმედოდ დაკარგვას, ხელიდან წასვლას რისამე მორჩენას. ამ ლოგოეპისტემების სინონიმია **ჭირი მოგჭამა,** წადი და **უყარე კაკალი,** ეს საქმე წასულია (უიმედოა), ამ საქმეს აღარაფერი ეშველება, მოიშალა, მოისპო.

მის სულზე ეზანს კითხულობს Onun Ruhuna Ezan Okuyor (მამულია, 2006: 73) – ეს ფართოდ გავრცელებული იდიომია თურქულში და ნიშნავს კარგ საქმეს აფუჭებს, აზარალებს. ეზანი მუსლიმთა ლოცვაა, მუსლიმებს მოუწოდებს ლოცვისაკენ).

ამ ფრაზეოლოგიზმის შესატყვისია ქართული **წირვას გამოუყვანს** – წირვა მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურებაა, რომელიც დღისით სრულდება ა) იგივეა, რაც ანდერძს აუგებს; ბ) გადატანითი მნიშვნელობით მთლიანად დახარჯავს (საუბ.) (ქეგლ).

წირვას გამოუყვანს ვინმეს – სისხლს გაუშრობს, გააწვალებს, დატანჯავს, **წირვას გამოუყვანს რამეს** – ნივთს, ჩასაცმელ-დასახურავს უდიერად მოექცევა, არ გაუფრთხილდება.

ენის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში მ. ხახუტაიშვილისა და შ. ფუტკარაძის მიერ დადასტურებული ფრაზეოლოგიზმები, ისტორიულ რეალიებს რომ ასახავენ: **რაზე მირბიხარ, რუსი ხუმ არ მოგდევს?** ეტყვის მუჰაჯირი მუჰაჯირს.

1977-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარის მოსახლეობას უმძიმესი ვითარება შეექმნა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რუს ხელისუფალთა მმართველობის ბარბაროსული ფორმები გახდა მუჰაჯირად წასვლის მიზეზი, რაც დაიტია ერთი ფრაზეოლოგიზმის სემანტიკამ.

მ. ხახუტაიშვილმა და შ. ფუტკარაძემ ქობულეთელ მუშაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დაადასტურეს ფრაზეოლოგიზმი **ჩაუშის ნაჯახსივით დარჩენა: ჩაუშის ნაჯახსავენ დარჩენილია, უკან ველარ გააგზანი Çavuşun baltası gibi kalmış, geriye gönderemezsin** (საუბარია ცოლზე, რომელსაც ადვილად ვერ გაეყრებოდა ქმარი) (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2009:210).

აჭარულ დიალექტსა და საერთოდ, სამხრულ კილოებში გამოიყენება ლოგოეპისტემა **აბდესის მოშლა** (Abdesti Bozmak) აბდესი არის 1. განბანის რიტუალი, 2. არასასიამოვნო სიტუაციაში საწყენი ამბების მოსმენა. ეს რომ გეიგონა, აბდესი მეეშალა ღმერთსა (ფუტკარაძე, 1993: 373).

როგორ ვთარგმნოთ ლოგოეპისტემა? იმ ფრაზეოლოგიზმების დეკოდირება ტექსტში ხშირად შეუძლებელია, რომლებშიც დაცულია ისტორიული ფაქტები და კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები, ცნობები კონკრეტული პიროვნებების შესახებ, რწმენა-წარმოდგენები და რელიგიური პირების სახელები. თუ არსებობს ამის ცალკეული შემთხვევა, ესეც დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. ერთია, რომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ეროვნული კოლორიტი, მაგრამ თარგმნა იმაზე ძნელია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. მთავარი სულ სხვა რამაა. სათარგმნელ ტექსტში თუ თავს მოიყრის რამდენიმე ასეთი ფრაზეოლოგიზმი, მსგავსი რეალიის ანალოგი ველარ გამოგვადგება, ამიტომ ლოგოეპისტემების თარგმნისას უმთავრესად მიგვაჩნია ერთი მომენტის გათვალისწინება: ზომიერებუს დაცვა ეროვნული კოლორიტის გადმოცემისას.

,,ეროვნული რეალიის მატარებელი ფრაზეოლოგიზმი თარგმანში შეიძლება შეიცვალოს სინონიმით ან მსგავსი რეალიის ანალოგით, ოღონდ ამ უკანასკნელის არჩევისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ეროვნული კოლორიტის მოჭარბებამ მკითხველის დეზორიენტაცია არ გამოიწვიოს“ (ჩხვიმიანი, 2004: 85).

მოკლედ, ერთია, რომ ეროვნული კოლორიტი საერთოდ არ გაქრეს, მეორეც, სიჭარბემ შესაძლებელია უკუშედეგი გამო-

იღოს. მაგ. თურქული ტექსტის გაგებისას **კაკას ხიდი გაიარა, ჩაილურის წყალი დალია** და მისთანები ხელს შეგვიშლის სათარგმნი ენის გარემოს წარმოდგენაში. მათი ზუსტი გადატანა ან მიახლოებითი შესატყვისის მოძებნა აუცილებლად გამოიწვევს ერთ-ერთი ენის კოლორიტის მოჭარბებას.

ბ) თურქულ ლოგოეპისტემას შეესატყვისება შინაარსობრივი ეკვივალენტი ასეთი შემთხვევა უფრო ხშირია.

შენი დარდი მარკო ფაშას უამბე Sen derdini Marko Paşaya Anlat (მამულია, 2006: 90), **არავის ედარდები, შენი გამკითხავი არავინაა.**

ქართულში ამ ფრაზეოლოგიზმის უამრავი სინონიმი მოგვეპოვება, ოღონდ მათ შორის სტილისტიკური სხვაობაა: **თავი ქვას ახალე** (შენს საქმეს არ ვინაღვლებ, არ მაინტერესებს), **ეგ ზლაპრები ბებიაშენს მოუყევი** (თუ ტყუის), **ეგ საკენკი შენს წიწილებს დაუყარე** (თუ თვალთმაქცობს, ცუდ საქმეში ითრევს ვინმეს).

აქვეუნდა დავასახელოთ ფრაზეოლოგიზმი **აჰფეშის თხასავით თავს იქნევს " Ahpeş keçi gibi kafasını sallıyor"** – არაფერი გაეგება და ისე ეთანხმება, ყველაფერზე თავს აკანტურებს. აჰფეში ცნობილი არაბი ენათმეცნიერია, რომელმაც ,,თხას წერა-კითხვა ასწავლა".

ქართულში ამ ლოგოეპისტემის შესატყვისია **ასკილივით თავს აქნევს** (იხ. ფლორონიმული ფრაზეოლოგიზმები).

თურქული ლოგოეპისტემაა **ალეპო თუ აქ არის, არშინი იქაა Alepo Burda ise, Arşin oradadır** (მამულია, 2006: 153): ვნახოთ, რასაც იზამ, რასაც გახდები, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ამ გამოთქმას ქართულში შეესაბამება **ეს ბურთი, ეს მოედანი: – აი, ეს ბურთი და ეს მოედანი,** ვცადოთ, ცდა ბედის ნახევარიაო (ილია).

ბურთი და მოედანი – გადატანით ამ ფრაზაში იგულისხმება ისეთი სარბიელი, ხელსაყრელი პირობები და საშუალებანი, როცა ადამიანს სრული შესაძლებლობა აქვს გამოავლინოს თავისი სიმამაცე, ცოდნა, ნიჭი, უნარი და საერთოდ, საგმირო საქმეები.

ალეფს რომ ხედავს, სარი ჰგონია **Alepi Görünce, Sari olduğunu zannediyor** (მამულია, 2006: 110) – გაუნათლებელია, ანაბანა არ იცის (ქართ.) (შდრ. ელიფი მერთელი გონია (აჭარ.).

სინონიმებია: **საქმის ალეფი არ გაეგება İşin Alefinden haberi yok** (მამულია, 2006:174) **და არც ჰანიისა გაეგება, არც კონიისა– ve ne Haniyadan haberi var, nede Konyadan** არაფერი იცის (იქვე, 154). ჰანია ქალაქია საბერძნეთში, კონია– თურქეთში.

ანბანი ქართული ალფავიტის პირველი და მეორე ასოების სრული სახელწოდებების შერწყმითაა მიღებული. ანბანის ცოდნაზეა დამოკიდებული წერა-კითხვის სწავლა. **ანაბანა** საფუძველია, კანონია მეცნიერების რომელიმე დარგისა. „სულ სხვისა საქმეზე ხარჯავს თავის ღონესა და ძალასა, თავისებურად კითხულობს ცხოვრების ანაბანასა“ (ვაჟა).

ამ ფრაზეოლოგიზმს გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია შეენაცვლოს **ბაიბურში არ არის.**

უსქუდარში გათენდა Üsküdarda Sabah oldu (მამულია, 2006:284)- **უკვე დაგვიანებულია. უსქუდარი** სტამბულის ერთ-ერთი უბანია. ეს ფრაზეოლოგიზმი ქართულში ასე გადმოიცემა: უკვე დაგვიანებულია, **უყარე კაკალი. უყარე კაკალი** ნიშნის მოგების, დაცინვის სემანტიკას შეიცავს, ამიტომ სტილისტიკური ელფერიც კონტექსტის შესაბამისი უნდა იყოს (შდრ. წავა და მერე **უყარე კაკალი** (ვეღარ მიაგნებ, დაიკარგება).

დაახლოებით ამავე მნიშვნელობისაა **თურქული ლოგოეპისტემა: ბორის ბაზრობა დასრულდა, გარეკე შენი საქონელი ნიგდესკენ Bori pazarı Bitmiştir, artık hayvanlarını götür Niğdeye** (მამულია, 2006: 125).

ფათიჰა წაიკითხე (მამულია, 2006:122)– ეს გამოთქმა ნიშნავს იმედის გადაწურვას, საქმის წახდენას. **ფათიჰა** ყურანის პირველი სურაა, რომელსაც მიცვალებულთა მოსახსენებლად კითხულობენ.

ქართულში მისი სინონიმებია: რაღა დროსია, რისამე დაბრუნების იმედი ნუღარ გექნება, გამოეთხოვე, კარგად მეყოლე, **მეყოლე ვარდივით.**

რელიგიური საფუძველი აქვს გამოთქმებს: **ეზრაელმა მოაკითხა Azrail Geldi //მიქელ-გაბრიელმა მოაკითხა.**

ორ მეჩეთს შუა უნამაზოდ დარჩა (მამულია, 2006: 168). ამის სინონიმია ქართული **ორი ძიძის ხელში ბავშვი მშიერი დარჩაო**

ყადირის ღამეს დაბადებული Kadir Gecesinde Doğmuş (მამულია, 2006:175)- **ბედნიერი, ქუდბედიანი. ქართულში მისი სინონიმია: ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული**- კაცი, რომელსაც ყველაფერში ხელი მოემართება, ,,ალბათ რაღაც ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული (ნ. ლომ.)"

კაფის მთის გადაღმა Kapi Dağı Ardıbnda (მამულია, 2006: 179) **ძალიან შორს, მოუსვლელში.** ქართულში ამ ლოგოეპისტემის შესატყვისია **ცხრა მთას იქით** –,,სევდა ცრემლად ამოვღვარე, სასიკვდილოდ განწირულმა და გავსწიე საყვარლისკენ **ცხრა მთას იქით** დაკარგულმა" (დ. მაჩხ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ქართულ მეტყველებაში ცხრა** ძალიან ხშირად გამოიყენება სიმრავლის, მრავალფეროვნების, სიშორის აღსანიშნავად.

ყვითელჩექმებიანი მეჰმეთ აღა - Sarı Botlu Mehmet Ağa საეწვო, უჩინმაჩინის ქუდი ჰხურავს. უჩინმაჩინი ზღაპრულზე, ტყუილზე მინიშნებას შეიცავს. ქართულში მისი ზუსტი სინონიმი არ გვაქვს. შეიძლება შევცვალოთ გამოთქმით: **ბნელი, უმისამართო პიროვნება.**

გამოჩნდა სივასის მთები Sivas Dağları Göründü (მამულია, 2006:35) (სივასი ქალაქია თურქეთში)-**მოულოდნელად საშიში ვითარება შეიქმნა.** ამ უკანასკნელის სინონიმია **ახირზამანის მოსვლაც, Ahır zamanın gelmesi** ოღონდ მოულოდნელობის მომენტი აქ არ ჩანს. ყოველივე დაფარული უნდა გამომჟღავნდეს, ცოდვებზე პასუხისგების დრო მოვიდა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ღმერთი დაჯდება განსჯად ცოცხალთა და მკვდართა. ადამიანური ცოდვების განსჯა- განხილვის დღეს ყოველივე დაფარული გამომჟღავნდებოდა (ჩვენი **განკითხვის დღე დადგა** (მ. ჯავახ.)).

თურქული ლოგოეპისტემა ჰაჯი ჰასანთან წადი Haci Hasana git -ქართულად ასე გადმოიცემა: **ჯანდაბამდე გზა გქონია, დედესთან წადი**

ჰაჯი ჰასანი თურქეთის ერთ-ერთი საგიჟეთის მკაცრი ზედამხედველი იყო. მასთან მოხვედრა ჯოჯოხეთში ჩავარდნას უდრიდა, ამიტომაც თურქმა ხალხმა მსგავს მდგომარეობაში ყოფნის აღსანიშნავად შექმნა ეს ფრაზეოლოგიზმი (ჭყონია, 2007: 92)

ლალა ფაშას ართობს - ძნელ საქმეს თავს ანებებს და სხვას ართობს - **Lala Paşayı eğlendiriyor – Zor işi bırakıp başkasını eğlendiriyor მამაჩემს ჰადირი ჰქვია (Babamın İsmi Hadir)** (მამულია, 2006: 47), ხელიდან რაც გამომდის, ესაა.

ქართულ ენაში მისი შესატყვისებია: მე სხვა არაფერი შემიძლია, რაც ვარ, ეს ვარ, ჩემგან მეტი არაფერი გამოვა - **მეჩეთი დანგრეულია, მაგრამ მიჰრაბი ადგილზეა Cami yıkılmış, fakat Mihrabı yerinde,** - წლები ვერას აკლებს, კვლავ ლამაზია.

ლოგოეპისტემათა თარგმნისას სხვა არაერთი ასპექტი იკვეთება: მაგალითად, ვიღოთ ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი **ხელის დაბანა. როგორ გადავა განსხვავებული რელიგიის ხალხთა ენაზე?** თანაც, ის სიტყვათა თავისუფალი შეხამებაცაა.

მიუთითებენ იმაზეც, რომ ქრისტიანული რელიგიის მქონე ან მცოდნე მკითხველისთვის ამ ფრაზეოლოგიზმის გაგება არაა ძნელი, ისევე როგორც ბიბლეიზმების და მითოლოგემების ტრანსპოზიცია თარგმანში, მაგრამ ,,ძნელი წარმოსადგენია, გამოთქმაში **მე ხელები დამიბანია** მუსლიმანს, ბუდისტსა თუ ინდუსს პილატეს ეს ცნობილი ქმედება გაახსენდეს და ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოს" (ჩხვიმიანი, 2004:91).

ზემომოყვანილი მაგალითების მსგავსი მასალების სრულყოფილი აღნუსხვითა და ანალიზით კიდევ ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხი გამოჩნდება, რომელთაც ლინგვოკულტურემების თარგმნის დროს აწყდებიან. ცალკეული ლოგოეპისტემის თარგმანში გადმოცემის საშუალებების შესწავლით მომზადდება თარგმანის თეორიული ბაზა, რითაც თარგმანცოდნეებს გაუადვილდებათ საქმიანობა. საკითხის შესწავლა აქტუალურია ფსიქოლინგვისტიკის კუთხითაც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დღესდღეობით მეტად აქტუალურია ანთროპოცენტრისტული პარადიგმა. ფრაზეოლოგიის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამყაროს ქართული ენობრივი სურათის შესასწავლად, რაც გულისხმობს ყველა კულტურული კოდის (სომატური, სივრცული, დროითი, საგნობრივი, ბიომორფული, სულიერი...) კვლევას. მრავალრიცხოვნებისა და მრავალფეროვნების გამო ფრაზეოლოგია ამოუწურავი სფეროა, სრულყოფილად არაა აღწერილი ქართული ენის ფრაზეოლოგიური ფონდი.

მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიზმთა შესახებ არაერთი ნაშრომი გამოიცა, მაინც არ არსებობს სრულყოფილი ლექსიკონი, მით უფრო, დიალექტთა ფრაზეოლოგიური ლექსიკონები. დროის მოთხოვნებს პასუხობს ქართული დიალექტური კორპუსის შექმნა. დიალექტური ფრაზეოლოგიიის მეტად მნიშვნელოვან ნაწილად მიგვაჩნია გარე დიალექტების მასალები. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად ნაშრომში ვითვალისწინებთ სამხრული კილოების: ტაოური, კლარჯული და შავშური დიალექტების ფრაზეოლოგიზმებსაც. თემა აქტუალურად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც დგას დიალექტური ფრაზეოლოგიზმების დაუყოვნებლივ დაფიქსირების აუცილებლობაც და მათი ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული თუ სოციოლინგვისტური შესწავლის აუცილებლობაც. დიალექტების ფრაზეოლოგიაში აისახება მომიჯნავე ენათა კონტაქტები სესხების, კალკის და ნახევარკალკის სახით. დიალექტურ ფრაზეოლოგიაში უხვადაა ფრაზეოლოგიური ვარიანტები და ისინი დუპლეტებს ქმნიან სალიტერატურო ენის ფრაზეოლოგიზმებთანაც. ნაკლები ყურადღება ექცევა ვარიანტებში კომპონენტთა მონაცვლეობის სტილისტიკურ ფუნქციებს.

საერთოქართველური სურათის შექმნას რამდენადმე შეუწყობს ხელს სხვა ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინება.

სტრუქტურულ ანალიზში გამოიყოფა მაფრაზეოლოგიზებელი კომპონენტები: ადამიანის სხეულის ნაწილები, **სომატიზმები, სამოსლის სახელები, ფლორონიმები, ცხოველების და ფრინველების სახელები, საკრალური რიცხვები, ფერთა სახელები** და ა. შ.

სომატიზმებს ემოციებთან დაკავშირებით იკვლევენ, მაგრამ ქართულში იკვეთება განსხვავებული სურათი. განსაკუთრებით ეს **გულს** ეხება. ის გამოხატავს დადებით-უარყოფით განცდათა ასიმეტრიულობას ენაში.

გულ' კომპონენტიან ფრაზეოლოგიზმებს უკავშირდება ინტელექტუალური პროცესების, ფიზიოლოგიური მოვლენების გადმოცემაც.

ქართულში ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილის ღერძული სიტყვა **ცხოველის, ფრინველის** ან **ქვეწარმავლის სახელია.** აქ იკვეთება სახე-სიმბოლოები: **ვირი, მგელი, მამალი, კატა, ძაღლი, არწივი** და ა.შ. ანიმალური ფრაზეოლოგიზმების საშუალებით ძირითადად უარყოფითი ემოციები გადმოიცემა. ფლორონიმულ ფრაზეოლოგიზმთა უმეტესობა სასაუბრო სტილისაა. საინტერესოა სამხრული კილოების მონაცემები და განსაკუთრებით დარგობრივ ლექსიკაში დადასტურებული ფრაზემები: **ანგელოზის თითის ჩამონასვამი, ალაღება ყანისა, გაწბილებული ყანა, კაბიანი შეერია ყანას, ყანის გაჭარბება, კოტაზე ცხვირის მოხოცვა, ლობიო იხვარბლება, პურის დაორსულება** და ა.შ.

ფერებს სიმბოლურად აკისრია სხვადასხვა სემანტიკის გამოხატვა, შეპირობებულია ერებს შორის ისტორიულ-კულტურული, კლიმატური და სხვა განსხვავებებით თავისებურია და მათში აისახება ღირებულებები, ზნეობრივი ნორმები, მორალი, კულტურა.

ასტრალურ სახელთაგან ნაწარმოებ ფრაზეოლოგიზმებში გამოკვეთილია **მზე ქართულში** ის არის შემეცნების, ცოდნის, სილამაზის წყარო, სიყვარულის სიმბოლო, გვხვდება სიხარულის, მწუხარების და სიკვდილის სემანტიკის ფრაზეოლოგიზმებში.

სემიოტიკურ-სემანტიკური კვლევა ითვალისწინებს სემანტიკურ ჯგუფებად, ბუდეებად დაყოფას, რომელთა დაწვრილებითი ანალიზი მომავლის საქმეა.

ქართულში სპორადულად გვხვდება შემთხვევა, როცა გრამატიკული კატეგორიების ცვლას მოჰყვება ცვლილებები ფრაზეოლოგიზმის სემანტიკაში. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში ფრაზეოლოგიზმის გრამატიკულ მნიშვნელობას ეფუძნება **ანტონიმია: ჭადს მიაჭამე** (ცოტა ჭამე) **და ჭადი მიაჭამე** (სურვილისამებრ ჭამე).

ვარიანტებს ქმნის საშუალი ქართულის და დიალექტური ფრაზეოლოგიზმებიც. მონაცვლეობენ სახელები, ზმნები და ზოგჯერ ორივე კომპონენტიც. შესასწავლია კომპონენტთა ურთიერთმიმართება, ორმხრივი ურთიერთობები წინადადებებსა და ტექსტებში მკვლევარს ელოდება.

ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს ქმნის ქართული და ლაზური: **ძაღლის ბედი აქვს** მეგრულში გვაქვს **ყვავის ბედი აქვს; ძაღლის ნაკბენივით ახსოვს//გველის ნაკბენივით ახსოვს; ბაყაყმაც ფეხი გაიშვირა//კუმ ფეხი გამოყო.**

ფრაზეოლოგიურ სინონიმთა რიგები მდიდარია, მაგრამ თითოეულ ფრაზემას განსხვავებული ემოციური ელფერი აქვს და ისინი სტილისტიკურად მკვეთრად მარკირებულია. ზოგი ევფემისტურად გადმოგვცემს სათქმელს, ზოგიც – დისფემისტურად. სინონიმურ ფრაზეოლოგიზმთაგან კონტექსტს მხოლოდ ცალკეული ფრაზეოლოგიზმი ერგება, შესაბამისად, სინონიმიის ცნება ვიწროვდება.

ჩვენებურთა მეტყველებაში კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ქართული ფრაზეოლოგიზმით, ლექსემით ან ფრაზით არის ახსნილი. სინონიმური პარალელიზმი გამოკვეთილი სტილისტიკური ხერხია, რომლის უმთავრესი ფუნქცია ემფაზაა.

ნეკროტიზმებში შემონახულია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც შემოსულა უცხოურ ენათაგან და ხმარებიდან გასულა.

ნაშრომში განხილულია მყარი შედარებანი. მათ ერთ ნაწილში ჩანს ისტორიული მოვლენები, კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები, ტრადიციები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები, რწმენა და ა.შ. ისინი ლოგოეპის-

ტემებია, ლინგვოკულტურემებია, გადმოგვცემენ კონკრეტული ხალხის მსოფლგაგებას.

ანთროპოცენტრისტულმა პარადიგმამ წინა პლანზე წამოსწია ფრაზეოლოგიზმთა კონოტაციურ-კულტუროლოგიური ფუნქციებიც, რადგან ფრაზეოლოგია ენასა და კულტურას შორის შუამავალია, ფრაზეოლოგიური თეზაურუსი კულტურის ვერბალური თეზაურუსია.

ფრაზეოლოგიური ერთულების კულტურათშორისი კომუნიკაციების კონტექსტში კვლევა კი ემსახურება კულტუროლოგიის საერთო პლატფორმის დადგენას, უნივერსალიების გამოვლენას და ეროვნული სპეციფიკის განსაზღვრასაც. ამგვარ კვლევას მეთოდოლოგიური და ლინგვოდიდაქტიკური მნიშვნელობაც აქვს.

კულტურის კოდირება-ტრანსლაციაში უზადო თარგმანის როლი უდავოდ დიდია. ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სტრუქტურა და კომპონენტებიც ქართულსა და თურქულში იდენტურია, მაგრამ სემანტიკური და სტილისტიკური ნიუანსები არსებითად განსხვავებულია. ასეთი ერთეულები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის თარგმნისას და მთარგმნელისაგან მოითხოვს არა მარტო ორი ენის, არამედ ყოფის, ტრადიციების, კულტურის ცოდნასაც. ნაშრომში განვიხილავთ პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმთა და ლოგოეპისტემების თარგმნის სირთულეებსაც.

განსაკუთრებით აქტუალურია იმ ლოგოეპისტემების თარგმნა, რომლებშიც ჩანს ისტორიული ფაქტები და კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები. აქ შემონახულია ცნობები კონკრეტული პიროვნებების შესახებაც, რწმენა-წარმოდგენები და რელიგიურ პირთა სახელები. გამოიყოფა ორი შემთხვევა: **თურქული ლოგოეპისტემის თარგმნა ქართული ლოგოეპისტემით და თურქული ლოგოეპისტემა გადმოიცემა შინაარსობრივი ეკვივალენტით.**

ფრაზეოლოგიზმის შინაფორმით მარკირებულია ტრადიციული ყოფის ყველა სფერო. ლოგოეპისტემის სიტყვასიტყვით თარგმნამ შესაძლებელია დაამახინჯოს. თუ მთარგმნელი

ყოველთვის აუვლის გვერდს ლინგვოკულტურემის თარგმნას, ეს გამოიწვევს ორიგინალთან დაცილებას. გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმის სტილური კუთვნილების საკითხიც, თავიდან უნდა ავიცილოთ სტილისტიკური დისტრიბუციის დარღვევაც.

მთარგმნელის უპირველესი მიზანია ეროვნული კოლორიტის შენარჩუნება, მაგრამ მეორე უკიდურესობაა ერთ-ერთი ენის კოლორიტის მოჭარბებაც.

ცალკეული ლოგოეპისტემის პრაგმატიკის შესწავლით მომზადდება თარგმანის თეორიული ბაზა, რითაც თარგმანცოდნეებს გაუადვილდებათ საქმიანობა. საკითხის შესწავლა აქტუალურია ფსიქოლინგვისტიკის კუთხითაც, რომელიც სწავლობს ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის ეთნოფსიქო-ლინგვისტურ დეტერმინირებას.

შემოკლებათა განმარტებანი

ამირანდარ.- მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანელიშვილმა (ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლები), თბ. 1969;

ა. ერ. ხოშტ. -მოთხრობები. ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ნინო ნაკაშიძე, ფუცუ დგებუაძე, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი); (შემდგ. გ. გვერდწითელი, რ. თვარაძე, თბ. 1990);

არაბ. -არაბული ენა;

ბალ.- ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ. აკაკი შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები 10), თბ. 1957;

ბარნ.- ბარნოვი ვ.,. თხზულებანი, ტ. 1-10, თბ. 1961-1964;

გამ.- წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი ნაკვ. I შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის რედაქციით, თბ. 1989 წ;

გორგ.- **გორგილაძე ზ.,** რჩეული, გამომცემლობა „აჭარა, ბათუმი; 2006; ერთტომეული, გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი, 2012; ასი ლექსი, გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 2007;

დსკი - ქსუ, დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები, 1993-2005;

გ.დოჩან.- დოჩანაშვილი გ. მოთხრობები ტ. 1 გამომცემლობა „აისი,“ თბ. 2007; მოთხრობები ტ. IV, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ. 2010; „განსმდგომი შუაკაცი,“ „იქამდე,“ „ათასი წვრილმანი“, გამომცემლობა „ნაკადული,“ თბ. 1991;

დ. გურ. -გურამიშვილი დ., „დავითიანი,“ გამომცემლობა „საქართველო,“თბ. 1992;

დ. მაჩხ.- დ. მაჩხანელი, კრებული **რჩეული მოთხრობები** 8 ტომში შესულია შემდეგი მწერლები: ს. მგალობლიშვილი; ალექსანდრე ყაზბეგი; ვაჟა-ფშაველა; თედო რაზიკაშვილი; ეკ. გაბაშვილი; ე. ნინოშვილი; დ. კლდიაშვილი; ვ. ბარნოვი; შ. არაგვისპირელი; ი.ევდოშვილი; დ.მეგრელი; ი. ცინცაძე (ია ეკალაძე) მელანია (ნ. ნათიძე) გამომცემლობა „ საქართველოს მაცნე“ თბ. 2015;

დ. ტურ.: ტურაშვილი დ., ჩაძირული ქალაქის ღამე, თბ. 2013;

ვაჟა- ვაჟა-ფშაველა, პოემები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, თბ. 1964; ტ.V მოთხრობები გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ. 1964.; ტ.I ლექსები, პოემები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო. თბ. 1979;

ვტ.- „ვეფხისტყაოსანი,“ შოთა რუსთაველი, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი, საიუბილეო გამოცემა, თბ. 1966 წ;

ვისრ.- „ვისრამიანი“, ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით. 1962;

ი.-სახარება იოვანესი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 2), თბ., 1945;

იერ.- იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ. თბ. 1992 წ;

იმერხ.- ფაღავა მ., ცინცაძე მ., იმერხეული ტექსტები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული V ბათუმი, 2007;

ირ.ევდ.- ევდოშვილი ი., თხზულებანი ლექსები, მოთხრობები, პოემა. შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო შ. გოზალიშვილმა; რედ. მ. ზუბადალაშვილი 5. - ნაკადული, თბ. 1975;

კახ. -კახური დიალექტი;

კლარჯ. კლარჯეთი: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თბილისი, 2016.

კირნ.- კირნათი;

ლ.- სახარებაჲ ლუკაჲსი, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979;

ლიმ.- იოანე მოსხი, ლიმონარი. ტექსტი გამოიკვლია და გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960 წ.;

მ. ცხ.- მამათა ცხორებანი. ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი X საუკუნისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. თბ. 1975 წ,

მ.- მათეს სახარება, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა. თბ. 1979;

მამ. ცხ. ბრიტ.- მამათა ცხოვრებანი, ბრიტანეთის მუზეუმის Adд-1128 (XI ს.) ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975;

მაჭახ. – მაჭახელა.

მრკ.- მარკოზის სახარება, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979;

მ. სწავლ.- მამათა სწავლანი, X-XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ. აკაკი შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები, 8), თბ. 1955;

ნიგ. -ნიგალი, ბერიძე ე, ნიგალი. ბათუმი. 2009;

ნ. დუმბ.- დუმბაძე ნ., 2. მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", ,,ოდისევსის დაბრუნება", ,,ხაზარულა", ,,წინკები", ,,დედა", ,,ბოშები". თბ. 2017;

ო. იოს. იოსელიანი ო., ჩემი ასავალ-დასავალი (ავტობიოგრაფიული მოთხრობები), გამომცემლობა პალიტრა L. თბილისი, 2011;

ორდ.- ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველება, მამია ფაღავა, მაია ბარამიძე, მერი ცინცაძე. დიალექტოლოგიური და ფოკლორული მასალები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი. კრებული VII. ბათუმი, 2013;

ო.ჭილ. -ჭილაძე ო.,გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" გამომცემლობა პალიტრა L.თბ. 201

რ. ინან.- იონანიშვილი რ., ,,მთვარის ასული", თბ.1986; ,,ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა,"თბ. 1974; დედა და სხვა მოთხრობები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.2017;

რუსუდ.– რუსუდანიანი ილია აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით (ძველი ქართუ-ლი კლასიკური ლიტერატურა), თბ.1957;

საბა (1) 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, გამომცემლობა „მერანი,“თბ.

საბა (2) 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II, გამომცემლობა „მერანი,“თბ.

საბა II- სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ალ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ. 1962;

საკ.- საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა (თსუს ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10), თბ., 1966;

sin.- სინური მრავალთავი 864 წლისა; გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1959;

ს.მგალობ.: მგალობლიშვილი ს., რჩეული მოთხრობები, თბ., 2008;

ტიპ.- პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, გამოსცა ა. შანიძემ: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში (ძველი ქართული ენის ძეგლები, 13), თბ., 1971.

ფსალმ.- ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ, I. ტექსტი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 11) თბ., 1969;

ქართლ.- ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები) შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981;

ქეგლ- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964;

ქართ.- ქართლური კილო;

ქობ. ქობულეთი;

ქობ. მუჰ. ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქარ-თველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI, ბათუმი, 2009;

ყაზბ.- ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებანი, თბილისი, 1985;

ყარ.-„ყარამანიანი“ ალ. გვახარიასა და ს. ცაიშვილის რედაქციით. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი, 1965 წ;

შავშ.: შავშეთი, მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართველოლოგიის ინსტიტუტი თბ. 2011;

შაჰნ.- „შაჰნავაზიანი,“ ფეშანგი გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით.თბ., 1935

შჰნმ.- ფირდოუსის „შაჰნამე,“

შეს.- წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი ნაკვ. I. შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის რედაქციით, თბ. 1989 წ;

შუახ. - შუახევი.

შუშ.- იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ (ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა, II), ტფილისი. 1938. მეორედ გამოიცა 1978 წ;

ჩვენებ.- შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. **აბულაძე, 1973 – აბულაძე ი.,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი თბილისი;

2. **ავალიანი, არძენაძე, 2005 –** ავალიანი თ., არძენაძე ა., მცენარეთა მეტაფორული ნომინაციის ზოგიერთი პრინციპის შესახებ ქართულში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული IV;

3. **აზმაიფარაშვილი,2014–აზმაიფარაშვილი ლ.,** ეთნოგრაფიული რეალიების ამსახვე-ლი ფრაზეოლოგიზმების შესახებ ქართულში, რესპუბლიკური დაილექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. მესტია;

4. **ანდრონიკაშვილი, 1996 – ანდრონიკაშვილი მზ.,** ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტომი II. ნაწილი I, გამომცემლობა ,,ირმისა" თბილისი;

5. **აშაძე, პაპიძე, 2011 – აშაძე მ., პაპიძე ა.,** ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული საკითხები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (სიტყვა-სტატია ენის მაგალითზე), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 70-ე სამეცნიერო სესია, გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი;

6. **ბაგრატიონი, 1979 – ბაგრატიონი თ.,** წიგნნი ლექსიკონნი, თბილისი;

7. **ბარამიძე, 2011– ბარამიძე მ.,** მასალები სამხრული კილოების ფრაზეოლოგიზ-მების ლექსიკონისთვის (შავშეთის ქართულის მიხედვით) I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურათშორისი დიალოგები," შრომები, გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი;

8. **ბარბაქაძე, 2003– ბარბაქაძე ც.,** ,,ხმით ნატირლების ენობრივი სამყარო" საენათმეცნიერო ძიებანი, XIV. თბ.;

9. **ბახტაძე, 2013–ბახტაძე დ.,** ფრაზემინტერნული და ექსტერნული კორელაციების ტიპოლოგია, ჟურნალი ენა და კულტურა II. ქუთაისი,;

10. **ბენიძე, 2009–ბენიძე ჟ.,** სხეულის ფენომენის გაგება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ტბელობა" წლის ოქტომბერ-ნოემბერი (მასალები);

11. **ბერიშვილი, 2002 – ბერიშვილი ე.,** ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილისათვის ქართული სახარების ორი ძველი რედაქციის მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, 2 (14). თბილისი;

12. **ბიბილეიშვილი, დარაშვილი, გაჩავა, 2010 – ბიბილეიშვილი ც., დარაშვილი ლ., გაჩავა რ.,** ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა „დიოგენე."თბილისი;

13. **გამრეკელი, მგალობლიშვილი,1966–გამრეკელი ნ., მგალობლიშვილი ე.,** ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი;

14. **გამრეკელი, მგალობლიშვილი,1956–გამრეკელი ნ, მგალობლიშვილი ე.** რუსულ-ქართული იდიომატიკა, თბილისი;

15. **გამყრელიძე, 2010 – გამყრელიძე ნ.,** სამყაროს ვერბალური გააზრება და ლინგვოკრეაციული აზროვნება, ჟურნალი ენა და კულტურა I. გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი,

16. **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008–გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ.,** ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბილისი;

17. **გელოვანი,1980 –გელოვანი ა.,** მარად ცოცხალი ხელოვნება, თბილისი;

18. **გურგენიძე,1973–გურგენიძე ნ.,** აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, გამომცემლობა ,,მეცნიერება." თბილისი;

19. გულუა, 2004 –გულუა ნ, ფრინველებთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი მეგრულ-ლაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XV. თბილისი;

20. ვანილიში, 2010–ვანილიში გ.,ზოგიერთი ლაზური ფრაზეოლოგიზმის შესახებ, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა XI, გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი," ბათუმი;

21. ზოსიაშვილი, 2013– ზოსიაშვილი მ., ფერთა მრავალმნიშვნელიანობის ლინგვოკულტურულოგიური ასპექტები, ჟურნალი ენა და კულტურა II. გამომცემლობა ,,მერიდიანი,"თბილისი;

22. თანდაშვილი, 2016– თანდაშვილი მ., თანდაშვილი მ., ,,ენის დიგიტალური დოკუმენტირება" (შესავალი დოკულინგვისტიკაში), ,,გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი,;

23. თაყაიშვილი, 1961–თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი;

24. თევზაძე,1993 –თევზაძე დ., Danse Macabre, ჟურნალი ,,ცისკარი,"თბილისი, 1993 №3:

25. თვალაძე, 2010–თვალაძე თ., ემოცია ლექსიკური სემანტიკის სტრუქტურაში. I საერთაშორისო კონფერენცია ,,ენა და კულტურა" შრომები. გამომცემლობა. ,,ცისარტყელა," ქუთაისი.

26. თუმანიშვილი,2015–თუმანიშვილი ხ., ფრაზეოლოგიის გლობალური და ლოკალური ასპექტებისთვის (ქართულ და არაბულ იდიომათა კორპუსის მაგალითზე), ,,კულტურათშორისი დიალოგები" შრომები III. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გამომცემლობა ,,მერიდიანი"თბილისი,

27. თურქულ-ქართული ლექსიკონი (ლია ჩლაიძის რედაქციით), სტამბოლი, 2001;

28. **კაკაშვილი, 2015 – კაკაშვილი დ.,** თავთან, გულთან და პირთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები ქიზიყურში, XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ-ს გამომცემლობის სტამბა. თბილისი;

29. **კიკვაძე, ცეცხლაძე, 2011–კიკვაძე მ.,** ცეცხლაძე ნ., მზესთან დაკავშირებული ლექსიკა- ფრაზეოლოგია ქართულში, სამეცნიერო ჟურნალი ,,ენა და კულტურა" №5. ქუთაისი;

30. **კიკვაძე, 2009– კიკვაძე მ.,** ხატოვანი სიტყვა-თქმანი გურულში, ბსუს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული VI. გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი" ბათუმი;

31. **კიკვაძე, 2011– კიკვაძე მ.,** სულის სემანტიკური ველისათვის ქართულში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი, ტ. III. გამომცემლობა ,,უნივერსალი" თბილისი;

32. **კიკნაძე, 2002– კიკნაძე ი.,** იდიომთა გრამატიკული აგებულებისათვის, ბსუს კვლევითი ცენტრის კრებული II. ბათუმი;

33. **კიკონიშვილი, აბალაკი, 2010– კიკონიშვილი მ., აბალაკი მ.,** კონცეპტ ,,სიკვდილის" სინონიმურ მნიშვნელობათა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები, I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი,;

34. **კობახიძე, 1984– კობახიძე ალ.,** ,,დედაშვილობამ" – ,,დედაშვილობას" ტიპის ფიცის ფორმულების შესახებ, ქსკს წიგნი VI. თბილისი;

35. **კოშორიძე, 2009–კოშორიძე ე.,** გიორგი ლეონიძე– პროზისა და პოეზიის ზღვარზე, საენათმეცნიერო ძიებანი, XXX. თბილისი,;

36. **ლაგვილავა, 2016–ლაგვილავა ც.,** კონცეპტ სიკვდილის საკითხისათვის, სემიოტიკა, ნაწილი II. ჰუმანიტარული კვლევები. გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი;

37. **ლიტერატურის თეორიის საფუძვლები,** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ-ს გამომცემლობა, თბ. 1995;

38. **ლობჟანიძე, 2012– ლობჟანიძე ი.,** გრამატიკული და ლექსიკური ასპექტის თავისებურებებისათვის იდიომურ გამოთქმებში, II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი;

39. **ლობჟანიძე, 2010 – ლობჟანიძე ი.,** იდიომური გამოთქმების ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმიისათვის", I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფი-აში, ბათუმი;

40. **მაკარაძე,1999 – მაკარაძე ე.,** ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველება, გამომცემლობა ,,აჭარა." ბათუმი,;

41. **მამულია, 2006– მამულია ე.,** თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკო-ნი, თბილისი;

42. **მემიშიში, 2015–მემიშიში ო.,** ლაზური ანდაზები და იდიომები;

43. **მიქაუტაძე, 2015– მიქაუტაძე მ.,** ფრაზეოლოგიზმები ლინგვოკულტუროლოგი-ური თვალსაზრისით კულტურათშორისი დიალოგები, III შრომები. საერთაშორი-სო სამეცნიერო კონფერენცია. გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი;

44. **მიქელაძე, ასატუროვა, ნაპირელი, კევლიშვილი, 2013– მიქელაძე მ., ასატუროვა ს,. ნაპირელი მ., კევლიშვილი ი.,** საკრალურ რიცხვთა პარალელიზმები ქართული, რუსული, გერმანული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიზმებში, ჟურნალი ენა და კულტურა, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი;

45. მითაგვარია, გიგლემიანი, 2015 – მითაგვარია კ., გიგლემიანი ლ., ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიზმები მეგრულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები XIII. თბილისი;

46. მოდებაძე, 2015– მოდებაძე ც., ემოციის გამოხატვის ფორმები ლექსემა გულის საშუალებით გერმანულ და ქართულ ენებში, კულტურათშორისი დიალოგები III. შრომები. გამომცემლობა ,,მერიდიანი,"თბილისი;

47. მოსია, 2001–მოსია ბ., თეთრის, ნათლისა და მთვარის ფუნქცია ახლა აღთქმაში და მისი მიმართება მეგრულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან. კრებული კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი;

48. მურღულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე, 1992– მურღულია ვ., ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ., საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბილი-სი;

49. ნატროშვილი, 1999– ნატროშვილი თ., ავტორისეული და ფრაზეოლოგიური მეტაფორა, საენათმეცნიერო ძიებანი IX. თბილისი;

50. ნეიმანი, 1978–ნეიმანი ალ., სინონიმთა ლექსიკონი III, გამომცემლობა ,,განათლე-ბა," თბილისი;

51. ნიჟარაძე, 1975 – ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი. გამომცემლო-ბა საბჭოთა აჭარა," ბათუმი;

52. ნიჟარაძე, 1971– ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა";

53. ნოზაძე, 1957–ნოზაძე ვ., ,,ვეფხისტყაოსნის" ვარსკვლავთმეტყველება, გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა, სანტიაგო დე ჩილე;

54. ნოლაიდელი, 2007–ნოლაიდელი ნ., სიტყვა სიტყვის მაკინარია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა IX.გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი" ბათუმი;

55. **ნოლაიდელი, 2013–ნოლაიდელი ნ.,** ლექსიკური ძიებანი, გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი," ბათუმი;

56. **ნოლაიდელი, 1998–ნოლაიდელი ნ.,** ხატოვანი გამოთქმები და დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბსუ შრომების II.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი," ბათუმი;

57. **ონიანი, 1966–ონიანი ალ.,** ქართული იდიომები. გამომცემობა ,,ნაკადული" თბ;

58. **ონიანი, 1954– ონიანი ალ.,** ,,ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხე-ბი,"საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი;

59. **ონიანი, 1966–ონიანი ალ.,** ქართული იდიომები, გამომცემლობა ,,ნაკადული" თბილისი;

60. **პაიჭაძე, 2009 – პაიჭაძე თ.,** ტერენტი გრანელის სულიერი ტრაგედია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა" გამომცემლობა შპს ,,სეზანი" (მასალები). ბათუმი;

61. **რამიშვილი, 2011– რამიშვილი რ.,** ზოგი ფრაზეოლოგიზმისთვის ფერეიდნულში, ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინტიტუტის 70-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი;

62. **როდინაძე, 2008 –როდინაძე შ.,** ლოგოეპისტემები ორენოვანი კომუნიკაციის დროს, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი IV. სანკტ-პეტერბურგი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

63. **რუსაძე, 2010–რუსაძე ი.,** სამყაროს ენობრივი სურათი, როგორც ადამიანთა ცნობიერების ენობრივი ასახვა, ჟურნალი **ენა და კულტურა** I, გამომცემლობა ,,მერიდიანი,"თბილისი;

64. **რუსაძე, ყიფიანი, 2011–რუსაძე ი. ყიფიანი ს.,** კულტურათა ურთიერთობის კანონზომიერებები, ჟურნალი ,,ენა და კულტურა"№5. გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი;

65. სამნიაშვილი, 2005–სამნიაშვილი კ., ფრაზეოლოგიური კვლევის ახალი მიმართულება. საენათმეცნიერო ძიებანი XX. თბილისი;

66. სანიკიძე, 2010–სანიკიძე ი., სიტყვის ესთეტიკური და ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციებისთვის ქართულში, ჟურნალი ენა და კულტურა II გამომცემლობა ,,მერიდიანი,“თბილისი;

67. სარჯველაძე, 2001–სარჯველაძეზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა,“ თბილისი;

68. საღლიანი, 2013–საღლიანი მ., ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ ძირითად ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIVთბილისი;

69. სახოკია, 1979–სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი. გამომცემლობა ,,მერანი,“ თბილისი;

70. სიორიძე, 2009–სიორიძე მ., ფრაზეოლოგიზმების კონოტაციურ-კულტუროლოგიური ფუნქცია და მათი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXX. თბილისი;

71. სირაძე, 1987–სირაძე რ., ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გამომცემლო-ბა ,,განათლება“, თბილისი;

72. სტამბოლიშვილი, 2000–სტამბოლიშვილი ქ., ფრაზეოლოგიური სინონიმები, ბსუს სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები II, ბათუმი;

73. სტამბოლიშვილი, 1998–სტამბოლიშვილი ნ., გერმანული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები, ბსუს შრომები II, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. ბათუმი;

74. სურგულაძე, 2016–სურგულაძე ნ., კინეტიკური და სომატიზმებით მოტივირებული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში, სემიოტიკა

16/2016. ნაწილი II. ჰუმანიტარული კვლევები. გამომცემლობა ,,მერიდიანი“ თბილისი;

75. **სურგულაძე, 2003–სურგულაძე ნ.,** შინაგანი ფორმა, როგორც ემოციურობის მოდუსისა და ექსპრესიულობის გამოხატვის ეფექტური საშუალება, საენათმეცნიერო ძიებანი, XIV. თბილისი;

76. **სურმავა, 2012– სურმავა ნ.,** ფრაზეოლოგიზმების შესწავლის აქტუალობა და ქდკ, როგორც ქართული ფრაზეოლოგიის შესწავლის ბაზა II საერთაშორი-სო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, თეზისები, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი;

77. **სუხიტაშვილი, 1988–სუხიტაშვილი ნ.,** იდიომების განმარტება მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში, გამომცემლობა ,,განათლება,“ თბილისი;

78. **ტერ-მინასოვა, 2017–ტერ-მინასოვა ს.,** ენა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, ნაწილი I. მთარგმნელები ხ. ამაღლობელი, ი. ზაქარაია, გ. ჯიჩოშვილი, გამომცემლობა ,,უნივერსალი,“ თბილისი;

79. **უზნაძე, 1986 – უზნაძე დ.,** ფილოსოფიური საუბარი, სიკვდილი, შრომები ტ. IX, თბილისი;

80. **ფაღავა, 2017 –**,,მეტსახელები ჭოროხის ხეობიდან,“ ფილოლოგიური მაცნე IV. გამომცელობა ,,ივერიონი“ თბილისი;

81. **ფაღავა, ცეცხლაძე, 2017–ფაღავა მ., ცეცხლაძე ნ.,** სამხრული კილოები- ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, გამომცელობა ,,ივერიონი“ თბილისი;

82. **ფეიქრიშვილი, 2003–ფეიქრიშვილი მ.,** სომატურ ფრაზეოლოგიზმთა დიფერენციაციის საკითხი, საენათმეცნიერო ძიებანი, XIV. თბილისი;

83. **ფრანგიშვილი, 1944–ფრანგიშვილი ა.,** ,,გულ" სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ფრაზეოლოგია. ტ. III. თბილისი;

84. **ფონიავა, 2011–ფონიავა ნ.,** გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში XXXI რესპუბლიკური დიალექტო-ლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს), თბილისი;

85. **ფუტკარაძე, 2010 – ფუტკარაძე ე.,** ხატოვანი სიტყვა-თქმანი (აჭარული მასალა), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა XI, გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი," ბათუმი;

86. **ფუტკარაძე,1993 – ფუტკარაძე შ.,** ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი;

87. **ფუტკარაძე, 2016– ფუტკარაძე შ.,** ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, გამომცემლობა ,,აჭარა," ბათუმი;

88. **ფხაკაძე, 2004 – ფხაკაძე, ნ.,** ლინგვოკულტურული ფენომენი და დიალექტი, XXXII დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გამომცემლობა ,,უნივერსალი," თბილისი;

89. **ქაცარავა, 2004 – ქაცარავა მ.,** ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენის პრინციპებისათვის, XXIV დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გამომცემლობა ,,უნივერსალი," თბილისი;

90. **ქაცარავა, აბზიანიძე, 2013 – ქაცარავა მ., აბზიანიძე ლ.,** ფრაზეოლოგიზმები სიტყვით **გული** ქართულსა და რუსულ ენებში. ჟურნალი ენა და კულტურა II.;

91. **ქერქაძე,1988 – ქერქაძე მ.,** ნათლის ესთეტიკისათვის ქართულ საისტორიო მწერლობაში, ჟურნალი ,,მნათობი" №4. თბილისი;

92. ღლონტი, 1984 – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომცემლობა ,,განათლება". თბილისი;

93. ღლონტი, 1955 – ღლონტი შ., ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე, აფხაზეთი სახელგამი, თბილისი;

94. ღლონტი, 1968 – ღლონტი შ., ,,ვეფხისტყაოსნის" ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო", თბილისი;

95. შალამბერიძე, 1966– შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი;

96. შავიშვილი, 1957–შავიშვილი თ., ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი;

97. შავლაძე, ნათაძე, 2005–შავლაძე მ., ნათაძე მ., ფერთა სიმბოლიკა სხვადასხვა კულტურის ენაში, ბსუს შრომები VII. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი,"ბათუმი;

98. შავლაძე, 2013– შავლაძე თ., ეპიტაფია, როგორც ტექსტობრივი ფენომენი და მისი ძირიტადი ტიპები ქართულ და ანგლო-ამერიკულ კულტურებში, გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი,"ბათუმი;

99. შანიძე, 1973– შანიძე ა. ,,ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თხზულებანი III. თბილისი;

100. შენგელია, 2013– შენგელია ე., სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ გამომცემლობის სტამბა. თბილისი;

101. შენგელია, 2013 – შენგელია ვ., გერიშ გემახვენჯი, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ გამომცემლობის სტამბა. თბილისი;

102. **შენგელია, ჯანჯღავა, 2014**—შენგელია ვ., ჯანჯღავა ც., მეგრული ხე ,,ხელი" კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ გამომცემლობის სტამბა. თბილისი;

103. **შიოშვილი, 2006**—შიოშვილი თ., პირი ხისკენ მიქნია... ქართული ხალხური წყევლა, თბილისი;

104. **შიოშვილი, 2004**—შიოშვილი თ., ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, ბათუმი;

105. **ჩიმქე, 2015**—ჩიმქე ჰ., გულთან დაკავშირებული იდიომები ქართულსა და თურქულში, კულტურათშორისი დიალოგები, შრომები. III გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი;

106. **ჩიქობავა, 1938**—ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი;

107. **ჩხვიმიანი, 2004**—ჩხვიმიანი ს., ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში საენათმეცნიერო ძიებანი XVI თბილისი, გამომცემლობა ,,ქართული ენა" თბილისი;

108. **ცეცხლაძე, 2008**—ცეცხლაძე ნ., **სიტყვათა მყარი შეხამებანი ძველ ქართულში** (,,შესაქმე, გამოსლვათა"), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები I. გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი;

111. **ცეცხლაძე, 2009**—ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულ მეტყველებაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. ტ. XII. გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი;

109. **ცეცხლაძე, 2016**—ცეცხლაძე ნ., მყარი ენობრივი შედარებანი ქართულში (ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი), იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა ,,საარი" ISBN 978-9941-0-7836-1. თბილისი;

110. ცეცხლაძე, 2013–ცეცხლაძე ნ., სინონიმური პარალელიზმი ,,ჩვენებურთა“ მეტყველებაში საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი ,,ინტელექტი“ 1(45). თბილისი;

111. ცეცხლაძე, 2015 – ცეცხლაძე ნ., ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგია ქართულში, ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა ,,საარი“, თბილისი;

112. ცეცხლაძე,2011 – ცეცხლაძე ნ., კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ჩვენებურთა მეტყველებაში. XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს. თბილისი;

113. ცეცხლაძე,2015 –ცეცხლაძე ნ., ხატოვანი სიტყვა-თქმები – ეროვნული რეალიების ენობრივი სურათი, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები VI. გამომცემლობა ,,უნივერსალი,“ თბილისი;

114. ცეცხლაძე,2015–ცეცხლაძე ნ., ნეკროტიზმები ქართულში, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის შრომები ,,ფილოლოგიური მაცნე“ II. გამომცემლობა ,,ივერიონი“, თბილისი;

115. ცეცხლაძე,2017 – ცეცხლაძე ნ., სულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ზურაბ გორგილაძის პოეზიაში, ბსუ, ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი, **ჩვენი სულიერების ბალავარი** ტ. IX. გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბ. 2017;

116. ცეცხლაძე,2017–ცეცხლაძე ნ., გულ' კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები II. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი;

117. **ცეცხლაძე,2016 –ცეცხლაძე ნ.,** კალკური ფრაზეოლოგიზმების პრაგმატიკული ანალიზი სამხრულ კილოებში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები I. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი;

118. **ცეცხლაძე,2015–ცეცხლაძე ნ.,** სატირის გამომხატველი ენობრივი საშუალებანი ქართულ ფრაზეოლოგიაში, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურათშორისი დიალოგები" შრომები, თელავი. გამომცემლობა ,,მერიდიანი"თბილისი;

119. **ცეცხლაძე,2013 –ცეცხლაძე ნ.,** ხატოვანი სიტყვა-თქმები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლე-ბის მეტყველების მიხედვით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი კრებული VII . ,,გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი;

120. **ცეცხლაძე,2019 –ცეცხლაძე ნ.,** ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულ კილოებში და მათი კონოტაციური ანალიზი, XXXIX დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი, 2009,

121. **ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014 –ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ.,** სტილისტიკა. გამომცემლობა ,,ივერიონი" თბილისი;

122. **ცეცხლაძე, კიკვაძე, ფარტენაძე, 2011–ცეცხლაძე ნ., კიკვაძე მ., ფარტენაძე ნ.,** სიკვდილის სემანტიკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში. ,,კულტურათშორისი დიალოგები" I. შრომები. გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი;

123. **ცინცაძე, ფაღავა, 1998 – ცინცაძე მ., ფაღავა მ.,** სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა V-XVIII სს), გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი;

124. **ცინცაძე, ბარამიძე, 2012–ცინცაძე მ., ბარამიძე მ.,** სიტყვათა მყარი შეხამებანი ქართული პრესის ენაში, II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, თეზისები, გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი;

125. **ძიძიგური, 1960–ძიძიგური შ.,** საენათმეცნიერო საუბრები, გამომცემლობა ,,ნაკადული", თბილისი;

126. **ძიძიგური, 1975–ძიძიგური შ.,** სიტყვის სესხების საერთო მიზეზები და შედეგები, საენათმეცნიერო საუბრები, თბ;

127. **ჭიკაძე,2014–ჭიკაძე რ.,** ძალმოსილება ქართული სიტყვისა, გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი;

128. **ჭოხონელიძე, 2004– ჭოხონელიძე ნ.,** იდიომები რ. ინანიშვილის პროზაში, ჩიქობავას საკითხავები, XV გამომცემლობა ,, უნივერსალი," თბილისი;

129. **ჭოხონელიძე, 2007– ჭოხონელიძე ნ., იდიომები გარეკახურში,** XXVII დიალექტოლოგიური სამეცნიე-რო სესიის მასალები, თბილისი;

130. **ჭყონია, 1910– ჭყონია ი., ჭყონია.** სიტყვის-კონა, პეტებურგი;

131. **ჭყონია, 2007– ჭყონია ლ.,** თურქული ფრაზეოლოგიზმები და მათი შესატყვისები ქართულ ენა-ში ბსუს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებუ-ლი V. ბათუმი;

132. **ხაჭაპურიძე, 2009– ხაჭაპურიძე ლ.,** სიკვდილის ქრისტიანული გაგება XVIII-XIX საუკუნეების ფრანგი ელეგისტებისა და ტერენტი გრანელის შემოქმედებაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ტბელობა (მასალები);

133. **ხაჭაპურიძე,ლომთაძე, 2006 – ხაჭაპურიძე ლ., ლომთაძე ლ.,** სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე. საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV. თბილისი;

134. **ხახიაშვილი, 2009– ხახიაშვილი ნ.,** სიტყვა მზესთან დაკავშირებულ სახელთა სემანტიკური ანალიზი ქართულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ტბელობა" 2009 (მასალები). ბათუმი;

135. **ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2009– ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ.,** ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები, ბსუს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული VI. გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი" ბათუმი;

136. **ხოფერია, 2006–ხოფერია მ.,** ფრაზეოლოგიის ფენომენი ლინგვისტიკისა და კულტურის მიჯნაზე, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV. თბილისი;

137. **ჯავახიშვილი, 1979 – ჯავახიშვილი ი.,** ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი 12 ტომად. ტ.I.თბილისი;

138. **ჯანჯღავა, 2004– ჯანჯღავა ც.,** სიტყვა გური ,,გული" მეგრულ ლექსიკურ ერთეულებსა და იდიომებში, XXIV დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი," თბილისი;

139. **ჯანჯღავა, 2015–ჯანჯღავა ც.,** ლაზური შური ,,სული" იდიომატურ გამოთქმებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

140. **ჯიქია, 1964–ჯიქია ს.,** თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუს შრომები, ტომი 108. თბილისი;

141. **ჯორბენაძე, 1997–ჯორბენაძე ბ.,** ენა და კულტურა, თბილისი;

142. **ჯორბენაძე, 1989–ჯორბენაძე ბ.,** ქართული დიალექტოლოგია, თბილისი;

143. **ჯორჯანელი, 2016–ჯორჯანელი კ.,** ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გამომცემლობა ,,პალიტრა L,"თბილისი;

144. **Балли, 1961–Балли Ш.**, Французская Стилистика, перевод с Французского К. А. Долинина, Издателство Иностранной Литературы, Москва;

145. **Балли, 1955–Балли Ш.** Обшая лингвистика и вопросы французского языка. Москва: Издателство Иностранной Литературы, Москва;

146. **Булаховский, 1955–Булаховский Л. А.**, Введение в языковедение II, Москва;

147. **Догонов, 1978–Догонов Г. И.** Эмоция, как ценность. Наука. Москва;

148. **Виноградов, 1946 –Виноградов В.В.** Основные понятия русской фразеологии как лингвистической дисциплины. Москва;

149. **Виноградов, 1947 –Виноградов В.В.** Русский язык, Москва;

150. **Виноградов, 1947 –Виноградов В.В.** „Об основных типах фразеологических единиц в русском язике: Академик Щахматов. Сборник статей и материалов М-Л;

151. **Вежбицкая, 1999–Вежбицкая А.**, Семантические универсалии и описание языков Москва;

152. **Fleischer, 1982– Fleischer w.**, Phraseologie Der Deutschen Gegenwartssprache leipcig.

153. **Izard, 1980– Izard C. E.**, The psychology of emotions, Питер.;

154. **Карасик, 2002–Карасик В. И**, языковый круг: личность, концепты, дискурс. Москва;

155. **Караулов, 1987 – Караулов, Ю. Н.** Русский язык и языковая личность Editor, Д. Н Шмелев. Publisher hause Наука, 1987.

https://books.google.com/books/about/Русский_язык_и_языков.html?

156. **Kikvadze, Khakhutaishvili, 2015–Kikvadze M., Khakhutaishvili M.,** Türkçe Deyimlerin tercüme problemleri. KÜLTÜR EVRE-Nİ. UNIVERSE CULTURE 2015 ÜÇ AYDA BİR YAYIMLANAN ULUSLARARASI HAKEMLİ DERGİ (halk bilimidiil bilimi- müzik-edebiyat-Türklük bilimi-m,toloji). ISSN: 1308-6197/ 15;

157. **Kikvadze, Khakhutaishvili, 2015– Kikvadze M., Khakhutaishvili M.,** Türkçe ve Gürcücede konuşmayı belirten deyimler, International Symposium ON Language Education & Teaching. Nevşehir HBV Üniversitesi Eğitim Fakültesi Udes, 28-30.05. 2015. www.pegem.net;

158. **Kikvadze, Abuseridze, 2014 – Kikvadze M., Abuseridze A.** Linguoculturological Aspects of the Study of Samkhruli (Southern) Floronymic Phrasal Units, LA PHRASEOLOGIE:-THEORIES ET APPLICATIONS, SOUS LA DIRECTION D'OLOVIER SOUTET, SALAH MEJRI ET INES SFAR, ISBN 9782745347800, 26.01.18 PARIES. COLLECTION BIBLIOT DE GRAMMAIRE ET RE LINGUISTIQUE;

159. **Лакофф, Джонсон, 1990–Лакофф Дж., Джонсон М.,** Метафоры, которыми мы живем. Теория Метафоры / Под ред. Н.Д.Арутюновой, М.А.Журинской/. Москва.

160. **Маргвелани, 1978–Маргвелани Л. П.** Грузинские выражения обозначающие чувства и их описание в терминах лексических функций Язиковые процесоры и распознование речи საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები, XVII: 2,

161. **Марр, 1917–Марр Н.,** Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-и-

сторическая проблема. Известия Академии наук, Петроград;

162.Маслова, 2001– Маслова В. А. Лингвокультурология, Москва;

163.Ожегов, 1958–Ожегов С.И. О структуре фразеологии, Москва;

164.Палиевский, 1962–Палиевский П., Внутренная структура образа, в кн. Теория литературы II., Москва;

165.Püsküllüoğlu, 2006–Püsküllüoğlu Ali, Türkçe deyimler sözlüğü, Ankara;

166.Tandilava, Tsetskhladze, 2015– Tandilava L., Tsetskhladze N., Gürcüce-Türkçe deyimlerin variyantlara göre kültürel dialoglar, Universe Culture ISSN: 1308-619;

167.Tandilava, Tsetskhladze, 2015–Tandilava L., Tsetskhladze N., Gürcücede ve Türkçede yürek/kalp ile ilgili yer alan bileşik kelimeler 2015, www.pegem.net,

168.Tandilava, Khakhutaishvili, 2015–Tandilava L, M. Khakhutaishvili, Türkçe-Gürcüce Deyim Biçimleri Seçeneklerinin Lingvokütürelojik Görünüşleri, Universe Culture ISSN: 1308-619'

169.Телия, 1988– Телия В.Н., Метафоризация и её роль в создании языковой картины мира. Глава из книги: Роль человеческого фактора в языке. Язык и картина мира. М. С.;

170.Шанский, 1985–Шанский Н.М. Фразеология современного русккого языка. М.;

171.Щадрин, 1991–Щадрин Н. Л., Перевод фразеологических единиц и сопоставительная стилистика М.

172.Черданцева, 1988 – Черданцева Т.З., Метафора и символ., Наука. М.;

ბოლქვაძე თ., ნასესხები სიტყვების სემიოტიკა, სემიოტიკა 2007- 2 www.nplg. Gov. ge. თბ., 2007;

დოჩანაშვილი გ. „სამოსელი პირველი“ pdf http://litklubi.ge/biblioteka/admin/files/

ერისთავი რ., poetry.ge;

ლეონიძე გ., www.biblioteka.litklubi.ge/index-nawarmoebi.php?author

ლოლაძე ნ., ემოციების გამოხატვის ენობრივი სურათი HTTPS://SEMİOTİCSIOURNAL.WORDPRESS.COM/2010/08/07/

ლომოური ნ., https://saba.com.ge/books/

ლობჟანიძე ი., იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით- შეპირისპირებითი ანალიზი (ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე) სადისერტაციო ნაშრომი, iliauni.edu.ge/uploads/other/1/1454.pdf

გოგოლაშვილი ნ., „გაბრაზების“ ცნების ფსიქოლინგვისტური ინტერპრეტაციისათვის https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_h umanities/tezisebis%20krebuli.pdf).

ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2006;

რაზიკაშვილი თ., lit.ge/books/2-9743-tedo-razikashvili/

James w., The principhes of psychology, New York, Dover, https://archive.org/details/theprinciplesofp01jameuoft; http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka

www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=6

წილაძე ო.,გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ pdf http://litklubi.ge/biblioteka/admin/files

წონქაძე დ., https://library.iliauni.edu.ge/ebooks/daniel-tchonqadze-suramis-tsikhe/

შაჰინი მ., https:// maçaheli.net.deyimleri

AFTERWORD

One of the most relevant areas of study in the humanities is anthropocentric approach and its paradigm. During research of phraseology it is very important to study Georgian view of the world from linguistic point of view. It implies research of all culture coding (somatic, special, time, subject, biomorphic, spiritual). Due to large quantity and miscellaneous character, phraseology is endless sphere and phraseological fund of the Georgian language has not been described fully so far.

In spite of the fact that there are a lot of works about phraseology there is no perfect dictionary, in particular dialects' phraseological dictionary. It would be expedient to create Georgian dialects' corpus to meet requirements of time. we think that external dialect materials represent important part of dialects' phraseology. In order to solve the problem the following southern dialects are mentioned in our work: tao, klarjetic, and shavshetic dialects' phraseological units. we consider this topic to be urgent, as there is necessity to fix dialects' phraseological units immediately and to study them from lexicological, lexicographical and sociolinguistic points of view. Contacts with adjacent languages are revealed in dialects' phraseology in forms of borrowings, calques and semi-calques. There are many phraseological variants in dialect phraseology and they create doublets of phraseological units from literary language. Less attention is paid to stylistic functions of modification of components in variants.

Consideration of data from other kartvelological languages will help to create general picture of kartvelological languages.

The following phraseology creating components are singled out in structural analysis: parts of human body, somatic expressions, expressions connected with flowers, names of animals and birds, sacral words, colours, etc.

Somatic expressions connected with emotions are still subject of research, but the situation in Georgian is different. Especially it is connected to expressions comprising word გული (heart). It expresses asymmetry of positive-negative feelings in language.

Phraseological units containing component gul (heart) express intellectual processes, physiological phenomena.

Large part of phraseological units in Georgian contains words denoting animals, birds or reptiles. Face-symbols can be singled out: donkey, wolf, cock, cat, dog, eagles, etc. Negative emotions are generally expressed by animal phraseological units. Most part of floristic phraseological units is of conversational type. It is interesting to consider data from southern dialects, especially phrasemes met in lexical means of separate fields: angelozis titis chamonasvami, alageba yanisa, gawbilebuli yana, kabianisheeria yanas, yanis gawarbva, kotaze tskhvrris mokhocva, lobio ikhvarbleba, puris daorsuleba.

Colours symbolically express different semantic meanings, it is conditioned that there are historical-cultural, climatic and other differences between nations; values, moral norms and culture are expressed in these differences.

Among phraseological units containing astronomic names, in Georgian we can single out ბოგ (sun). It is symbol of acquisition, knowledge, source of beauty, symbol of love. It can be met in phraseological units with semantic meaning of joy, sorrow and death.

Semotic-semantic research means division into semantic groups, word families, that will be analyzed in details in the future.

In Georgian there are cases when changes in grammatical categories ensue changes in semantic meaning of phraseological units. In speech of religious refugees from Kobuleti, the antonymic meaning is basis for grammatical meaning of phraseological units: chads miachame und chadi miachame

Variants are created in general Georgian and dialects' phraseological units. Nominal parts of speech, verbs sometimes both of the components are used alternatively. Interrelationship between components is to be studied; interrelationships in sentences and texts are waiting for their researchers.

Variants of phraseological units coexist in Georgian and Laz dzaglis bedi aqvs in Megrelian we have yvavis bedi aqvs; dzaglis nakbenivit

akhsovs// gvelis nakbenivit akhsovs //bayaymac fekhi gaishvira//kum fekhi gamoyo.

There are a lot of synonyms among phraseological units, but each of them have different emotional colouring and they have definite stylistic reference. Some of them render the idea as euphemisms, some as dysphemism. Among synonymic phraseological units only some of them suit the context. Therefore, notion of synonymy is used in narrower sense.

In speech of locals, calque and semi-calque phraseological units are explained by Georgian phraseological units, lexeme or phrase. Synonymic parallelisms represent good stylistic means with the primary function of emotional phase.

Necrotisms contain words that have entered the language from foreign languages and are not used any more.

Set comparisons are discussed in the work. One part of them shows historical events, concrete geographical environment, toponyms, traditions, ethnographic and folklore data, faith, etc. They are logo-epistemic, have linguistic-cultural nature, render the view of the world of concrete people.

Anthropocentric paradigm has given priority to the connotative and cultural functions of phraseological units. Phraseology is intermediary between language and culture, phraseological thesaurus is a verbal thesaurus.

Research of phraseological units in the context of intercultural communications will serve to development of common platform for cultural studies, revealing the universal expressions and defining the national specifics of phraseological units. This kind of research has methodological and linguistic-didactic meaning.

In coding and translation of cultures, the role of genuine translation is very important. In the present work we have analyzed phraseological units with identical structure and components in the Georgian and Turkish languages but semantic and stylistic nuances are significantly different. Such difficulties create especial problems during translation and require from translator not only knowledge of two lan-

guages but also knowledge of living, traditions and culture. Difficulty of translation of poly-semantic phraseological units and logo-epistemic units are considered in the present work.

Translation of the logo-epistemic units showing historical facts and concrete geographic environment – toponyms is especially important; information about concrete persons, faith and beliefs and names of religious people are preserved in them. Two cases can be singled out: **translation of Turkish logo-epistemic units with Georgian logo-epistemic units and rendering of Turkish logo-epistemic units with equivalent meaning.**

Internal form of phraseological units marks all spheres of living. word-for-word translation of logo-epistemic units can lead to over-literal translation and make idea unclear. If translator always avoids translation of linguistic cultural meaning it may cause the translation to be distanced from original. Stylistic belonging should also be taken into consideration; it is necessary to avoid violation of stylistic distribution.

The first aim of translator is to preserve national colouring but the other extreme point is to use colouring of another language excessively.

The studies of pragmatics of separate logo-epistemic units will prepare theoretical basis for translation and that would facilitate work of translation studies specialists. The study of this issue is vital from the viewpoint of psycholinguistics.